საქართველო ბეჭედია ბაჟაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

№20 ფასი 1,50 ლარი * 13-19 მაისი



რა ნაუგია ქალების გამო ვაჟა მანიას და ვინ მოახდინა მის ცხოვრებაში გარდატეხა

გვ. 18

რა გარისკა ირინა ონაშვილმა და რისი სასტიკი წინააღმდეგი იყო ლადო ვარძელაშვილი

გვ. 74

გვ. 79

როდის ხდება სოფო ბედიას „ჩაქრობა“ ძნელი და რატომ გაატარებს ის მომავალ რძალს რენტგენზე



გვ. 14

რა არ დასცალდა მალხაზ გულაშვილს ციხეში და რას უკონტროლებდნენ მას პატიმრობისას



სარკეში ტელეფონით ფოტოების გადაღება – ოცდამეერთე საუკუნის სენი თუ, უბრალოდ, მოდური გატაცება?!

გვ. 2



გვ. 78

რატომ ვერ გრძნობს თავს თამამად ზურა მანჯავიძე გოგოებთან და რისი ეშინია მას



რის გამო გახდა გიო ჩხეიძე შანხაიში მოთხოვნადი მოდელი და რატომ უხდიან მას ფულს გართობაში

გვ. 19

ჟურნალ „თბილისელებთან“ ერთად წიგნის ფასი

წიგნი 8.50 + ჟურნალი 1.50 = 10 ლარი

ჟურნალის გარეშე წიგნის ფასი – 15 ლარი

მსოფლიო საყმაწვილო ლიტერატურის ანთოლოგია




IV ტომი

მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

# სარკეში ტელეფონით ფოტოების გადაღება – ოცდამეერთე საუკუნის „სენი“ თუ, უბრალოდ, მოდური გატაცება?!

*„სარკევ, სარკევ, არის ვინმე ჩემზე ლამაზი?“ – ასე ეკითხებოდა ცნობილ ზღაპარში ლამაზი და ბოროტი დედინაცვალი სარკეს. სარკეც ყოველთვის იმას პასუხობდა, რასაც ფიქრობდა. ამ ზღაპრის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და დღეს სარკემ კიდევ ერთი ფუნქცია შეიძინა: დადგები მის წინ, გადაუღებ საკუთარ თავს ფოტოს (დედინაცვალს, სამწუხაროდ, არც აიფონი ჰქონდა და, საერთოდ, ტელეფონის შესახებაც არაფერი იცოდა მარტივი მიზეზის გამო – მაშინ ის არ არსებობდა) და შემდეგ, სოციალურ ქსელზე ატვირთვისას, სარკის მაგივრად მეგობრები და ნაცნობები გეტყვიან, არის თუ არა ვინმე შენზე ლამაზი; როგორ გიხდება ეს ვარცხნილობა ან კაბა... სარკეში აიფონით ფოტოების გადაღება იმდენად პოპულარული გახდა, რომ საკუთარი კამერების წინ თავად მერილ სტრიპი და ჰილარი კლინტონიც კი პოზირებდნენ. სარკეში ფოტოების გადაღებამ უკვე ისეთი მასშტაბური სახე მიილო, ბევრი ამას „ოცდამეერთე საუკუნის სენსაც“ უწოდებს. თუმცა, როგორც ფსიქოლოგი ანა ცინაძე ამბობს, ეს, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე საშუალებებით მოდური ტენდენციების გამოხატულებაა: „ვფიქრობ, როგორც კი რაიმე ახალი გაჯეტი გამოჩნდება ამ სფეროში, გატაცების ფორმაც სახეს იცვლის. ისე კი, ადამიანთა უმრავლესობა ამას იმიტომ აკეთებს, რომ, სურს, დამოუკიდებლად დააფიქსიროს ის მომენტი, როდესაც ძალიან კარგად გამოიყურება. ამასთან, არ უნდა შეაწუხოს არავინ (ან, უბრალოდ, ფიზიკურად არავინ იმყოფება ამ დროს მის გვერდით) და თვითონ იღებს ფოტოებს, განმარტოებით“.*












*სხვათა შორის, გოგონების უმეტესობა ზუსტად ამის გამო იღებს ფოტოებს, თუმცა, ბევრმა ისიც თქვა, სარკეში ჩემს მეორე „მეს“ ვეპრანჭებიო. ბევრი იმიტომ იღებს, ალბომში ერთი სარკეში გადაღებული ფოტო ხომ უნდა მქონდესო. ერთხელ მეც ვცადე მეგობართან ერთად ასეთი ფოტოს გადაღება, მაგრამ, თითქმის 10 დუბლი დამჭირდა იმისთვის, ოდნავ ნორმალური ფოტო გამომსვლოდა – ორივე რომ ვყოფილიყავით ფოკუსში და, თან, მომხიბლავად გაგვეღიმა. ამის მერე მივხვდი, რომ ეს ჩემი გატაცება ნამდვილად არ ყოფილა. სამაგიეროდ, სარკეში ფოტოების გადაღებამ „ტაბულის“ მთავარი ტექნიკური პროდიუსერი ირაკლი ლობჟანიძე კოლექციონერი გახადა – მის კომპიუტერში 6 ათასამდე ასეთი ფოტოა, ხოლო მისი „ფეისბუქის“ ალბომში – 1000 ფოტო.*

**ირაკლი ლობჟანიძე:** მე და ჩემი მეგობარი, დათო ჩხიკვიშვილი, „როიტერის“ წარმომადგენელი საქართველოში, როგორც წესი, პარასკევ საღამოსა და შაბათს შარდენზე ვატარებთ მეგობრებთან ერთად. რომელ კლუბშიც უნდა შეხვიდე, ყველას აიფონი უჭირავს ხელში, ტუჩებს პრუწნავს, ფოტოს იღებს და მერე სოციალურ ქსელში ტვირთავს. ჩემი აზრით, ყველა გოგონაში ზის მეორე „მე“, რომელიც პირველ „მეს“ სარკეში ეპრანჭება და ფოტოს უღებს. მეორე „მეს“ მოსწონს პირველი „მეს“ სიკეკლუცე და ტვირთავს ფოტოს. ეს უკვე ფსიქოლოგიური მომენტია, ანუ, მოეწონა თავისი სიკეკლუცე და ატვირთა, ანახვა მეგობრებს თავისი ვიზუალი – რა ეცვა იმ დღეს ან იმ წუთში და დაჩეკინა, სად იმყოფება ან სად იმყოფებოდა, რომ „პერო“ არ დაეკარგა სოციუმში, ანუ, კაი პონტში ვარ, გადავიღე სურათი და ავტვირთეო, ინტერნეტიც ხომ ხელმისაწვდომია. აი, ამას გადავაწყდით: ტიპშებს გადაღებული არ ჰქონდათ, უკვე ტვირთავდნენ ბარებიდან თავიანთ სოციალურ ქსელებში. კარგია, განა ცუდია, „ასწორებს“ რაღაც დოზით, მაგრამ, ეს გახდა კიდევ უფრო სენი, როცა დაემსგავსა ესპადრელებს, რომელიც ადრე მოდაში იყო; ბიაზის ნაჭრის შარვალს; მერე – პილოტკა დუბლიონკას, მერე ხულიგანკა „ბეემვეს“,... მერე, შენ თავად იცი, რამე რომ იჩითება და ყველას რომ უნდა ჰქონდეს... რომ, არ უნდა გამაზოს და, ვისთანაც არ შეხვალ, ასეთი სურათი აქვს – მოდას აყოლილი სურათები... ერთ ადამიანსაც ვერ ნახავ, ვისაც ასეთი სურათი არ აქვს. ყველა ამას ამბობს და ღადაობით მაინც იღებს – ერთი სურათი ხომ უნდა მქონდეს ასეთიო. ზოგი ღადაობს, ზოგი საკუთარ დილის ჩაცმას იღებს სარკეში და დებს სადაქალოს „პროფილზე“, ანუ თაგავს – „ეს ჩავიცვა? მიხდება?“.. სადმე რომ მიდიან და, აი, ისინი ურჩევენ; ზოგიც – ტუალეტში... ეს ტუალეტის თემა არის ყველაზე მარაზმი. მგონია, რომ სარკე არასდროს არსად უნახავს და სახლში სარკე არ აქვს, ან, ტუალეტში კაფელი არ აქვს გაკრული, რომ სახლის სარკეში გადაიღოს და არა რესტორნის ან ბარის. ტუჩების პრუწნვა არის მეტი შარმიანობის საჩვენებლად – რომ ასეთი კარგი ტუჩები მაქვს, დაპრუწნული, სილიკონების გარეშეო. აქ ხომ ტუჩებსაც იდიდებდნენ, მაგრამ, არ











**(გაგრძელება 83-ე გვერდზე)**

# ს ა რ ჩ ე ვ ი


რატომ არ უხსნიან ბრალს პოლიტმატიმრებსა და ჯაშუშებს და რატომ აძლევდა „ნაციონალური მოძრაობა“ ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებულებს გათავისუფლების შემდეგ თავისუფლად საქმიანობის უფლებას ..... 6



რატომ არის ქალზე ძალადობა აბორტის აკრძალვა და რატომ ითვლება საქართველოში აბორტი პრობლემის გადაჭრის საშუალებად ..... 8

რას მიაღწია კახა თარგამაძემ უფულოდ, ავტომატითა და ჭკუით და რატომ არ დაუნიშნა პენსია არც რუსეთმა და არც საქართველომ ... 9



საქართველოსთვის რა უცნაური ტექნოლოგიით მოახერხა ბიძინა ივანიშვილმა ფიარგადატრიალება......10

რამდენ ნაწილად ყოფს სამყაროს ისრაელის პრეზიდენტი შიმონ პერესი და რა აკავშირებს მას ჰოლივუდის ლეგენდასთან – ლორენ ბეკოლთან ..................................................... 12



მსოფლიოს 2013 წლის უმდიდრესი ქალების ტოპ-ათეული „ფორბსის“ ვერსიით ..................................................... 13

რა არ დასცალადა მალხაზ გულაშვილს ციხეში და რას უკონტროლებდნენ მას პატიმრობისას ............................................. 14

რა წვლილი მიუძღვის ვიტალი დარასელიას „კარლ ცაისთან“ ცნობილი გოლის გატანაში ნუკრი კაკილაშვილს და რა ხდებოდა დიუსელდორფში გამარჯვების შემდეგ..............................15

ადვოკატი გირჩევთ....16

როდის ცდებიან ქალებში მამაკაცები მწარედ და რა ატყუებთ მათ.............20

როგორ დაკარგეს მეგობრებმა ერთმანეთი და ვის ეძებენ რუსეთიდან საქართველოში ..... 21

სად მდებარეობდა მუხრანბატონის სასახლე და რით იყო განთქმული რიყის უბანი ........................................................... 23



რა საქმეებს არ შეუძლია ადამიანის ცხონება და რატომ უნდა ვიცოდეთ სხვების ცხოვრების გარკვეული ნიუანსები ........... 24

რომელი ფეხბურთელები მოხვდნენ ყველაზე უხეში და ხისტი ფეხბურთელების ტოპ-ათეულში ........................................... 26

ექიმის რჩევები ........................................................... 29

როგორ გრძნობს შვილის შესაძლო საფრთხეს დედა და რომელ დღეს შეჭრილი თმა მოქმედებს ბედზე უარყოფითად ........................................... 32

რას უწოდებს თავის წვერს მოფერებით ზაკ გალიფიანაკისი და რის გამო არ მოიხმარს დეზოდორანტსა და ანტიპერსპირანტებს პლანეტის 2011 წლის ყველაზე სექსუალური მამაკაცი – ბრედლი კუპერი ............................................ 34

როგორ გადაურჩა ფინეთი სტალინს ... 35

შეკითხვა ასტროლოგს ......................... 36



# ყურადღება!

„აკადემია ლიბერთი-პროფი“ სასწავლებელი, რომელიც გჭირდებათ თქვენ!
ჩვენი დევიზია: თუ იცი – საქმე თვითონ გეძებს!
ჩვენ გაძლევთ უნიკალურ შანსს, ერთდროულად მიიღოთ, როგორც საშუალო განათლების ატესტატი, ისე პრესტიჟული და შემოსავლიანი პროფესიის, სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი. ვიღებთ 9, 10, 11 და 12-კლასდამთავრებულებსაც (კოლეჯის პროგრამებზე). გარდა ამისა, შესაძლებელია სწავლა ექსტერნად და შესაბამისი ატესტატის მიღება. მიიღებიან რუსულენოვანი მოქალაქეებიც.

მისამართი: ზაზიაშვილის ქუჩა №1 (სავ. ცენტრ. „ქარვასლასთან“) მე-4 სართული. ტელეფონის ნომრები: 295-20-16; 599 55-02-95; 790 50-60-98; 574 05-06-12.

ვრცლად: facebook-ზე აკადემია ლიბერთი-პროფ



რატომ უნდა დაგეგმოთ ბინის რემონტი სწორად და საიდან შემოდის სახლში დადებითი ენერგიის ნაკადი .................. 36

კოსმეტოლოგის რჩევები ........................ 51

ვინ და რატომ შექმნა გურიაში მილიციელ-ყაჩაღთა შეიარაღებული ბანდა ............................................................. 52

რა ინციდენტი მოხდა ქართველებსა და ტრაპიზონელებს შორის და რა გავლენა მოახდინა ამ უთანხმოებამ მათ კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე ... 54

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს ... 55



ვეტერინარის რჩევები..............60

ფლორის სამყაროში.......60

როგორ დააკავეს მოძალადე მამათმავალი და რით აშანტაჟებდა ის თავის მსხვერპლს ..... 61

მე – დაქირავებული მკვლელი ............. 62

მკვდარი ვერსია ........................................ 70

რატომ ვერ გააბა „ხაფანგში“ ამნისტირებულმა გუჯაიამ „ჭრელგალსტუკიანი“ „რიჟა რუსი“ ..... 82

რატომ გაებუტა ჩინელ ბიჭს ქართველი საცოლე ............................................................. 82



## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის“ სტამბაში
ელ-ფოსტა: PRINT@ASAVALI.GE

**განყოფილებები**

პოლიტიკა: ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
კორექტორი: ხატია ჭლენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე

მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52;
599 10-15-20
239-23-52

სარეკლამო სამსახური:
593 38-75-61;
239-23-53

დამფუძნებელი:
შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# გადადებული ფეხის წვერზე

## ანუ, არასაკმარისად დაკმაყოფილებული?!

თუმცა გაირკვა, რომ **ამ ჩვენი ბიუჯეტის ფულით ეს ჩვენი პრეზიდენტი ლამის ყველა გამვლელ-გამომვლელს ასაჩუქრებდა**, **წარბი არც პრეზიდენტს შეუხრია**, **არც მის თანაგუნდელებს** და, მით უმეტეს, **არც დასაჩუქრებულებს შერხევიათ საჩუქრები**. მათ შორისაა უკრაინელი მომღერალი **ივანა მელაიც** (რომლის ბედნიერებისთვისაც შეიქმნა ტელეარხი „პიკი“, ყოველ შემთხვევაში, ასეთი შთაბეჭდილება რჩებოდა).

სულ ახლახან **ზემოხსენებულმა ქ-ნმა მიგვამუნათა**: „ახლა **რომ გითხრა, რამდენი საჩუქარი მიმიღია და ის ადამიანებიც ჩამოვთვალო, ვინც რამე მაჩუქა, ამას შემოდგომამდე მოვუნდები** (მაშ!). “



ზედაც, **საჩუქრის ფასიც დაგვიწუნა** („როგორც მახსოვს, წერდნენ, რომ **900-ლარიანი საჩუქარი მივიღე. ეს ხომ სასაცილოა! ნუთუ დიდი დანაკარგია ეს თანხა საქართველოსთვის**?!“) და **ანაზღაურებისაც** (კვლავ ციტატას მოვიხმობ: „არც ის მესმის, თუ **რატომ უკვირთ ჩემი შრომის ანაზღაურება.** ეს თანხა, შესაძლოა, ვიღაცას ბევრად ეჩვენებოდეს, მაგრამ, **ეს ხომ იმ თანხის მესამედია, რასაც უკრაინაში ვიღებ**?!“).

ბუნებრივია, იბადება კითხვა: **თუ ეგზომ უკმაყოფილოა** ქ-ნი მელაი, რად არ გვტოვებს? მაგრამ, როგორც ირკვევა, **მეტად პოეტური მიზეზით** (კვლავ ციტატას მოვიშველიებ): „მას (**მიხეილ სააკაშვილს) დიდ პატივს ვცემ** . **მიხარია, რომ ასეთი კარგი ადამიანი გავიცანი. მიყვარს პროგრესული ადამიანები, რომლებიც ერთ ადგილზე არ ჩერდებიან** (უყვარს და მოკალი!).“

სტუმართმოყვარეობის წესის გათვალისწინებით, ბუნებრივია, **მოხარულნი ვართ, რომ** ქ-ნი **მელაი თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში, და** მერე რა, რომ **ეს ჩვენი ბიუჯეტი სულ გადადებული ფეხის წვერზე ჰკიდია.**

ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ **900-ლარიანი ეიაფა**, მის თვალში **პროგრესულის იმიჯის შესანარჩუნებლად** საქართველოს მოქალაქეებს **ხომ არ გაგვეჭირვებინა, კიდევ ორი ნული მიგვემატებინა (**სიღარიბეს რა ვუთხარი, **თორემ, განა 6 ნულს არ იმსახურებს?!)** და ჩვენს სახელზე **კიდევ ერთი ყელსაბამი დაგვეკიდა** ?!

# თანამოაზრენი

## ანუ, ვიზიარებ თქვენს მწუხარებას

ჯერჯერობით **ვერ შევთანხმებულვართ, ფაშიზმზე გამარჯვების დღე 8 მაისს გადმოვიტანოთ თუ**, ძველი ტრადიციით, **კვლავაც 9-ში ვიზეიმოთ**, თუმცა, ინერციით თუ სხვა მიზეზით, **მაინც 9-ს ვარჩევთ**. მეორე მხრივ, ეს არცთუ მნიშვნელოვანი პრობლემაა, რადგან **წლევანდელი 9 მაისის,** როგორც ოკუპანტები იტყვიან, **„იზიუმინკა“ სულ სხვა რამ იყო.**



კერძოდ, ბ-ნმა მიშა **თავხელიძემ ფაშიზმის დამარცხების საყოველთაოდ აღიარებული თეზის ალტერნატივა შემოგვთავაზა.** სახელდობრ, სოციალური ქსელით ვირტუალურ მეგობრებსა თუ არამეგობრებს **მეორე მსოფლიო ომის შესახებ საკუთარი ხედვა გააცნო – „გილოცავთ სტალინის ცივილიზებულ სამყაროზე გამარჯვების დღეს“.**



მე არ შევუდგები იმის ახსნას, **ადეკვატურია თუ არა ბ-ნი თავხელიძის მოსაზრება,** მხოლოდ იმას გეტყვით, რომ გასულ კვირას **გერმანიის პოლიციამ ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი ზედამხედველი**, **93 წლის მამაკაცი დააკავა** (ოსვენციმის ბანაკში მილიონზე მეტი ადამიანი დახოცეს), რაც, სულ მცირე, იმას მაინც ადასტურებს, რომ ბ-ნი **თავხელიძისა და ფაშიზმის მშობელი ერის შეფასებები ერთმანეთს არ ემთხვევა** (საბედნიეროდ!).



ეჭვი მაქვს, რომ ბ-ნი **თავხელიძე ხსენებული 93 წლის ნაცისტის ბედსაც გულთან ახლოს მიიტანდა**, ამიტომაც ვსარგებლობ შემთხვევით და **მას, ისევე, როგორც მის თანამოაზრეებს, ვუსამძიმრებ ჰიტლერის ტრაგიკულად დაღუპვის გამო** (ადოლფი ხომ სწორედ **მაისში გამოგვეცალა ხელიდან**)!

# მორგებული

**რაკი ასე დაებედა,** იმთავითვე **ცხადი იყო, რომ მორიგ ცვლილებებს ეს ჩვენი კონსტიტუცია, როგორც პატარძალი, მაინც ვერ აიცდენდა.**

როგორც გაირკვა, **ვერც აიცდენს**, რადგან, გასულ კვირას **პარლამენტის თავმჯდომარემ გვაუწყა**, რომ **საკონსტიტუციო ცვლილებები უახლოეს მომავალში განხორციელდება**, ოღონდ, **არ დაუმალავს**, რომ **არც ცვლილებების შინაარსია ცნობილი** და, უფრო მეტიც, **მმართველ გუნდში არც ძირითად საცვლილებო პოსტულატებზე შეთანხმებულან**.



მხოლოდ ის **გაგვიმხილეს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებზე ორ ეტაპად იმუშავებენ**: კონსტიტუციის **ფუნდამენტურ გაუმჯობესებაზე სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია იმუშავებს**, ხოლო **წვრილ-წვრილ ცვლილებებს საპრეზიდენტო არჩევნებამდე შევიტანთო**.

რაც მთავარია, **კონსტიტუციის ცვლილებებს მხარს არ უჭერს „ნაცმოძრაობა“,** არგუმენტით, **არჩევნებამდე ცვლილებების განხორციელება დაუშვებელიაო** (და მერე რა, რომ **თავად იმდენი ცვლილება შეიტანეს** ამ ჩვენს საწყალ უმთავრეს დოკუმენტში...

# ახალგაზრდა კონსტიტუციის ვნებანი

**ეს ამ ჩვენს საწყალ უმთავრეს დოკუმენტში, რომ, დედას ვინ ჩივის, მამინაცვალიც არ დაუტოვეს** .

თუმცა, გვაიმედებენ, რომ **მუშაობაში მონაწილეობას მაინც მიიღებენ** (სხვა რა საქმე აქვთ?!), როგორც ბ-ნი **ვაშაძე გვპირდება, არ დავუშვებთ ქვეყნისთვის საზიანო ცვლილებების მიღებასო** (იგი იმდენად აქტიური ლიდერია, რომ მისი ციტატების მოხმობა ერთობ ხშირად მიწევს .

ასე თუ ისე, **ის კიდევ ერთხელ**, ზედაც, **ფუნდამენტურად შეიცვლება**, ხოლო, თუ იმ ტრადიციასაც გავიხსენებთ, რომ **1995 წელს მიღებული** (ჯერაც არასრულწლოვანი) **უკვე არაერთგზისაა გადაწერილ-გადმოწერილი,** ცხადი ხდება, რომ **რუსის ბარაბანს არ მოხვედრია იმდენი, რაც ამ ჩვენს კონსტიტუციას – ცვლილება** **!**

# ყურგამზადებულები ანუ, ჩამშვებთა-ჩამშვები

ჯერჯერობით, **ყოფილი ბობოლებიდან ჯოხი მხოლოდ ბაჩო ახალაიაზეა გადამტყდარი** (ოღონდ, რამდენად საფუძვლიანად, ამას სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ შევიტყობთ), **დანარჩენები თავისუფლადაც დასეირნობენ**, თავიანთ **აზრებსაც გვიზიარებენ** და **განგაშის ზარებსაც არისხებენ** (ქვეყანა უკან მიდისო!).

შესაძლოა, ამიტომაც (**რაკი ჯოხი ერთზე ტყდება**), ჯერ იყო და, **დათა ახალაიამ შემოგვითვალა** ერსა და ბერს, **მოვდივარ და ყველაფერს გეტყვითო** (თუმცა ამაო გამოდგა ჩვენი მოლოდინი, გასულ კვირას კი **თვით როლანდ ახალაიაც დაგვპირდა, რომ ცხელ-ცხელ ამბებს არ მოგვაკლებს** (ოღონდ, **როცა საჭირო იქნება, მაშინო,** რამეთუ, **წინასწარ ტალახის სროლას არ ვარ მიჩვეულიო!** . ზედაც, **არასამთავრობო ორგანიზაციებს უსაყვედურა** (მომყავს ციტატა): „მაინტერესებს, სად არიან ეს არასამთავრობო ორგანიზაციები. **ბაჩო ახალაია უკანონო პატიმარია** და, **არ ვიცი, ეკა ბესელია რატომ არ ინტერესდება ბაჩოს საქმით**, როდესაც იცავს შალიკიანებისა და მსგავსი პირების უფლებებს."

არც ჩვენ ვიცით, **რას გვეტყვის ახალს ერთ დროს** „ნაციონალთა" **მარჯვენა ხელი** ბ-ნი **ახალაია** ან **რას ეტყვის საპასუხოდ მას,** თუ მთლად ქვეყანა არა, **სამართალდამცავი სტრუქტურები**, თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **ნავსი გამტყდარია** (არაერთი მხურვალე „ნაციონალი" გადაბარგდა „ოცნებაში", ხოლო თვით ქ-ნმა ვერულაშვილმა სულ წვრილად გაგვიმხილა საგმირო „ნაციონალური" საქმეები), სავარაუდოდ, **ყურები უნდა გავამზადოთ** (საინტერესო ამბების მოსასმენად). ჰოდა, **იქნებ თადარიგიც დაგვეჭირა** და **ჩამშვებთა-ჩამშვების საპატიო პრიზი წინდაწინ დაგვეწესებინა?!**

# „ცოდვილი" ანუ შაძლებს!!!

თავდაპირველად **საჯაროდ, ოღონდ, ცალ-ცალკე იკამათეს**, მაგრამ, **საბოლოოდ,** ხალხის რჩეული კობა დავითაშვილი და პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი **მაინც დაზავდნენ**.



მანამდე კი ბ-ნი **დავითაშვილისა** და მისი **„ოცნებელი" კოლეგები შეთანხმებას ვერ ახერხებდნენ**. იმდენადაც, რომ ეს უკანასკნელი **თვით პრემიერ-მინისტრმა გააკრიტიკა,** მაგრამ, **მოგვიანებით, მას მინისტრობასაც დაჰპირდასავით** (თუმცა, არ დაუკონკრეტებია, სახელდობრ, რომელს).

თავის მხრივ, ბ-ნმა **დავითაშვილმა დაგვარწმუნა**, რომ, **მართალია, მინისტრობა მისი თვითმიზანი არ არის**, მაგრამ, **დღესვეა მზად, იტვირთოს პასუხისმგებლობა**!

**მზადყოფნის მიზეზი კი შემდეგნაირია** (მოვიხმობ ციტატას): „მზად ვარ, **გარანტირებულ 4-წლიან საპარლამენტო ცხოვრებაზე უარი ვთქვა და მინისტრად დავინიშნო**. ვფიქრობ, მინისტრობა სწორედ პროფესიონალი პოლიტიკოსის საქმეა ".

ზედაც, **უახლოესი წარსულის დეტალებიც გაიხსენა**: „12 წელია, რაც პრემიერს ვიცნობ. **ბევრი ცოდვა მაქვს**, ამ მხრივ **და ამასაც ვიტყვი – ბიძინა ივანიშვილს სააკაშვილი მე გავაცანი. შემდეგ მე წამოვედი ოპოზიციაში და მათი ურთიერთობა გაგრძელდა** (ანუ, მე უფრო შორსმჭვრეტელი ვარო ?!).

ჩვენ არ ვიცით, **შედგება თუ არა** ბ-ნი **დავითაშვილის კარიერა აღმასრულებელ ხელისუფლებაში**, თუმცა, **თუ მის მზადყოფნასა და შემართებას გავიხსენებთ** (მზად ვარ, მინისტრად დავინიშნოო), სხვა თუ არაფერი. ის მაინც აშკარაა, რომ **შაძლებს თავმჯდომარეობას** (მდივნიან-„ბორჯომიანად")!

# პრასივით კანდიდატები

**„ნაცმოძრაობის" აქტივი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ისეთი გაცხოველებით ემზადება,** საქართველოს ამომრჩეველს რომ თავი დავანებოთ, **თვით „ენ დი აისაც" კი თვალები დააჭყეტინა** (ბუნებრივია, **გაკვირვებისგან**; გაკვირვებისგან, **ვინაიდან რეიტინგებში ფრიად მოიკოჭლებს**, თუმცა, **ერთ დროს შიშის ზარს სცემდა** აქეთ – ამომრჩეველს, იქით – რეიტინგებს .

თავის მხრივ, **არც „ოცნება" ჩამორჩება – ერთი რას მიქვიანო** და, სულ მცირე, **5-ს გვთავაზობს**, თუმცა, მაგალითად, **ერთ დროს მერეესტრე**, აწ კი ხალხის რჩეული ბ-ნი **ვაშაძე დარწმუნებულია,** რომ **მათი კანდიდატი „ქართული ოცნების" კანდიდატზე უკეთესი იქნება** (პათოსით: „ჩემი სიდედრი შენსას სჯობია, არა, ჩემი სჯობს – შენს!"). სამწუხაროდ, **არ აკონკრეტებს, სახელდობრ, რით**, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ **ჯერაც მოქმედმა პრეზიდენტმა**, მაგალითად, **ომის შემდეგ მილიარდიანი სასახლე წამოიჭიმა** (სხვათა შორის, ჯერაც

# „ჩემი კანდიდატი შენსას სჯობს"

ვერ გაგვირკვევია, ზუსტად რა დაგვიჯდა პრეზიდენტის ფუფუნებით ცხოვრება), **მათმა ახალმა კანდიდატმა,** გაპრეზიდენტების შემთხვევაში, **სულ მცირე, არსებულზე ორჯერ დიდი სასახლე ხომ მაინც უნდა აიშენოს?!**

მეორე მხრივ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **საპრეზიდენტო კანდიდატებს არც სხვა პარტიები მოგვაკლებენ** (პრინციპით, თაფლი იყოს, ბუზი ბაღდადიდან მოვაო). უკვე ცნობილია, რომ **საპრეზიდენტო სკამისთვის დოღში ლეიბორისტებიც ერთვებიან** და **ყველა დროის კანდიდატი ქართლოს ღარიბაშვილიც კიდევ ერთხელ მოსინჯავს ძალებს**.

ჩვენ არ ვიცით, **რა ხეირს მოუტანს ახალი პრეზიდენტი სამყაროსავით ძველ საქართველოს**, თუმცა, **უკვე ვგრძნობთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე 5 თვით ადრე, კანდიდატები** (მსურველების რაოდენობის გათვალისწინებით) **კონა ათი შაურია**, ხოლო, **თუ საბაზრო პრინციპებსაც გავითვალისწინებთ, შესაძლოა, თანდათან კიდევ უფრო გაიაფდეს** .

# მადააშლილთა მტლად დასადებები

## „...ქვეყანა მშიერ მონების"

მართალია, **იუსტიციის სამინისტრომ უკვე მოამზადა ცვლილებები „შრომის კოდექსში"** და **ჯერჯერობით მხოლოდ უმნიშვნელოდ იგეგმება დაქირავებულების უფლებების დაცვა** (მთავარი სიახლე ისაა, რომ **დამქირავებელი მთლად უპრაგონოდაც ვერ გამოაპანღურებს თანამშრომელს**), მაგრამ, როგორც ირკვევა, **ამ ინიციატივას მოწინააღმდეგეები თვით „მეოცნებეთა" შორისაც აღმოაჩნდა** (თორემ **„ნაცმოძრაობამ" და ბიზნესმენებმა იმთავითვე შემოიხიეს ტანზე, ერთი მისხალიც არ უნდა მოაკლდეს დამსაქმებლის იმპერატორულ უფლებებსო**).



**პირველი მერცხალი განათლების მინისტრი აღმოჩნდა**, რომელმაც სტუდენტებთან შეხვედრისას **განაცხადა, რომ „შრომის კოდექსში" გასახორციელებელი ცვლილებები**, იმას გარდა, რომ როზა ლუქსემბურგის ოცნების ახდენაა (ისე, **ბარაქალა როზას, თუ ასეთი ჯანმრთელი ოცნებები ჰქონია**) და, რაც მთავარია, ეს **ბიზნესს მოკლავსო** (შესაბამისად, **ინვესტორის განაწყენებას მტლად დაქირავებულთა უუფლებობა დავადოთო**).



ბ-ნ **მარგველაშვილს** ქ-ნი **წულუკიანი გამოეპასუხა** (რაკი ავტორი იუსტიციის სამინისტროა). კერძოდ, განმარტა, რომ **გაკრიტიკებული ცვლილებები**, მაგალითად, **ჩვენს ევროპელ კოლეგებს მოსწონებიათ,** თუმცა, ისიც შეუნიშნავთ, რომ **„ეს არის მინიმუმის მინიმუმი, რაც კი შეიძლება ცივილიზებულმა და დასავლურობაზე პრეტენზიის მქონე ქვეყანამ თავის კოდექსში ჩაწეროს."**

**დავაში პრემიერ-მინისტრმა მხარი** ბ-ნ **მარგველაშვილს დაუჭირა**. სახელდობრ, ბრძანა, **„ინვესტორს არ უნდა დავუკარგოთ მადა იმისა, რომ შემოვიდეს საქართველოში და ინვესტიციები განახორციელოს** (როგორც ჩანს, **მონები აქაური ინვესტორის მადის გაღვიძების საუკეთესო საშუალებაა**)", თუმცა **საბოლოოდ ვინ იქნება მხარდაჭერილი**, ამას მხოლოდ **ცვლილებების საპარლამენტოს სხდომაზე გატანის შემდეგ დავადგენთ,** მანამდე კი **ტენდენცია აშკარაა**: მათ, **ვინც ზემოთაა,** როგორც წესი, **ქვემოთ მონები ურჩევნიათ.**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**პარლამენტის გადაწყვეტილებით, 200-მდე პოლიტპატიმარი უკვე გათავისუფლდა, თუმცა, ჯერ ერთი, მათ ბიოგრაფიას კვლავ ამძიმებს ნასამართლობა და, რაც მთავარია, იმ 200 გამომძიებელ-პროკურორ-მოსამართლისთვის, რომლებმაც, როგორც გაირკვა, უკანონო ქმედებები ჩაიდინეს, ბუზიც არავის აუფრენია და, სავარაუდოდ, ახლა სხვა საქმეებსაც იძიებენ (ადვილად წარმოსადგენია, რამდენად „ნაყოფიერად“). მართალია, სიმონ კილაძე 2007 წლის 28 მარტს გათავისუფლდა, დაპატიმრებიდან და ჯაშუშობის ბრალდების წაყენებიდან ერთი წლის შემდეგ, თუმცა არც მისი რეაბილიტაცია მომხდარა. რაც ყველაზე საინტერესოა, მას საქმიანობის უფლებაც მიეცა და არანაირი შეზღუდვა არ დაწესებია (რაც სახელმწიფოს მხრიდან ცოტა უცნაური ქმედებაა, თუკი სჯეროდა, რომ საქმე მართლაც ჯაშუშთან ჰქონდა). სხვების მსგავსად, სიმონ კილაძეც მოითხოვს რეაბილიტაციას, მაგრამ პროცესი, ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, ჭიანურდება.**

# რატომ არ უხსნიან ბრალს პოლიტპატიმრებსა და ჯაშუშებს და რატომ აძლევდა „ნაციონალური მოძრაობა“ ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებულებს გათავისუფლების შემდეგ თავისუფლად საქმინობის უფლებას



**ჩემთვის ჩემი საქმე არ გაუცვნიათ, მე ის არ წამიკითხავს, თვითონ დაწერეს, შეთითხნეს, მე მხოლოდ ხელი მომაწერინეს და მაღიარებინეს**

**– ბატონო სიმონ, ერთგვარად კურიოზული სიტუაციაა: სხვა თემაა, თქვენ ეთანხმებოდით თუ არა ბრალდებას და მათ შეძლეს თუ არა ამის დამტკიცება, მაგრამ სახელმწიფომ ხომ ჩათვალა, რომ თქვენ ჯაშუშობდით. როდესაც გაგათავისუფლეს, სულ რაღაც, ერთი წლის შემდეგ, აღარ იყავით საშიში სახელმწიფოსთვის 2007 წლის 28 მარტის შემდეგ, თუ პირობა ჩამოგართვეს, რომ აღარ იჯაშუშებდით?**

– ჯაშუშობა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიას მიეკუთვნება. წარმოიდგინეთ, განსაკუთრებით მძიმე დამნაშავე ერთ წელს ვიყავი პატიმრობაში, ერთი წლის შემდეგ გამომიშვეს და მქონდა საშუალება, დამეწყო საქმიანობა, არანაირი აკრძალვა არ მქონია. მართლაც, კურიოზული სიტუაცია იქმნება: თუ მე მართლაც ასეთი საშიში ვიყავი საზოგადოებისთვის, რატომ გამომიშვეს ადრე, რატომ არ მდევნიდნენ შემდეგ და რატომ არ მქონდა რამე შეზღუდვები. განაჩენში ყოველთვის იწერება, რომ ამა და ამ ადამიანს ეკისრება ესა და ეს შეზღუდვა, რაც ჩემს შემთხვევაში არ ყოფილა და რაც მოწმობს, რომ ჩემი „დანაშაული“ არ ყოფილა რეალური დანაშაული. ეს სპეციალურად მოაწყვეს, ფიარი გააკეთეს, რომ გადაეფარათ გირგვლიანის მკვლელობა მაღალი თანამდებობის პირების მიერ, ციხის ბუნტის სასტიკი ჩახშობა, თორემ თვითონაც კარგად იცოდნენ, რომ მე უდანაშაულო ვიყავი და საფრთხე არ ემუქრებოდათ ჩემგან.

**– ბოლოს და ბოლოს, რომელი ქვეყნის სასარგებლოდ ჯაშუშობა დაგაბრალეს?**

– ჩემს განაჩენში მართლაც კურიოზული იყო ის, რომ ქვეყანა მითითებული არ არის, რომლის სასარგებლოდაც ვმუშაობდი. მეტიც, ჩემთვის ჩემი საქმე არ გაუცვნიათ, მე ის არ წამიკითხავს, თვითონ დაწერეს, შეთითხნეს, მე მხოლოდ ხელი მომაწერინეს და მაღიარებინეს. ამდენად, მე არ ვიცი, ჩემს საქმეში რა წერია.

**– საიდან იცით, რომ ქვეყანა არ არის მითითებული?**

– საქმეში შესაძლოა, მითითებული იყოს, რომელიც დახურულია და გრიფი „საიდუმლოდ“ ადევს, სასამართლო განაჩენში არ არის მითითებული ქვეყანა. უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმეში რაღაც ქვეყანას ჩაწერდნენ, იმ იმედით, რომ მაინც ვერავინ ნახავდა და ეს აბსურდული ჩანაწერები სამუდამოდ საზოგადოების თვალთახედვის მიღმა დარჩებოდა. როგორც კი ხელისუფლება შეიცვალა, მე მივმართე პროკურატურას საქმის გადახედვის და ჩემი რეაბილიტაციის თაობაზე. მე დავადანაშაულე წინა ხელისუფლების ლიდერები: შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ამჟამინდელი პრეზიდენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი გიორგი არველაძე. ასევე, მაშინდელი გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი.

**– რა პასუხი მიიღეთ პროკურატურისგან? დაეტყოთ სიცოცხლის ნიშანწყალი?**

– მე ვიყავი პროკურატურაში, მაინტერესებდა, გამეგო, როგორ მიდის პროცესი, მაგრამ არის ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი, ჯერ ისევ „ნაციონალების“ მიერ მიღებული კანონებია ძალაში. ამიტომ საჭიროა ისეთი ცვლილების შეტანა, რომ შესაძლებელი გახდეს ამგვარი შეკერილი დანაშაულების გადასინჯვა.

**– ანუ კანონი არ იძლევა საშუალებას, რომ გადაისინჯოს ეს დაგრიფული საქმეები?**

– როგორც ბატონი არჩილ კბილაშვილი აცხადებდა, შექმნილია ჯგუფი, რომელიც მუშაობს ამნისტირებულების საქმეებზე, მოქალაქეთა განცხადებებზე, მაგრამ ეს ნაკლებად ეხება პოლიტიკური ელფერით შეკერილ საქმეებს. ჩვენი ტიპის საქმეების გადასასინჯად საჭიროა, ჩასწორდეს კანონი. მაგრამ, როგორც ვიცი, ძალიან ჭიანურდება ეს საკითხი. მე არ ვიცი, რა არის ამის მიზეზი, შესაძლოა, საქმე გვქონდეს მუნდირის ღირსების ყალბ გაგებასთან, რადგან, თუ საქმეების გადახედვის შემდეგ რეპრესირებულთა უდანაშაულობა დადგინდება, მაშინ ბევრ სამართალდამცველსა

**გერმანიის გაერთიანების შემდეგ, ყველა დაზარალებულსა და რეპრესირებულს უფლება მიეცა, გაცნობოდა თავის დოსიეს და და დაზარალებული ინდივიდუალურად იღებდა გადაწყვეტილებას, ეჩივლა თუ არა ადამიანისთვის, ვინც საქმე შეუკერა**

და მართლმსაჯულების წარმომადგენელს მოუწევს პასუხისგება. ამდენად, მათთვის მძიმე სიტუაცია იქმნება. მე თუ მკითხავთ, ის გამომძიებლები, მოსამართლეები და პროკურორები საჯაროდ უნდა გამოსულიყვნენ პოლიტპატიმრების ამნისტიის შემდეგ და მათ მიერ წაყენებული ბრალდებები და გამოტანილი განაჩენები დაეცვათ, დაესაბუთებინათ, რომ პატიმრობიდან გათავისუფლებული პირები ნამდვილად დამნაშავეები არიან, ან ბოდიში უნდა მოეხადათ. ამ დროს კი ისინი ისევ თავიანთ თანამდებობებზე არიან და ხელფასებს იღებენ ბიუჯეტიდან.

**– თქვენ გქონდათ ამ სისტემასთან უშუალო შეხება, არის რგოლი, რომელიც არ არის გასვრილი სიბინძურესა და უკანონობაში მათ შორის, ვინც 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე მუშაობდა ამ სისტემაში?**

– სამართალდამცველი და მართლმსაჯულების სისტემა ძალიან რთული სისტემაა და ყველას თავისი ფუნქცია და მოვალეობა გააჩნია, მაგრამ ჩადენილი შეცდომების გამოსწორების საკითხი ყველაზე მეტად ეხება გამომძიებლებს, რომლებიც იძიებენ საქმეებს, პროკურორებს, რომლებიც ზედამხედველობას უწევენ ამ პროცესს და მოსამართლეებს.

**– გასაგებია, ყველას ვერ გამოვცვლით, მაგრამ ვინც ამ სიბინძურეს აკეთებდა, ხომ უნდა აღიარებდეს მაინც, სულ მცირე, რომ სიბინძურეს აკეთებდა? ვის მივუტევოთ, თუ მონანიებას არავინ ითხოვს? როგორია ამ ტიპის საქმეებში სხვა ქვეყნების გამოცდილება?**

– სამართლიანობის აღდგენის საკითხი ხელისუფლების ცვლილების დროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გადაუდებელი თემაა. ამ პრობლემის გადაწყვეტა მოუწია გერმანიის ომის შემდგომ ხელისუფლებას, როდესაც ფაშისტური პარტია აიკრძალა და მისი ლიდერები ნიურნბერგის პროცესზე გასამართლდნენ. აგრეთვე, იტალიაში, მუსოლინის შემდეგ; საბერძნეთში, შავი პოლკოვნიკების მმართველობის შემდეგ; ესპანეთში, ფრანკოს მმართველობის შემდეგ; ჩილეში, პინოჩეტის რეჟიმის შემდეგ; პორტუგალიაში, სალაზარის რეჟიმის შემდეგ. ასევე, აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებში: პოლონეთში, ჩეხეთში, იმავე გერმანიაში გაერთიანების შემდეგ. სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნაში ერთ-ერთი მთავარია მსხვერპლთა რეაბილიტაცია, სიმართლის გაგება, პასუხისმგებელი პირების გამოვლენა და მათი დასჯა.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ავსტრიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განხორციელდა პოლიტიკური წმენდები. იქ სამ პერიოდად მოხდა დენაციფიკაცია: პირველ პერიოდში აიკრძალა ნაცისტური სიმბოლიკა, გაზეთები, წიგნები და ბოლოს ნიურნბერგის პროცესით დაგვირგვინდა. მომდევნო პერიოდში დენაციფიკაცია შენელდა და ბევრი პარტიული ფუნქციონერი თავის ადგილას დარჩა. მართალია, ნიურნბერგის პროცესის შემდეგ მთავარი მოქმედი პირები დასაჯეს, მაგრამ ბევრმა, ვინც ნაცისტების დროსაც მუშაობდა, შეინარჩუნა თავისი ადგილი პროკურატურაში და ბევრმა ყოფილმა ნაცისტმა კარიერაც კი გაიკეთა. შეიძლება, მკითხველმა არც იცოდეს, რომ გერმანიის ფედერალური პრეზიდენტები – ჰაინრიხ ლიუბკე და კარლ კასტენსი ფაშისტური პარტიის წევრები იყვნენ. დენაციფიკაციის მესამე პერიოდი იწყება გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს, რომელსაც შეიძლება, დავარქვათ გააზრების ფაზა. ამ დროს დაარსდა შტუტგარდის არქივი ნაციონალ-სოციალისტთა დანაშაულობების შესახებ. საინტერესოა, ასევე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაუქმების შემდეგ შექმნილი სიტუაცია პიროვნების უფლებების აღდგენის სფეროში. ყველა დაზარალებულს და რეპრესირებულს უფლება მიეცა, გასცნობოდა თავის დოსიეს.

**– ფილმებში მინახავს.**

– „შტაზში“, ანუ გერმანიის უშიშროებაში ყველა ადამიანზე შექმნილი იყო დოსიე, რომლებსაც მოეხსნათ გრიფი „საიდუმლოდ“ და დაზარალებ-

# „Hi-Line – განათლების მაღალი ხარისხი“

## ხარისხიანი და საფუძვლიანი განათლების მეგზური

მიუხედავად იმისა, რომ დღეს თბილისში უამრავი საგანმანათლებლო ცენტრია, საჭიროების შემთხვევაში, მსურველს არჩევნის გაკეთება მაინც უჭირს. შეიძლება, ეს იმიტომაც ხდება, რომ არ აქვს საკმარისი ინფორმაცია კონკრეტული ცენტრის შესახებ და გარისკვისა და დროის უქმად დაკარგვის ეშინია. გულახდილი ვიქნები და გეტყვით, რომ თქვენს ძვირფას დროს ნამდვილად არ დაკარგავთ, თუ არჩევანს საგანმანათლებლო ცენტრ Hi-Line-ზე შეაჩერებთ, სადაც მართლაც მიიღებთ სასურველ შედეგს – ამაში იქ მისვლისთანავე დავრწმუნდი.

საგანმანათლებლო ცენტრი Hi-Line ფართოპროფილიანი ცენტრია, როგორიც თბილისის რეალობაში თითქმის არ არსებობს. ცენტრი კონცენტრირებულია სტუდენტთათვის ფართოპროფილიანი, მაქსიმალურად მყუდრო და კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნასა და მათი ინდივიდუალური მოთხოვნის შესაბამისი განათლების მიცემაზე.

მეცადინეობა მიმდინარეობს წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. სწავლების მაღალი დონე და კვალიფიციური პედაგოგები მოგცემენ იმის საშუალებას, რომ სასურველ შედეგს სასურველ დროში მიაღწიოთ. რაც შეეხება ფასებს, ის საშუალო სეგმენტზეა გათვლილი და მსურველთათვის ნამდვილად ხელმისაწვდომია.

გაკვეთილები ტარდება კვირის ნებისმიერ დღეს, დილის 09.00-დან 22.00-მდე.

საგანმანათლებლო ცენტრში შეზღუდული არც ასაკია – აქ სწავლა 5-6 წლის ასაკიდან ზევით, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, სწავლის დასრულების შემდეგ კი გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

* ალბათ, დაგაინტერესათ, რა მიმართულებით გთავაზობთ კურსებს საგანმანათლებლო ცენტრი Hi-Line:

* დასავლური და აღმოსავლური ენები: ზოგადი და სასაუბრო ინგლისური; აკადემიური გამოცდები (PBT, IBT, TOEFL, IELTS).



* ზოგადი და სასაუბრო რუსული; რუსული – საქმიანი ურთიერთობებისთვის.

* ზოგადი და სასაუბრო ესპანური; აკადემიური გამოცდა (DELE).

* ზოგადი და სასაუბრო გერმანული: DSH – გერმანიაში სწავლის გაგრძელების მსურველთათვის; გოეთეს სასერტიფიკატო KDS, GDS, ZOP.

* ფრანგული და ბერძნული ენები.

* ცენტრში, მოქმედებს საატესტატო და სააბიტურიენტო მოსამზადებელი კურსებიც.

* ასევე, მსურველებს შეუძლიათ, შეისწავლონ: ბუღალტერია; ლიდერობა და მენეჯმენტი; საოფისე პროგრამები; Advanced Excel; კომპიუტერული დიზაინი; პროგრამირება; ვებ-გვერდის დამზადება; 3D; Archiked/Autocad; მედია-გაყიდვები (დასაქმების პერსპექტივით); ხატვა, თიხა და ძერწვა; იოგა – თეორიულ-პრაქტიკული კურსი.

იოგას რაც შეეხება, ბოლო დროს საგრძნობლად მოიკიდა ფეხი ჩვენს ქვეყანაში და, შესაბამისად, მისი შესწავლის მსურველების რიცხვიც გაიზარდა. Hi-Line კი იძლევა იმის საშუალებას, რომ იოგათი დაინტერესებულებს მისცეს საშუალება, არა მხოლოდ გამაჯანსაღებელი კურსი გაიაროს, არამედ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თეორიულ-პრაქტიკულიც. მაგალითად, კვების დარეგულირება (ჯანსაღი კვება), სხეულის გამკვრივება და, ასევე, ვარჯიშები ორსულებისთვის, რომელიც მოიცავს როგორც მშობიარობისწინა, ასევე, შემდგომ პერიოდსაც. ეს კი ქალს საშუალებას აძლევს, ჩვეულ ფორმას იოლად დაუბრუნდეს. ფსიქოლოგია ის თემაა, რომელიც ყველა პროფესიის ადამიანს სჭირდება პიროვნული ზრდა-განვითარებისთვის, ამიტომ, საგანმანათლებლო ცენტრი Hi-Line ფსიქოლოგიის თეორიულ-პრაქტიკულ კურსს პრიორიტეტულად მიიჩნევს და აქვს სხვადასხვა მიმართულებისა ფსიქოლოგიური ტრენინგები: ურთიერთობებისა და ბავშვთა ფსიქოლოგია, არტთერაპია, NLP; ასევე, გთავაზობთ ფსიქოლოგის კონსულტაციას.

აი, სწორედ ასეთია ის მოკლე მიმოხილვა, რომელიც წარმოდგენას შეგიქმნით საგანმანათლებლო ცენტრ Hi-Line-ზე, სადაც თქვენი ოჯახის ნებისმიერ წევრს მიეცემა საშუალება, სასურველი პროფილითა და სწავლების მაღალი ხარისხით დაიკმაყოფილოს ამბიცია.

**მარიკა ხიდურელი**

**მისამართი: ნუცუბიძის ქუჩა №11ა; I სადარბაზო, IV სართული. ტელეფონები: 2-39-60-55; 593-50-00-55; 597-14-70-70; 595-47-27-03.**
**შემოგვიერთდით Facebook-ზე; Hi-Line High Quality Education. hppt:/www.facebook.com/Hi-LineHighQualityEducation www.hi-line.ge**

ული ინდივიდუალურად იღებდა გადაწყვეტილებებს, მიემართა თუ არა სასამართლოსთვის იმ ადამიანის წინააღმდეგ, ვინც ეს საქმე შეუკერა. აგრეთვე, თუ მოისურვებდა, საჩივარი დაიწერებოდა და ის პიროვნება, პროკურორი თუ გამომძიებელი, საჯაროდ უნდა გამოსულიყო და ბოდიში მოეხადა, საზოგადოებისთვის ეთხოვა, რომ ლმობიერად მოპყრობოდა.

მაგალითად, ჩეხეთში 1991 წელს მიიღეს კანონი ლუსტრაციის შესახებ: ეს იყო ძალიან მკაცრი კანონი, რომელიც შემდეგ შეარბილეს, მაგრამ, საბოლოოდ, ადამიანის უფლებათა დამრღვევ სამართალდამცველებს – პროკურორებს, გამომძიებლებს, მოსამართლეებს, ჩადენილი შეცდომები საჯაროდ უნდა მოენანიებინათ და შემდეგ გადაწყვეტდნენ, რამდენად მძიმე იყო მათი შეცდომა: ან დატოვებდნენ თანამდებობებზე, ან გაათავისუფლებდნენ, ან დაიჭერდნენ. მაგრამ ისინი უნდა გამოსულიყვნენ საჯაროდ და მოენანიებინათ.

პოლონეთში 1998 წელს მიიღეს კანონი, რის მიხედვითაც, უშიშროების ორგანოები, კონტრდაზვერვის ჩათვლით, უნდა გაწმენდილიყო წინა ხელისუფლების მხარდამჭერებისგან, მაგრამ მათ შეეძლოთ, მოენანიებინათ შეცდომები.

**– მონანიება ვალდებულება იყო თუ უბრალოდ უმსუბუქებდა მათ ბრალს?**

– ვალდებულებას ვერ დავარქმევდი, თუ არ მოინანიებდა და შემდეგ აღმოჩნდებოდა, რომ შეცდომა ნამდვილად ჰქონდათ ჩადენილი ამა თუ იმ პიროვნების მიმართ, უფრო მკაცრად მოექცეოდნენ. ერთგვარი ირიბი ვალდებულება იყო. თუ ვინმე დამალავდა დანაშაულს და შემდეგ გამომჟღავნდებოდა, საქმე უკვე სპეციალურ ლუსტრაციულ სასამართლოს გადაეცემოდა.

გადავინაცვლოთ დასავლეთ ევროპისკენ: ესპანეთში ფრანკოს დამხობის შემდეგ, 70-იანი წლების შუა ხანებში, პოლიტიკურ პარტიებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმების პაქტს, როგორ უნდა განვითარებულიყო ესპანეთი, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი სწორედ საზოგადოებრივი შერიგება იყო. მოგვიანებით მიიღეს კანონი ხსოვნის შესახებ და, ამ კანონის მიხედვით, გაუქმდა ფრანკოს რეჟიმის დროს გამოტანილი უკანონო სასამართლო განაჩენები. ზოგიერთი ოდიოზური ბობოლა ფრანკისტი ჩამოაშორეს ხელისუფლებას, მაგრამ ბევრი სახელმწიფო მოხელე, მათ შორის, სამართალდაცვითი და მართლმსაჯულების სისტემის თანამშრომლები საჯარო მონანიების შემდეგ, თავიანთ ადგილებზე დატოვეს, თუ მათ მძიმე დანაშაული არ ჰქონდათ ჩადენილი: დახვრეტა, წამება და ასე შემდეგ.

ცოტა სხვანაირად წავიდა ეს პროცესი ლათინურ ამერიკაში. როდესაც არგენტინასა და ჩილეში შედარებით დემოკრატიულ სისტემაზე გადავიდნენ, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, შეიქმნა კომისიები, რომელთა მიზანი იყო პოლიტიკური ძალადობისა და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების შესწავლა. როგორც ცნობილია, ჩილეს სამხედრო ხუნტამ უამრავი დანაშაული ჩაიდინა. ავგუსტო პინოჩეტი, მთავარი ხუნტისტი გენერალი, მიუხედავად ხანდაზმული ასაკისა, მაინც გაასამართლეს. იგივე ბედი ეწიათ ხუნტის სხვა წევრებს, მაგრამ სახელმწიფო მოსამსახურეებს ვადა მისცეს, მოენანიებინათ ჩადენილი შეცდომები. თუ ისინი დამალავდნენ საკუთარ დანაშაულებს, მათ მიმართ სამართლებრივი დევნა იწყებოდა. იქ ცოტა რბილად წავიდა პროცესი, მათ შორის, მოგეხსენებათ, ჩილეს სასწაული და ხუნტის დროს მიღწეულმა კეთილდღეობამაც შეასრულა თავისი როლი. მთავარი იყო ის, რომ მოხდა უკანონოდ დაჭერილების რეაბილიტაცია და, მეორე, მათ გადაუხადეს ძალიან დიდი კომპენსაცია. იგივე პროცესები განხორციელდა სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდული რეჟიმის დაცემის შემდეგ. ასე რომ, შეწყალება და პატიება ფართოდ გამოიყენებოდა და გამოიყენება დიქტატურიდან დემოკრატიისკენ გარდამავალ ქვეყნებში. ყველგან იდგა პრობლემა, რომ, თუკი სახელმწიფო სტრუქტურებიდან მასობრივად დაითხოვდნენ თანამშრომლებს, ეს გამოიწვევდა კოლაფსს, მაგრამ მიმდინარეობდა ერთგვარი ხელოვნური და ბუნებრივი შერჩევა. თუ ადამიანი თავისი ნებით გამოდიოდა, საზოგადოება მათ, მართლაც, ლმობიერად მიუდგა, ბევრს აპატიეს კიდეც. მაგრამ აქ მნიშვნელობა ჰქონდა სასამართლოს მიერ სახელისა და ღირსების საჯაროდ დაბრუნებას და საკმაოდ მოზრდილ ფულად კომპენსაციას.

**– ჩვენი ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა რას ითვალისწინებს დაზარალებულთა რეაბილიტაციისთვის?**

– საქართველოში რეაბილიტაციის საკითხს აწესრიგებს სისხლის სამართლის კოდექსი, თუმცა, ჩემი აზრით, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციისთვის, სპეციალური კანონი თუ არა, რაღაც სამართლებრივი აქტი მაინც არის მისაღები. განსაკუთრებით ეს ეხება „ნაციონალთა“ ხელისუფლების დროს რეპრესიების მსხვერპლთ, იმიტომ რომ სწორედ ბოლო 9 წლის განმავლობაშია დაშვებული ყველაზე მეტი სასამართლო თუ საგამოძიებო შეცდომა და, შესაბამისად, უფრო მეტია უკანონო დაჭერა-დაპატიმრების ფაქტები. მაგრამ, რატომღაც, ჭიანურდება ამნისტირებულთა საქმეების გადახედვა. პირადად ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, გამოვიდეს ჩემი პროკურორი და თქვას, მე ეს შეცდომა დავუშვი, სინდისმა შემაწუხა, ვაცნობიერებ ჩემ მიერ დაშვებულ შეცდომას და გამომაქვს საზოგადოების განსასჯელად; თუ მაპატიებს საზოგადოება, მადლობელი ვიქნები, მაგრამ მე ჩემი ნებით მოვდივარ სამსახურიდან და ჩემი ბედი გადაწყვიტონ სამართლადამცველმა ორგანოებმა. ეს მისაღებია. ამას თან უნდა სდევდეს კანონში ცვლილებები და უნდა მოხდეს მორალური, ზნეობრივი და ფინანსური კომპენსაცია. ისევე, როგორც სახელმწიფომ მომისაჯა უკანონოდ და მაღიარა დამნაშავედ, ასევე, სახელმწიფომვე უნდა გამოიტანოს დადგენილება, რომ სიმონ კილაძე, თურმე, უდანაშაულოდ იყო დაჭერილი და სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, მის წინაშე გამოიყენოს რეაბილიტაციის კლასიკური წესი.

**ნინო ხაჩიძე**

**მართალია, თავი ევროპელებადაც მოგვაქვს, დიდი კულტურის შთამომავლებადაც და საკუთარ მომავალსაც სწორედ ცივილიზებულ სამყაროში ვხედავთ, თუმცა დედათა და შვილთა მოკვდავობის მაჩვენებელი და აბორტების რაოდენობა, სხვათა შორის, ქალთა გაუპატიურების რიცხვიც, საპირისპიროს მოწმობს. სულ ახლახან პატრიარქმა მრევლს აბორტის აკრძალვისკენ მოუწოდა (რაც ერის სულიერი მამისგან აბსოლუტურად ბუნებრივია), რამაც საზოგადოებრივი აზრი ორად გაყო: აბორტის აკრძალვის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. რა უბიძგებს ქალს აბორტისკენ და არის თუ არა გამოსავალი აკრძალვა, – თემას ნინო ციხისთავთან ერთად განვიხილავთ.**

# რატომ არის ქალზე ძალადობა აბორტის აკრძალვა და რატომ ითვლება საქართველოში აბორტი პრობლემის გადაჭრის საშუალებად

**– რიტორიკული კითხვით დავიწყებ: აბორტების აკრძალვა არის პრობლემის მოგვარების ოპტიმალური გზა?**

– ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში პერიოდულად აქტიურდება აბორტების საკითხი და ეს ნორმალური მოვლენაა. როგორც ოფიციალური, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების არაოფიციალური სტატისტიკა შემაშფოთებელია და 2000 წლიდან ჩატარებული აბორტების მრუდი ზემოთ მიდის.

**– რა რაოდენობის ლეგალური და არალეგალური აბორტები კეთდება ჩვენთან?**

– არალეგალურ აბორტებზე მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები საუბრობენ, რადგან ოფიციალურ სტრუქტურებს არავინ მიაწვდის ასეთ ინფორმაციას. თუმცა ჩვენ გვაქვს სხვადასხვა მეთოდით შეგროვებული ინფორმაცია, რაც ადასტურებს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ტარდება არალეგალური აბორტები. როდესაც წელიწადში არალეგალური აბორტის 10 შემთხვევა მაინც გვაქვს, რეალურად, ეს შეიძლება, იყოს 40 ან 50 აბორტი, რაც იმის მანიშნებელია, რომ დღეს საქართველოში ქალს აქვს ძალიან ბევრი მიზეზი საიმისოდ, რომ არალეგალურად გაიკეთოს აბორტი. აბორტი ტაბუირებული საკითხია, ამიტომ ჩვენ არ ვიცით, ვინმე ძალდატანებით აკეთებს ამას თუ თავისი ნებით, მაგრამ ფაქტია, რომ არალეგალურად აბორტის გაკეთება უფრო იაფია.



პირადად მე ტერმინი „უკანონო ბავშვები“ უფლების შემლახველად მიმაჩნია, საბჭოთა პერიოდს მაგონებს და „უკანონო ბავშვების“ უფლებებისთვის ზრუნვის გამოვლენად არ მიმაჩნია მამაკაცის დავალდებულება

**– არალეგალური აბორტების მიზეზი მხოლოდ ფასია? ჩვენი კანონი უშვებს აბორტს და ცოტა უცნაური არ არის არალეგალურად მისი გაკეთება?**

– მიზეზებია: ფასი, სქესი და ფეხმძიმობის ასაკი. ამ სამივე კომპონენტიდან ხან ერთი მუშაობს, ხან – მეორე, ხან – სამივე ერთად. რაც შეეხება ლეგალური აბორტების რაოდენობას: მაგალითად, 2000 წელს ეს იყო 15 000, 2005 წელს – თითქმის 18 000, 2010 წელს – 26 000, 2011 წელს – 31 000.

**– ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების ცვენის ეპოქაში, რა სიველურეა 31 000 აბორტი?!**

– არანაკლებ საინტერესოა ამ კვლევების გაშლა, მაგალითად, რა პროცენტი უჭირავს აბორტების საერთო რაოდენობაში მინი-აბორტებს. 2000 წელს, როდესაც 15 000 ოფიციალური აბორტი ჩატარდა, მხოლოდ 36 პროცენტი მოდის მინი-აბორტზე.

**– ანუ ფეხმძიმობის მცირე ვადაზე ჩატარებულ აბორტზე?**

– დიახ, დანარჩენი ჩატარდა დიდი ასაკის ნაყოფზე, რაც ბევრად უფრო მეტი ზიანის მომტანია ჯანმრთელობისთვის.

**– იმას გარდა, რომ ნაყოფი ბევრად უფრო ჩამოყალიბებულია.**

– რა თქმა უნდა. 2005 წელს მინი-აბორტების რიცხვი საერთო რაოდენობაში 34 პროცენტი იყო. საბოლოოდ, აბორტების საერთო რაოდენობაში მინი-აბორტების წილი, საშუალოდ, 30-35 პროცენტია, დანარჩენ შემთხვევებში კეთდება ეგრეთ წოდებული დიდი აბორტები.

**– თუ არსებობს სტატისტიკა აბორტის დროს დედების დაღუპვის შესახებ?**

– საერთო მოკვდაობის მაჩვენებელში ეს მონაცემი ცალკე არ არის გამოტანილი. ყოველ შემთხვევაში, მე არ მაქვს.

**– ვფიქრობ, არც არსებობს, რადგან დემოგრაფები ჩივიან, რომ ბოლო დროს გარდაცვალების მოწმობებში სიკვდილის მიზეზი არ არის მითითებული 60-70 პროცენტ შემთხვევებში, რაც მათ ხელს უშლის, დაადგინონ, თუ რა პრობლემები იწვევს სიკვდილიანობას, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ ქვეყანამ სწორი ჯანდაცვის პოლიტიკა წარმართოს.**

– დიახ. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ასაკიც: გვაქვს აბორტის გაკეთების შემთხვევები როგორც არასრულწლოვან ასაკში, ისე 44 წლის ზემოთ, თუმცა აბორტების ყველაზე დიდი რაოდენობა მოდის 20-დან 44 წლამდე ასაკის ქალებში. არავინ დავობს, რომ აბორტი მიუღებელია, ამაზე ყველანი ერთხმად ვთანხმდებით. პატრიარქმა კიდევ ერთხელ წამოსწია წინ ეს საკითხი და, ერთი მხრივ, ამას მივესალმები, რადგან ეს წამოწყება უპირველესად, ეხება სელექციურ აბორტებს, რაც ძალიან დიდი პრობლემაა საქართველოში და რაზეც „პასემ“ გააკეთა კვლევა. მათი რეზოლუციით, საქართველო მოექცა ოთხ ქვეყანას შორის ევროპის მასშტაბით, რომლებშიც ეს პრობლემა არის.

**– ჩვენ გარდა, კიდევ რომელ ქვეყნებში იკეთებენ აბორტს მხოლოდ იმიტომ, რომ გოგონა უნდა შეეძინოთ?**

– ამ ჩამონათვალში მოხვდნენ: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და რუმინეთი. ამდენად, პატრიარქის ეს მოწოდება ძალიან რელევანტური და მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ ძალიან დიდია სქესით განპირობებული აბორტის რაოდენობა. მეორე მხრივ, გაცილებით მეტ ბოროტებას მოიტანს აბორტების სრულად აკრძალვა, რადგან ვიცით, რა შედეგი დადგა იმ ქვეყნებში, რომლებშიც აკრძალეს აბორტები. გავიხსენებ პოლონეთის ყბადაღებულ მაგალითს: მოგეხსენებათ, როდესაც პოლონეთში აკრძალეს აბორტები, ქალების ერთჯერადი მასობრივი გასვლები დაიწყო ქვეყნიდან.

**– ჩვენთანაც სომხეთში გადავლენ, მაგალითად.**

– დიახ, ნებისმიერი აკრძალვისას დგება გამოსავლის ძიების საკითხი, ქალები იძულებულნი გახდებიან, სხვაგან ეძებონ გამოსავალი.

**– მედიკამენტური აბორტიც არსებობს და, ბოლოს და ბოლოს, ინტერნეტით გამოიწერ იმ ორ აბს და ეს იქნება გამოსავალი.**

– რა თქმა უნდა, სრული შეიარაღება იქნება გამოყენებული ამ პრობლემის მოსაგვარებლად, იმიტომ რომ აკრძალვა ბუნებრივად იწვევს ძალიან ბევრი სხვადასხვა დერეფნის ძებნას, რაც, როგორც წესი, ცუდი შედეგით მთავრდება.

მეორე მხრივ, ჩვენ ვცხოვრობთ სეკულარულ სახელმწიფოში. ბუნებრივია, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ შეაფასებს პრობლემას ერის სულიერი მამა, მაგრამ ჩემთვის ეს აჟიოტაჟი მაინც გაუგებარია. ყველამ ვიცით, რომ ჩვენთან ოჯახების უმრავლესობა, რომლებიც ეკლესიურად ცხოვრობენ, ისედაც იცავდა და იცავს ამ წესს. ვინც არ ცხოვრობს ეკლესიურად, ის არც იცავს, მაგრამ ამ ყველაფერს არეგულირებს კანონი და ჩვენთან არსებობს ძალიან კონკრეტული კანონი ამ საკითხის დასარეგულირებლად და არ მგონია, საქმე ამ კანონის ცვლილებამდე მივიდეს, იმიტომ რომ კანონმდებელმა ძალიან კარგად იცის, რა შეიძლება მივიღოთ აბორტის კანონით აკრძალვით. ეს მაინც იძულებაა. ისევე, როგორც იძულება იყო მამაკაცზე 2011 წელს შესაბამის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, რის თანახმადაც, მამაკაცს დაავალდებულეს გენეტიკური ანალიზი. დღესაც იმავეს ვფიქრობ, აბსოლუტური იძულებაა მამაკაცზე, ჩაიტაროს დეენემის ანალიზი ყოველთვის, როდესაც ამას ქალი მოითხოვს და მამაკაცს დაავალდებულებს სასამართლო, თურმე, იმიტომ რომ უკანონო ბავშვების უფლებები არ შეილახოს. პირადად მე, ტერმინი „უკანონო ბავშვები“ უფლების შემლახველად მიმაჩნია, საბჭოთა პერიოდს მაგონებს და „უკანონო ბავშვების“ უფლებებისთვის ზრუნვის გამოვლენად არ მიმაჩნია მამაკაცის დავალდებულება.

**– მეც გეთანხმებით, როდესაც ბავშვს აჩენ, უნდა ჰკითხო აზრი მამაკაცსაც და, თუ მის აზრს არ ითვალისწინებ, არც უნდა დაავალდებულო, უმშობლოს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩვენთან მამები მასობრივად ამბობენ უარს, შეასრულონ მამის მოვალეობა. ასეთ შემთხვევაში, კანონმა რატომ არ უნდა დაავალდებულოს ის?**

– მივალთ ამ საკითხამდეც. ისეთ ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ აქტუალურია ქალების გაუპატიურება და ძალიან დაბალია ამ დანაშაულის გახსნის პროცენტი, აბორტის აკრძალვაზე საუბარი გაუმართლებელია. შემაშფოთებელია გაუპატიურების სტატისტიკა: ჩვენთან ყოველთვიურად ხდება 8-დან 13-მდე გაუპატიურება. ასეთ ქვეყანაში შეიძლება, რომ ქალები დავავალდებულოთ, ნებისმიერ შემთხვევაში გააჩინონ ბავშვები?! ეს ძალიან მიუღებელია ჩემთვის როგორც ადამიანურ, ისე სამოქალაქო კონტექსტში. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია კიდევ ერთი მომენტი: პროსტიტუცია, ამ სეგმენტთან მიმართებაშიც ვერ წარმომიდგენია, უარი ეთქვას ქალს, თუ ნაყოფის დატოვება არ უნდა.

**– აქვე უნდა ვთქვა, ისიც ვერ წარმომიდგენია, მამაკაცმა პროსტიტუტ ქალთან დაამყაროს ურთიერთობა და ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებას არ გამოიყენოს. არანაკლებ შემზარავი სიბნელეა.**

– ესეც ცალკე პრობლემაა და ახლაც ისევეა შავ ნაჭერგადაფარებული, როგორც ყველა ეპოქაში იყო. არაფერი შეცვლილა. ეს არის სეგმენტი, რაზეც საზოგადოება ზიზღით ხუჭავს თვალს, თითქოს ჩვენ, ყველას, არ გვეხებოდეს, თითქოს ჩვენ, ყველანი, არ ვიყოთ თანამონაწილენი დუმილით თუ ზიზღით და თითქოს ამ ჩვენი დუმილით რამე უკვალოდ ქრებოდეს. ჯერაც ვერ მოხერხდა ამ საკითხის სამართლის სფეროში მოქცევა. პროსტიტუციის ლეგალიზაცია არ ნიშნავს, რომ ის უნდა დაუშვა, ეს ნიშნავს, რომ ეს საკითხი მოხვდება სამართლის სივრცეში და არის სამი ვარიანტი: სრული აკრძალვა, სრული დაშვება და შერეული ვარიანტი. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა განსხვავებულ ვარიანტს იყენებს, კურტულოროგიური და გეოპოლიტიკური ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენთან კი ეს საკითხი კანონგარეშეა და მერწმუნეთ, ეს უფრო მეტი შენელებული მოქმედების ნაღმია. და ეს ხდება მაშინ, როდესაც საქართველოში ყველამ იცის, რომელ ქუჩაზე რა ხდება, სად რომელი სქე-

**(გაგრძელება მე-11 გვერდზე)**



ახლა უნდა გავაკეთოთ არჩევანი: საბურავის მოპარვა გადავტეხოთ თუ ცხინვალი დავკარგოთ?!

**ერთ დროს „რკინის კაცად“ წოდებული საქართველოს შს მინისტრი კახა თარგამაძე დღეს რუსეთის მოქალაქეა, თუმცა უშიშროების ყოფილი მინისტრისგან, ვალერი ხაბურძანიასგან განსხვავებით, არც საქართველოში დაბრუნებას გეგმავს და არც პოლიტიკურ პროცესებში ჩაბმას. რა გეგმები აქვს სამომავლოდ კახა თარგამაძეს და როგორ მოსწონს საქართველოში არსებული როგორც კრიმინოგენური, ისე პოლიტიკური ვითარება, ამ კითხვებზე პასუხს უშუალოდ მისგან მოვისმენთ.**

# რას მიაღწია კახა თარგამაძემ უფულოდ, ავტომატითა და ჭკუით და რატომ არ დაუნიშნა პენსია არც რუსეთმა და არც საქართველომ

**– როგორ მოგწონთ ქვეყანაში არჩევნების შემდეგ შექმნილი ვითარება?**

– მოვაბერზე თავი ხალხს ამ ჩემი რადიკალიზმით და ახალ ხელისუფლებასთანაც კი კონფლიქტში შევედი „ნაციონალური მოძრაობის“ გამო, რადგან მხოლოდ მათ კი არ ვაკრიტიკებ, არამედ, მათაც, ვისაც არ აქვს ძალა, ისინი მოთოკონ და თავიანთ ადგილზე დასვან.

**– თავის დროზე თქვენ აღმოგაჩნდათ ძალა, რომ მოგეთოკათ „ნაციონალები“? იქნებ მაშინ რომ მოგეთოკათ, ახლა მოსათოკიც არაფერი ყოფილიყო?**

– განსხვავება ისაა, რომ მე შინაგან საქმეთა მინისტრი ვიყავი, თუმცა არ ვმალავ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრზე მეტი ძალა მქონდა, იმიტომ რომ შევარდნაძე ისეთი საკითხების გადაწყვეტას მავალებდა, რაც ჩემს კომპეტენციაში არ შემოდიოდა, მათ შორის, საგარეო საკითხების გადაწყვეტას, იმიტომ რომ ვახერხებდი. ეს ეხებოდა, ძირითადად, აფხაზეთისა და „ოსეთის“ საკითხს და ამ თემებზე ვმუშაობდი რუსეთთან. ამის შემდეგ დამარქვეს პრორუსული პოლიტიკოსი. პრორუსული რატომ ვარ? ერთი სტრატეგიული ობიექტი დამისახელეთ, რომელიც ჩემს დროს მივყიდეთ რუსეთს?! ასეთი რამ არ ყოფილა. პირიქით, ჩემი მინისტრობის დროს გავიყვანეთ რუსეთის ჯარი საქართველოს ტერიტორიიდან. ბარამიძეს უთქვამს, ჩვენ, „მოქალაქეთა კავშირი“, ვიყავით ამ პროცესში ჩართულიო, მაგრამ ბარამიძე ისე იყო ჩართული რუსეთის ჯარის გაყვანის საქმეში, როგორც ჩინეთის იმპერატორი, არც ჟვანია ყოფილა ჩართული ამ საქმეში. ამ საქმეში ჩართული იყვნენ შევარდნაძე და კახა თარგამაძე.

**– თუმცა ედუარდ შევარდნაძე მთელი „მოქალაქეთა კავშირი“ არ იყო?**

– ამას რად უნდა ლაპარაკი, მაგრამ შევარდნაძემ იცოდა, რომ მათ არ ჰქონდათ რესურსი, ემუშავათ რუსეთთან. ერთხელ რუსეთის ერთ-ერთმა მინისტრმა უთხრა რუსეთის ძალიან მაღალი თანამდებობის პირს ჩემზე, ძალიან გვიჭირს მასთან მუშაობა, ორმაგი სკოლა აქვს გავლილი, ჩვენი სკოლაც კარგად იცის და ამერიკულიცო. რუსეთთან მუშაობის რესურსი რომ გქონდეს, მათივე სკოლა უნდა გქონდეს გავლილი. ეს არც ძველ ხელისუფლებას ესმოდა და ახალს არ ვიცი, ესმის თუ არა.

მეკითხებით, ვერ მოთოკეთო, მაგრამ მე როგორ უნდა მომეთოკა?! ბიუჯეტი არ სრულდებოდა და ვინ იყო დამნაშავე? თარგამაძე, არადა, რა შუაში ვიყავი შინაგან საქმეთა მინისტრი?! მთელი ეკონომიკური გუნდი ჟვანია-სააკაშვილის გუნდის წევრებით იყო დაკომპლექტებული და ქვეყანას უწყობდნენ ობსტრუქციას, რომ ბიუჯეტი არ შესრულებულიყო. ტყუილია ის ციფრები, რომელსაც აქვეყნებენ, რომ თითქოს ქვეყანაში გაუმჯობესდა კრიმინოგენური ვითარება: 2001 წელს, ჩემი მინისტრობის ბოლო წელს, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ამას ხაზს ვუსვამ, რადგან მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული არის მკვლელობები, მძიმე ყაჩაღობები, გატაცებები, გაუპატიურებები და ისინი არ იმალება სტატისტიკაში, იყო 8 601, აქედან გახსნილი იყო 7 013. მათი ბოლო სტატისტიკა 2006 წლის მაქვს და მძიმე დანაშაულის რაოდენობა იყო 29 249.

**– იქნებ თქვენ დროს კარგად არ აღირიცხებოდა სტატისტიკური მონაცემი?**

– მიჭირს თქვენთან ლაპარაკი, არ გეწყინოთ.

**– არ მწყინს. სტატისტიკა იქნებ არასრულყოფილი იყო-მეთქი.**

– რეალურად, დანაშაულის რაოდენობა გაიზარდა, თქვენ კი გგონიათ, რომ შემცირდა.

**– თუმცა ისიც ფაქტია, რომ მანქანის სარკეებისა და საბურავების, მანქანების გატაცება აღარ ხდებოდა.**

– გიხსნით, რომ იცოდეთ. ყველაზე დიდი პრობლემა იყო ცხინვალის რეგიონი, თუ დავაყენებთ საზღვარს ცხინვალის რეგიონთან, ეს პრობლემა მოიხსნება, ახლა უნდა გავაკეთოთ არჩევანი: საბურავის დაკარგვა გადავტეხოთ თუ ცხინვალი დავკარგოთ?! ცხინვალის რეგიონიდან 265 გადასასვლელი გზა იყო. ახლა გეკითხებით: ჩემს დროს პოლიციელთა რაოდენობა იყო 24 000, ეს მათ დროს გახდა 47 000. არის სხვაობა?! ყველაზე დიდი ბიუჯეტი ჩემი მინისტრობის 7 წლის განმავლობაში იყო 55 მილიონი ლარი, აქედან ფიზიკურად მხოლოდ 42 მილიონი ლარი მივიღე. დღეს ნახევარი მილიონი ლარია ბიუჯეტი. მე არ მეხმარებოდა არც დასავლეთი და არც ამერიკა, იმიტომ რომ მათი მოყვანა უნდოდათ ხელისუფლებაში, ამიტომ მე უნდა დავენგრიე. გეკითხებით: მკვლელობაა უფრო მეტი დანაშაული თუ სარკის დაკარგვა?! მე მოგიტანეთ მძიმე დანაშაულის სტატისტიკა და ამაში არ შედის სარკეები და საბურავები. მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი გვქონდა 81,5 პროცენტი. შევადაროთ მათ რამდენი პროცენტი ჰქონდათ მძიმე დანაშაულის გახსნა 2006 წელს, 29 249-დან გაიხსნა 8 128, ანუ გახსნის მაჩვენებელი 27,8 პროცენტი იყო. ამ სტატისტიკის მქონე შინაგან საქმეთა მინისტრმა იარაღი უნდა აიღოს და თავი მოიკლას.

**– ვანო მერაბიშვილს ურჩევთ ამას?**

– ბოდიშს ვიხდი და „ადურაკებდნენ“ მთელ ქვეყანას. მეორე კითხვას დაგისვამთ: ჩემს დროს პატიმრების მაქსიმალური რაოდენობა იყო 6 300 ადამიანი, მაგათ დროს, მინიმუმ, 42 000 კაცი. არ არის სხვაობა ამ ორ ციფრს შორის?! კი ბატონო, მეტყვიან, რომ მაგათ დროს უკანონოდ იჭერდნენ ხალხს, ნახევარი, ვთქვათ, უკანონოდ იყო დაჭერილი, მაგრამ ნახევარი ხომ დამნაშავე იყო, ყველა უდანაშაულო ხომ არ იჯდა ციხეში?! არ ვტრაბახობ, მაგრამ საქართველოს არ ჰყოლია შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელსაც ყველა საფეხური ჰქონდა გავლილი: ერთი იყო გვენცაძე, ისიც ცოტა ხანს და იყო თარგამაძე. მე ყველაზე დიდხანს ვიყავი მინისტრი საქართველოს ისტორიაში.

**– სხვა თემაა, რომ სისტემა, თუ მოინდომებდა, სველ ადგილსაც არ დატოვებდა ნებისმიერი მოქალაქისგან, თუმცა ისიც ფაქტია, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს უშუალოდ კრიმინალების არ ეშინოდა და თავს კრიმინალებისგან უსაფრთხოდ გრძნობდა?**

– იმიტომ გქონდათ ეს განცდა, რომ ასულელებდნენ მოსახლეობას. ჩემს დროს წელიწადში 103-დან 120 მკვლელობამდე ხდებოდა, მაგათ დროს 800 მკვლელობა იყო ყოველწლიურად. არ არის სხვაობა?! აბა, ამიხსენით, როგორ შეიძლება, უსაფრთხოების განცდა ჰქონოდა ხალხს?! თქვენ არ გესმით, რა ძალას ებრძოდით და რა ძალის ხელში იყო საქართველო ჩავარდნილი, ეს ვერ გაიგეთ ქართველებმა! ეს იყო ფაშისტური რეჟიმი. მათ მესამე რეიხის ისტორია გადმოიღეს – აიღეს და გადმოიღეს, უბრალოდ პატარა მასშტაბი ჰქონდათ, მაგრამ ხომ იცით, ვისი შექმნილი იყო მესამე რეიხი?

**– ვისი შექმნილი იყო?**

– ამერიკელების. მე არ ვადარებ ფაშისტებს, მაგდენი პატივი არ მინდა, მივანიჭო, მაგრამ ადრეც ვთქვი, სამმა კაცმა დაუწყო ომი რუსეთს: ნაპოლეონმა, ჰიტლერმა და სააკაშვილმა. სააკაშვილის შემთხვევაში ლაპარაკი იყო გენოფონდის ამოწყვეტაზე, ჰყავდათ დასავლელი კონსულტანტები, რომლებიც უგეგმავდნენ, მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროში 65 თანამდებობის პირი ჰყავდათ ჩამოყვანილი დასავლეთიდან. ერთხელ უნდა ჩავატარო ლექცია, მაგრამ არავინ მისმენს.

**– თქვენ დაგეგმეთ ლექცია და იქნებ მსმენელებიც გამოჩნდნენ?**

– არ მისმენენ. ებრაული წყევლა ხომ იცით?! 700-ჯერ დავწერე, ვიხვეწები, მომისმინეთ-მეთქი. ვინც საქართველოს ფლობს, ფლობს თუ არა მთელ აღმოსავლეთ აუზს! საქართველოს ტერიტორია რომ არა, აზერბაიჯანი სად წაიღებს თავის რესურსს?!

**– გასაგებია, რომ ვერსად.**

– ესე იგი, აზერბაიჯანი ბლოკადაში მოექცევა, ჯერ ერთი, აზერბაიჯანზე ისედაც უამრავი ნავთობსადენი და გაზსადენი გადის, მაგრამ, რაც მთავარია, თურქმენეთისა და ყაზახეთის გაზი და ნავთობი, რომელიც ახლა რუსეთიდან გადის, სულ, რაღაც, 85-კილომეტრიანი მილის აგების შემთხვევაში აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით გავა დასავლეთში. ეს არის დიდი თეორიული შანსი იმისა, რომ შუააზიური ენერგომატარებლები მიიმართოს დასავლეთისკენ.

მეორეა ჩვენი ტერიტორიის სამხედრო დანიშნულება: ირანის მიმართულებით თუ რამე დაიწყო, საქართველო ყველაზე სტრატეგიული პუნქტი ხდება, გარშემო მყოფი მუსლიმანური ქვეყნები არ ჩაერევიან ამ კონფლიქტში. სომხეთის ტერიტორიის გამოყენება გამორიცხულია. რა რჩება? საქართველო! ქუთაისის აეროპორტს რა დანიშნულება აქვს, დასავლეთ საქართველოდან მგზავრების ევროპასა და ამერიკაში გადაყვანა?!

**– რა საჭიროა ამისთვის გენოფონდის ამოწყვეტა? ვითანამშრომლოთ და კარგი პირობები მოვითხოვოთ საჩვენოდ.**

– მაგრამ ჩვენთვის ხელსაყრელია, რომ საზარბაზნე ხორცად გამოგვიყენონ? რომ გვლიჯავს ირანიდან და, თან, რომ მოგვწვდება?!

**– ალტერნატივა რა არის? რუსული ბაზების განლაგება?**

– ბალანსის პოლიტიკა. არავის ჰქონია იმდენი დავა შევარდნაძესთან, რამდენიც მე. ბევრს ჰგონია, რომ ოპერატიული სამსახური და აზროვნება მხოლოდ კრიმინალის დასაჭერად უნდა გამოიყენო, მაშინ, როდესაც ყველა ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ხელისუფლება ოპერატიული ინფორმაციის ანალიზზე დგას.

**– თქვენ რატომ არ გააკეთეთ?**

– ფული არ მქონდა, რესურსი არ მქონდა, მაგრამ მაინც დავიწყე ამაზე მუშაობა, თუმცა ეს არ აძლევდა ხელს ჟვანია-სააკაშვილის ჯგუფს და არაფრით არ გამაკეთებინეს რეფორმა შინაგან საქმეთა სამინისტროში.

**– დაბალანსება ახსენეთ, მაგრამ ჩვენ ვნახეთ, რითაც დამთავრდა შევარდნაძის დაბალანსების პოლიტიკა.**

– შევარდნაძეს აქედან ამერიკა აწვებოდა და

**(გაგრძელება მე-11 გვერდზე)**

**გონივრული ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ ფიარის იარაღი, როგორიცაა პრესა-ტელევიზია, სოციალური მედიის საშუალებები, გარე რეკლამები და სხვა, უმარტივესად ახერხებს, ჩემი და თქვენი, რიგითი მოქალაქეების, რბილად რომ ვთქვათ, ფიქრების მართვას და უხეშად თუ ვიტყვით – ზომბირებას, არა მხოლოდ გამართლდა, არამედ საშიში მასშტაბებით მატერიალიზდა. საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო ფიარსპეციალისტთან, ქალბატონ ლელა ფირალიშვილთან საუბრის დროს, მხოლოდ ერთი სურვილი გამიჩნდა, გავწყვიტო ყოველგვარი კავშირი ტექნიკის მიღწევებთან. მაგრამ, მალევე მივხვდი, რომ ამ ყველაფერს ისე ღრმად აქვს გადგმული ფესვები ჩემს ცნობიერში, რომ ეს მცდელობა მორიგი უსუსურობის გამოვლინებად დარჩება და ვერსად დავიმალები.**

# საქართველოსთვის რა უცნაური ტექნოლოგიით მოახერხა ბიძინა ივანიშვილმა ფიარგადატრიალება

**ლელა ფირალიშვილი:** ვინც კი ფიარის მნიშვნელობაზე საუბრობს, მან კარგად იცის, რა ძალის მფლობელია ეს ტექნოლოგია. იგი ბიზნესისთვის დაიბადა და პროდუქტის მოთხოვნა-მიწოდების რეგულირებას, პროდუქტზე მოთხოვნის გაჩენას ემსახურებოდა. ეს არის ორმხრივი საკომუნიკაციო რეჟიმი. საზოგადოებრივ ურთიერთობებში რაღაც პროცენტით პროპაგანდისტული მიმართულებაც დევს.

პოლიტიკაში მან ჰიპერტროფიული სახე მიიღო და იქცა პროპაგანდისტული მეთოდების ერთობლიობად.

**– რა განსხვავებაა ფიარსა და პროპაგანდას შორის?**

– არსებობს ფიარის დასავლური და რუსული, საბჭოთა გაგება. სახელმძღვანელოებშიც კი რუსები ფიარის სამ განზომილებაზე საუბრობენ. ეს სამი განზომილებაა – რეკლამა, პროპაგანდა და საინფორმაციო ომი. ისინი კომუნიკაციებს ამ სამ განზომილებაში ხედავენ. როგორც საკომუნიკაციო ტექნოლოგიას, ფიარს ძირითადად, პოლიტიკაზე ამუშავებენ. ჩვენ იმიტომ, რომ რუსეთის ორსაუკუნოვანი პროვინცია ვიყავით, „კოპი-პეისტით“ გვაქვს გადმოღებული ეს სისტემა და ჩვენთანაც პრაქტიკული ფიარი პროპაგანდას ნიშნავდა და ნიშნავს პოლიტიკოსებისთვის. ჩვენთან ის საზოგადოებაზე ზემოქმედების ძალადობრივი იარაღია. თუმცა, ყველაფერი ამ დედამიწაზე შეიძლება იყოს მადლიანი და უკეთური. პროპაგანდა სჭირდება მადლიან იდეებსაც.

ფიარის ტექნოლოგები დიდებულად ფლობენ ყველა ინტეგრირებულ ცოდნას და ტექნოლოგიურ პროცესში გადაჰყავთ ის. კარგი ფიარტექნოლოგი უნდა იყოს კარგი სოციოლოგი, კარგად იცოდეს ეთნოკულტურა, სიმბოლოთა თეორია, ძალაუფლების თეორია, კომუნიკაციის თეორია... გავაგრძელო ***(იცინის)?*** მან არაჩვეულებრივად უნდა იცოდეს პერსონალური და მასობრივი ფსიქოლოგია, რიტორიკის თეორია. უნდა ფლობდეს შემოქმედებით უნარებს, შემოქმედებითად ფლობდეს ენას და უნდა შეეძლოს, ხატოვან ფრაზად აქციოს ამა თუ იმ იდეის კონცეპტუალური სიღრმე.



**ვერ ვგრძნობთ, რომ თითოეული ჩვენგანი პასუხისმგებელია ჩვენსავე არსებობაზე, ფიქრზე, ქმედებაზე. ჩვენს პოლიტიკოსებს კი ეს აწყობთ**

**– არიან ასეთები საქართველოში? ქართულ პოლიტიკაში.**

– არიან, მაგრამ ნაკლებად – პოლიტიკაში. პოლიტიკაში წასული ფიარისტი უცებ გრძნობს, რომ მისი პროფესიული თვალსაწიერი იკუმშება და ის პროპაგანდისტი ხდება.

**– რა არის პროპაგანდისტული ხერხები, რასაც თქვენ, როგორც პროფესიონალი, ძალიან იოლად ხვდებით და მერე შესაძლოა, გულიც გწყდებათ, რომ საზოგადოება მასზე ძალიან იოლად ეგება.**

– ოცდაორი წელია, ვუყურებ თუ როგორ იმართება ჩვენი საზოგადოება მხოლოდ პროპაგანდისტული ხერხებით. ქართულ საზოგადოებას არ აღმოაჩნდა ფილტრები. ჩვენი ისტორიის განმავლობაში, თუ ორ-სამ საუკუნეს არ ჩავთვლით, დიდი იმპერიების პროვინცია ვიყავით. მივეჩვიეთ ფიქრს, როგორც პროვინცია და დღესაც ჩვენი უმთავრესი პრობლემა სწორედ პროვინციალიზმია. ჯერ ვერ ვხვდებით, რომ ჩვენი ქვეყანა ჩვენვე გვაბარია. უფრო მეტიც, ვერ ვხვდებით, რომ ჩვენი არსებობა გვაბარია; რომ ნამდვილად, აქ და ახლა ვართ; რომ ჩვენ ვართ – პასუხისმგებელი საკუთარ ყოფნაზე, უფლის ხატი და მსგავსი ვართ, შემოქმედებითი ნებით ვართ მისი მსგავსი. ვერ ვგრძნობთ, რომ თითოეული ჩვენგანი პასუხისმგებელია საკუთარ არსებობაზე, ფიქრზე, ქმედებაზე. ჩვენს პოლიტიკოსებს კი ეს აწყობთ. პოლიტიკოსები სხვაგვარდ მოტივირებულები არიან, მათი ინსტენცია მხოლოდ ძალაუფლებაზეა მიმართული. ვერ გრძნობენ, რომ ძალაუფლება და ხელისუფლება ორი სხვადასხვა რამ არის. ისინი ძალაუფლების ქვეშ მოქცეული ადამიანების ენერგიით იკვებებიან და ჩვენ ეს არაერთხელ გამოვცადეთ. გვეუბნებიან, მე გაგიკეთებ, მე დაგასაქმებ, მე გასწავლი, სახელმძღვანელოს დაგიწერ, ევროპულ ღირებულებებს ჩაგინერგავ, მე ვიფიქრებ შენ ნაცვლად, მე ვიცხოვრებ და შენ როგორც ფარა წამომყევი.

**– და ფარას ეს მოსწონს.**

– მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ისტორიის განმავლობაში ძალიან ცოტა ხანს გვქონდა პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე და ეს უნარები არ გვაქვს განვითარებული.

**– თუმცა, ევროპული თუ ამერიკული წინასაარჩევნო კამპანიებიც ამ საყოველთაო ლოზუნგებზეა აგებული – დასაქმება, განათლება, ჯანდაცვა...**

– ცნობიერებით ცოტათი გვისწრებენ, ბევრით არა. იქ ასეთი შინაარსითაა: მე შენთან ერთად. ჩვენს შემთხვევაში კი – მე შენს ნაცვლად. თუ ვიღაც ჩემს ნაცვლად სადილს გააკეთებს, ლექციას ჩაატარებს და იფიქრებს კიდეც, თითქოს ამას რა ჯობია, წამოვწვები, დავიძინებ. მაგრამ, ის, რომ მხოლოდ არსებობაში ხორციელდები და რომ ხორციელდები, მხოლოდ მაშინ არსებობ – ეს ჩვენთვის ჯერ ცნობილი არ არის.

**– რა ხერხებით გვმართავენ?**

– მარტივი. ადამიანებს ვამახსოვრებინებ რაღაცეებს, სადაც ჩართულია მგრძნობელობის ყველა ორგანო – ვიზუალი, აუდიალი, ვერბალი, კინესტატიკა... ღმერთმა მაპატიოს ასეთი შედარება, მაგრამ როგორც საკრალურ სივრცეში – ტაძარში უამრავი რაღაც მუშაობს იმისთვის, რომ ღმერთი გამიცოცხლდეს, ღმერთი ვიგრძნო – იქნება ეს ლოცვა, სანთელი, გზა ტაძრამდე, რომელიც ყოველთვის აღმართია, ტაძრის არქიტექტონიკა, გუმბათი, თორმეტი სარკმელი, რომელიც სინათლის სრულიად სხვა ენერგეტიკას წარმოშობს, გალობა, საკმევლის სუნი, ლიტურგიის დრო და სხვა. პოლიტიკოსებმა სწორედ ამის პროფანირება მოახდინეს საერო სივრცეში, ოღონდ მხოლოდ მათდამი ჩვენს ჰიპერმგრძნობელობას აცოცხლებენ. თან, ჩვენ ჩვენი ნებით კი არ მივდივართ მათკენ, ისინი საკუთარ ნებას გვახვევენ თავს. წარმოიდგინეთ, წინასაარჩევნო პერიოდი, მხიარულად გაფორმებული ბილბორდები, თავისი სლოგანებით, ფერითა და ნიშანთა სისტემით; ამის გამეორება ათასჯერ სატელევიზიო, რადიო ეთერით, პრეზენტაციებზე; მუსიკალური კლიპები, მიძღვნები – „მიშა მაგარია“ და სხვა. გრძნობის ყველა ორგანო ჩართულია ამ პროცესში და ის გვისრუტავს.

მეორე უმნიშვნელოვანესი ასპექტი – რაც ღრმად მაქვს გამჯდარი ცნობიერში, იმის გარღვევა ურთულესია. წარმოიდგინეთ, როგორი რთული გასარღვევი იყო ბოლშევიზმის მთელი არქიტექტონიკა – დაწყებული მონუმენტური შენობებით, ძეგლებით, ტელევიზიით... ის მთლიანად აგებდა ადამიანის ცნობიერების სტრუქტურას. აქედან გაღწევას გენიოსის ძალისხმევა სჭირდებოდა. მთელი ენერგია აქედან გაღწევამ წაიღო. წარმოიდგინეთ, როგორ აწვებოდა ეს უზარმაზარი მანქანა ცნობიერს. ეს თავისებური ენაა, რომელშიც იბადები და ყალიბდები. ჩვენ ფორმების ასეთ სივრცეში დავიბადეთ და ეს ჩვენთვის ბუნებრივი მდგომარეობაა. ამიტომ, მისგან თავის დაღწევა და ახალი შემოქმედებითი ფორმების შეთავაზება საკუთარი თავისთვის ურთულესია.

არსებობს ასეთი ტერმინი, ასოცირებული საინფორმაციო წყარო, მაგალითად, ტელევიზია – როდესაც მიბმული ვარ ამა თუ იმ საინფორმაციო სივრცეს, საინფორმაციო ნაკადს და საიდანაც ვიღებ საინფორმაციო ულუფებს, რადგან მასზე ზუსტად ისევე მაქვს მოთხოვნილება, როგორც საკვებზე. პროფესიონალმა ფიარისტმა იცის, რომ ინფორმაცია საზოგადოებას ულუფებად უნდა მიაწოდოს. ვიღაც კიდევ იმდენს აჭმევს...

**– ორმოცდაათ ხინკალს ერთბაშად.**

– დიახ. ეს შეცდომა ძირითადად, წვრილ-წვრილ პარტიებს მოსდით, რომლებიც მხოლოდ წინასაარჩევნოდ გვაწვდიან ინფორმაციულ ულუფებს ძალიან დიდი დოზით, რომელსაც ვერ ვინელებ და თავი დამანებოს-მეთქი, ვამბობ. დიდი პარტიები კი წლების განმავლობაში სწორი დოზირებით აწვდიან საზოგადოებას ამ ულუფებს. მაგალითად, ავიღოთ ჩვენი წინა ხელისუფლება, რომელმაც შევარდნაძის პერიოდში თავი ოპოზიციონერად მოგვაწოდა. ამ დროს კი ეს „ოპოზიციონერები“ იყვნენ პარლამენტის თავმჯდომარე – ზურაბ ჟვანია, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, იუსტიციის მინისტრი მიხეილ სააკაშვილი, ფინანსთა მინისტრი ნოღაიდელი და სხვები. როგორ შეიძლება, სახელმწიფოს პირველი პირები ოპოზიციონერები ყოფილიყვნენ?! მაგრამ, ეს დავიჯერეთ. არათუ დავიჯერეთ, ვარდებით ხელში რევოლუციაც მოვახდინეთ. უცნაური რამ მოხდა – რევოლუცია ანტიკორუფციის სახელით, მაშინ, როცა შევარდნაძემ თავისავე კაბინეტში დაუშვა ანტიკორუფციული საბჭოსა და

**(გაგრძელება 76-ე გვერდზე)**

# რატომ არის ქალზე ძალადობა აბორტის აკრძალვა და რატომ ითვლება საქართველოში აბორტი პრობლემის გადაჭრის საშუალებად

(მე-8 გვერდიდან)

სის ადამიანი შეიძლება, ნახო და ასე შემდეგ.

**– თვეში 13 გაუპატიურებამდე, წელიწადში 31 000 აბორტი, მგონი, გამოქვაბულში ვართ და ვერ ვხვდებით. შეუზღუდავადაა ხელმისაწვდომი ინფორმაცია ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებზე, რომლებიც ძალიან კომფორტულია, არ ღირს ძვირი და ასე შემდეგ. რატომ არ წყალობენ ჩვენთან თანამედროვე მედიცინის ამ მიღწევებს?**

– ეს პრობლემა მიბმულია ეკონომიკურ მდგომარეობასა და შემოსავლებთან, მათ შორის, იმასთან, რომ ჩვენთან არ მუშაობს ოჯახის დაგეგმარების ინსტიტუტი. ამდენად, 20-დან 40 წლამდე ასაკის ქალები დატოვებულნი არიან ღვთის ანაბარა და ისინი აბორტის გარდა სხვა გამოსავალს ვერ ხედავენ.

ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებზე, ალბათ, სპეციალური ჯგუფი უნდა მუშაობდეს. ძალიან ბევრი ჯანსაღი იდეა ჰქონდა არასამთავრობო სექტორს, ასევე, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ჩემს იმ კოლეგებს, რომლებიც დღეს პარლამენტის წევრები არიან, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს.

**– ჯერჯერობით მხოლოდ ბუსუსებიანი პრეზერვატივების შეძენა აუკრძალეს არასრულწლოვნებს.**

– ფაქტი ის არის, რომ აბორტების რაოდენობა იზრდება და რაც გინდათ, ის დაარქვათ ამას.

**– მგონია, რომ მთავარია, ჩვენს ცნობიერებაში აიკრძალოს აბორტი, როგორც გამოსავალი. მთავარია, რას იტყვის ხალხი და არა ის, მოკლავ თუ არა ნაყოფს. იმ 31 000 აბორტს აქვს სხვადასხვა მოტივი, მაგრამ, მგონია, რომ სოლიდურია საზოგადოებრივი აზრის და ეკონომიკური მდგომარეობის წვლილიც. ანუ სახელმწიფო და საზოგადოება ამ დანაშაულის პირდაპირი თანამონაწილეა და მხოლოდ აკრძალვით ვერ დაიძვრენენ თავს.**

– ყველა პოლიტიკური რეჟიმის დროს მქონდა ერთი და იგივე ჩამოყალიბებული აზრი, რადგან ჩვენ აღარ ვცხოვრობთ გამოქვაბულში, ყველაფერზე, რაც საზოგადოებაში ხდება, უპირველესად, პასუხისმგებელია საზოგადოება და მისი წილი არის ლომის. მათ უნდა მოაგვარონ ეს პრობლემები, რომ შემდეგ ადამიანებმა კანონმორჩილებით ისარგებლონ იმ სიკეთეებით, რასაც სახელმწიფო

> **ისეთ ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ აქტუალურია ქალების გაუპატიურება და ძალიან დაბალია ამ დანაშაულის გახსნის პროცენტი, აბორტის აკრძალვაზე საუბარი გაუმართლებელია**

შექმნის. რა თქმა უნდა, საპატრიარქოს ეს წამოძახილი, რომ ეს დიდი პრობლემაა საქართველოსთვის, თან, ასეთ დემოგრაფიულ ფონზე, მეტიც, ასეთი დემოგრაფიული პროგნოზის ფონზე, რა თქმა უნდა, დროული და მნიშვნელოვანია და მიხარია, რომ ხელისუფლებაც გააქტიურდა პატრიარქის ამ განაცხადის საპასუხოდ.

**– „შრომის კოდექსში" ისევ დისკრიმინაციურია ჩანაწერი მომავალი დედების შესახებ, იმის ნაცვლად, რომ მოტივაცია გაუჩინოს დაქირავებულებს, მათთვის, ვისაც სამსახური აქვს, დაფეხმძიმება უკუჩვენებაა ჩვენი „შრომის კოდექსით"?**

– მით უმეტეს, რომ საქართველოში, რადგან უამრავ რამეში ვართ ჩამორჩენილნი, არაფრის გამოგონება არ გვჭირდება, უბრალოდ უნდა გადავხედოთ სხვების გამოცდილებას, როგორ მოაგვარეს მათ ეს პრობლემა. უამრავი სოციალური პაკეტი არსებობს და ისინი დიდ ტვირთადაც არ აწვება ბიუჯეტს.

**– ერთია სახელმწიფოს ნება, დაეხმაროს მომავალ დედებს და მეორე საზოგადოების განწყობა, რომელიც ქალს, რომელიც აჩენს შვილს ქორწინების გარეშე აკრავს ამორალურის იარლიყს. ესეც ხომ იძულებაა აბორტისკენ?**

– ძალიან მიჭირს ამაზე ლაპარაკი, სწორედ ამას ვგულისხმობ, როდესაც ვამბობ, რომ მთელი საზოგადოება ვართ თანამონაწილე სანაგვეზე გადაგდებული ბავშვის ბედში. ესეც იგივე პრობლემაა, როგორ უნდა შევუწყოთ ხელი მარტოხელა დედებს, რომ ისინი არ გაჭირონ, მათ შეურაცხყოფა არ მიაყენონ?! ისრაელის მაგალითს მოგიტანთ: იქ მარტოხელა დედებისთვის ჭერამდე სოციალური პაკეტებია შემუშავებული. მათ შორის, ეს ქალბატონები აქტიურად იღებენ მონაწილეობას ქვეყნის დაცვის და თავდაცვის საკითხებში; სახელმწიფო მათ უხდის გადასახადს. მაშინ, როდესაც საქართველოში ამ ყველაფრისადმი ძალიან არაადამიანური, არარელიგიური, არაჰუმანური მიდგომაა: მარტოხელა დედები არ სარგებლობენ არანაირი სახელმწიფო დახმარებით და არათუ არ აქვთ მატერიალური დახმარება, არამედ არანაირი მორალური მხარდაჭერა, რაც მათ თავს ღირსეულ მოქალაქედ აგრძნობინებდა, იმისდა მიუხედავად, თვითონ გადაწყვეტს ადამიანი გახდეს მარტოხელა დედა თუ შემთხვევით გახდება.

**ნინო ხაჩიძე**

# რა არგუმენტებს უპირისპირებს კახა თარგამაძე თავის პრორუსულობას, რა ბიზნესი აქვს რუსეთში და რატომ არ აპირებს საქართველოში დაბრუნებას

(მე-8 გვერდიდან)

ინარჩუნებდა სააკაშვილისა და ჟვანიას ჯგუფს, მე კი ვიყავი დამოუკიდებელი ფიგურა, მარტო კაცი, გუნდიც არ მყავდა და ყველა ხმალამოღებული მებრძოდა. იცი, რატომ მებრძოდნენ? რატომ გავხდი ჟვანიასა და სააკაშვილისთვის საშიში ფიგურა? დაინახეს, რომ ვიღაცამ ტვინი გააქანა. თუ პრორუსული ვიყავი, გეკითხებით: რუსეთის მიერ დაგეგმილი ყველა ტერაქტი თარგამაძემ არ გახსნა?! ტერაქტები ხაბეიშვილზე, ჭანტურიაზე, შევარდნაძეზე და ამის შემდეგ დავინიშნე შინაგან საქმეთა მინისტრად. ვმუშაობდი უფულოდ, მხოლოდ ავტომატით და ჭკუით.

**– თქვენ, ყოფილი შს მინისტრი, ვალერი ხაბურძანია, ყოფილი უშიშროების მინისტრი, რუსეთში ცხოვრობთ, არ ქმნის ერთგვარ უხერხულობას?**

– რატომ ქმნის უხერხულობას? მომეკლა თავი?!

**– როგორ გეკადრებათ, ეს არ მიგულისხმია.**

– მე რუსეთში იმიტომ ვარ, რომ ადვილად ვამყარებ კომუნიკაციას. იცით, რომ პირადი საქმე დღესაც არ მაქვს წამოღებული?! პენსიაც კი არ დამინიშნეს საქართველოში.

**– კვირაია იღებდა, გახოკიძე, თქვენ რატომ დაგჩაგრეს?**

– ახლა ველარ დამინიშნავენ, 2005 წელს რუსეთის მოქალაქე გავხდი, მაგრამ ვერც აქ ვინიშნავ პენსიას, რადგან მაშინ პირადი საქმე უნდა გამოეთხოვათ თბილისიდან. ჯერ ერთი, ან მისცემდა სააკაშვილი, ან არა და, რაც მთავარია, ერთ ამბავს ატეხდნენ, პირადი საქმე იმიტომ უნდა, რუსეთის სპეცსამსახურებში იწყებს მუშაობასო. ამიტომ ახლა არც რუსეთში ვიღებ პენსიას და არც საქართველოში. კაცი 1977 წლიდან 2002 წლამდე შსს-ში ვმუშაობდი, 5 წელი ინსტიტუტში სწავლაც მეთვლება და 30 წლის სტაჟის მქონეს, ლეიტენანტიდან დაწყებული ყველა საფეხური მაქვს გავლილი, პენსია არ დამინიშნეს. ჩემი გადადგომიდან ორ წელს იყო ნარჩემაშვილი მინისტრი, მაგრამ შევარდნაძემ არ მომიწერა ხელი. მეუბნებოდა, ჯერჯერობით არ შეიძლება, იყო პენსიონერიო.

**– თქვენ რამე ცვლილებას ხედავთ მოსკოვიდან რუსულ-ქართულ ურთიერთობებში?**

– რიტორიკა შეწყდა მხოლოდ, თუმცა დანარჩენს ვერ ვგრძნობ. ძალიან კარგი დამოკიდებულება აქვს უკვე საქართველოსადმი რუსეთის ინტელიგენციას. რუსეთში ძალიან ცოტა ქართველი ბიზნესმენი დარჩა. სომხებმა და აზერბაიჯანელებმა წაიღეს ყველა ჩვენი ბიზნესი. ის ქართველები, რომლებიც რუსეთში არიან აქ ნაშოვნი ფულის 30 პროცენტს ხომ საქართველოში აგზავნიან?!

> **ახლა ჩამოვიდე ცარიელ ადგილას საქართველოში და რა უნდა გავაკეთო?!**

**– ოფიციალური მონაცემებით, ყველაზე მეტი ფულადი გადმორიცხვები რუსეთიდანაა.**

– გარდა გადმორიცხვებისა, ისე რამდენ ფულს ატანენ?! ნათესავების სია მაქვს.

**– თქვენც აგზავნით ფულს?**

– რა თქმა უნდა. აქ არიან სერიოზული ბიზნესმენები, რომლებიც უზარმაზარი თანხებით ინახავენ უამრავ ოჯახს საქართველოში.

**– თქვენ აპირებთ დაბრუნებას?**

– ორჯერ ვიყავი უკვე საქართველოში.

**– ვგულისხმობ პოლიტიკურ პროცესებში დაბრუნებას.**

– არა, როგორ გეკადრებათ?! საცხოვრებლად ჩამოსვლას არ ვაპირებ.

**– რატომ, რას გვერჩით?**

– პატარა ბიჭი კი არ ვარ, აქეთ-იქით ვირბინო. ვამბობდი, რომ ერთი ჯიხურიც არ მაქვს-მეთქი საქართველოში, ხომ არ გჯეროდათ?

**– არ მახსოვს, მაშინ რას ვფიქრობდი, მაგრამ, ალბათ არ მჯეროდა.**

– მქონია? ერთი ჯიხურიც კი რომ მქონოდა, ესენი ხომ დედას მომიკითხავდნენ?! სულ ხაზს ვუსვამდი, არ მაქვს-მეთქი და ხომ შეიძლება, ვინმეს ეკითხა, სხვაგან თუ გაქვსო?! თუმცა ჩემს სახელზე სხვაგან მაშინაც არ მქონდა. მე არ ვამბობ, რომ არ მქონდა ბიზნესები, მაგრამ საქართველოში არსებულ ბიზნესთან არ მქონია ურთიერთობა. ახლა ჩამოვიდე ცარიელ ადგილას საქართველოში და რა უნდა გავაკეთო?!

**– რუსეთში მუშაობით კმაყოფილი ხართ?**

– შეიძლება, რამეთი კმაყოფილი იყოს ადამიანი?! რთულია, მაგრამ, ასეა თუ ისე, რაღაცას ვწვალობ და ვშრომობ. რაღაცას ვახერხებთ.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

# რამდენ ნაწილად ყოფს სამყაროს ისრაელის პრეზიდენტი შიმონ პერესი და რა აკავშირებს მას ჰოლივუდის ლეგენდასთან – ლორენ ბეკოლთან

*უხუცესი ებრაელი პოლიტიკოსი, რომლის პოლიტიკური კარიერა 70 წლის განმავლობაში გრძელდება. ისრაელის მოქმედი პრეზიდენტი, 89 წლის შიმონ პერესი, 2013 წლის 2 იანვრიდან მსოფლიოს უხუცესი მმართველია. წლევანდელი წელი განსაკუთრებულია პერესისთვის, რადგან, 2 აგვისტოს იგი 90 წლის იუბილეს აღნიშნავს. მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის ცხოვრების საინტერესო დეტალებზე ამ ნომრიდან შეიტყობთ.*

* შიმონ პერესი (ნამდვილი გვარი – პერსკი), 1923 წლის 2 აგვისტოს დაიბადა ვიშნიავაში, იმ დროს პოლონეთის, ამჟამად კი ბელარუსის ტერიტორიაზე მდებარე სოფელში. მამა – იცხაკ პერსკი, პილომასალით ვაჭრობდა, ხოლო დედა – სარა მელცერი, ბიბლიოთეკაში მუშაობდა და რუსულ ენას ასწავლიდა სკოლაში. სახლში ოჯახის წევრები ძირითადად იდიშზე საუბრობდნენ, თუმცა პოლონურ და რუსულ ენებზეც მიღებული იყო საუბარი. დედის მხრიდან ბაბუის, რაბინ ცვი მელცერის გავლენით, შიმონი ადრეულ ასაკში ეზიარა თორსა და ებრაულ პოეზიას. 4 წლის ასაკში ის უკვე წერდა ლექსებს და ასევე კითხულობდა რუსი კლასიკოსების – დოსტოევსკისა და ტოლსტოის ნაწარმოებებს. 1931 წელს იცხაკ პერსკი პალესტინაში გადავიდა საცხოვრებლად, 1934 წელს კი თავისი ოჯახიც წაიყვანა. საგულისხმოა, რომ ვიშნიავაში დარჩენილი პერესების მთელი ნათესაობა 1941 წელს ნაცისტური გერმანიის ჯარებმა გაანადგურეს – სოფლის სინაგოგაში ჩაკეტეს და დაწვეს.



* 1994 წელს, ისრაელის საგარეო მინისტრად მუშაობის პერიოდში, შიმონ პერესი სამუშაო ვიზიტით ეწვია ბელარუსის რესპუბლიკას. ვიზიტის დროს პერესი ესტუმრა იმ სოფელს, სადაც დაიბადა და სადაც ბავშვობის წლები ჰქონდა გატარებული. აღმოჩნდა, რომ ერთ დროს ებრაელების სოფლად წოდებულ ვიშნიავაში არც ერთი ებრაელი აღარ ცხოვრობდა, ხოლო პერსკების საკარმიდამოდან მხოლოდ ჭა იყო დარჩენილი. მოგვიანებით მიცემულ ინტერვიუში პერესი იხსენებდა, რომ სოფლის ებრაელების სასაფლაო ვანდალების მიერ იყო განადგურებული, ებრაელების სალოცავში მაღაზია იყო გახსნილი, სადაც ღორის ხორცს ყიდდნენ, ხოლო ერთ-ერთ ადგილობრივ მოსახლეს თვითონ პერესი იქაურ ჩინოვნიკში აერია და მუხლებზე დაცემული სთხოვდა ფინანსურ დახმარებას. მას შემდეგ შიმონ პერესს აღარ გასჩენია სურვილი, სწვეოდა ბელარუსს.

* შიმონ პერესი და პოპულარული ამერიკელი მსახიობი, ჰოლივუდის ვეტერანი ლორენ ბეკოლი ახლო ნათესავები გამოდგნენ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის დროს პერესი შეხვდა ბეკოლს, რომელმაც უთხრა, რომ მამამისიც იმ სოფლიდან იყო წარმოშობით, სადაც პერესი დაიბადა. აღმოჩნდა, რომ ბეკოლის ნამდვილი სახელია ბეტი ჯოან პერსკი, ხოლო მამამისი შიმონის ბიძაშვილი იყო. ლორენ ბეკოლი ცნობილი 40-იან წლებში გახდა, როდესაც ჰოლივუდის ლეგენდასთან, ჰემფრი ბოგარტთან ერთად მონაწილეობდა ფილმებში. ფილმების გარდა მათ ქორწინებაც აკავშირებდათ. ამერიკის კინოს ინსტიტუტის მიერ ბეკოლი ერთ-ერთ უდიდეს ვარსკვლავად არის აღიარებული ჰოლივუდის ისტორიაში.

* ისრაელის თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში შიმონ პერესმა ცნობილი ანტიტერორისტული სპეცოპერაციის – „ენტებეს რეიდის" ორგანიზებით დაამახსოვრა თავი მსოფლიოს. შეგახსენებთ, რომ 1976 წლის 27 ივნისს პალესტინელმა და გერმანელმა ტერორისტებმა „ეირ ფრანსის" თვითმფრინავი გაიტაცეს, რომელზეც ისრაელის მოქალაქეები იმყოფებოდნენ. ტერორისტები იმუქრებოდნენ, რომ დახოცავდნენ მძევლებს, თუკი ისრაელის მთავრობა არ გაათავისუფლებდა 57 დაპატიმრებულ პალესტინელ ექსტრემისტს. ისრაელის მთავრობა მზად იყო, წასულიყო მოლაპარაკებებზე, მაგრამ, პერესი აღმოჩნდა ერთადერთი პოლიტიკოსი, რომელმაც მხარი დაუჭირა სამხედრო ოპერაციის ჩატარებას. საბოლოოდ, სპეცოპერაციის შედეგად, რომელიც უგანდის დედაქალაქის აეროპორტში ჩატარდა და რომელსაც უშუალოდ შიმონ პერესი ხელმძღვანელობდა, ყველა ტერორისტი დაპატიმრებულ ან ლიკვიდირებულ იქნა, ხოლო თვითმფრინავის მგზავრებიდან არავინ დაზარალებულა. ერთადერთი დაღუპული ებრაელი სამხედრო, ისრაელის ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის – ბენიამინ ნეთანიაჰუს ძმა იყო.

* შიმონ პერესი საკუთარ თავს ისრაელის ნომერ პირველ ფეხბურთელად მოიხსენიებს. 2009 წლის აგვისტოში შიმონ პერესს დაბადებიდან 86 წელი შეუსრულდა და ამ თარიღთან დაკავშირებით ისრაელში რამდენიმე ღონისძიება გაიმართა. ყველაზე დასამახსოვრებელი კი პრეზიდენტისთვის ისრაელის საფეხბურთო ლიგაში მოთამაშე 16 გუნდის 16 კაპიტნის მასთან სტუმრობა იყო, რომლებმაც მიულოცეს შიმონ პერესს იუბილე და საჩუქრად ისრაელის საფეხბურთო ნაკრების მაისური გადასცეს, რომელზეც ციფრი „1" ეწერა. აღსანიშნავია, რომ შიმონ პერესი საკუთარ დაბადების დღეს ებრაული კალენდრის მიხედვით აღნიშნავს, ამიტომ, ზუსტად არავინ იცის, სინამდვილეში როდის აქვს დაბადების დღე ღვაწლმოსილ პოლიტიკოსს. მაგალითად, თავისი 70 წლის იუბილე პერესმა 20 აგვისტოს აღნიშნა, ხოლო მე-80 დაბადების დღე – 16 აგვისტოს (ებრაელების კალენდარში, ჩვეულებრივ, წელიწადში 353-355 დღეა, ხოლო ნაკიანში – 383-385 დღე). ოფიციალურ წყაროებში კი, დაბადების თარიღად 1923 წლის 2 აგვისტოა ნაჩვენები.

* 89 წლის შიმონ პერესის თქმით, მისთვის სამყარო ორ ნაწილად იყოფა – წიგნებად და მეგობრებად. ებრაელებით დასახლებულ სოფელ ვიშნიავაში (მაშინდელი პოლონეთის და დღეს ბელარუსის ტერიტორია) დაბადებული შიმონ პერსკის თანატოლები „სენია პერსკის" ეძახდნენ. შიმონი საინტერესო რეპორტაჟებსაც ამზადებდა და, აღსანიშნავია, რომ ამას ის ქალის ფსევდონიმით აკეთებდა. რეპორტაჟები გაერთიანებული იყო წიგნში, სახელად – „ქალის დღიურები". პერესი რამდენიმე ათეული წიგნის ავტორია; გარდა ამისა, ის არის ვლადიმირ ნაბოკოვის, ალექსანდრ სოლჟენიცინისა და ბორის პასტერნაკის ნაწარმოებების ებრაულ ენაზე თარგმანების ავტორიც. აღსანიშნავია, რომ შიმონი თავისუფლად ფლობს ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

* ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა დაწერა სიმღერის ტექსტი, სახელად „იმედის სხივი". მელოდიის ავტორის მოსაძებნად კი მან ცნობილ ინტერნეტ ვებ-გვერდს – songweavers.com-ს მიმართა, სადაც ერთმანეთს ეკონტაქტებიან კომპოზიტორები, მუსიკოსები და ტექსტების ავტორები. პერესის განცხადებას რამდენიმე კომპოზიტორი გამოეხმაურა, რომლებმაც თავიანთი მელოდია დაადეს ტექსტს. საბოლოოდ, სიმღერის რამდენიმე ჟანრული ვერსია გამოვიდა, დაწყებული მძიმე როკით და დამთავრებული ალტერნატიული ჯაზით. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი მელოდიის ავტორი ირანელი კომპოზიტორი სადრი განდეჰარი აღმოჩნდა. ეს ფაქტი კი იმიტომ არის საინტერესო, რომ ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი პრეზიდენტად არჩევის დღიდან იმუქრება, რომ წაშლის მსოფლიო რუკიდან ქვეყანას, სახელად – ისრაელი.

* შიმონ პერესს არაერთხელ აქვს ხაზგასმული, რომ საკუთარ თავს მომავლის ადამიანად მიიჩნევს და ხშირ შემთხვევაში მის თანამედროვეებს უძნელდებათ მისი აზრების გაგება. პერესი ფუტუროლოგიის მიმდევარია და საერთოდ არ ინტერესდება წარსული ისტორიით. მისი აზრით, უმთავრესია, ადამიანი იყოს ფანტაზიორი და მეოცნებე, ვიდრე კარგად იცოდეს შუა საუკუნეების ისტორია. თავის დროზე პერესი სამსახურიდან ათავისუფლებდა სამხედრო დაზვერვის იმ სპეციალისტებს, რომელთა შორისაც მისი აზრით, ის ვერ პოულობდა „მომავლის განჭვრეტის სპეციალისტებს".

* დიდი ბრიტანეთის დედოფალმა, ელიზაბეთ მეორემ, ისრაელის პრეზიდენტი შიმონ პერესი ბრიტანული იმპერიის რაინდად აკურთხა. საზეიმო ღონისძიებაზე, რომელიც ბუკინგემის სასახლეში გაიმართა, პერესმა დედოფლისგან მიიღო წმიდა მიხეილისა და წმიდა გიორგის ორდენები. როგორც წესია, ორდენი გადაეცემა იმ პირს, ვისაც დიდი წვლილი აქვს შეტანილი დიდი ბრიტანეთისა და თანამეგობრობის ქვეყნების მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ამავე ორდენის კავალრები იყვნენ: რონალდ რეიგანი, ჯორჯ ბუში-უფროსი, „მაიკროსოფტის" დამაარსებელი ბილ გეითსი და ჯგუფ „იუთუს" სოლისტი ბონო.

* შიმონ პერესი ქვრივია – მისი მეუღლე, სონია პერესი, 2011 წლის 20 იანვარს გარდაიცვალა 87 წლის ასაკში. საგულისხმოა, რომ უკანასკნელი 20 წელი პერესი არ ცხოვრობდა ცოლთან. პერესს ჰყავს 3 შვილი და 6 შვილიშვილი. ქალიშვილი ცვია ვალდენი – ფილოლოგია; უფროსი ვაჟი, იონი პერესი – აგრონომი და ვეტერინარი, უმცროსი ვაჟი, ნეჰამია პერესი კი – ყოფილი სამხედრო მფრინავია და ამჟამად საინვესტიციო კომპანია „პიტანგოს" უდგას სათავეში.

**უშანგი რუხაძე**

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# მსოფლიოს 2013 წლის უმდიდრესი ქალების ტოპ-ათეული „ფორბსის" ვერსიით

*ამერიკულმა ჟურნალმა „ფორბსმა," ტრადიციულად, მსოფლიოს მილიარდერების რეიტინგთან ერთად, ქალი მილიარდერების რეიტინგიც გამოაქვეყნა. 2013 წლის „ფორბსის" მილიარდერთა პირველ ასეულში სულ 14 ქალი მოხვდა, რომელთა კაპიტალი 30-10,5 მილიარდ ამერიკულ დოლარს შორის მერყეობს და მათი საშუალო ასაკი 66 წელია.*

## ლილიან ბეტანკური და ოჯახი - საფრანგეთი

№9 მილიარდერების მსოფლიო რეიტინგში; კაპიტალი: 30 მილიარდი დოლარი; სიმდიდრის წყარო: „ლ'ორეალი"; ასაკი: 90 წლის; ოჯახური მდგომარეობა: ქვრივი; შვილების რაოდენობა: 1.



90 წლის ასაკში ფრანგმა ლილიან ბეტანკურმა პირველად 1999 წლის შემდეგ, დაიბრუნა ადგილი მსოფლიო მილიარდერების პირველ ათეულში და გახდა პლანეტის ყველაზე მდიდარი ქალი. ლილიანი ოჯახთან ერთად ფლობს პარფიუმერიული გიგანტის – „ლორეალის" აქციათა 30 პროცენტს და იურიდიულად კომპანიის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრეა. ამჟამად ლილიანის აქტივებს კომპანიაში მისი შვილიშვილი – ჟან-ვიქტორ მეიერი განაგებს, ხოლო ბეტანკურების ქონებას ლილიანის ქალიშვილი ფრანსუაზა. ბოლო წლებია, ლილიანი ალცჰეიმერის სენით არის დაავადებული და პრაქტიკულად ჩამოშორებულია კომპანიის საქმიანობას.

## კრისტი უოლტონი – ამერიკის შეერთებული შტატები

№11 მილიარდერების მსოფლიო რეიტინგში; კაპიტალი: 28,2 მილიარდი დოლარი; სიმდიდრის წყარო: „უოლმარტი", საცალო ვაჭრობა; ასაკი: 58 წლის; ოჯახური მდგომარეობა: ქვრივი; შვილების რაოდენობა: 1.

კრისტი უოლტონის პირადმა ქონებამ ახალ მაქსიმუმს „უოლმარტის" აქციების ფასის მატებით მიაღწია, თუმცა, ამის მიუხედავად, მან დაკარგა ყველაზე მდიდარი ქალის ტიტული, რომელსაც უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში ფლობდა. კრისტი თავისი ოჯახის წევრებს შორის ყველაზე მდიდარია, რაც მისი გარდაცლილი მეუღლის დამსახურებაა, რომელმაც თავის დროზე კაპიტალი დააბანდა მზის ენერგეტიკაში.

## ელის უოლტონი – ამერიკის შეერთებული შტატები



№16 მილიარდერების მსოფლიო რეიტინგში; კაპიტალი: 26,3 მილიარდი დოლარი; სიმდიდრის წყარო: „უოლმარტი", საცალო ვაჭრობა, მემკვიდრეობით მიღებული ქონება, ინვესტიციები ხელოვნებაში; ასაკი: 63 წლის; ოჯახური მდგომარეობა: განქორწინებული.

უოლტონების ოჯახის ყველაზე გულუხვი ფილანტროპი, რომელიც წლიდან წლამდე მილიონობით დოლარს ხარჯავს ქველმოქმედებაზე. ბოლო ხუთი წლის მონაცემებით, ელის უოლტონს სხვადასხვა საქველმოქმედო პროექტზე 2 მილიარდი დოლარი აქვს დახარჯული. ელის უოლტონი დროის უმეტეს ნაწილს ტეხასის შტატში, საკუთარ საჯინიბოში ატარებს.

## აირის ფონტბანა და ოჯახი – ჩილე

№35 მილიარდერების მსოფლიო რეიტინგში; კაპიტალი: 17,4 მილიარდი დოლარი; სიმდიდრის წყარო: „ანტოფაგასტა", სამთო-მრეწველობა, მემკვიდრეობით მიღებული ქონება; ასაკი: 70 წლის; ოჯახური მდგომარეობა: პირველ მეუღლესთან განქორწინებული, მეორე ქორწინებაში დაქვრივდა; შვილების რაოდენობა: 3.

ჩილელი მილიარდერი ანდრონიკ ლუქსისი 2005 წელს გარდაიცვალა კიბოთი და მას შემდეგ საოჯახო ბიზნესს მისი ქვრივი – აირის ფონტბანა განაგებს. ფონტბანას ოჯახი მსოფლიოში უდიდეს სპილენძის საბადოს აკონტროლებს. გარდა ამისა, ფონტბანას ოჯახი ხორვატიაში ფლობს კურორტების ქსელს – „პლავა ლაგუნას."

## ჟაკლინ მარსი – ამერიკის შეერთებული შტატები

№36 მილიარდერების მსოფლიო რეიტინგში; კაპიტალი: 17 მილიარდი დოლარი; სიმდიდრის წყარო: „მარსი" – საკონდიტრო ნაწარმი და შინაური ცხოველების საკვები, მემკვიდრეობით მიღებული ქონება; ასაკი: 73 წლის; ოჯახური მდგომარეობა: განქორწინებული; შვილების რაოდენობა: 3;



ჟაკლინ მარსი ორ ძმასთან – ჯონ და ფორესტ-უმცროსთან ერთად, კომპანია „მარსის" მფლობელია მესამე თაობაში. კომპანიის მართვა მათ ხელში 1999 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით გადავიდა. კომპანიის საკუთრებაა ისეთი ბრენდები, როგორებიცაა: შოკოლადი „მარსი", „M&M's", „ტვიქსი" და, ასევე, სალეჭი რეზინის გიგანტი კომპანია „ვრიგლი". „მარსის" ყველაზე ცნობილი პროდუქტია შოკოლადის ბატონი „სნიკერსი". ასევე, კომპანიის საკუთრებაა კატებისა და ძაღლებისთვის განკუთვნილი საკვები – „ვისკასი" და „პედიგრი".

## ჯორჯინა რაინჰარტი – ავსტრალია

№36 მილიარდერების მსოფლიო რეიტინგში; კაპიტალი: 17 მილიარდი დოლარი; სიმდიდრის წყარო: სამთომომპოვებელი კომპანია „ჰენკოკ პროსპექტინგი", მემკვიდრეობით მიღებული ქონება; ასაკი: 59 წლის; ოჯახური მდგომარეობა: პირველ მეუღლესთან – განქორწინებული, მეორე ქორწინებაში დაქვრივდა, შვილების რაოდენობა: 4.

რკინის მადანზე ფასის ვარდნის მიუხედავად, ავსტრალიელმა ჯორჯინა რაინჰარტმა შეინარჩუნა პოზიცია და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის უმდიდრესი ქალის სტატუსს ფლობს. გასულ წელს მან დიდი დრო დაუთმო დაპირისპირებას მილიარდერ, სტენლი პერონთან, რომელიც მისი ბიზნესის ხელში ჩაგდებას ცდილობდა. გარდა ამისა, ჯორჯინამ კომპანიის მართვას ჩამოაშორა საკუთარი შვილები.

## სიუზან კლატენი – გერმანია

№58 მილიარდერების მსოფლიო რეიტინგში; კაპიტალი: 14,3 მილიარდი დოლარი; სიმდიდრის წყარო: „ბეემვე" და ფარმაცევტული კომპანია „ალტანა", მემკვიდრეობით მიღებული ქონება; ასაკი: 50 წლის; ოჯახური მდგომარეობა: გათხოვილი; შვილების რაოდენობა: 3.

სიუზან კლატენი გერმანიის უმდიდრესი ქალია, რომელიც ფლობს „ბეემვეს" აქციების 12,6 პროცენტს, მემკვიდრეობით მიღებულს მამისგან, ჰერბერტ კვანდტისგან. საერთო ჯამში, კვანდტ-კლატენების ოჯახი ავტოკონცერნის აქციათა 50 პროცენტს ფლობს. ავტობიზნესის გარდა, სიუზან კლატენი ჩართულია ფარმაცევტულ ბიზნესში და ფლობს აქტივებს სასოფლო მეურნეობაში ინოვაციურ პროექტებზე მომუშავე კომპანიაში.

## ებიგეილ ჯონსონი – ამერიკის შეერთებული შტატები

№74 მილიარდერების მსოფლიო რეიტინგში; კაპიტალი: 12,7 მილიარდი; სიმდიდრის წყარო: „ფიდელიტი", მემკვიდრეობა; ასაკი: 51 წლის; ოჯახური მდგომარეობა: გათხოვილი; შვილების რაოდენობა: 2.



ებიგეილ ჯონსონი სათავეში უდგას ბაბუის მიერ დაარსებულ ფინანსურ კორპორაცია „ფიდელიტს", რომელიც უმსხვილეს მოთამაშედ ითვლება ამერიკის ბაზარზე. თავისი კარიერა ებიმ, როგორც მას ოჯახში უწდოებენ, 1988 წელს, ანალიტიკოსის თანამდებობით დაიწყო, დღესდღეობით კი უმსხვილესი აქციონერია.

## მიუჩა პრადა - იტალია

№78 მილიარდერების მსოფლიო რეიტინგში; კაპიტალი: 12,4 მილიარდი; სიმდიდრის წყარო: „პრადა", მემკვიდრეობა; ასაკი: 63 წლის; ოჯახური მდგომარეობა: გათხოვილი; შვილების რაოდენობა: 2.



2012 წლის რეიტინგთან შედარებით, იტალიელმა მიუჩი პრადამ მნიშვნელოვანი წინსვლა განახორციელა მილიარდერების რეიტინგში – 139-ე პოზიციიდან 78 პოზიციამდე ავიდა და ადგილი დაიმკვირდა ყველაზე მდიდარი ქალების პირველ ასეულში. მიუჩა პრადა იტალიის უმდიდრესი ქალბატონია. გასულ წელს კომპანიამ აბუ-დაბიში და ქუვეითში გახსნა მაღაზიები, ხოლო წელს ინდური ბაზრის დაპყრობისკენ აქვს აღებული გეზი აღებული.

## ენ კოქს ჩემბერსი – ამერიკის შეერთებული შტატები

№80 მილიარდერების მსოფლიო რეიტინგში; კაპიტალი: 12 მილიარდი დოლარი; სიმდიდრის წყარო: „კოქს ენთერფრაიზის", მედია-კონცერნი; ასაკი: 93 წლის; ოჯახური მდგომარეობა: განქორწინებული; შვილების რაოდენობა: 3.



ენ კოქს ჩემბერსის კომპანიის შემადგენლობაში შედის: საკაბელო ტელევიზია „კოქს კომუნიკეიშენი", „კოქს მედია" (ათამდე გაზეთი და ჟურნალი, 15 ტელეარხი და 86 რადიოსადგური), ავტოაუქციონები „მანჰეიმი" და ვებსაიტი „აუტოტრეიდერ.კომ". 70-იან წლებში ენ კოქსი ბელგიაში ამერიკის ელჩის მოვალეობას ასრულებდა, ხოლო 80-იან წლებში „კოკა-კოლის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეობდა. ამჟამად კომპანიას ჩემბერსის ნათესავი – ჯიმ კენედი უძღვება.

**უშანგი რუხაძე**

**მედია-ჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის" დამფუძნებელი მალხაზ გულაშვილი, ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ახალი ხელისუფლების პირობებში ციხიდან გათავისუფლდა. რეზონანსული და სკანდალური საქმის პატიმარს ციხის საკნამდე დევნილობის მძიმე წელიწად-ნახევრის გავლა მოუხდა, რასაც დღეს ცხოვრების ყველაზე დიდ განსაცდელად, მაგრამ კარგ გამოცდილებად მიიჩნევს. როგორ ცხოვრობს მალხაზ გულაშვილი ციხიდან გათავისუფლების შემდეგ და რა ბედი ეწია იმ პროექტებს, რომლებზეც დევნილობასა და პატიმრობამდე მუშაობდა, ამას თავად ჩვენი რესპონდენტისგან შეიტყობთ.**

# რა არ დასცალადა მალხაზ გულაშვილს ციხეში და რას უკონტროლებდნენ მას პატიმრობისას



**ნებისმიერ, გასაღების დამტარებელ, ეგრეთ წოდებულ „კლუჩნიკს", შეეძლო შეურაცხყოფა მოეყენებინა ჩვენთვის**

– საზოგადოებრივ აქტივობას საქმით ვუბრუნდები – აღვადგინეთ ინგლისურენოვანი გაზეთი „ჯორჯიან თაიმსი", რომელიც უსასყიდლოდ ვრცელდება ყველა საკვანძო რგოლში: აეროპორტში, სასტუმროებში, ბიზნესკომპანიებში, საელჩოებში და ასე შემდეგ. გაზეთს ჰყავს ამერიკელი რედაქტორი, რომელმაც კარგად გაართვა თავი საქმეს. ჩემი გათავისუფლების შემდეგ, აღვადგინეთ საიტი, რომელიც უკვე ოთხენოვანია, ყოველდღიურად 25 ათასი ადამიანი შემოდის, რაც საქართველოში, საიტისთვის ძალიან კარგი მაჩვენებელია. თქვენს მკითხველს ახსოვს, ჩვენ 1995 წელს ჩავუყარეთ საფუძველი ბიზნეს-რეიტინგს, რომელსაც ყოველწლიურად ვატარებდით საუკეთესო ბიზნეს-კომპანიისა და ბიზნესმენის გამოსავლენად. იქიდან გამომდინარე, რომ მე და ჩემი ოჯახი მოვყევით დევნაში, შემდეგ ერთი წელი გავატარე პატიმრობაში, ეს პროცესი შეჩერებული იყო, სამწუხაროდ, ბიზნეს-რეიტინგის მოწყობას უჩემოდ ვერ გაართვეს თავი. წელს აღვადგინეთ ეს ტრადიცია, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოების მხრიდან. 30 მაისს „ქორთიარდ მარიოტში" გაიმართება ბიზნეს-რეიტინგის საზეიმო დაჯილდოება, არც წელს დავარღვევთ ტრადიციას და გაიმარჯვებს საუკეთესო კომპანია. შეიძლება ითქვას, რომ მედია-ჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსს" დიდი როლი შეჰქონდა ამ კომპანიების წარმატებული იმიჯის შექმნაში, როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ასევე ქვეყნის შიგნით. წლების განმავლობაში ბიზნეს-რეიტინგში იმარჯვებდნენ მხოლოდ საუკეთესო კომპანიები, რომელთაც გადაეცემოდათ ჩვენი ჰოლდინგის გარდამავალი, ოქროს მედალი. ბიზნესრეიტინგის მთავარი ამოცანა მისი დაარსების დღიდან იყო და არის ეროვნულ ბიზნესში ყველაზე წარმატებული დარგების განსაზღვრა, ქართული ბიზნესის ახალი იმიჯის ჩამოყალიბება, დიალოგის მხარდაჭერა ბიზნესს, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა „ჯორჯიან თაიმსს" მიაწოდა იმ კომპანიების სია, რომელთაც საქართველოს ბიუჯეტში მილიონი და მეტი ლარი შეაქვთ. ექსპერტებმა, ეკონომიკური პროფილის ჟურნალისტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფონდების წარმოამდგენლებმა გამოავლინეს საუკეთესო და წარმატებული კომპანიების ტოპ-50, რომელთა შორის გამოვლინდება 25 საუკეთესო კომპანია. ისინი თავიანთ რიგებში გამოავლენენ გამარჯვებულს. ამ კომპანიებს შორისაა: „თიბისი ბანკი", „სოკარ ჯორჯია", „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია", „ჰაიდელბერგცემენტ-ჯორჯია", „პეტროლიუმ ჯორჯია-გალფი", „გუდვილი" და ასე შემდეგ. პროფესიონალურმა ჟიურიმ, რომელიც საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი და პატივსაცემი პიროვნებებით არის დაკომპლექტებული, საუკეთესო კომპანიები შეაფასა შემდეგი კრიტერიუმებით: მეწარმეთა ინტერესების დაცვა, საზოგადოებრივი იმიჯი, ეფექტური მენეჯმენტი, ახალი სამუშაო ადგილები, ახალი ტექნოლოგიები, ეფექტური მარკეტინგი, ქველმოქმედება (მეცენატობა) და ასე შემდეგ. მადლობა მინდა, გადავუხადო ჩვენს სპონსორებსა და მხარდამჭერებს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საერთაშორისო სავაჭრო პალატის წარმომადგენლობას საქართველოში, ბიზნესმენთა ასოციაციას, ამერიკის სავაჭრო პალატას, რომელთაც ტრადიციული, პრესტიჟული №14 ბიზნეს-რეიტინგის ჩატარების საშუალება მოგვცეს.

**– როდესაც ციხიდან გათავისუფლდით, ითქვა, რომ ცხოვრებას უფრო აქტიურად დაუკავშირებდით პოლიტიკას, ამ მხრივ არ გაქვთ გეგმები?**

– დღეს, როდესაც საქართველო გათავისუფლებულია იმ შავი ჭირისგან, რასაც სააკაშვილის მმართველობა ჰქვია, მე ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ. ამ ეტაპზე პოლიტიკა არ არის ჩემი ინტერესის სფერო, ძირითადად, დაკავებული ვარ ბიზნესით, მედია-გამომცემლობითა და დავინტერესდი სხვა მიმართულებებითაც. ვცდილობ, მოვიზიდო ინვესტორები სხვადასხვა ქვეყნიდან, იმ კავშირურთიერთობების წყალობით, რომელიც დევნილობის დროს ჩამომიყალიბდა როგორც რუსეთის, ასევე ევროპის ცნობილ ბიზნესსტრუქტურებთან.

**– ამაზეა ნათქვამი, შარი ხეირად მექცაო.**

– ეს ყოველთვის ასეა, დევნილობის დროს ერთი წელი გავატარე რუსეთში, ნახევარი წელი – აზერბაიჯანში, სწორედ მაშინ დავუახლოვდი იმ ბიზნესმენებს, რომელთა მეშვეობითაც საქართველოში ძალიან საინტერესო პროექტები შეიძლება განხორციელდეს. საკმაოდ ბევრს ვფიქრობ, აღვადგინო ჩვენი ჟურნალი და გადაცემა „კაპიტალი", თუმცა ყველაფერი ერთად არ გამოდის და ამას დრო სჭირდება. საკუთარ თავზე გამოვცადე, როგორ შეიძლება, ერთ დღეს ყველაფერი თავზე დაგენგრეს. ის, რასაც 1993 წლიდან მოყოლებული ვაშენებდი, ერთ დღეში დამგვინგრია მიხეილ სააკაშვილის ხროვამ. აუცილებლად გამოვიყენებ იმ მეგობრულ ურთიერთობებს, რაც რუსეთის საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან მაქვს. ამ მეგობრობის გამო, ლამის სამშობლოს მტრად გამომაცხადეს. დაიგეგმა ჩემი დაპატიმრების ოპერაცია. გახსოვთ, დაიწყო პროვოკაციები ჩემი მისამართით, ზეწოლის ქვეშ მოჰყვა ჩემი ოჯახი, ჩემი შვილი. ამიტომაც გავხდი იძულებული, დამეტოვებინა საქართველო.

**– მაშინ თქვენს გაქცევას ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა.**

– ამ თემაზე საუბარი არ მიყვარს, მაგრამ ერთს გეტყვით – როცა შენს ოჯახს და შვილს საშინელი საფრთხე ემუქრება, ქვეყნის დატოვებისთვის კი არა, იმისთვისაც მზად ხარ, სადაც მოგიხერხდება, იქ გადაიხვეწო, ოღონდ ისინი საფრთხისგან იხსნა. ჩემს შვილს პასპორტი არ ჰქონდა და იძულებული გავხდი, საზღვარი მთა-მთა გადამელახა. 35 კილომეტრი მე და ჩემმა ბიჭმა მთაში, ფეხით ვიარეთ. ძალიან ძნელი იყო ის გზა, ჩემთვის დევნილობა ბევრად უფრო მძიმე იყო, ვიდრე – პატიმრობა. ნოსტალგია ძალიან საშინელი რამ ყოფილა, მით უფრო, როცა სხვაგან იძულების წესით გიწევს ცხოვრება. პატიმრობისას ვიცოდი, რომ ვიყავი საქართველოში და ჩემი პატიმრობა ღირდა იმად, ჩემი შვილი და ოჯახი ყოფილიყვნენ თავისუფლები. დღეს მეცინება, როცა ასეთი ამბებია ატეხილი ახალაიას პატიმრობასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, დაავიწყდათ, როგორ დაგვცინოდნენ და მიწასთან გვასწორებდნენ პატიმრებს. ნებისმიერ, გასაღების დამტარებელ, ეგრეთ წოდებულ „კლუჩნიკს," შეეძლო შეურაცხყოფა მოეყენებინა ჩვენთვის. მეც ზუსტად ისე ვიტანჯებოდი გლდანის ციხეში, როგორც სხვები. 14 კვადრატულ მეტრ კამერაში 6 კაცი ვიჯექით. დღისით საწოლზე დაწოლის უფლებაც კი არ გვქონდა, პატარა ხმაურზეც კი გვართმევდნენ რადიოს. ციხეში ბევრს ვკითხულობდი, ბევრს ვწერდი, ლექსების ექვსი რვეული გამოვიტანე. როცა მოისურვებდნენ, მაშინ მართმევდნენ ჩანაწერებს, წამდაუწუმ მამოწმებდნენ, რას ვწერდი. უსაფრთხოების სამსახური ტექსტებსაც კი ამოწმებდა. მას შემდეგ, რაც ზონაში გადამიყვანეს, იქ თავისუფალი რეჟიმი იყო, ცოტა ამოვისუნთქე, გლდანის ციხის კვალობაზე ზონა კურორტზე ყოფნას ნიშნავდა. წიგნის დაწერაც დავიწყე, მაგრამ, ვერ მივიყვანე ბოლომდე, ამაზე ვხუმრობ კიდეც, ბიძინა ივანიშვილმა არ დამაცადა-მეთქი *(იცინის).*

**საკუთარ თავზე გამოვცადე, როგორ შეიძლება, ერთ დღეს ყველაფერი თავზე დაგენგრეს**

**– როგორ მიდის თქვენი ცხოვრება ციხიდან გათავისუფლების შემდეგ?**

– ვცდილობ, რომ ფეხზე დავდგე. სამწლიანი წყვეტის შემდეგ, ეს იოლი არაა, თუმცა მიმაჩნია, რომ ციხეში დიდი გამოცდილება მივიღე – ვინც მეგობარი მეგონა, ის მეგობარი არ აღმოჩნდა, ვისაც არ ვიცნობდი, მეგობრად შევიძინე და გვერდში დამიდგნენ. ზოგიერთი მათგანი დღეს ისევ ციხეშია. ეს ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული გამოცდილებაა, რომელიც განსაცდელის გარეშე არ მოდის. ციხეში სიდინჯეც მომემატა, ემოციების მოთოკვა ვისწავლე, რაც ახლა ძალიან მადგება. პატიმრობის დროს ერთი დღე არ ჩამიგდია, სულ ვვარჯიშობდი. გარეთ რაც მაკლდა, იმას ვაკეთებდი, შეიძლება ითქვას, საკუთარ თავს მივხედე *(იცინის).* მე არაფერს ვნანობ. ჩემი ქვეყნის, ეკლესიისა და ოჯახისთვის ვიჯექი. ეს ყველამ კარგად იცის, ამისთვის პატიმრობა კი ნამდვილად ღირდა.

**თამუნა სამადაშვილი**

**ნუკრი კაკილაშვილი**: ბედნიერი ვარ, რომ ამ უდიდესი გამარჯვების, მთელი ქართველი ერის ზეიმის მონაწილე გავხდი. მით უმეტეს, რომ გუნდში ასაკით ყველაზე პატარა ვიყავი – ოცი წლის ბიჭი, ოცდაერთის ვხდებოდი. განსაკუთრებულ ემოციებს იწვევდა ის, რომ ყველა დროის საუკეთესო ქართველ ფეხბურთელებთან ერთად ვთამაშობდი, მათ გვერდით ვიყავი. ჩამოთვლას არ დავიწყებ, ყველა ვარსკვლავი იყო – მეკარიდან დაწყებული რამაზ შენგელიათი დამთავრებული. ამ თასის მოგება ასე ადვილი არ იყო, ძალიან ძლიერ გუნდს ვეთამაშებოდით.

**– თამაშამდე, ალბათ, ყველაზე მეტს თქვენ ნერვიულობდით, როგორც ყველაზე პატარა...**

– რა თქმა უნდა, საშინელი ღელვა მქონდა. მთელი ღამე არ მეძინა, მარტო მე კი არა, მთელ გუნდს. ძალიან საპასუხისმგებლო თამაში იყო, საერთოდ, ფინალი ძალიან რთული სათამაშოა. არ მქონდა თბილისის „დინამოში“ დიდი ხნის თამაშის გამოცდილება, ახალი მისული ვიყავი გუნდში...

**– თქვენ დაბლოკეთ გერმანელი მცველი, რისი დახმარებითაც ვიტალი დარასელიამ ცნობილი გოლი გაიტანა.**

– ოცდათორმეტი წელიწადია ეს მესმის – დაბლოკე, დაბლოკეო... ლომის წილი ამ ყველაფერში ვიტალი დარასელიას ეკუთვნის, რაღაც ძალიან პატარა წვლილი, ალბათ, ჩემი შეტანილიცაა. უდიდესი აჟიოტაჟი მოჰყვა ამ გამარჯვებას, რაც ჩვენ მოგვიანებით გავიგეთ. მაშინ აბა, მობილურები და რაღაცეები სად იყო. ჩვენთან ერთად გულშემატკივრების მცირე ჯგუფი იყო წამოსული, რამდენიმე ფეხბურთელის ცოლი და ცნობილი ადამიანები. ცეკას დახმარებით ხდებოდა ასეთ ჯგუფებში ჩასმა. ძალიან კარგ სასტუმროში ვცხოვრობდით დიუსელდორფში, რომელსაც პატარა მოედანიც ჰქონდა. ახალგაზრდა ქალი იყო სასტუმროს დირექტორი, რომელიც ჩვენ მიმართ დიდი სიმპათიით განეწყო და გვგულშემატკივრობდა. მოკლედ, მხარდამჭერები გვყავდა და იქაც დიდი ზეიმი დაიწყო ჩვენი გამარჯვების შემდეგ. მე და ვოვა გუცაევი დოპინგ-კონტროლზე შესამოწმებლად დაგვტოვეს და ორი საათის დაგვიანებით მივედით სასტუმროში.

**– დოპინგი ის კი არა, რომ გაგეკეთებინათ, ალბათ, გაგებულიც არ გქონდათ.**

– წინა საღამოს გაბელიას სიცხე ჰქონდა და ჩვენი გუნდის ექიმმა წამალი ვერ მისცა, რადგან არ იცოდა, რომელი პრეპარატები ითვლებოდა დოპინგად და რომელი შეიძლება დოპინგკონტროლს ამოეგდო. ღამით გაბელიასაც დაეწია სიცხე და ყველაფერი კარგად დასრულდა. მოკლედ, მე და გუცაევი რომ მივედით სასტუმროში, უკვე დიდი ქეიფი იყო გაჩაღებული. ჯანო ბაგრატიონი თამადა იყო და ხალხი უკვე მოგებული თასიდან სვამდა. ნოდარ ახალკაცი იმ საღამოს ოთახიდან არ გამოსულა – გართობის საშუალება და ერთი ჭიქა სასმლის დალევის უფლება მოგვცა...

## პირველი ხელფასი რომ დამინიშნეს, ეს იყო სასწაული მოვლენა. სამოცი მანეთი მქონდა

**– ასეთი სიმკაცრე იყო?**

– ძალიან მკაცრ პირობებში ვიყავით... ასეთ რეჟიმში რომ არ ვყოფილიყავით, ამ წარმატებასაც ვერ მივაღწევდით. მერე უკვე ჩამოვედით და თვითმფრინავს ტრაპი მოადგეს თუ არა, მივხვდით, რაც ხდებოდა. გაგვაფრთხილეს, რომ გარეთ ზღვა ხალხი გველოდებოდა. ავტობუსში ძლივს ავედით. მთელი გზა აეროპორტიდან დიღმის ბაზამდე, გარეთ ხალხი იდგა, გვესალმებოდნენ და გვეფერებოდნენ. სიტყვებით იმის გადმოცემა რთულია, რასაც თითოეული ჩვენგანი გრძნობდა.

**ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი გამაჯვების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ გვინდა, გავიხსენოთ ის ლეგენდარული ნაკრები, თბილისის „დინამოს“ ვარსკვლავური შემადგენლობა, რომელმაც ქვეყანას წარმოუდგენელი სიხარული აჩუქა. 1981 წლის 13 მაისს ევროპის თასების მფლობელთა თასი დინამოელებმა თბილისში ჩამოიტანეს, რასაც დაუსრულებელი ზეიმი და ქეიფი მოჰყვა. „დინამოს“ ნახევარმცველი ნუკრი კაკილაშვილი ვარსკვლავური შემადგენლობის ყველაზე მცირეწლოვანი ფეხბურთელი იყო, სწორედ მასთან ერთად გავიხსენეთ 32 წლის წინანდელი 13 მაისი.**

# რა წვლილი მიუძღვის ვიტალი დარასელიას „კარლ ცაისთან“ ცნობილი გოლის გატანაში ნუკრი კაკილაშვილს და რა ხდებოდა დიუსელდორფში გამარჯვების შემდეგ

**– ფეხბურთს თავი ადრე დაანებეთ?**

– ფეხბურთს სულ ათი წელი ვთამაშობდი. თავი მაშინ დავანებე, როდესაც ეროვნული ჩემპიონატი გამოცხადდა. ყოველ შემთხვევაში, კმაყოფილი ვარ იმით, რაც ვითამაშე და რა შედეგებსაც მივაღწიე.

**– ჩვენი თანამშრომელი ყვებოდა, თუ როგორ გიბრაზდებოდათ მისი დიდი ბებია – თქვენი ბავშვობის დროინდელი მეზობელი, რადგან სულ ფანჯრებს უმტვრევდით და ყურძენს უფუჭებდით...**

– მართლა, ერისთავის ქუჩაზე *(იცინის)?!* იყო ეგ პერიოდიც. ხულიგანი ბავშვი არ ვყოფილვარ, მაგრამ ეზოში სულ ფეხბურთს ვთამაშობდი, უზომოდ მიყვარდა. მაშინ ქუჩის, ეზოს ფეხბურთი ძალიან მაღალ დონეზე იყო... დღეს ეზოს ფეხბურთის არარსებობის გამოა ჩვენი ფეხბურთი ასეთ დღეში. თუ მეზობელ ბებოს ფანჯრები არ ჩაულეწე, ისე ფეხბურთელი ვერ დადგები *(იცინის)*.




დღეს ეზოს ფეხბურთის არარსებობის გამოა ჩვენი ფეხბურთი ასეთ დღეში. თუ მეზობელ ბებოს ფანჯრები არ ჩაულეწე, ისე ფეხბურთელი ვერ დადგები

**– მაშინ, როცა მეზობელ ბებოებს ფანჯრებს უმტვრევდით, ალბათ, ვერ წარმოიდგენდით, რომ სულ რამდენიმე წელიწადში, თასების მფლობელთა თასს აიღებდით და მერე კიდევ დინამოს სტადიონის დირექტორი გახდებოდით?**

– რა თქმა უნდა, ვერ წარმოვიდგენდი, მით უფრო, რომ ოჯახის წევრები ჩემი ფეხბურთელობის კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ. დედაჩემი და ჩემი და ექიმები არიან და უნდოდათ, მეც ექიმი გავმხდარიყავი. მამაჩემი ძველი ფეხბურთელი იყო და ის მიჭერდა მხარს. თან ხედავდა, რომ თამაშის მონაცემები მქონდა. მიმიყვანა ოცდამეთხუთმეტე სკოლაში, იქ დავიწყე თამაში. საფეხბურთო სკოლის შემდეგ პირდაპირ ნოდარ ახალკაცმა ამიყვანა „დინამოში“, რაც იმ პერიოდში წარმოუდგენელი ამბავი იყო. პირველი ხელფასი რომ დამინიშნეს, სასწაული მოვლენა იყო – სამოცი მანეთი მქონდა.

**– ეს მაშინ დიდი ფული იყო?**

– დიდი ფული არ იყო, მაგრამ „დინამოში“ ფულის გამო არავინ თამაშობდა, ეს სხვა სახელი და პრესტიჟი იყო, სხვა სიამაყის საგანი. ძალიან მკაცრი რეჟიმით ვცხოვრობდით, მაგრამ ამის გამო არავინ წუწუნებდა.

**– მახსოვს, ბატონ რამაზ შენგელიასთან მქონდა ინტერვიუ და ვსაუბრობდით იმაზე, რომ „დინამო“ მაშინ ყველა აკრძალულ ქვეყანაში დადიოდა. თამაშთან ერთად, კარგადაც ცხოვრობდით, ალბათ-მეთქი, რაზეც მითხრა, აეროპორტისა და ბაზის გარდა, საერთოდ ვერსად ვერაფერს ვხედავდით ისეთ რეჟიმში ვცხოვრობდითო...**

– გარედან ყოველთვის სხვანაირად ჩანდა ჩვენი ცხოვრება – დავდიოდით, ვმოგზაურობდით, ვერთობოდით... რეალურად კი, მთელი წელი შეკრებებზე ვიყავით, ოჯახებშიც არ გვიშვებდნენ. ჩემი მეუღლე დამეთანხმება, რომ ასე იყო. ერთი დღე თუ გაგვიშვებდნენ სახლში, გვიხაროდა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ვთამაშობდით, სადაც უძლიერესი კლუბები გამოდიოდნენ. თამაშამდე ოთხი დღით ადრე ახალკაცს შეკრებაზე გადავყავდით და ბაზაზე ვცხოვრობდით – ვარჯიში, კვება, დასვენება... „საგულაოდ“ არასდროს გვეცალა. ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლები ბაზაზე გავატარეთ.

**– პარალელურად მიმდინარეობდა თქვენი პირადი ცხოვრებაც – ამ სპორტული რეჟიმის პირობებში დაქორწინდით...**

– დიახ, ოცდახუთი წლის ვიყავი, ცოლი რომ მოვიყვანე. სამი შვილი გვყავს – ნიკუშა, ანანო და ლიზი. ჩემი უდიდესი გულშემატკივარი გახლდათ ანანო, ოცდაოთხი საათი ჩემთან ერთად იყო. ალბათ იცით, გოგოებს მამების მიმართ განსაკუთრებული სიყვარული აქვთ. ხანდახან თუ მოვახერხებდი და სახლიდან გავეპარებოდი, ერთ ამბავს ტეხდა. ვარჯიშებზე, ბაზაზე ყოფნისას, სტუმრად, მეგობრებთან სუფრაზეც, სულ თან მყავდა. აკონტროლებდა რამდენს ვსვამდი, დედამისს აბარებდა მერე ანგარიშს *(იცინის)*. ნიკუშა უფრო ხელოვნებისკენ წავიდა, სპორტი საერთოდ არ აინტერესებდა. ანანო კი ბიჭად უნდა დაბადებულიყო, სუფთა გადარეულია. მინდოდა ნიკუშას ფეხბურთი ეთამაშა, მივიყვანე კიდეც, მაგრამ ჩემი ხათრით დადიოდა, საერთოდ, არანაირი სურვილი არ ჰქონდა. ერთხელაც მივედი ვარჯიშზე, რომ მენახა, რას შვრებოდა, მოვკიდე ხელი და წამოვიყვანე. არ ვარ ბრმა მამა და ზუსტად დავინახე, რომ მას არ ჰქონდა ამის მონაცემები. სამაგიეროდ, წარმატებით აკეთებს იმ საქმეებს, რომელიც მოსწონს. ლიზი კი ჯერ პატარაა, ჯერ პროფესია არ აურჩევია. ახლა ანანოს პატარა ნიკუშაც გვყავს. შვილიშვილი ეს სულ სხვა ფენომენი, სულ სხვა სიყვარული ყოფილა.

**– ახლა რას საქმიანობთ?**

– ამჟამად რეაბილიტაციის პერიოდი მაქვს და მერე შევხედავ სიტუაციას. ძალიან რთული ოპერაციები გამიკეთდა, ოთხი თვის განმავლობაში ცხრა ოპერაცია გავიკეთე, შვიდი – თბილისში ორი – თურქეთში. სტანდარტული ოპერაცია ექიმების დაუდევრობის გამო ისე გართულდა, ძლივს გადავრჩი. თურქეთის კლინიკის ექიმებმა მითხრეს, ერთი დღეც რომ დაგეგვიანებინათ, ველარ გადაგარჩენდითო. დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო ბიძინა ივანიშვილს, რადგან ეს ყველაფერი ძალიან დიდ თანხებს უკავშირდებოდა და მისი ფონდი დამეხმარა. ასევე, მადლობა ჩემი ოჯახის წევრებს, ჩემს უსაყვარლეს არველაძეებს, შოთი გვერდიდან არ მომშორებია. ოთხი თვე გათიშული ვიყავი, ცოტა ხანი კიდევ მჭირდება ფორმაში მოსასვლელად და მერე ისევ ფეხბურთს დავუბრუნდები.

**სალომე გველესიანი**

# ადვოკატი გირჩევთ



**რუბრიკას უძღვება ადვოკატი**
**ირაკლი გაბრიჭიძე**

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, ვინ შეიძლება ჩაითვალოს ოჯახური ძალადობის დანაშაულთა შემთხვევებში მოძალადედ და ვინ – მსხვერპლად?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ მოძალადე არის ოჯახის ის წევრი, რომელიც ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ოჯახის სხვა წევრის მიმართ. მსხვერპლია ოჯახის ის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური  ძალადობა ან იძულება. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, კონკრეტულად მსხვერპლი, შესაძლებელია, იყოს დედა, მამა, ბაბუა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები და მათი ოჯახის წევრები, მეურვე.



**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, რა ღონისძიებები და მექანიზმებია გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით კონკრეტული ოჯახური ძალადობის ფაქტების თავიდან ასაცილებლად?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ  ოჯახში ძალადობის აღკვეთისთვის გამოიყენება სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქოსამართლებრივი და ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმები. კერძოდ, სისხლისსამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ოჯახში ძალადობის იმ ფაქტის შემთხვევაში, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. სამოქალაქოსამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება შემაკავებელი ან დამცავი ორდერის გამოცემის სახით; აგრეთვე, მაშინ, თუ სამართალდარღვევა თავისი ხასიათით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების გამოყენებით.

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, ვინ გამოსცემს ოჯახური ძალადობის ფაქტზე დამცავ ორდერს?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. დამცავი ორდერი გამოიცემა 3 თვემდე ვადით. მისი მოქმედების კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს სასამართლო; ასევე, დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელების საკითხს განსაზღვრავს სასამართლო. დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია ორდერის მოქმედების პერიოდში და, დამატებით, არაუმეტეს 3 თვის ვადით, თუ არსებობს საფრთხე მსხვერპლის ან ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, ვინ გამოსცემს ოჯახური ძალადობის ფაქტზე შემაკავებელ ორდერს?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს. შემაკავებელი ორდერი გამოიცემა 1 თვემდე ვადით.

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, ჩაითვლებიან თუ არა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად ის პირები, რომლებიც პოლიტიკური შეხედულებების გამო ყალბი ბრალდებით ისხდნენ ციხეში?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად ჩაითვლება პირი, რომელიც მსჯავრდებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბი ბრალდების საფუძველზე, რაც დაკავშირებული იყო პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან, არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან, ასევე, სოციალურ, წოდებრივ ან რელიგიურ  კუთვნილებასთან.

**კითხვა**: **მაინტერესებს და გთხოვთ განმიმარტოთ, ზოგადად რა სახის ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს მხრიდან საკუთარ მოქალაქეებზე პოლიტიკური რეპრესიის განხორციელებად?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა იძულების სხვადასხვა ფორმა: სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება, სახელმწიფოდან გაძევება, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსება, მოქალაქეობის ჩამორთმევა, შრომაში იძულებით ჩაბმა, ქონების ჩამორთმევა და განადგურება, თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან უკანონო დათხოვნა, საცხოვრებლად გამწესება სპეციალური დასახლების ადგილებში, საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლება, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით, სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან მშვიდობიანი საშუალებებით.

**კითხვა**: **გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ, რა პროცედურების დაცვითა და გამოყენებით ხდება პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად  აღიარება?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება და მისი დარღვეული უფლებების აღდგენა ხდება სასამართლო წესით. კერძოდ, განცხადებას პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ უშუალოდ რეპრესირებული პირი, მისი კანონით მემკვიდრე ან მათი წარმომადგენელი წარუდგენს იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მუდმივად ან დროებით ცხოვრობს რეპრესირებული პირი ან მისი კანონით მემკვიდრე. განცხადება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთან, განცხადება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისგან.

**კითხვა**: **გთხოვთ, განმიმარტოთ, რას გულისხმობს ტერმინი „გადასახადების ადმინისტრირება“?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ  გადასახადების ადმინისტრირება არის გადასახადების გამოანგარიშებასთან, გადახდასა და დეკლარირებასთან, საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე, გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვასთან, ინფორმირებასთან და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფორმების, მეთოდებისა და წესების ერთობლიობა, რომლებსაც საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში.

# ინტიმური საუბრები

## ვერ გავიგე, საცოლემ რატომ მიმატოვა

რამდენი დაფიქრება გმართებს კაცს ყოველი სიტყვის თქმისას!.. ჯერ მაშინ, როცა ფხიზელი ხარ და, მით უმეტეს – ნასვამ მდგომარეობაში. თუმცა, მთვრალი კაცი წინასწარ რას განსაზღვრავ, შენს ბუტურს რა მოჰყვება.

მყავდა შეყვარებული, უფრო სწორად, საცოლე – ჯვრისწერა და ქორწილი უკვე დანიშნული გვქონდა. მე და სოფო კარგად ვგრძნობდით თავს ერთად და თითქმის არასდროს ვჩხუბობდით; ერთმანეთის მიმართ პრაქტიკულად არ გვქონდა პრეტენზიები, თუ არ ჩავთვლით სოფოს უკმაყოფილებას ჩემი ფიცხი ხასიათის გამო – ზოგჯერ სულ უმნიშვნელო რამეზე ისეთი აფეთქება ვიცოდი, შეურაცხადი ვხდებოდი, მაგრამ, ორიოდ წუთში ეს სიფიცხე გამივლიდა და ვითომ არც არაფერი მომხდარა. ასეთი ვიყავი. ამ მინუსის გარდა, სოფოსთვის ყოველმხრივ დახვეწილი ჯენტლმენი, ნამდვილი ქართველი რაინდი ვიყავი და, სხვათა შორის, გულში მქონდა კიდეც ამის პრეტენზია. სოფოს დაქალებიც ყველგან მაქებდნენ და აღფრთოვანებულები იყვნენ ქალების მიმართ ჩემი რაინდული საქციელით (ეს სოფოსგან ვიცოდი). და, ასეთი ავტორიტეტის პატრონმა, ერთხელ ისეთი საბედისწერო შეცდომა დავუშვი, სოფოც დავკარგე და რაინდის სახელიც (მისი დაქალების თვალში).

ერთ დღეს მე და სოფო ქორწილში დაგვპატიჟა ჩემმა მეგობარმა და იქიდან კარგა შეზარხოშებული წამოვედი. სოფოს ვთხოვე, ცოტა ფეხით გავისეირნოთ-მეთქი. ერთი ასი მეტრი რომ გავიარეთ, ქუჩის კუთხეში საშინელ ჩხუბს გადავაწყდით: ახალგაზრდა გოგო და ბიჭი ისე ჩხუბობდნენ, იქაურობა ჰქონდათ აკლებული. უფრო სწორად, გოგო უკიოდა ბიჭს რაღაც სალანძღავ სიტყვებს და თან ურტყამდა. გოგოს მოქნეული ხელი ბიჭს ხან მხარში ხვდებოდა, ხან – სახეში, ის კი, იმის ნაცვლად, გაბრაზებულიყო, მხოლოდ ხელებს უჭერდა და ეხვეწებოდა, დაწყნარდი და მომისმინე, ყველაფერს აგიხსნიო.



ჩვენ მათ საქმეში არ ჩავრეულვართ, უხმოდ ჩავუარეთ – შეყვარებულების ჩხუბში ჩარევა სისულელეა. ცოტათი რომ გავცდით, ერთი შემთხვევა გამახსენდა და ხმამაღლა გამეცინა. სოფომ მკითხა, რაზე იცინიო და მეც, სულელივით მოვუყევი: ერთხელ, ბიჭობაში, ერთმა ნაშამ სახეში გამარტყა და ისე ვცემე შუა ქუჩაში, გამვლელს რომ არ გავეჩერებინე, შემომაკვდებოდა-მეთქი. სოფო გაოგნდა და ჩამეკითხა – ქალს ურტყამდიო? ქალი კი არა, ნაშა იყო-მეთქი, ვუთხარი და ისევ გავიცინე, მაგრამ, სიცილი სახეზე შემეყინა, მაშინვე გამოვფხიზლდი, სოფოს გაოგნებული თვალები რომ დავინახე. მერე კი მითხრა: მეც სიამოვნებით გაგარტყამდი, მაგრამ, მეშინია, იმ ნაშასავით არ გამიდო ფეხქვეშ. ამიტომ, ცემა-ტყეპის გარეშე, კატეგორიულად გეუბნები, ჩემთან არც დარეკვა და არც მოსვლა აღარ გაბედო, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდა. კარგია, რომ დროულად გავიგე, ვინც ყოფილხარო. მერე ნიშნობის ბეჭედი სახეში მესროლა და წავიდა.

ასე უაზროდ დავკარგე საცოლე და დღესაც ვერ ვხვდები, ვიღაც ნაშის გამო ასე რატომ გამიბრაზდა.

**გუჯა, 33 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78.**
**ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com**
**ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

## ნათელმხილველი ნინო ვარსიმაშვილი – მომავლის განჭვრეტის ფენომენალური უნარი

*მკითხველის ინტერესის გათვალისწინებით, გთავაზობთ მცირე ინტერვიუს ნინო ვარსიმაშვილთან, რომელიც თბილისში ცნობილი ნათელმხილველი და ბიოენერგეტიკოსია.*

**– ქალბატონო ნინო, თქვენ ეხმარებით ადამიანებს ეკონომიკური და ფინანსური პრობლემების დაძლევაში, მომავლის განჭვრეტაში, ბედის გახსნაში... როდის დაიწყო თქვენს ცხოვრებაში ეს ყველაფერი?**

– 30 წლის წინ, როდესაც ერთი პატარა პროვინციული ქალაქის თეატრში ვმუშაობდი. ტვინის ძალიან მძიმე დიაგნოზით რეანიმაციულ განყოფილებაში მოვხვდი. ჩემი გადარჩენა მხოლოდ ღმერთის ნება იყო. მდგომარეობიდან გამოსულმა, საკუთარ თავში აღმოვაჩინე უნარი, რომელმაც თავიდან შემაშინა – ყველაფერს წინასწარ ვხვდებოდი, რაც ჩემს ახლობლებს ელოდათ. მალე წრე გაიზარდა – ჩემთან მეზობელი რაიონებიდან დაიწყო ხალხმა ჩამოსვლა. სწორედ იმ პერიოდში, ჩემთან მოვიდა უცნობი ადამიანი და გამომიცხადა, რომ მომაკითხა სოფელ კაბალში მცხოვრები მოხუცი მამაკაცის დავალებით, რომელიც ჩემთან შეხვედრას ითხოვდა. სოფელში დამხვდა უხუცესი, 81 წლის ადამიანი და მასწავლა, თუ როგორ გამეგრძელებინა მისი გზა, რომელიც ნათელხილვასთან იყო დაკავშირებული. მას ჩემი არსებობა ხილვაში ჰქონდა ნანახი. იმ პერიოდიდან მე მეხმარება ამ ადამიანის მიერ გადმოცემული სპეციალური ლიტერატურა და თილისმები, რომლებსაც 16 კომპონენტისგან ვამზადებ. ჩემი ნათელხილვები მოიცავს ყველა იმ პრობლემას, რაც აწუხებთ ადამიანებს: ვმუშაობ ოჯახის აღდგენასა და დაკარგული პიროვნების დაბრუნებაზე, ჯადოს მოხსნაზე, ჩაკეტილი ბედის გახსნაზე, ფინანსურ კეთილდღეობაზე – ადამიანთა უმეტესობას დღეს სწორედ ეს პრობლემები აწუხებს. მინდა გითხრათ, რომ არსებობს უამრავი მეთოდი, რომლითაც ჯადოსა და ბოროტი ძალების განეიტრალება შეიძლება.

**– როგორც ვიცი, თქვენ, ასევე, კურნავთ ნევროზს, შიშს, მიდრეკილებას ალკოჰოლისადმი და დაქვეითებულ სექსუალურ პოტენციას.**

– დიახ. ეს ცოდნა იმ მოხუცისგან გადმომეცა, თუმცა, შემდეგ თავადაც დავამატე მკურნალობის ახალი მეთოდი. ამ დაავადებების სამკურნალოდ ძალიან ეფექტურია მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული ნაყენი. მკურნალობის კურსი ინდივიდუალურია, შედეგი ყველა შემთხვევაში – ეფექტური.

*ნინო ვარსიმაშვილთან ყოველთვის ხალხმრავლობაა, აქ ბევრ საოცრებას მოისმენთ ქალბატონი ნინოს შესახებ. რამდენიმე ადამიანმა ჩვეთანაც არ დამალა თავისი შთაბეჭდილებები. გაგაცნობთ ერთ-ერთ მათგანს.*

**მადონა კ-შვილი** *(49 წლის, თბილისი)* – ნინოს ათ წელზე მეტია, ვიცნობ. მასთან ჩემმა მეგობარმა მომიყვანა, რომელსაც დაკარგული ქმრის დაბრუნებაში დაეხმარა. მაშინ ვირწმუნე მისი ძალა. მერე ჩემს ოჯახს შეექმნა ფინანსური პრობლემები – ჩემი მეუღლე პარტნიორმა მოატყუა და დიდ ვალებში გადავვარდით. ორი-სამი ვიზიტის მერე ყველაფერი კარგად წაგვივიდა. როდესაც ქალბატონი ნინო საბერძნეთსა და რუსეთში წავიდა თავისი კლიენტების მიწვევით, ძალიან დაგვაკლდა მისი აქ არყოფნა. მიხარია, რომ დღეს ისევ თბილისშია და თავისი უნარით უამრავი ადამიანის დახმარებას ცდილობს.

*უბარაქობა გჭირთ? ოჯახური პრობლემები გაქვთ? უბედობა გაწუხებთ? მიმართეთ ქალბატონ ნინოს და თავად დარწმუნდით მის ფენომენალურ ნიჭში.*

**დარეკეთ ტელეფონებზე: 5 99-003-006; 5 97-826-868 (ჩაწერა წინასწარ). პირველი კონსულტაცია უფასოა.**



**იმ ყველაფრის მერე, რაც ბოსტონში იყო, ამის აღქმა და ამასთან შეუგუება ცოტა რთულია**

**იანვარში, ბერკლის მუსიკალურ კოლეჯში სემესტრის წარმატებით დახურვის შემდეგ, ვაჟა მანია თბილისში დაბრუნდა, რადგან მისი მომავალი სწავლის დაფინანსების საკითხი გასარკვევი იყო. მაგრამ, ეს პერიოდი ცოტა დიდხანს გაიწელა და ვაჟას ერთი სემესტრის გამოტოვება მოუწია. თუმცა, ახლახან განათლების სამინისტრომ ეს საკითხი დადებითად გადაწყვიტა, ნიჭიერ მომღერალს სწავლის გადასახადი დაუფინანსეს და მაისში ის ბოსტონში სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრება.**

# რა ნაუგია ქალების გამო ვაჟა მანიას და ვინ მოახდინა მის ცხოვრებაში გარდატეხა

**ვაჟა მანია**: ჩამოსვლისთანავე მზად ვიყავი, სწავლა კვლავ გამეგრძელებინა. დაქოქილი ვიყავი და უცებ, რაღაც პერიოდის განმავლობაში გავჩერდი. თუმცა, თავს იმის საშუალება არ მივეცი, რომ სულ გავჩერებულიყავი. პირიქით, ვმღეროდი, ვმეცადინეობდი. 2 სემესტრი უკვე დამთავრდა, ახლა იწყება – მესამე. რამდენიმე დღის წინ განათლების სამინისტროდან შემატყობინეს, რომ სწავლის გადასახადს მიფინანსებენ, ძალიან გამიხარდა.

**– როდესაც ბერკლიში აპირებდი ჩაბარებას, ამერიკაში გამგზავრებისას, მაშინაც ბევრი სირთულე შეგხვდა.**

– ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ ორი ნაბიჯი უნდა გადავდგა წინ და მერე – ხუთი უკან. სულ ვფიქრობ, ის ჩავარდნა, რომელიც ჩემს ცხოვრებაშია, კარგად გამოვიყენო. ანუ, ასეთ დროს არასდროს ვჩერდები, პირიქით, ბოლომდე ვიყენებ – რაღაცას ვაკეთებ, სხვანაირად არაფერი ხდება. თუ რაღაც წარმატებას მივაღწევ, მერე ვიცი, რომ წინ აუცილებლად მექნება წინააღმდეგობები, დიდი პაუზა. ახლაც, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმეთვიანი პაუზა გამომივიდა, ის მუხტი, რაც ჩამოსვლისას მქონდა, არ დამიკარგავს. თან, ჩემი ნამღერი თბილისში სხვადასხვანაირად შეაფასეს. ზოგიერთმა მითხრა – გაზრდილი ხარ, იქაური სწავლა დაგტყობიაო და ეს, რა თქმა უნდა, უფრო მეტ მუხტს მაძლევს.

**– გამოტოვებულ სემესტრებს ზაფხულში აიღებ?**

– ზამთრის სემესტრი გამოვტოვე და ახლა ზაფხულის სემესტრს ავიღებ, ანუ ჩავანაცვლებ. რეგისტრაცია უკვე გავიარე. ყოველდღე მაქვს მათთან მიწერ-მოწერა. გამიხარდა, რომ დაფინანსება მომცეს, რადგან უკვე ერთი რელსიდან მინდა მეორეზე გადავიდე. თან, უკვე ვჭვრეტ, საით უნდა წავიდე და იმ ტემპთან შეგუება, რომელიც აქ არის, ჩემთვის ნამდვილად დამღუპველია. იმდენად მიყვარს ეს საქმე, ვერასდროს გავჩერდები და ვერც დავნებდები.

**– როგორ გაატარე ეს სამი თვე? ამერიკული დატვირთული ტემპის შემდეგ, აქ საქმის გარეშე ყოფნა არ იქნებოდა ადვილი.**

– რთული იყო ძალიან, რადგან უცებ მოვწყდი ყველაფერს, თბილისში, ჩვეულებრივი ცხოვრების ტემპს დავუბრუნდი. პასიურად ვიყავი – შეიძლება კლუბში, ხანდახან მემღერა. ამიტომ, იმ ყველაფრის მერე, ძნელი იყო ამ რიტმთან შეგუება. თან, იქ სულ დაკავებული ვიყავი, ვსწავლობდი, ცოტა თავისუფალი დრო მქონდა. ბევრჯერ მითქვამს, რომ თბილისი მაზარმაცებს-მეთქი. შეიძლება, მთელი დღე ვიმეცადინო, მაგრამ მერე ამის რეალიზებას ვერ ვახდენ. ჩემი გადმოსახედიდან, კლუბში სიმღერა უკვე ძალიან რთულია. არავის ვაყენებ შეურაცხყოფას, მაგრამ კლუბში სიმღერამ თავისი დრო მოჭამა. როცა შემოქმედი ხარ, ყოველთვის ის კი არ გინდა, როგორმე გაქაჩო და კლუბში იმღერო, არამედ გინდა, დიდ სცენაზე გაიტანო შენი შემოქმედება და ხალხს გააცნო. ვიღაცამ, შეიძლება, მითხრას: მერე ვინ გიშლის, იმღერეო. მაგრამ ამას ბევრი რამ უნდა: სათანადო ცოდნის მიღება, სხვადასხვა გარემოება.

**– სამწუხაროდ, საქართველოში ჯაზი მაინცდამაინც არ არის პოპულარული.**

– კი. და ამაში ცოტა ხნის წინაც დავრწმუნდი. „იუნესკომ“ დააწესა ჯაზის საერთაშორისო დღე. „ივენთ ჰოლში“ ვიმღერე „ბიგ ბენდთან“ ერთად, კიდევ რამდენიმე ჯაზტრიოც უკრავდა. დარბაზი სავსე იყო. იმ დროს სტამბულში ამ დღესთან დაკავშირებული კონცერტი გაიმართა – ჰერბი ჰენკოკი, ჯონ დიუკი და ძალიან ბევრი მუსიკოსი იყო ჩასული. ჩვენი კონცერტის შემდეგ ამ კონცერტის პირდაპირი ტრანსლაცია უნდა მომხდარიყო. როგორც კი დამთავრდა კონცერტი და დაიწყო ჩართვა, ხალხი წავიდა. „ივენთ ჰოლში“, მაქსიმუმ, 15 კაცი დავრჩით. დავრწმუნდი, რომ საქართველოში ხალხს არ უყვარს ჯაზის ბუნებრივად მოსმენა. შეიძლება, „ლაივზე“ მოვიდეს, მოუსმინოს რაღაცის, ან ვიღაცის ხათრით, მაგრამ არ აქვთ ჯაზის მიმართ დიდი ინტერესი. იმ ყველაფრის მერე, რაც ბოსტონში იყო, ამის აღქმა და ამასთან შეუგუება ცოტა რთულია. ახალ კლუბში რომ უნდა მემღერა, ყოველთვის იდგა ის მომენტი – მოდი, „პაპსა“ გავაკეთოთ, რადგან ხალხს უყვარს, თან, ადვილი გასაგები და მოსასმენიაო. მაგრამ, მე ყოველთვის ვაკეთებდი იმას, რაც მომწონდა და ხალხი იმას იღებდა, რასაც ვაკეთებდი. თან, რაც მთავარია, ყველა იგებდა. რთულია, მომღერალმა გააკეთო ის, რაც არ მოგწონს, მხოლოდ მასაზე იმუშაო – ეს ჩემთვის მიუღებელია.

**– პრინციპული ხარ?**

– მუსიკასთან მიმართებაში პრინციპული არასდროს ვარ. შეიძლება, რაღაც „პაპსა“ იყოს, მაგრამ შენებურად შეხედო, შემოატრიალო. მუსიკასთან კრიტიკულიც არ ვარ, რადგან სხვა გზა რომ არ მქონია, ბევრი რამ მიმღერია. ადამიანებთან ურთიერთობაში ვარ პრინციპული, თან, ძალიან. თუმცა, დამთმობიც ვარ. სიმღერასთან დაკავშირებით, ერთადერთი, შეიძლება, რესტორანში არ წავიდე და არ ვიმღერო „დარი დური“. რაც შეეხება ადამიანებთან ურთიერთობასა და გადაწყვეტილებებს, ძალიან პრინციპული ვარ. ყოველთვის იმას ვაკეთებ, რაც სწორად მიმაჩნია. ბავშვობაშიც იმას ვაკეთებდი, რაც მინდოდა, თუნდაც მუსიკის შემთხვევაში. დედაჩემი მეუბნებოდა: რად გინდა მუსიკა, რა უნდა გააკეთო ამ სფეროში. განსაკუთრებით 10-15 წლის წინ მეუბნებოდა ამას, როცა უფრო ცუდი სიტუაცია იყო. მაგრამ მაინც ჩემი გავიტანე და გავაკეთე ის, რაც მინდოდა. ყოველთვის პრინციპული ვიყავი და ვიქნები. მაგრამ, დამჯერიც ვარ, შემიძლია, სხვისი აზრი გავითვალისწინო. თუმცა, ვისთვისაც დამიჯერებია, მერე ყოველთვის შევმცდარვარ. მით უმეტეს, ქალს თუ დავუჯერე, თან ყოყმანისას, ჩათვალე, რომ წავაგებ. ასეა, სულ ვუჯერებ და მერე ვაგებ. თუ არ ვყოყმანობდი და ისე დამიჯერებია, მაშინაც წამიგია. არ ვიცი, შეიძლება, რაღაცეებში უნდა დაუჯერო ქალს, მაგრამ ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, უკვე 25 წლის ვარ, თუ ქალისთვის დამიჯერებია, არ დავულუპივარ, მაგრამ წამიგია.

**– მერე საყვედურობ ხოლმე?**

– საკუთარ თავს უფრო ვსაყვედურობ, ვიდრე ქალებს. პასუხი რომ მოვთხოვო, რა აზრი აქვს, მეტყვის: რას მიჯერებდი, გაგეკეთებინა ის, რაც გინდოდაო. მოკლედ, ის, რაც მე მეხება, მე უნდა გავაკეთო, რადგან სხვას ვერ მოვთხოვ პასუხს. ჩემი მშობლებისთვის, რომ დამეჯერებინა, მაშინ სულ სხვა პროფესიას ავირჩევდი. თუმცა, დღეს ამბობენ: ჩვენ როდის გეუბნებოდითო. ამის გამო გარკვეული დაძაბულობაც კი იყო, რადგან სამი წლის განმავლობაში, დილის 7 საათზე გავდიოდი და ღამის 11 საათზე ვბრუნდებოდი სახლში. თან, შედეგი არ ჩანდა. მაგრამ, მე ვიცოდი, რომ ეს წლები არ იყო დაკარგული და შედეგი აუცილებლად დადგებოდა. არასდროს ვნანობ იმას, რაც გამიკეთებია და არ ვფიქრობ ისე, რომ ცხოვრებაში ვიღაცეებს დავაბრალო: ის რომ არ შემხვედროდა იმ მომენტში, შეიძლება, ყველაფერი სხვაგვარად წასულიყო და ასე შემდეგ. დღევანდელი წარმატება ჩემი მეგობრებისა და გარემოების დამსახურებაა.

**– რომ არ ყოფილიყავი მომღერალი, ვინ იქნებოდი პროფესიით?**

– სპორტსმენი, ან სტომატოლოგი. ერთი პერიოდი, მინდოდა, სტომატოლოგი ვყოფილიყავი, მაგრამ, მერე მეგობრებმა მითხრეს: შენ რასაც აკეთებ, ის გააკეთეო და იმ მომენტში გადამარჩინეს. სტომატოლოგია აღარც გამხსენებია. კოლეჯი, რომ დავამთავრე, მერე ყველაფერი უაზროდ მეჩვენებოდა. უცებ მარიკომ დამირეკა „მარჯანოვში“ ტრომბონისტი გვჭირდება და მოხვალო? მივედი, მერე იქ მარინა ბერიძე მოვიდა, შემომთავაზეს, ამ კონკურსში ხომ არ გამოხვალო; მერე მეორეზე შემომთავაზეს და ასე აეწყო ყველაფერი. მარიკოს რომ არ დაერეკა, სხვაგან წავიდოდი, შეიძლება გავჩერებულიყავი კიდეც. მერე „მარჯანოვში“ მოვიდა ადამიანი – ბერკლიში არ წახვალო და ამაზე სულ გავგიჟდი. წავედი, რამდენჯერმე არ გამიმართლა და ბოლოს ჩავაბარე. მოკლედ, ასე მიება ყველაფერი ერთმანეთს. ადრე, როცა რაღაც არ გამოდიოდა, უფრო ვნერვიულობდი, ნერვებზე ვითხრებოდი, მაგრამ ახლა, უკვე შევეგუე. რაც ხდება, ასე უნდა იყოს ცხოვრებაში. შესაბამისად, რაც არ უნდა მოხდეს, უფრო უარესსაც კი შევეგუები. სულ რომ გაჩერდეს ყველაფერი, მშვიდად შევხედავ. ვფიქრობ, ძლიერი ადამიანი ვარ და არასდროს ვჩერდები, წინ ვიხედები და სულ ვხედავ პერსპექტივას, ნათელ ფერებში ვერა, მაგრამ მინდა, რომ ასეთი იყოს. ამაზე ფიქრი ხანდახან მთრგუნავს და ამ დროს ვიღაცის დახმარება სულ მჭირდება, რომ მომაწვეს ზურგიდან, შემომძახოს. ესენი უფრო მეგობრები, მუსიკოსები არიან, ვისაც ჩემი სჯერათ და სხვანაირად მაფასებენ.

**სულ რომ გაჩერდეს ყველაფერი, მშვიდად შევხედავ. ვფიქრობ, ძლიერი ადამიანი ვარ და არ ვჩერდები არასდროს, წინ ვიხედები და სულ ვხედავ პერსპექტივას**

**ნათია უტიაშვილი**

**სააგენტო „ლუქ მოდელსის" მოდელი გიო ჩხეიძე ცოტა ხნის წინ ჩინეთიდან დაბრუნდა – ის ორი თვე იმყოფებოდა შანხაიში, სადაც, 19 წლის ქართველი მოდელი ჩინეთის ერთ-ერთი სამოდელო სააგენტოს ინიციატივით მოხვდა. როგორც შევიტყვეთ, იქ ყოფნის დროს, ჩვენი რესპონდენტის მიმართ საკმაოდ დიდი იყო ინტერესი და ორი თვის განმავლობაში არაერთ ქასთინგსა თუ ფოტოგადაღებაში მიიღო მონაწილეობა.**

# რის გამო გახდა გიო ჩხეიძე შანხაიში მოთხოვნადი მოდელი და რატომ უხდიან მას ფულს გართობაში



ძალიან ბევრჯერ გამირისკავს და შედეგიც კარგი მიმიღია

**– მართალია, მოდელის პროფესია საკმაოდ პოპულარულია საქართველოში, მაგრამ, ჩვენთან მამაკაცი მოდელების დეფიციტი მაინც არის.**

– რატომ, ბოლო დროს უკვე ბევრი ბიჭი მოდელია საქართველოში. სამი წლის წინ, როცა მოდელობა დავიწყე, უკვირდათ – კაცი მოდელი როგორ არისო, მაგრამ, მას მერე ყველაფერი შეიცვალა და ახლა აღარ უკვირთ. ჩემი სამოდელო კარიერა „ნატალიში" დაიწყო. მოგვიანებით „ლუქ მოდელსში" გადმოვედი და ამით სწორი არჩევანიც გავაკეთე, რადგან, ძალიან კარგი პირობები გვაქვს. ახალი გადმოსული ვიყავი, რომ შანხაიდან მოვიდა მოწვევა, სააგენტომ გამიშვა და იქ ორი თვე ვიყავი.

**– მერე, როგორი იყო გამოუცდელი მოდელისთვის პირველი საქმიანი გასვლა ქვეყნიდან?**

– თავიდან ძალიან გამიჭირდა, მაგრამ, მალევე შევეჩვიე იქაურ სამუშაო რიტმს. ძალიან ბევრს ვმუშაობდი, მართლა არ მეგონა, ამდენი საქმე თუ მექნებოდა. ჩემი დილა თითქმის ყოველდღე დილის 7 საათზე იწყებოდა. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ მათი სამზარეულო არ მომწონდა და თითქმის ვერაფერს ვჭამდი. გავხდი კიდეც შანხაიში ყოფნის პერიოდში.

> **ქართველ მოდელებს გაუხარდათ, 100 ლარი ერთ ჩვენებაზე მაგარიაო, არადა, იქ ერთ ჩვენებაში 700-800 დოლარს გიხდიან**

**– რადგან საქმე ბევრი გქონდა, გამოდის, რომ მოთხოვნადი მოდელიც ყოფილხარ მათთვის.**

– კი, ნამდვილად ასეა.

**– როგორ ფიქრობ, რა მოეწონათ მათ შენში, რაც სხვაში ვერ დაინახეს?**

– ალბათ, ვიზუალური მხარე, პოზირება და საერთოდ ყველაფერი. საკმაოდ დატვირთული ვიყავი, სხვადასხვა ქალაქშიც მიწევდა გადაადგილება. მართლა სერიოზული მუშაობა მიდიოდა. აქ მოდელობა ჰობის დონეზეა, იქ კი – ჩვეულებრივი სამსახური.

**– ქართველი მარტო შენ იყავი?**

– ბიჭი მარტო მე ვიყავი. ჩვენი სააგენტოდან ჩემთან ერთად კიდევ ორი გოგონა იყო. მართალია, დღის განმავლობაში ერთად არ ვიყავით, მაგრამ, ერთ სახლში ვცხოვრობდით და საღამოს ვხედავდით ერთმანეთს.

**– ამ ეტაპზე რა გეგმები გაქვს?**

– ჩინეთიდან ჩემს ფოტოებს ველოდები, მერე კი უკვე ევროპისკენ ავიღებ გეზს.

**– ის მომენტი, რომ თვეობით იყო საქართველოდან წასული, პრობლემა არ არის? მაგალითად, ბევრს ოჯახისგან შორს ყოფნა არ შეუძლია და ნოსტალგია აწუხებს.**

– ჩემთვის ეს პრობლემა არ არის. თავიდან, როგორც წესი, ყველას უჭირს, მაგრამ, მერე ყველაფერს ეჩვევი და აღარც ფიქრობ, შინ როდის დაბრუნდები.

**– ჩინეთში ყოფნის დროს ენის ბარიერი არ გქონდა?**

– მართალია, სხვადასხვა ქვეყნიდან იყვნენ მოდელები ჩამოსული, მაგრამ, ინგლისური ყველამ იცოდა. ამიტომ, არც ენის ბარიერის პრობლემა მქონია მათთან. რუსები და უკრაინელებიც იყვნენ და მათთან ურთიერთობა ხომ საერთოდ არ გამჭირვებია, რადგან, მე თვითონ ნახევრად რუსი ვარ.

**– მოდელის პროფესიას რა პლუსი აქვს შენთვის?**

– ჩემთვის მოდელობა ჩვეულებრივი სამსახურია: თან ვერთობი, თან ფულსაც მიხდიან. ფაქტობრივად, გართობაში გიხდიან. შანხაიში რომ ვიყავით, მაგალითად კლუბში თუ გავიდოდით, დასალევი უფასოდ გვქონდა. მათი აზრით, იმ მომენტში მათი კლუბის რეკლამას აკეთებ. თავიდან ძალიან გამიკვირდა ამ ფაქტის წინაშე რომ დავდექი. იქ მოდელებისთვის ცალკე გართობებია, აქ კი, გადაგიხდიან კი არა, ფეისკონტროლი თუ ვერ გაიარე, შეიძლება, საერთოდ არ შეგიშვან. ძალიან მომეწონა მოდელების მიმართ ის ყურადღება, რაც შანხაიში დავინახე. ძალიან დაფასებულები არიან. სიამოვნებით წავიდოდი კიდევ ერთხელ. ვნახოთ...

**– რამე კრიტერიუმები თუ გქონდა შანხაიში ყოფნის დროს, რაც არ უნდა დაგერღვია?**

– რომ ჩავედი, გრძელი თმა მქონდა და ახალი ვარცხნილობა თავად შემირჩიეს, რომელიც ძალიან მომეწონა. კიდევ რა... არ უნდა გავსუქებულიყავი, რაც ჩემთვის პრობლემა არ იყო – იმდენად არ მომწონდა ჩინური სამზარეულო, რომ დავიკელი კიდეც წონაში. ბოლოს უკვე თვითონ ვიმზადებდი საჭმელს, თან, დამოუკიდებელ ცხოვრებასაც შევეჩვიე. ასე რომ, შანხაიში ყველანაირად კარგი იყო.

**– განსაკუთრებით რომელი ფერი მოგწონს?**

– მომწონს ის ფერი, რომელიც მიხდება, უფრო – ღია ფერები.

**– როგორ ახერხებ სწავლის პარალელურად ამდენი ხნით ქვეყნიდან გასვლას, ხელი არ გეშლება?**

– ევროპულ აკადემიაში ვსწავლობ ინფორმატიკის ფაკულტეტზე. ჩემს საქმიანობაში სწავლა ხელს არ მიშლის, რადგან, თავისუფლად ვახერხებ ორივეს ერთად.

**– საქართველოში თუ იგეგმება რამე ჩვენება?**

– არ ვიცი, აქ, მგონი, საერთოდ არაფერი ხდება. საქართველოში მოდელი ცოტა სხვა რამეა, მგონი, უფრო ფსევდონიმის დონეზეა ეს პროფესია. თუ არ ვცდები, ნაზღაიძემ გადაუხადა აქ ყველაზე მეტი თანხა მოდელებს – 100-100 ლარი. ქართველ მოდელებს გაუხარდათ – 100 ლარი ერთ ჩვენებაზე მაგარიაო, არადა, იქ ერთ ჩვენებაში 700-800 დოლარს გიხდიან. იმედია, ოდესმე აქაც გამოსწორდება მდგომარეობა, თუმცა, ამას 20 წელი მაინც დასჭირდება.

**– დამწყებ ან უკვე მოქმედ მამაკაც მოდელებს რას ეტყოდი?**

– ადრეც ვთქვი და ახლაც ვიტყვი: თუ ვინმეს ამ სფეროში წარმატება უნდა და მონაცემებიც ხელს უწყობს, „ლუქ მოდელსში" გადმოვიდეს. თბილისის ყველა სააგენტო ვიცი და, ჩემი აზრით, იქ მომუშავე მოდელებს არანაირი პერსპექტივა არ აქვთ – უფასო ჩვენებებზე გაივლიან და მოდელი ჰგონიათ თავი. მთელი გულით ვურჩევ ყველას, დროს ნუ დაკარგავენ, გადმოვიდნენ „ლუქ მოდელსში" და გახდნენ წარმატებულები. დამწყებ მოდელებს კი ვურჩევდი, ცხოვრებაში გარისკონ. მე გავრისკე და რაღაცას მივაღწიე.

**– საერთოდ, რისკიანი ხარ?**

– კი, ძალიან ბევრჯერ გამირისკავს და შედეგიც კარგი მიმიღია. მიზანდასახული ადამიანი ვარ, რაც ცხოვრებაში აუცილებელია.

**მარიკა ხიდურელი**



# როდის ცდებიან ქალებში მამაკაცები მწარედ და რა ატყუებთ მათ

**ადამიანი ძალიან შორს არის იდეალურობისგან. შეუძლებელია, იცხოვრო შეცდომების გარეშე; შეუძლებელია, იყო ყოველთვის ყველაფერში გამორჩეული და უნაკლო. ისე ვართ მოწყობილი, რომ ვერასოდეს ვიქცევით სრულყოფილ არსებებად. ყველაფერი შეფარდებითია და ერთი მეორეს აბალანსებს. თუმცა, ყველა ადამიანში შეიძლება იპოვო რაღაც, რისთვისაც მას შეიყვარებ და სხვებისგან გამოარჩევ. შემცდარია ის, ვინც იდეალურ პარტნიორს ეძებს. ჯერ ერთი, თავადაც უნდა იყოს იდეალური და მეორეც – იდეალურობისა თუ სრულყოფილების პარამეტრები ჯერ არავის დაუდგენია. ისეც ხშირად ხდება, რომ, იდეალის ძიებაში გართულნი (როგორც ქალები, ისე მამაკაცები), ბოლოს სრულიად მარტონი აღმოჩნდებიან ხოლმე და მაშინღა ხვდებიან, სად დაუშვეს შეცდომა.**

**გიგა** ***(37 წლის):*** მე არ ვიცი, სხვა მამაკაცების შემთხვევაში როგორ არის საქმე, მაგრამ, მე ყოველთვის მქონდა ოცნება – ცხოვრების თანამგზავრად მეპოვა ქალი, რომელიც ყველანაირად „ჩემიანი“ იქნებოდა. თანაც, ზუსტად დაემთხვეოდა ჩემს წარმოდგენებს იდეალური ქალის შესახებ.

**– იდეალური ქალები, ან, ზოგადად, იდეალური ადამიანები არსებობენ?**

– მე დარწმუნებული ვიყავი, რომ არსებობდნენ, ოღონდ, მარტო ქალები. ვამტკიცებდი, ქალი გაცილებით სრულყოფილი არსებაა ჩვენზე და, თუკი მოინდომებ, ასეთს აუცილებლად შეხვდები და მერე შენც იდეალური გახდები მის გვერდით-მეთქი. მეგობრებს ეღიმებოდათ და ჭკუას მარიგებდნენ: ვინც გიყვარს, იდეალურიც ის გგონია, თორემ, ბოლოს მაინც ყველა ქალი ერთნაირიაო.

**– ისევე, როგორც ყველა კაცი...**

– პრინციპში, გეთანხმებით. კაცი ყოველთვის მაინც კაცია, როგორი „ნავაროტკებიც“ არ უნდა ჰქონდეს, ქალი კი „სხვა შემთხვევა“ მეგონა. ჩემთვის განსაკუთრებული „ნიმუში“ მინდოდა – სრულყოფილი და ყველა ღირსებით შემკული: ლამაზი, ყურადღებიანი, მხიარული, კარგი დიასახლისი, ვნებიანი საყვარელი, ჩუმი და მორიდებული, ერთგული...

**– სრული პაკეტი გდომებიათ, მართლაც ყველა „ნავაროტკით“.**

– ჰო, ვაღიარებ, რომ მეტისმეტად პრეტენზიული გახლდით ქალის საკითხში. მე არ ვეთანხმებოდი იმ აზრს, რომ, როცა ქალი გიყვარს, ის ყველა სხვა ქალზე ლამაზი ხდება შენთვის.

**– რატომ?**

– იმიტომ, რომ სიყვარულით გალამაზებული ადამიანი არ გამიგია. ჯერ უნდა დაინახო და მოგეწონოს. ლამაზი არის ლამაზი და ეს ფაქტია. ბევრი კაცი სწორედ მაშინ უშვებს დიდ შეცდომას, როცა ცოლს სხვა კრიტერიუმებით ირჩევს, სილამაზე მეორე პლანზე გადააქვს, მერე კი ლამაზ ნაშებში დარბის. რა ჰქვია ამას? რას ნიშნავს, ცოლი ლამაზი კი არ უნდა იყოს, მთავარია, შეეხედებოდეს?! რა სისულელე და უგუნურებაა!

**– ადამიანები ხომ მარტო გარეგნული მონაცემების გამო არ უყვარდებათ. თანაც, ხომ არსებობს „ინდივიდუალური გემოვნება“?**

– რა თქმა უნდა, ყველა კაცისთვის რომ ერთი და ორი ქალი იყოს ლამაზი, საშინელება მოხდებოდა. ჩემს ძმას, მაგალითად, ყოველთვის აზიური გარეგნობის ქალები მოსწონდა და მოსწონს. მაგრამ, სილამაზეს ქერა ქალშიც ხედავს. ეს აბსოლუტურად სხვა რამეა და მე ამას არ ვგულისხმობდი.

**– ყველა კაცს ვერ ეყოლება ცოლი მოდელის გარეგნობითა და პარამეტრებით.**

– მე მინდოდა, რომ მყოლოდა, მაგრამ, თაცარიელ თოჯინაზეც არ ვიყავი თანახმა. 30 წელს იმიტომ გადავაბიჯე დაუოჯახებელმა, რომ ჩემს იდეალს ვეძებდი.

**– ეს შეცდომა იყო?**

– აღმოჩნდა, რომ იყო შეცდომა. მომწონდა მაღალი, ძალიან თხელი და სიფრიფანა აღნაგობის, ნაზი და ქერა გოგონები. წარმოიდგინეთ, შევხვდი ასეთს, მაგრამ, მაშინვე არ დავფეთებულვარ მასზე. კარგა ხანს ვაკვირდებოდი და ვსწავლობდი მის ხასიათს, უნარ-ჩვევებს... ალბათ, თქვენზე ცუდ შთაბეჭდილებას ვტოვებ, მაგრამ, ვცდილობ, ბოლომდე გულახდილი ვიყო. ჩემი ცოლი (მე ის ცოლად შევირთე) კონკიას ზღაპრიდან გადმოსულს ჰგავდა. საკუთარი იღბლის არ მჯეროდა. მზეთუნახავი ოქროსფერი თმით (თმის ფერიც, სხვათა შორის, როგორც მისი ბევრი სხვა თვისება ნატურალური არ აღმოჩნდა), მწვანე თვალებით... ვეუბნებოდი საკუთარ თავს: აი, ის, ვისაც მთელი ცხოვრება ველოდი, ჩემი ოცნება, ჩემი იდეალი-მეთქი.

**– როგორ გაიცანით?**

– მე საკმაოდ დიდ ოფისში ვმუშაობ, უფრო სწორად – დიდ შენობაში, სადაც ბევრი ოფისია. სასადილოში ჩემს თანამშრომელთან ერთად ჩავედი პიცის საჭმელად და პირდაპირ თავზე წამომადგა. რომ შევხედე, ლამის ენა ჩამივარდა, ისეთი ლამაზი იყო.

**– თქვენს მეგობარსაც ასე დაემართა? ანუ, იმის გაგება მინდა, რომ ეს ის შემთხვევა იყო, როცა სილამაზე, როგორც ფაქტი, დადასტურდა?**

**კაცი მაინც ყოველთვის კაცია, როგორი „ნავაროტკებიც“ არ უნდა ჰქონდეს**

– თქვენ ახლა დამცინით. რატომ, ძალიან სულელი გგონივართ?

**– უბრალოდ, იდეალის ძებნას კარგი არაფერი მოაქვს ხოლმე.**

– მაგაში ახლა უკვე დაგეთანხმებით – ჩემთვისაც არ მოუტანია კარგი; პირიქით, ისეთი მწარე იმედგაცრუება განვიცადე, სერიოზული სტრესი მივიღე. ახლა თქვენს შეკითხვას ვუპასუხებ: დიახ, სილამაზე, როგორც ფაქტი, დადასტურდა.

**– თქვენ ახლა ცოლთან ცხოვრობთ?**

– არა. გამოვიქეცი მისგან. ერთი წელი ძლივს გავძელი ჩემს იდეალურ ქალთან. ოღონდ, არ იფიქროთ, რომ იდეალური არ არის, მართლაც ასეთია. უბრალოდ, მე ვერ გავუძელი სრულყოფილებას.

**– რას გულისხმობთ?**

– მოგიყვებით. ისეთი იმედგაცრუებული ვარ, კარგი იქნება, თუ სხვა მამაკაცებიც გაითვალისწინებენ ჩემს შეცდომას. არავის ვახვევ ჩემს აზრს, მაგრამ, ჭკუის სასწავლებლად, მგონი, გამოდგება. მოკლედ, მაშინ ვფიქრობდი, რომ ბედი პირდაპირ თავზე დამეცა. ისე დავიბენი, კიდევ შეხვედრის სურვილი ვერ გამოვთქვი. თვითონ მითხრა, საღამოს თუ გცალია, კინოში დამპატიჟე, გამიხარდებაო.

**– მისი მხრიდან ასეთი სითამამე „ჯდებოდა“ ქალის იდეალურობის ფარგლებში?**

– დიახ. გოიმი და ჩამორჩენილი არ ვარ, პირიქით, მომწონს თამამი, აქტიური ქალები, რომლებსაც საკუთარი აზრი აქვთ. ბევრი ვილაპარაკეთ და მივხვდი, რომ თანდათან, სულ უფრო და უფრო მომწონდა. სამწუხაროდ, ბევრი ქალი მხოლოდ ოჯახში აჩვენებს თავის ნამდვილ სახეს.

**– ეს იმას ნიშნავს, რომ თამაშობდა?**

– არა, ასე ვერ ვიტყვი. უბრალოდ, სანამ ერთ ჭერქვეშ არ დავიწყეთ ცხოვრება, მის იდეალურობას „გვერდითი მოვლენებიც“ რომ ჰქონდა, ვერ დავინახე.

**– ხომ თქვით, საკმაოდ დიდხანს და ყურადღებით ვაკვირდებოდიო...**

– ვაკვირდებოდი, ანუ ვხვდებოდით რამდენიმე თვის განმავლობაში. გავიგე, რომ უჭკუო არ იყო, არც ჯიუტად პრინციპული და მეტიჩარა. ყველაფერზე თავისი აზრი რომ აქვთ ქალებს და თან ამ აზრის თავზე მოხვევას ცდილობენ, ამას ვერ ვიტან. ისეთი კარგი მოსმენა იცოდა, თვალმოუშორებლად მიყურებდა... და ქორწინებამდე სხვა ურთიერთობაც გვქონდა... რამდენჯერმე მასთან სახლში დარჩენის საშუალება მომეცა და, ისეთი წესრიგი ვნახე, გადავირიე – ნეტავი, როგორ და როდის ასწრებს ამდენს-მეთქი. დავიწყეთ ერთად ცხოვრება. საკუთარი ბინა ჰქონდა და მასთან გადავედი. თავიდან მეგონა, ზღაპარში აღმოვჩნდი: ცოლი მანებივრებდა თავისი ხელით მომზადებული უგემრიელესი კერძებით; სახლში ყველაფერი ბრწყინავდა; ლოგინში სასწაულებს ახდენდა; ყველაფრის ინიციატორი და წარმოუდგენლად ვნებიანი იყო... თავი მომქონდა – ბედის ნებიერი ვარ, ჩემს ცოლში ყველა ის საუკეთესო თვისებაა თავმოყრილი, რომელიც ქალს უნდა ჰქონდეს-მეთქი. და, სწორედ მაშინ, სრულ ნეტარებას რომ მივეცი თავი, დაიწყო პრობლემებიც... რასაც ყველაზე მეტად ვერ ვიტანდი ქალში და ახლაც მაჟრიალებს – ისტერიკების მოწყობის ნიჭია. სამწუხაროდ, ჩემი იდეალური ცოლი ამ საკითხშიც იდეალურად ნიჭიერი აღმოჩნდა, თანაც, ყველაფერზე შეეძლო, გრანდიოზული ისტერიკის მოწყობა.

**– მაგალითად? დააკონკრეტეთ. ტყუილუბრალოდ ხომ არ მოაწყობდა ისტერიკას?**

– ფაქტობრივად, ტყუილუბრალოდ აწყობდა. საჩუქრებს მოითხოვდა – თითქმის ყოველ კვირა უნდა მეჩუქებინა მისთვის ოქროს ან ვერცხლის სამკაული. კატეგორიულად მოითხოვდა, ამით დამემტკიცებინა სიყვარული. უა-

# როგორ დაკარგეს მეგობრებმა ერთმანეთი და ვის ეძებენ რუსეთიდან საქართველოში

*40 წლის ალექსანდრა გენადის ასული სემენიჩევა ეძებს 39 წლის ანა ჩხიკვაძეს.*

**ისტორია**: ვეძებ ჩემს მეგობარს – 39 წლის ანა ჩხიკვაძეს. მე ანასთან კავშირი 2005 წლიდან არ მაქვს. ძალიან მინდა მისი პოვნა, რადგან ის არაჩვეულებრივი ადამიანია. რვა წელია, ანა არ მინახავს, მაგრამ, მუდამ მახსოვს. დიდი იმედი მაქვს, მეგობარს მაპოვნინებთ. მე რუსეთში ვცხოვრობ, ანა კი თბილისში უნდა იყოს. იმედია, მან არ დატოვა თავისი სამშობლო და საცხოვრებლად სხვაგან არ გადავიდა.

**– როგორ დაკარგეთ მეგობრებმა ერთმანეთი?**

– მე და ანამ ერთმანეთი კრასნოიარსკში საერთო მეგობრებთან გავიცანით. მისგან ისეთი პოზიტიური ენერგია მოდიოდა, მაშინვე კარგად განვეწყვე ამ ადამიანის მიმართ. იმ პერიოდში მე საკმაოდ დიდი პრობლემა მქონდა, რომლის მოგვარებაშიც არავინ მეხმარებოდა, ანა კი გვერდში დამიდგა და ჩვენ დავმეგობრდით. ანა საქართველოში, თბილისში ცხოვრობდა და, მას შემდეგ, რაც ის თავის სამშობლოში დაბრუნდა, მასთან კავშირი აღარ მქონია. ძალიან მინდა მისი პოვნა და მადლობის თქმა. ისეთი კეთილი ადამიანები, როგორიც ანაა, ძალიან ცოტანი არიან. სამწუხაროდ, ინტერნეტით ჩემი მეგობარი ვერ ვიპოვე, მისი მისამართი ან ტელეფონის ნომერი კი არ ვიცი. ამიტომაც გადავწყვიტე, დახმარებისთვის თქვენთვის მომემართა.

**– რა იცით მეგობრის შესახებ?**

– ანას შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია მაქვს: ვიცი, რომ ის დაბადებულია 1974 წელს, საშუალო სიმაღლისაა, თაფლისფერი თვალები აქვს, ხვეული თმა. თუ არ ვცდები, მას უნდა ჰყავდეს უფროსი და (სახელი არ მახსოვს). საქმე ისაა, რომ მართლაც ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩვენ ერთმანეთს დავკარგავდით, ამიტომ ვერ გავითვალისწინე და მისი მისამართი არ ჩავიწერე, რასაც ძალიან ვნანობ.



**– ვიცი, რომ თქვენ „ჟდი მენიაშიც“ განაცხადეთ მეგობრის მოძებნასთან დაკავშირებით.**

– დიახ, ამა წლის აპრილში „ჟდი მენიას“ სამძებრო საიტზე ანას პოვნაზე განაცხადი განვათავსე, მაგრამ, ჯერჯერობით ისევ ველოდები პასუხს. თქვენი რუბრიკის დიდი იმედი მაქვს, იქნებ ანამ ან ვინმე მისმა ახლობელმა წაიკითხოს ეს სტატია და გამოგვეხმაუროს.

**– მეგობრის პოვნის შემთხვევაში, აპირებთ თუ არა მასთან შეხვედრას?**

– სწორედ ამიტომაც ვეძებ ანას, რომ მისი ნახვაც მინდა. თუკი მას ვიპოვი, აუცილებლად შევხვდებით კიდეც. მართალია, წინასწარ არ ვიცი, სად ან როგორ შედგება ჩვენი შეხვედრა, მაგრამ, მისი ნახვა ძალიან მინდა. ადამიანს ყოველთვის უნდა დაუფასო სიკეთე. ანა თავის დროზე დამეხმარა, გვერდში დამიდგა და, ვერ მოვისვენებ, მას მადლობა რომ არ გადავუხადო და არ დავაფასო. იმ დროს, როდესაც მე მას ვიცნობდი, გათხოვილი არ იყო, ამჟამად კი, შეიძლება, ოჯახიც აქვს. იმედია, ის ისევ თავის გვარზეა, რაც მის პოვნას გაგიადვილებთ.

*თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიის შესახებ ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 233-42-24; 593 22-04-31. დარეკეთ სალამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.*

**ნატალია მახარაშვილი**

## სანამ ერთ ჭერქვეშ არ დავიწყეთ ცხოვრება, ჩემი ცოლის იდეალურობის „გვერდითი მოვლენები“ ვერ დავინახე

რს თუ ვეტყოდი, საშინელ ისტერიკას აწყობდა ტირილით და აწრილი წივილით.

**– ყიდულობდით?**

– სხვა რა გზა მქონდა! არ შემიძლია, მშვიდად ვუყურო, ქალი რომ ტირის. რეგვენი ვარ. მარტო იმიტომ კი არა, რომ იდეალს ვეძებდი. იდეალური ადამიანის გვერდით რომ იცხოვრო, შენც ძალიან ახლოს უნდა იყო იდეალურთან – სხვანაირად გაგიჟდები, ვერ გაუძლებ. სწორედ ის გამიხდა პრობლემა, რაც ჩემს ცოლში თავიდან, ყველაზე მეტად მომწონდა. იდეალური ქალი ვერ იტანდა კბილის პასტის ტუბზე არასწორად მორგებულ თავსახურსაც კი. ჭამის დროს ერთი ნამცეციც რომ დამვარდნოდა გაპრიალებული მაგიდის ზედაპირზე, ეგრევე მიკიოდა. ბოლოს სულ დაძაბული და დაჭიმული ვიყავი, სერიოზულად დავკომპლექსდი. სახლში ჩემს ნებაზე ერთ ნივთსაც კი ვერ შევუცვლიდი ადგილს. ყველაფერი სუპერსიმეტრიულად ეწყო. თვალის ერთი გადავლებით ხვდებოდა, რა არ იდგა თავის ადგილას და ყვიროდა. აბა, გაგებედა და არ აღფრთოვანებულიყავი მისი მომზადებული კერძით... წამოვიდოდა ლანძღვა-გინების საშინელი კორიანტელი, რასაც მერე ცრემლებიც მოჰყვებოდა. იცით, როგორ დავიღალე?! ჩემმა ცოლმა ყველანაირი მოლოდინი და იმედი გამიცრუა. წარმოიდგინეთ, რა განცდაა, როცა თავს მკაცრი ზედამხედველის კონტროლის ქვეშ გრძნობ და გეშინია, არაფერი შეგეშალოს. სახლში მისვლა შემძულდა. სურვილი წამომივლიდა ხოლმე, რამე საშინელება ჩემედინა. მაგალითად, ჭუჭყიანი ფეხსაცმელებით ხალიჩაზე გამევლო; წინდები შუა ოთახში დამეყარა, დივანზე წამოწოლილს მეჭამა კეტჩუპიანი ბუტერბროდი. მოკლედ, ისე მოვქცეულიყავი და ის გამეკეთებინა, რაც ჩემს ცოლს გააცოფებდა. ერთი წელიც ვერ გასტანა ჩემმა იდილიამ იდეალურ ქალთან. უკვე ისე ვჩხუბობდით, ლამის ხელით შევხებოდით ერთმანეთს და, ერთ დღეს ძალიან შემეშინდა, უპირველესად, იმის, რომ, თუ ამას გავაკეთებდი, საკუთარი თავის პატივისცემას დავკარგავდი. ჰოდა, წამოვედი მისგან. მივხვდი, რომ, მერე, თუ ბავშვი გაჩნდებოდა, უფრო გამიჭირდებოდა ოჯახის დანგრევა, თან, მართლა არ მინდოდა, ჩემი შვილი ასეთ ქალს გაეწამებინა თავისი იდეალურობით. ცუდი ის არის, რომ ვერავის ვუხსნი, რატომ დავანგრიე ოჯახი. ნაცნობიც და ახლობელიც განცვიფრებული მეკითხება, რა არ მოგეწონა შენი ცოლის, ამისთანა ქალი როგორ ვერ შეირგე და შეიფერეო. რა ვქნა, ყველას მოვუყვე, რა ჯოჯოხეთშიც ვცხოვრობდი? ილუზიებს აყოლილმა საკუთარ თავს ისეთი პრობლემა შევუქმენი, რომელიც არაფერში მჭირდებოდა. ახლა უკვე ვიცი, რომ კაცისთვის მთავარია, ცოლს ყველაზე და ყველაფერზე მეტად უყვარდეს.

**– თქვენს ცოლს არ უყვარდით?**

– არა. მას უყვარს წესრიგი და საკუთარი თავი... მე აღარ შემიძლია ასეთი ადამიანის გვერდით ცხოვრება. თავს არ ვიმართლებ და არ მინდა, ისე იფიქროთ, თითქოს მსხვერპლად წარმოვჩნდები. რაც მოხდა, მარტო ჩემი ბრალია. უნდა მცოდნოდა, რომ ჩვეულებრივ კაცს იდეალური ქალი ნამდვილად არ სჭირდება.

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**47 წლის ასაკში ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა უარესობისკენ: ქმარმა მიმატოვა – ვიღაც პატარა გოგოსთან გაიქცა. მანამდე, თურმე, ორი წელი ჰქონდა მათთან რომანი. შვილს ცოლი ჰყავს და ცალკე ცხოვრობს. დავრჩი მარტო და საშინლად უბედური ვარ. როგორ მოვიქცე – დავურეკო ქმარს და ვთხოვო, დაბრუნდეს ოჯახში?**

**გამოხმაურება:** უპირველესად, თავი არაფერში დაიდანაშაულოთ. ამ ასაკში, რომელშიც თქვენი მეუღლეა (თქვენი ასაკიდან გამომდინარე ვვარაუდობთ), მამაკაცები ხშირად იქცევიან მხოლოდ სქესობრივი ინსტინქტის კარნახით, რაც მათი სექსუალური აქტივობის დაქვეითებას უკავშირდება. ხელები არ ჩამოუშვათ და დეპრესიაში არ ჩავარდეთ. იცხოვრეთ აქტიურად, გაიჩინეთ საინტერესო საქმე. ქმარს კი ნუ შეეხვეწებით დაბრუნებას. თუ მოინდომებთ, მამაკაცების ყურადღებას კიდევ მიიპყრობთ. ქმარი, შეიძლება, თავისითაც დაგიბრუნდეთ, უთხოვნელად. მთავარია, შეინარჩუნოთ საკუთარი თავის პატივისცემა და ღირსება.

**ფსიქოლოგი მაგდა რობაქიძე**

**თემო მჟავია ავარიის შემდეგ ნელ-ნელა დაუბრუნდა ნორმალური ცხოვრების რიტმს, თუმცა მას ჯერ კიდევ ლითონები აქვს სხეულში და რეაბილიტაციის პროცესს გადის. „ჯიდიესზე“ სრულიად ინოვაციურ და სკანდალურ გადაცემას გეგმავს, რომელიც მთელ ქვეყანას აალაპარაკებს.**

# რა სენსაციური და სკანდალური გადაცემა იგეგმება „ჯიდიესზე“ და როგორ დააფინანსა ბერამ თემო მჟავიასა და დათო გოგიშვილის ოპერაციები

**– თემო, „ჯიდიესზე“ სიახლეებია. როგორც ვიცი, კეთდება ახალი იუმორისტული შოუები და გადაცემები, „ნოკაუტში“ შენ ჟიურიში ზიხარ. მოდი, ამ სიახლეების შესახებ გვიამბე.**

– დიახ, ჟიურიში ვზივარ და ვარ უცვლელი წევრი, მაგრამ, მინდა აღვნიშნო, რომ ეს მაინცდამაინც არ არის ჩემი საქმე. ჟიურიში რომ იყო და ვინმე აკრიტიკო, ამის უფლება და დიდი გამოცდილება უნდა გქონდეს, მაგრამ, ასე გამოვიდა და ვარ წევრი. ასეთი სახის გადაცემა რომ არსებობს, ძალიან კარგია ახალი თაობის იუმორისტებისთვის. ამას წინათ მე, ფაქო და ამიკო ვიხსენებდით, რა დროში მოგვიწია ჩვენ ამის დაწყება. დაახლოებით 10 წლის წინ დავიწყეთ ყველაფერი – ბიძიებს, ბიცოლებს, მამიდებს ფულს ვართმევდით, „ბანკაში” კარტოფილებს ვყრიდით და ისე მივდიოდით ხოლმე ბათუმში „მანსანკანის“ ჩემპიონატზე, ან თბილისში ვთამაშობდით. დამწყები იუმორისტებისთვის ეს გადაცემა დიდი შანსია: ჯერ ერთი, ფულადი საპრიზო ფონდია; თანაც, ვითარდებიან, კამერასთან მუშაობას ეჩვევიან, ცნობილები ხდებიან. მე არც მკაცრი ვარ, არც რბილი – ვამბობ, რაც მომეწონა, რაც არ მომეწონა და რაზეც არ მეცინება.

**– აუჰ, ისე, ორი გურული სხედხართ ჟიურიში მუდმივ წევრებად – შენ და შალვა რამიშვილი.**

– ჰო, აი, შალვა უფრო მკაცრია, ვიდრე მე. ადამიანების გარკვეულმა ჯგუფმა ჩათვალა, რომ კომპეტენტური და მიუკერძოებელი ვიქნებოდი – იციან, ალბათ, ჩემი ხასიათი და იმიტომ. შალვას რაც შეეხება, მას მთელი საქართველო იცნობს ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან. უნდა ვაღიარო, რომ ზედმეტად ნიჭიერი ადამიანია. მაგათ იუმორზე ვართ გაზრდილები – სხვა არაფერი ხდებოდა ქვეყანაში და... მე და შალვას სულ გვაქვს კონტაქტი – განვიხილავთ, თუ სხვა აზრი მაქვს, შემიძლია, ყოველთვის შევეწინააღმდეგო. შალვას გურული ხასიათი იგრძნობა და თვალშისაცემია – ავლენს ხოლმე; მე კი ჩუმი, აგენტი გურული ვარ. ისე, არც გურული ვარ, არც მეგრელი, არც რაჭველი... გაუგებარი არსება ვარ რაღაც, სხვა პლანეტიდან.

**– მოდი, დავანებოთ ახლა თავი „ნოკაუტს” და მეორე გადაცემაზეც მომახსენე სკანდალური და სენსაციური რომ იქნება.**

– ეს გადაცემა იქნება ყველაზე სენსაციური, აქამდე მსგავსი რამ ქართულ ტელესივრცეში არ გაკეთებულა. გადაცემას ერქმევა „მზეები”. ვისაც როგორ უნდა, ისე პროვოკაციულად გაიგოს ეს სახელი, ჩვენთვის კი მისაღებია. გადაცემის ჟანრი იქნება რეალითი, ოღონდ, ეს არ ნიშნავს მარტო იმას, რომ ადამიანები ერთ სახლში იცხოვრებენ და ინტრიგებს ჩახლართავენ; არაფერი არ იქნება დადგმული, ყველაფერი იქნება ნამდვილი, სცენარების გარეშე. საერთოდ, საქართველოში მარტო ერთი კონკრეტული მიმართულების იუმორია, არადა, არსებობს სხვა მიმართულებებიც, რომლებზეც სხვა ადამიანებს ეცინებათ.

**– ჩვენი საზოგადოება კონსერვატიულია და, ამბები რომ ატყდეს?**

– ატყდეს, ჩვენ არაფრის გვეშინია. რა მოხდა მერე, თუნდაც მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი მოვიდეს აქ. ჩვენ ძალიან მეგობრული ადამიანები ვართ და ყველას დაველაპარაკებით. ეს გადაცემა იქნება ნიშნით – 18+, გავა ღამის ეთერში და მაქსიმალურად ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ ბავშვებმა და მოზარდებმა არ უყურონ. ინტერნეტშიც რომ განვათავსებთ, იქაც იქნება სპეციალური შესავსები ფორმა, ანუ, მაქსიმალურად დაიბლოკება არასრულწლოვანებისთვის. მაყურებლებს ვაფრთხილებთ: რასაც ნახავენ, ნუ შეეცდებიან იმის გამეორებას! ვისაც არ მოსწონს, შეუძლია, გადართოს და არ უყუროს. ეს არანაირად არ იმოქმედებს ერის მორალურ ღირებულებებზე. სავარაუდოდ, გოგოებიც უყურებენ ამ გადაცემას – ერთ-ერთი გმირი გოგოა და, ალბათ, ქალბატონებსაც დააინტერესებთ და, არა მარტო მათ. ისე საქართველოში იუმორისტულ სივრცეში ბიჭების აქტიურობა უფრო შეინიშნება, ვიდრე გოგონების. ალბათ, იმიტომ მიწევდა ქალების როლების შესრულება.

უბრალოდ რასაც მაშინ ვაკეთებდი, საინტერესო და სასაცილო იყო. ჩემი ვიზუალი და, მით უმეტეს, ჩემი ვიზუალის „გოგონა” (თუ გოგონა ჰქვია ამას) – ჩემი ბრენდი იყო. ბოლოს უკვე ძალიან ამომივიდა ყელში ქალის კაბის ჩაცმა; თან, გოგოსთან რომ ასოცირდები, ყველაფერი რომ ირევა და უკვე პირადში იჭრება, ძალიან მოსაბეზრებელია, თორემ, როგორ არ მიყვარს, ჩემი გმირია. უბრალოდ, ქართველებს სჭირთ ასე – როლსა და რეალობას ერთმანეთისგან ვერ არჩევენ. ჩემს პირადულში რომ შემოიჭრა „უშნო ეკა“, ძალიან შევწუხდი. მერე უკვე თანამედროვე ვერსიაც მოვუგონე მაგას – „ნაგლი ეკა,“ უცხოელებისთვის რომ გასაგები და ადვილად ასახსნელი ყოფილიყო.

**– მინდა გკითხო ძველ თანამშრომლებზე: ნაწილი წამოხვედით „რუსთავი 2-დან“. როგორი ურთიერთობა გაქვს ამჟამად „კომედი შოუს“ მსახიობებთან, მათზე ნაწყენი ხარ?**



**ჯერ ისეთის არაფრის გამხელა არ მინდა, ცალკე ვილაპარაკოთ ამაზე ბევრი. მარტო არ ვცხოვრობ – ესეც შენ, ქიშმიში!**

– ვინც მე მიცნობს, კარგად იცის, რომ შურს, ბოღმას, წყენას გულში არასდროს ვინახავ. მე თვითონ მაწუხებს მერე ეს ყველაფერი და ცხოვრებას მირთულებს, როცა, შემიძლია, ერთ წამში დავივიწყო ყველაფერი და პოზიტიურ რაღაცეებზე ვიფიქრო. ისედაც არ ვცოცხლობთ დიდხანს – არ ვიცი, ზეგ მოვკვდები თუ 50 წლის შემდეგ. რა თქმა უნდა, ყველასთან ერთნაირად ახლოს არ ვიყავი. ნიკასთან, ვახოსთან და რამდენიმესთან დღემდე ვმეგობრობ, თუმცა, არსებობენ ადამიანები ძველი სამსახურიდან, ვისთანაც საერთოდ არ მაქვს კონტაქტი. იცი, ალბათ, ავარიაში მოვყევი და თითქმის ექვსი თვე ძალიან მძიმედ ვიყავი – გაუნძრევლად ვიწექი და არ მქონდა იმის თავი, ტელეფონი ამეღო და ვილაცისთვის მერეკა. ვინც მოდიოდა, მნახულობდა, მგულშემატკივრობდა ზუსტად ისინი არიან ჩემი მეგობრები. მე „რუსთავი 2-დან“ იმიტომ წამოვედი, რომ იქაური პირობები აღარ მაკმაყოფილებდა. ჩემი შექმნილი არაა ის სამსახური, მათია და, როგორც უნდათ, ისე მოიქცევიან, მაგრამ, ტრეფიკინგი ძალიან მომბეზრდა. „რუსთავი 2-დან“ ჩემი წამოსვლა პოლიტიკურ შეხედულებებთან არ იყო კავშირში – აპოლიტიკური ადამიანი ვარ, არც ერთ აქციაზე არ ვყოფილვარ, ერთადერთი, ციხის ამბებთან დაკავშირებით წავედი, იმიტომ, რომ ძალიან შევწუხდი და მეტკინა. პოლიტიკაში რომ ჩავერთო, შეიძლება, რაღაცეები გავაფუჭო და არ არის საჭირო.

**– ბერაზე გკითხავ: როგორი იყო თქვენი პირველი შეხვედრა?**

– ძალიან ბევრი და დიდხანს შემიძლია ვილაპარაკო ამ ადამიანზე. „რუსთავი 2-დან“ წასვლას ნამდვილად არ ვიფიქრებდი, უფრო უცხოეთში წასვლა მქონდა გადაწყვეტილი – ბავშვობიდან ვფიქრობდი უცხოეთში წასვლასა და სადმე სერიოზულ უნივერსიტეტში სწავლაზე. ჩემი იქიდან წამოსვლა ისეთ დროს მოხდა, რომ ყველა პოლიტიკასთან დააკავშირებდა მაგ ამბავს. ისედაც გათავისებული ჰქონდა ეგ ყველას, მაგრამ, წინსვლისთვის გადავდგი ეგ ნაბიჯი. ბერასთან შეხვედრის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა, იმდენად უშუალო და უბრალო ადამიანია. არადა, ბევრად უფრო სხვანაირი წარმომედგინა, უფრო დისტანციური მეგონა. გამაოცა იმან, რომ ასეთი უშუალოა, არანაირად არ დავძაბულვარ. შეხვედრამდე უფრო დაძაბული ვიყავი, მაგრამ, რომ ვნახე, ყველანაირი ნერვიულობა მომეხსნა, იმდენად კონტაქტური და უბრალოა. ბერა აქტიურად არის ჩართული ტელევიზიის მუშაობაში: ამოწმებს რეიტინგებს, არ ტოვებს გადაცემის არც ერთ ჩანაწერას, სულ ესწრება ხოლმე. ჩვენ ტელევიზიის გარეთაც ვმეგობრობთ. არსებითად, ბერასთან შეხვედრის მერე გადავდგი ეს ნაბიჯი. ცოტათი მეშინოდა და ცოტათი ვნერვიულობდი, სანამ ვნახავდი. ახლა ძალიან აქტიურად ვმეგობრობთ. კიდევ ერთხელ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო, მე და დათო გოგიშვილი ძალიან მძიმედ დავშავდით ავარიაში, ძლივს გადავრჩით, მაგრამ, სასწრაფო ოპერაცია გვჭირდებოდა, ძვირად ღირებული ოპერაცია, იმდენად ძვირად ღირებული, რომ ჩვენ სახლები უნდა გაგვეყიდა, რომ გაგვეკეთებინა, სხვა გზა არ იყო. როგორც კი გაიგო ბერამ ეს ამბავი, მაშინვე მოვიდა სანახავად, მოგვიკითხა. ოპერაციის ფული მთლიანად ბერამ გაიღო და დაგვაფინანსა. როცა მასთან ერთად დავდივარ, საერთოდ არ მაქვს იმის შეგრძნება, რომ პრემიერ-მინისტრის შვილია, ისეთი სხვანაირი ადამიანია. სხვათა შორის, ძალიან კარგი იუმორის გრძნობა აქვს, კარგად აღიქვამს და აფასებს როგორც იუმორს, ასევე, ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს. არავის ზედმეტად არ აგრძნობინებს, რომ პრემიერ-მინისტრის შვილია.

**– „ბაიკზე“ ჯდომას მაინც არ ეშვები, არა?**

– კარგია, ეგ რომ მკითხე. ეს ასეთი ადვილი თემა არ არის. მოტოზე რომ ჯდები, უკვე მოწამლული ხარ – ეს რაღაც სახის ნარკოტიკია. ხალხი კლინიკებში წვება, ექიმბაშებთან დადის, რომ გათავისუფლეს თუნდაც სიგარეტზე დამოკიდებულებისგან. ჯერჯერობით ისეთი კლინიკა არ გაუხსნიათ, რომ მოტოზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლდე. ძალიან ცუდად ვიყავი მორალურად, საშინელი აზრები მომდიოდა, ნევროზი დამემართა. ოპერაციის მერე შვიდი საათი ვიყავი ნარკოზში, ძლივს დავუბრუნდი ნორმალურ ცხოვრებას. რამდენჯერ მიფიქრია: კარგი ამინდია, აფსუს, რომ ვაფუჭებ, ერთ-ორ წრეს დავარტყამდი მოტოთი-მეთქი. პირველად ამ ავარიის მერე შრი-ლანკაზე დავჯექი მოტოზე ცოტა ხნით. ძალიან მიხარია, რომ გადავრჩი, არადა, 90 პროცენტი იყო შანსი, რომ დღეს ცოცხალი არ ვყოფილიყავი. ახლა უფრო ავტომობილით მიწევს სიარული. ჯერ კიდევ რეაბილიტაციის პერიოდში ვარ, რკინების ამოღებაა საჭირო, რაც დიდხანს გასტანს.

**– პირადში რა ხდება?**

– ჯერ ისეთის არაფრის გამხელა არ მინდა, ცალკე ვილაპარაკოთ ამაზე ბევრი. მარტო არ ვცხოვრობ – ესეც შენ, ქიშმიში!

**ქეთი დიდებულიძე**

*თანამედროვე ბარათაშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიას ხიდითურთ, მუხრანბატონის უბანი ეწოდებოდა. იქვე მდებარეობდა მუხრანბატონთა სასახლე. ამით აიხსნება რამდენიმე ძველთბილისური დასახელებაც: „მუხრანის ხიდის ბორანი", „მუხრანის ხიდი". მუხრანბატონის სასახლემ გადაკეთებული სახით მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე მოაღწია, დღეს კი ამ ადგილზე სულ სხვა დასახელების ქუჩები და ხიდია. აქვე საინტერესო იქნება, გავეცნოთ რიყის უბნის შექმნის ისტორიას.*

# სად მდებარეობდა მუხრანბატონის სასახლე და რით იყო განთქმული რიყის უბანი


მუხრანის ხიდის ბორანი (1900-იანი წლები, დ. ერმაკოვის ფოტო)

### მუხრანის კარი

ფეოდალური ხანის თბილისის გალავნის ჩრდილოეთ კედელში მოქცეულ კარიბჭეს ვახუშტი ბაგრატიონი „მეიდნის კარის" სახელწოდებით მოიხსენიებდა. აქედან ხიდზე გავლით, გზა მიდიოდა მოედნისკენ, სადაც ასპარეზი მდებარეობდა (დღევანდელი გიორგი ლეონიძის სახელობის ბაღის ტერიტორია). კარიბჭე დღევანდელი ჩახრუხაძის ქუჩის დასაწყისში მდებარეობდა. შემდგომში, როდესაც კარიბჭის სიახლოვეს მუხრანბატონის სასახლე აშენდა, ქალაქის კარს მუხრანის სახელი შეარქვეს. აქედან დაწყებული გზა გადიოდა ვანქის უბანში არსებულ სომეხთა სასაფლაოზე (იმ ადგილას, სადაც დღეს ყოფილი კოლმეურნეობის მოედანია) და „მეიდანზე", სადაც ყაბახი იყო და უერთდებოდა დილმის კართან დაწყებულ გზას. ეს უკანასკნელი კი საბოლოოდ ერწყმოდა ჩრდილოეთისკენ (დილმისა და მცხეთისკენ) მიმავალ გზას.


ბარათაშვილის ქუჩა და მუხრანის ხიდი (საბჭოთა პერიოდი)

### მუხრანის ხიდის ბორანი

იქ, სადაც დღეს ბარათაშვილის ხიდია, მეცხრამეტე საუკუნეში ბორანი დადიოდა, რომელსაც „მუხრანის ხიდის ბორანი" ერქვა. ბორანის უცნაური სახელი იმით აიხსნება, რომ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, დღევანდელი ბარათაშვილის ქუჩის მიდამოებში, მუხრანბატონის სახლი იდგა. მის შორიახლოს, ავანაანთ ხევზე, ქალაქის გალავნის მუხრანის კარიბჭის ღერძზე, გადებული იყო მცირე ხიდი, რომელსაც „მუხრანისას" უწოდებდნენ. აქედან მოდის ბორანის დასახელებაც. მარცხენა ნაპირზე, ბორანის გაჩერებასთან, რიყის ქუჩა და ციციანოვის (ამჟამინდელი ბარათაშვილის) აღმართი იწყებოდა, მარჯვენა ნაპირზე კი – მუხრანის ქუჩა, რომლის მეშვეობითაც გადიოდნენ ეგრეთ წოდებულ „სალდათის ბაზარზე" (დღევანდელი ყოფილი კოლმეურნეობის მოედნის მიდამოებში). იმდროინდელი ცნობებით, მუხრანის ხიდის ბორანს ერთ საათში უფრო მეტი მგზავრი გადაჰყავდა, ვიდრე დღე-ღამის განმავლობაში გადადიოდა ვერის ხიდზე. (სხვადასხვა ცნობით, დღის განმავლობაში ბორნის მომსახურებით 2 ათასამდე ადამიანი სარგებლობდა). ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებდა ამ ადგილას ხიდის მშენებლობის აუცილებლობაზე, რაც საკმაოდ გვიან (1911 წელს), განხორციელდა კიდეც. ბორანს ხშირად მტკვრის წყალი იტაცებდა, რასაც ზოგჯერ მსხვერპლიც მოჰყვებოდა ხოლმე. 1902 წლის 18 მაისს წყალმა 13 კაცი მოიტაცა. შემთხვევითი როდია, რომ მუხრანის ხიდის ბორანთან მაშველი პუნქტიც კი არსებობდა.


მუხრანის ხიდის გახნის ცერემონიალი (1911 წლის 24 აპრილი)

### მუხრანის ხიდი

ამჟამინდელი ბარათაშვილის ხიდის ხაზზე ადრე სხვა ხიდი არსებობდა, რომლის პროექტი ჯერ კიდევ 1882 წელს დაამუშავა ინჟინერმა უმანსკიმ (ვერის ხიდის ავტორმა). ამის შემდეგ რამდენიმე საპროექტო წინადადება იქნა წამოყენებული, მაგრამ, ხან თანხები არ იყო გამოყოფილი, ხან პროექტი არ მოსწონდათ ქალაქის მესვეურთ და, საბოლოოდ, ხიდი პირველი პროექტის წარდგენიდან 30 წლის დაგვიანებით, უკრაინელი არქიტექტორის – ევგენი პატონის პროექტით აშენდა. ერთმალიანი ლითონის ხიდი 1911 წელს ხუთ თვეში ააგეს. მისი მშენებლობისას ააფეთქეს მეჩვიდმეტე საუკუნის არაგვის ხიდის ჯერ კიდევ შემორჩენილი ბურჯები. ახალი ხიდის მალა შეკიდული იყო ურთიერთდაკავშირებულ ლითონის ფორმებზე. ეს იყო შედუღების წესით აგებული პირველი ხიდი ამიერკავკასიასა და მთელ რუსეთის იმპერიაში. სავალი ნაწილის მოსაფენად ავსტრალიიდან სპეციალურად ჩამოიტანეს ევკალიპტის ძელები. ხიდს გადმოჰყვა სახელწოდება „მუხრანი."


მუხრანის ხიდი გახსნიდან პირველ წლებში


წყალდიდობა რიყეზე (1893 წელი)


რიყე (1890-იანი წლები)

**(გაგრძელება 31-ე გვერდზე)**

**ერთ კვირაზე ცოტა მეტი გავიდა, რაც მართლმადიდებლურმა სამყარომ მაცხოვრის ბრწყინვალე დღესასწაული იზეიმა – დღე, რომელიც ყველა მორწმუნეს კიდევ ერთხელ უბრუნებს სიყვარულს, სიმშვიდეს, რწმენას, იმედს. ამ დღის შემდეგ კიდევ გრძელდება სადღესასწაულო დღეები, როდესაც მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი დედამიწაზე იმყოფებოდა, ვიდრე ზეცად ამაღლდებოდა. თუმცა, დღემდე ბევრ უჭირს იესო ქრისტეს აღდგომის დაჯერება. ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში იყო ასეთი – თომა მოციქული, რომელმაც მაცხოვრის აღდგომის შემდეგ განაცხადა: „უკუეთუ ვიეთნიმე მიუტევნეთ ცოდვანი, მიეტევნენ მათ; და უკუეთუ ვიეთნიმე შეიპყრნეთ, შეპყრობილ იყვნენ. 24. ხოლო თომა, ერთი იგი ათორმეტთაგანნი, რომელსა ერქუა მარჩბივ, არა იყო მათ თანა, ოდეს-იგი მოვიდა იესუ. 25. უთხრობდეს მას სხუანი იგი მოწაფენი, ვითარმედ: ვიხილეთ ჩვენ უფალი. ხოლო მან ჰრქუა მათ: უკუეთუ არა ვიხილო ხელთა მისთა სახე იგი სამსჭუალთა? და დავსხნე თითნი ჩემნი ადგილსა მას სამსჭუალთასა და დავსდვა ხელი ჩემი გუერდსა მისსა, არასადა მრწმენეს" (სახარება იოანესი).**

# რა საქმეებს არ შეუძლია ადამიანის ცხონება და რატომ უნდა ვიცოდეთ სხვების ცხოვრების გარკვეული ნიუანსები



დედამიწაზე თუ ხორციელად განვისწავლებით, როდესაც ადამიანი გარდაიცვლება, მერე ის სულიერად განისწავლება და ეს არის მარადიული პროცესი

**მამა გიორგი** *(თევდორაშვილი - ნარიყალას წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი):* დღეს ვინმემ რომ იკითხოს – ვერ გამიგია, როგორ აღდგა ქრისტეო, შეიძლება, განკითხვაში ჩავვარდეთ და მასზე შთაბეჭდილება შეგვეცვალოს. მაგრამ, ეს არ იქნება სწორი. ადამიანის გონება უნდა იყოს მეცნიერი, გამომძიებელი, უნდა იყოს საღვთო ეჭვებში. არ შეიძლება, ყველაფერი ბრმად ირწმუნო. ამიტომაც ინება ღმერთმა, რომ თომა მიეშვა საკუთარ სხეულთან. უფალი ჩვენგან ითხოვს რწმენას არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ საქმითაც. ირწმუნო მხოლოდ – არ არის საკმარისი, ამის მატერიალური დადასტურებაც უნდა შეგეძლოს.

**– ანუ, თომას ეჭვები არ არის გასაკვირი?**

– თომამ თამამად გამოხატა თავისი შინაგანი ბრძოლა, შინაგანი საღვთო ეჭვი. ადამიანი, რომელიც ლაზარეს აღდგომას დაესწრო, იგებს, რომ მაცხოვარი უნდა ეწამოს, აღდგეს მკვდრეთით. ძალიან საინტერესო და საცნაურია მაცხოვრის სიტყვები, როდესაც ის ეუბნება თომას: „თომა, მოვედი და იხილე, ურწმუნო კი არა, მორწმუნე იყავ". როდესაც ადამიანი განცხადებულად შეეხები ღვთაებრივს, ადვილია, ირწმუნო, მაგრამ, როცა არ გინახავს და მაინც მტკიცედ გწამს, რომ იესო ძე ღვთისაა და ჭეშმარიტად აღდგა მკვდრეთით – აი, ასეთ რწმენას აქებს უფალი. ადამიანის ხასიათი ისეთია, უჭირს იმის რწმენა, რაც არ უხილავს. ამიტომაც საჭიროა ხორციელად, მატერიალურად შევეხოთ საღვთო საიდუმლოს. ასე ეუბნება თომას ქრისტე: „შემეხე, ნახე – სულს ხორცი და ძვალი არ აქვს". თომას კვირა ჩვენთვის არის კიდევ ერთი განმტკიცება, დაჯერება, დარწმუნება იმაში, რომ ქრისტე მართლა აღდგა. თომას ურწმუნო კი არ უნდა ვუწოდოთ, არამედ, ის არის ჩვენი წინამძღვარი რწმენაში, რომელმაც დაიმდაბლა თავი, დაეჭვდა და სიმდაბლით იკითხა ეს. ჩვენ ადამიანების ცხოვრების გარკვეული ნიუანსები უნდა ვიცოდეთ, რათა, რამე რომ დაგვემართოს, არ ჩავვარდეთ სასოწარკვეთილებაში, არ ვთქვათ, ეს მე რატომ დამემართაო. დედამიწაზე თუ ხორციელად განვისწავლებით, როდესაც ადამიანი გარდაიცვლება, მერე ის სულიერად განისწავლება და ეს არის მარადიული პროცესი. ოღონდ, თუ დედამიწაზე არ დაიწყე საღვთო შემეცნება და განსწავლა, ბუნებრივია, იმქვეყნად ვერაფერს მიიღებ. ასე რომ, სწავლა სიბერემდე კი არა, უფლამდე მისასვლელი გზაა.

**– წმიდა წერილიდან ცნობილია: „რწმენა არის დაჯერება უხილავისა". ამ აზრით, რწმენა ყველა ადამიანს აქვს, რაღაცის ყველას სწამს: ზოგისთვის ეს სიყვარულია, ზოგისთვის – სიკეთე ან მეგობრობა, ბევრისთვის – ბუნების ძალები, ზოგისთვის კი – ღმერთი. უფლის რწმენა კი ადამიანს ბევრ რამეს უადვილებს, იმედს აძლევს, სწორად ცხოვრებაში ეხმარება. თუმცა, ზოგჯერ მორწმუნე ადამიანებიც მიდიან უფლის გმობამდე. რა არის ამის მიზეზი?**

– წმიდა ბასილი დიდი ამ შეკითხვაზე პასუხობს: „უკეთურება არის მიზეზიც და შედეგიც ღმრთის განდგომილებისა". დავით მეფსალმუნე ამ აზრს ასე გადმოსცემდა: „არავინ არს, რომელმანცა ქმნა კეთილი". ამ ადამიანთა ნუსხას იოანე ოქროპირი ასე წარმოგვიდგენს: „ჰეროდე მეფემ ბეთლემში ჩვილი ბავშვები რომ ამოხოცა, იუდეველები, ეშმაკთა განმსმენელს ბელზებელად ხადოდნენ, სჯულისმეცნიერნი ადამიანებს რომ აცდუნებდნენ – ამაყი მღვდელმთავარი თუ ღმერთი – უარმყოფელი მწიგნობარი, ქედმაღალი განმკითხველი და ფარისეველი თუ მოკამათე სადუკეველი, გამყიდველი იუდა

**ადამიანების ნაწილი ბოლომდე არც ღმერთის არსებობაშია დარწმუნებული. საზოგადოების დიდი ნაწილი კი, თავს ქრისტიანს უწოდებს**

და მღვდელმთავრის ყურმოკვეთილი მსახური, გამსამართლებელი პილატე, ჰურიათა ბრბო, რომელიც ღაღადებდა: „აღიღე და ჯვარს აცუ ეგე!" ეგვიპტის ფარაონს ეშმაკმა ათქმევინა: „მე არ ვიცი უფალი იგი" და ამის შემდეგ ის თავის მხედრებთან ერთად მეწამულ ზღვაში დაიღუპა. ასევე, ათქმევინა მან სენაქირიმ ასურელს, რომ მის ხელთაგან წინასწარმეტყველ ეზეკიელს ღმერთი ვერასდროს დაიხსნიდა და მისი შთამომავლობა დასწყევლა. ეშმაკისგან წაქეზებულმა ნაბუქოდონოსორმა სამ ყრმას უთხრა: „ვინ არის ღმერთი, რომელმან განგარინნეთ თქვენ ჩემთა?" – და ადამიანთა შორის ხარივით ბალახის ძოვა დააწყებინა. მან უბრალო მონასავით გააყიდვინა ღმერთი იუდა ისკარიოტელს და შემდეგ საკუთარი თავი საზელით მოაშთობინა.

**– მამაო, როგორ განისაზღვრება ჭეშმარიტი რწმენა?**

– როგორც მოციქულები გვასწავლიან, რწმენა საქმეების გარეშე – მკვდარია. ღმერთშემოსილი მამები ჩვენგან ითხოვენ რწმენის საქმეს და, ჩვენი დაცემული ბუნებიდან გამომდინარე – კეთილ საქმეს. ის ითხოვს ცოცხალ რწმენას, რომელიც განმტკიცდება ახალი ადამიანის საქმით და არა დაცემული ბუნების კეთილ საქმეს, რომელიც სარწმუნოებას ეწინააღმდეგება. თუ დავაკვირდებით საღმრთო წერილს – როგორც ძველს, ასევე, ახალ აღთქმას, გამოჩნდება, რომ ის ითხოვს ღმერთის მცნებების შესრულებას. ამას ეწოდება საქმე, რომლის დასრულებითაც რწმენა ხდება ცხოველი, ქმედითი. იმ კეთილ საქმეს კი, რომელიც ჩვენი დაცემული ბუნებიდან მომდინარეობს, რომელიც სათავეს იღებს ჩვენს გრძნობებში და მხოლოდ სისხლის აჩქროლებისა და გულის ნაზი ფეთქვის ნაყოფია, სარწმუნოება გვიკრძალავს, უარყოფს და, ცხადია, მას ადამიანის ცხონება არ შეუძლია. თანამედროვე ადამიანებს გვიწევს თვითდაჯერებული, თვითკმაყოფილი სიამაყის სულით შეპყრობილი ადამიანების გარემოცვაში ყოფნა. ამასთანავე, ჩვენ ირგვლივ ძნელად თუ შეხვდები ადამიანს, რომელიც დაბეჯითებით უარყოფს ღმერთის არსებობას. ადამიანების ნაწილი ბოლომდე არც ღმერთის არსებობაშია დარწმუნებული. საზოგადოების დიდი ნაწილი კი, თავს ქრისტიანს უწოდებს. ასე რომ, დღეს ადამიანების უმეტესობა გარკვეული სარწმუნოებითაც არის შემოსილი და ამ სარწმუნოების შესაბამის საქმეებს აკეთებს. მაგრამ, საკმარისია, ღვთის წინაშე ადამიანის გამართლებისთვის, მისი ცხონებისთვის ასეთი სარწმუნოება? წმიდა მამათა სწავლებით, მარტო სარწმუნოებით ადამიანი ვერ გამართლდება. მისი სულის ცხონებაში ღვთაებრივი ნებაც მონაწილეობს და ადამიანურიც. ადამიანს უფლის წინაშე გამართლებისთვის სჭირდება მართალი რწმენა და კეთილი საქმე. ამას ერთხმად გვასწავლის მართლმადიდებლური ეკლესიის ყველა მასწავლებელი: „სარწმუნოება, ჩვენი საქმით შემოსილი და საქმენი ყოველნი... სარწმუნოებით იმყოფებოდნენ..." მოყვასის მსახურება მაშინაა კეთილი საქმე, თუ ის ღვთისმსახურების გაგრძელებაა. ადამიანებმა დაკარგეს ცათა სასუფევლის იდეა. მათ სარწმუნოდ ისიც არ იციან, რა არის ეკლესია. „მორწმუნეთა გულგრილობა ბევრად საშინელია, ვიდრე ის ფაქტი, რომ საერთოდ ურწმუნონი არსებობენ", – ბრძანებს ერთი წმიდა მამა. „მორწმუნე ის კი არ არის, ვისაც ყოველივე სჯერა, არამედ ის, ვისაც სწამს ჭეშმარიტი ღმერთი. რწმენა განანათლებს, რწმენა აკურთხებს, რწმენა სულიწმიდის ღირსად ხდის ადამიანს. სადაც რწმენაა, იქ ძალაა; სადაც ურწმუნოებაა, იქ უძლურებაა. რწმენა სიკეთის სათავეა, რწმენა სიკეთის წყაროა.

**ნათია უტიაშვილი**

# ღვთისმშობლის სასწაულები

**„კალიები არასოდეს დატოვებენ კუნძულს, თუ არ შემოატარებთ ჩემს ხატს გარშემო მთელ კუნძულს“**

ხმელთაშუა ზღვაში კიკლადის კუნძულებს შორის განსაკუთრებით გამორჩეულია კუნძული სიფნოსი. კუნძულს სახელი გაუთქვა განუმეორებელი სილამზაის პეიზაჟმა და უდიდესმა სიწმიდემ – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის, „ოქროს წყაროს“ სახელობის ტაძარმა, რომელიც საყოველთაო თაყვანისცემის ადგილია.

ტაძარი აღმართულია კონცხზე, რომელსაც ყოველი მხრიდან გამუდმებით ეხლება ქარი. მთელი ეს ადგილი გარემოსილია ლეგენდებითა და თქმულებებით. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარში დაბრძანებულია სასწაულმოქმედი ხატი, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, პირდაპირ ყურეში, ტალღებზე იპოვეს.

ზეციური დედოფლის წმიდა ხატს, „ოქროს წყაროს“ მიაწერენ მრავალ სასწაულს, რომელიც აღასრულა როგორც ცალკეული ადამიანებისთვის, ისე მთელი კუნძულისთვის.

სიფნოსის მკვიდრნი მრავალი წლის განმავლობაში გაწამებულნი იყვნენ კალიების შემოსევით. მწერების წინააღმდეგ ყველა საშუალება გამოიყენეს: მოწამლული ქატო, ნავთი, ცეცხლმტყორცნები, მაგრამ უშედეგოდ, მხოლოდ ღვთისმშობლის დახმარებით შეძლეს კალიების განდევნა.

1929 წელს ერთ ღვთისმოსავ გლეხის ქალს – მარია სავალუს ღვთისმშობელმა ძილში განუცხადა, თუ როგორ გადაურჩებოდნენ იმ უბედურებას, რასაც კალიების შემოსევა უქადდათ.

ერთ საღამოს საქსოვით ხელში მეზობელთან ვიჯექი, ჩვენი საუბარი კალიებს შეეხო, რომლებიც ირგვლივ ყველაფერს ნთქავდნენ. მე ვთქვი: „ჩვენი ძალებით ვერაფერს გავხდებით, მხოლოდ ღვთის შემწეობის იმედი უნდა გვქონდეს“. რამდენიმე დღის შემდეგ სიზმარში ვიხილე ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი „ოქროს წყარო“. მან სახელოზე მომკიდა ხელი, შემანჯღრია და მითხრა: „ყურადღებით მომისმინე და გადაეცი ხალხს ის, რასაც ახლა გეტყვი: კალიები არასოდეს დატოვებენ კუნძულს, თუ თქვენ არ გამოიტანთ ტაძრიდან ჩემს ხატს და არ შემოატარებთ გარშემო მთელ კუნძულს. შემდეგ კი ლიტურღია და წყლის კურთხევა უნდა ჩატარდეს. მან მაღლა აწია ხელები და მთელი ჩემი სახლი და მასთან ერთად ყველაფერი გარშემო განათდა.

სამღვდელოებამ ყურად იყო მარია სავალუს ნაამბობი, რამდენიმე დღეში ჩატარდა ლიტანიობა, „ოქროს წყარო“ ირთოლვით და მოწიწებით შემოატარეს ყველა სოფელში. მეორე დღეს სიფნოსზე კალიას ვეღარ იპოვიდით, კუნძულის აღმოსავლეთი სანაპირო კი მოფენილი იყო მკვდარი კალიებით, რომლებიც ტალღებმა გამორიყა.

**საოცარი მოვლენები**

1959 წლის 4 აპრილს, შუაღამით, კუნძულ კიფირაზე მდებარე „ახალ მონასტერში“ უეცრად ზარებმა მხიარულად დაიწყეს რეკვა. ისინი თავისით რეკავდნენ, ხოლო ტაძრიდან ამ დროს თვალისმომჭრელი ნათება გამოდიოდა. მონასტერში სასწაულმოქმედი ხატის წინ საკმაოდ ხშირად თავისით იწყებს ქანაობას ლამპრები. აგრეთვე, იმის მიუხედავად, რომ მონაზვნები გალობენ „ანალოღიასთან“, ტაძრის საკურთხევლიდან ზოგჯერ ნაბიჯების ხმა, ხმაური და ფსალმუნების გულის ამაჩუყებელი გალობა მოისმის. როგორც მონაზვნები მოწმობენ, ძირითადად, ღვთისმშობლის დაუჯდომლის გალობა ისმის...

**„ბოლო ჟამის სასწაულები“**

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: სად იმყოფება იმ ადამიანის სული, რომელიც გონზე არ არის და რომელი ლოცვები უნდა წავუკითხოთ ასეთ დროს?**

**პასუხი**: იმ ადამიანის სული, რომელიც გონზე არ არის, ადამიანის სხეულშივე იმყოფება, სულის გასვლა სხეულიდან ნიშნავს ადამიანის გარდაცვალებას. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც სულს უჭირს სხეულიდან გასვლა და ადამიანი იტანჯება, მოძღვარი სპეციალურ ლოცვას კითხულობს. ჭირისუფალს კი ევალება, პირნათლად მოუაროს ავადმყოფს და ჩვეულებრივი ყოველდღიური ლოცვებით შეეწიოს.

**კითხვა: როგორ უნდა აღნიშნონ ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა გარდაცვალების წლისთავი?**



**პასუხი**: გარდაცვალების წლისთავი არ არის რაიმე განსაკუთრებული დღე სულისთვის. მისი აღნიშვნა ტრადიციაა, თუმცა – კარგი ტრადიცია. ამ დღეს ვლოცულობთ მიცვალებულებისთვის, მოვიხსენიებთ მათ. ზოგადად კი, ლოცვები სულს ყოველთვის ეხმარება იმქვეყნიურ ცხოვრებაში განსამტკიცებლად.

**კითხვა: შეიძლება თუ არა, საკეისრო კვეთა ჩაითვალოს ცოდვად, როდესაც ქალი ბუნებრივ მშობიარობაზე უარს ამბობს მხოლოდ და მხოლოდ შიშის გამო?**

**პასუხი**: ოპერაციული ჩარევა ეკლესიურად მიუღებელი არ არის, თუმცა, თუ ასეთი ჩარევა გამოწვეულია მართლაც მხოლოდ უსაფუძვლო შიშის გამო, უმჯობესია, ქალი ფსიქოლოგიურად მოემზადოს და არ თქვას უარი ბავშვის გაჩენის ფიზიოლოგიურ გზაზე, ანუ იმაზე, რაც უფალმა დააწესა.

**კითხვა: დავკარგე წმიდა გიორგის გულსაკიდი, რომელიც ნაკურთხი იყო ჩემს სახელზე. რამეს ხომ არ ნიშნავს ეს შემთხვევა?**

**პასუხი**: ეს ნიშნავს თქვენს დაუდევრობასა და უყურადღებობას. სხვა დროს მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ საეკლესიო სიწმიდეთა მიმართ. ცუდის მოლოდინში კი ნუ იქნებით ამ ფაქტის გამო.

# მამათა შეგონებანი

**გაბრიელ ეპისკოპოსი**: სასურველი ღმრთისა სულიწმიდით სიხარულია. მართალია, კაცი თავისი უღირსებისა და ცოდვისთვის ყოველთვის უნდა სწუხდეს და ტიროდეს, მაგრამ სულიწმიდის მიერ სიხარული არათუ სულიერი მწუხარების, სინანულისა და შემუსვრილების წინააღმდეგი, არამედ უშუალოდ მათი ნაყოფია. სულიწმიდის მიერ სიხარული მხოლოდ იმ კაცს გაუჩნდება გულში, რომელმაც თავისი სული ყოველ ბიწიერებისგან მწუხარებითა და ცრემლით განბანა და ამით იესო ქრისტეს სიმართლე, ანუ გამართლება მიიღო და ღმერთსა და თავის თავს შეურიგდა. ამასთან, ესეც უნდა დავამატოთ, რომ კაცის გულში ღმრთის სასუფეველს რაიმე უძრავი მდგომარეობა კი არ აქვს, არამედ იგი თითქმის ყოველ წამს ხან დიდდება და ხან მცირდება. თუ გსურთ, რომ თქვენს გულში სასუფეველი ღმრთისა ყოველთვის იზრდებოდეს, ეცადეთ, იგი ყოველდღე განაახლოთ და გააცოცხლოთ ისეთი სულიერი საზრდოს მიცემით, როგორიცაა ლოცვა, კეთილი გრძნობა, კეთილი საქმე, მარხვა, მოთმინება და სხვა.

**იოსებ ისიხასტი**: დრო ცოტა გვაქვს და არ ვიცით, თუ როდის განილევა იგი. ამიტომ ვილვაწოთ, თავს ჩავუკვირდეთ და გულისწყრომითა და ძლიერი ლოცვით განვაგდოთ ყოველგვარი უკეთური გულის სიტყვა. დიდ სარგებელს შეგვძენს ცრემლთა დენაც – ის განწმენდს და „უფროის თოვლისა“ განასპეტაკებს სულს. მხნედ ვიდგეთ, რამეთუ ჩუენი ბრძოლა მიმართულია ბნელეთის ძალთა წინააღმდეგ, რომლებიც არასდროს გადმოვლენ ჩვენს მხარეს და არც თავიანთ შემოტევებს შეასუსტებენ. ამიტომაც განვეწყოთ ბრძოლისთვის და ნუ მივეცემით თვლემას, რამეთუ ჩვენს წინაშეა საფრთხე, რომელიც მარადიული ცხოვრების ფასად დაგვიჯდება. თუ დავიძლევით, დავკარგავთ სულს, მოვაკლდებით ღმერთთან მარადიულ ნეტარებასა და სიხარულს და სასჯელად მეორე სიკვდილი – ღვთისგან მარადიული განშორება მოგვეგება. ნუ იყოფიან!

**ნიკოდიმოს ათონელი**: აი, რას ამბობს სულიწმიდა ზირაქის სიბრძნეში: „მრავალ ბოროტებას ასწავლის უსაქმურობა“. ეშმაკმა, თითქოსდა, თავისი სკოლა გახსნა მზაკვრობისა და ბოროტებისა და რადგან თავად არ სურდა ბოროტების სწავლება ადამიანისთვის, თავის მაგივრად მასწავლებლად უსაქმურობა დააყენა, რათა მას ეშმაკის ნაცვლად ეკითხა ეს ლექციები. ადამიანები კი ამ სკოლაში ცოდვებს სწრაფად და ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე სწავლობენ. ცოდვებს იქ ყველა ადამიანი იმეცნებს, მაგრამ სწავლაში განსაკუთრებით წარემატებიან ისინი, ვისაც დამძიმებული და მდორე ფიქრები აქვთ. იქ ადამიანი სწავლობს გონებით შეცოდებას, როცა გულით სურს ის, რისი გაკეთებაც საქმით არ შეუძლია. „ზარმაცს შიმშილი მოკლავს, რადგან მის ხელებს არ სურთ შრომა!“ ის მთელი დღე ბოროტს იზრახავს. ხშირად უსაქმური კაცი საქმით არანაირ ბოროტებას არ იქმს, ვინაიდან მას საერთოდ არაფრის კეთება არ სურს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფიქრებით ყოველდღიურად ჩაფლულია უწმინდურობაში.

# რომელი ფეხბურთელები მოხვდნენ ყველაზე უხეში და ხისტი ფეხბურთელების ტოპ-ათეულში

*თანამედროვე ფეხბურთში არაერთი მოთამაშეა ისეთი, ვის შესახებაც საუბარი შეიძლება, როგორც მის პროფესიულ ოსტატობაზე, ასევე არაადეკვატურ ქცევაზე საფეხბურთო მოედანზე. გთავაზობთ ყველაზე თავზეხელაღებული და ხულიგანი ფეხბურთელების ტოპ-ათეულს.*

### კრეიგ ბელამი – „კარდიფი"

უელსელი ბელამი კარდიფი მუშათა რაიონში გაიზარდა, სადაც უხეშობა მიღებული წესი იყო. სიხისტე ბელამის კარიერის ნაწილია. „ნიუკასლში" თამაშის დროს კრეიგმა მწვრთნელს სკამი ესროლა, მეკარე შეი გივენს ტრავმა მიაყენა, საჩხუბრად გაიწია ლეგენდარულ ალან შირერზე, გოლფის ჯოხით ეჩხუბა იონ-არნე რიისეს და ასევე, ხელით შეეხო გულშემატკივარს მანჩესტერული დერბის დროს. ახლო მომავალში „კარდიფის" დებიუტი შედგება პრემიერლიგაში და მოსალოდნელია, კრეიგ ბელამიმ კვლავ ყველას აჩვენოს თავისი სიხისტე და შეუპოვრობა.

### მარკ ვან ბომელი – „პსვ"

ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა მარკ ვან ბომელმა განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონი მისთვის უკანასკნელი იქნება.




ამრიგად, წელს დასრულდება მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხისტი ფეხბურთელის სპორტული კარიერა. ვან ბომელი – „ძვლების გამანადგურებლის" სახელით ცნობილი ფეხბურთელი, ჰოლანდიის ჩემპიონატის ლიდერია ყვითელი ბარათების რაოდენობით. კარიერის განმავლობაში დაგროვილი ფოლების რაოდენობა კი დათვლას არ ექვემდებარება.

### ელ-ჰაჯი დიუფი – „ლიდსი"

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი და ტრანსფერი „ლივერპულში", სულ ეს არის, რითაც შეუძლია, იამაყოს სენეგალელმა ელ-ჰაჯი დიუფმა, რომელსაც ერთი პერიოდი, აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნევდნენ. საფრანგეთში თამაშის დროს, დიუფი ავტომობილს მართვის მოწმობის გარეშე მართავდა; „ლივერპულში" თამაშის დროს, „სელტიკის" ქომაგებს აფურთხებდა ტრიბუნაზე; ყალბი ჩვენება მისცა „ევერტონის" ქომაგების წინააღმდეგ, თითქოს მათგან რასისტული შეძახილები ისმოდა. ამჟამად დიუფს 5 წლით აკრძალული აქვს სენეგალის ნაკრების ღირსების დაცვა, რადგან მან ფედერაციის ჩინოვნიკები კორუფციაში დაადანაშაულა. ყვითელი და წითელი ბარათები კი დიუფის კარიერის მუდმივი პრობლემაა.

### ნაილ რეინჯერი – კლუბის გარეშეა

რამდენიმე წლის წინ ნაილ რეინჯერი იმედისმომცემი ფეხბურთელი იყო, რომელსაც ენდი კეროლის შემცვლელად მოიაზრებდნენ „ნიუკასლში", თუმცა წარმატებული კარიერის ნაცვლად, რეინჯერმა კრიმინალური გზა არჩია. 15 წლისამ 3 თვე არასრულწლოვანთა კოლონიაში გაატარა. ორჯერ დააპატიმრა პოლიციამ ავტომობილის ალკოჰოლური ზემოქმედების დროს მართვის გამო. ნაჩხუბარი იყო ნიუკასლის პოლიციელებთან, რის გამოც ერთწლიანი პირობითი სასჯელი მოიხადა, „ტვიტერზე" ჰომოფობიურ პოსტებს წერდა, რის გამოც რამდენჯერმე დაჯარიმდა. გარდა ამისა, 2013 წლის იანვარში, რეინჯერი გაუპატიურების ბრალდებით დააკავეს და საქმეზე ჯერაც მიმდინარეობს გამოძიება.

### ნაიჯელ დე იონგი – „მილანი"

ბრუტალური ნაიჯელ დე იონგი ცნობილი 2010 წელს გახდა, როდესაც მსოფლიო ჩემპიონატზე გაშლილი



ფეხი გულმკერდის არეში მოარტყა ესპანელ ჩაბი ალონსოს და ნოკაუტში ჩააგდო. მანამდე დე იონგმა იგივე ილეთი ამერიკელი სტიუარტ ჰოლდენის წინააღმდეგ გამოიყენა ამხანაგურ მატჩში... სულ ბოლოს კი „ნიუკასლის" ფრანგი ლეგიონერი – ჰატემ ბენ არფა კინაღამ ფეხის გარეშე დატოვა. დე იონგი მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე უხეშ მოთამაშედ მიიჩნევა.

### ზლატან იბრაჰიმოვიჩი – „პსჟ"

კუნფუს ოსტატი ზლატან იბრაჰიმოვიჩი თავისი ცუდი ხასიათის გამოვლენას საფრანგეთის ჩემპიონატშიც აგრძელებს – მისი დარტყმის ძალა უკვე გამოსცადა „სენტ-ეტიენის" მეკარემ სტეფან რუფიემ.




მანამდე კი ზლატანმა ყველას დაამახსოვრა თავი, როცა თანაგუნდელ ანტონიო კასანოს აღმოსავლური ორთაბრძოლის ილეთი ჩაუტარა და თავში წამოარტყა. ამის მიუხედავად, ზლატანი უაღრესად შედეგიანი მოთამაშეა და „ცუდი ბიჭის" იმიჯის მიუხედავად, „პარი სენ ჟერმენისთვის" საკვანძო ფეხბურთელია.

### პეპე – „რეალი"

ბოლო დროს პორტუგალიელი პეპე მადრიდის სამეფო კლუბის ძირითადი შემადგენლობიდან ფრანგმა რაფაელ ვარანმა ამოაგდო და შემთხვევით არ მომხდარა – მოურინიო სწორედ ახალგაზრდა ფრანგს ენდობა, რადგან პეპეს ზღვარგადასულმა უხეშობამ „რეალი" ათი კაცით დატოვა მოედანზე.




პორტუგალიელის განსაკუთრებულ უხეშობაზე „ბარსელონას" ფეხბურთელების წინააღმდეგ, ლეგენდებსაც კი თხზავენ. პეპეს გაშლილი ფეხის ძალა დანი ალვეშს აქვს გამოცდილი საკუთარ თავზე.

### მარიო ბალოტელი – „მილანი"

აბაზანის დაწვა და კინკლაობა რობერტო მანჩინისთან, მარიო ბალოტელის მანჩესტერული წარსულია. ამჟამად მსოფლიო ფეხბურთის იტალიელი ჯამბაზი „მილანის" ქომაგებს ართობს. ამბობენ, ადრიანო გალიანიმ ზლატან იბრაჰიმოვიჩის შემცვლელად, სპეციალურად აიყვანა იბრაჰიმოვიჩივით „მძიმე" და ჭირვეული ხასიათის ვარსკვლავი. მარიომ უკვე მოასწრო თავის გამოჩენა მილანშიც, – ორ უაღრესად მნიშვნელოვან მატჩში „იუვენტუსთან" და „ნაპოლისთან," წითელი ბარათები მიიღო და გუნდი დააღალატა.

### ჯოუი ბარტონი – „მარსელი"

გასული სეზონის ბოლო ტურის მატჩში ინგლისის პრემიერლიგაში ჯოუ ბარტონმა ყველას დაამახსოვრა თავი – მისი სიხისტე საკუთარ



თავზე გამოსცადეს ჩემპიონობისთვის მებრძოლი „სიტის" ვარსკვლავებმა – კარლოს ტევესმა, სერხიო აგუერომ და მარიო ბალოტელიმ. ბარტონს 12-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და არცთუ მცირე ჯარიმის გადახდა დაეკისრა. პრემიერლიგაში დარჩენას აზრი რომ აღარ ჰქონდა, ბარტონი მალევე მიხვდა და მარსელში გადაბარგდა – ადგილობრივ კლუბში, სადაც თავიდანვე ხულიგანის სახელი დაიმკვიდრა. ბოლო დროს საფეხბურთო მოედნის ნაცვლად, ბარტონი „ტვიტერში" გააქტიურდა და მწარე პოსტებით კონკურენტი კლუბების ფეხბურთელების წონასწორობიდან გამოყვანას ცდილობს. მაგალითად, „პარი სენ ჟერმენის" ბრაზილიელ მცველს, ტიაგო სილვას ჯოუი გასიებულ ტრანსსექსუალუად მოიხსენიებს.

### ლუის სუარესი – „ლივერპული"

პრემიერლიგის ამ სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირთა დავაში რობინ ვან პერსის მთავარი




კონკურენტი – ლუის სუარესი, შედეგიან თამაშთან ერთად, სიბინძურის, სიხისტისა და უხეშობის ნათელი მაგალითია. რამდენიმე ხნის წინ სუარესს 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. კლუბმა ეს გადაწყვეტილება არ გაასაჩივრა, რადგან ყველასთვის ცნობილია, რომ სუარესმა სასჯელი დაიმსახურა. „ჩელსისთან" შეხვედრისას სუარესი სრულად უწყინარ სიტუაციაში ბრანისლავ ივანოვიჩს ეუხეშა, რითაც რეპუტაცია კიდევ ერთხელ შეელახა.

## რომარიოს აღსარება პელეზე



ორი ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელის დაპირისპირება ახალ ეტაპზე გადავიდა, – იუწყებიან ბრაზილიური საინფორმაციო სააგენტოები. ჯერ კიდევ 2007 წელს რომარიომ პელე მოიხსენია „ადამიანად, რომელიც მაშინ არის პოეტი, როცა ჩუმადაა”. სულ რამდენიმე დღის წინ კი პელემ რომარიოსგან ახალი ეპითეტი დაიმსახურა: „ის არა მარტო პოეტი, არამედ იმბეცილიცაა“. უკანასკნელი სისულელე, რაც პელემ ბრძანა „კორინტიანსს” ეხება, რომელიც, მისი აზრით, ბრაზილიის ნაკრების საბაზისო გუნდად უნდა იქცეს”, – დაწერა „ფეისბუქში” რომარიომ და აღნიშნა, რომ პელე საბოლოოდ შეიშალა და დროა მკურნალობა დაიწყოს. გარდა ამისა, რომარიომ პელეს საქციელი დაუწუნა იმის გამოც, რომ ფეხბურთის მეფე თავისი უკანონო შვილის დაკრძალვას არ დაესწრო. პელე ხანგრძლივი დროის განმვლობაში არ აღიარებდა, რომ სანდრა მისი შვილი იყო. მხოლოდ სანდრას გარდაცვალების შემდეგ დამტკიცდა დნმ-ის ანალიზით პელეს მამობა.

## წლის ახალწვეული NBA-ში

ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის კლუბ „პორტლენდის” დამცველი – დემიენ ლილარდი 2012-2013 წლების სეზონის საუკეთესო ახალწვეულად დასახელდა. კლუბის არსებობის ისტორიაში ლილარდი სულ მეოთხე კალათბურთელია, რომელსაც მსგავსი პატივი ერგო. მანამდე საუკეთესოებად იყვნენ აღიარებულნი: ჯეფრი პეტრი (1970-1971), სიდნი უიქსი (1971-1972) და ბრენდონ როი (2006-2007). 2012 წლის დრაფტზე ლილარდი მეექვსე ნომრად აიყვანა “პორტლენდმა” და სეზონის განმავლობაში მან 185 სამქულიანი ტყორცნა განახორციელა, რაც რეკორდია ლიგის არსებობის ისტორიაში.



## რონალდუს მორიგი სკანდალი

ბრაზილიელი ლამაზმანი – ანდრეა ურაკი, რომელიც „საუკეთესო უკანალის” კონკურსის გამარჯვებულია სამშობლოში, ირწმუნება, რომ კრიშტიანუ რონალდუსთან ჰქონდა სექსი იმ საღამოს შემდეგ, რაც „რეალისა” და პორტუგალიის ნაკრების ვარსკვლავმა თავის საცოლესთან, ირინა შეიკთან ერთად ისადილა მადრიდის ერთ-ერთ რესტორანში. ანდრეას თქმით, ის კრიშტიანუს თხოვნით ჩავიდა მადრიდში და ერთ-ერთ სასტუმროში, სადაც მას ფეშენებელური ნომერი დახვდა დაჯავშნილი, ღამე გაატარა ფეხბურთელთან. როგორც ბრაზილიელი ლამაზმანი ამბობს, მას დიდი ხანია, მიმოწერა აქვს რონალდუსთან და საბოლოოდ, საქმე შეხვედრამდეც მივიდა. ირინა შეიკის პოზიცია აღნიშნულ ისტორიასთან დაკავშირებით ჯერჯერობით უცნობია.

## მარიო გელფრენდის გარეშე დარჩა

„მილანის” სკანდალური ფორვარდი, მარიო ბალოტელი მეგობარი გოგოს გარეშე დარჩა. ფანი ნეგუეშამ მარიოს მიტოვების გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ბალოტელიმ ღიად განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ „რეალი” „დორტმუნდის” ბარიერს გადალახავდა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში, ის თავის გერლფრენდს მადრიდელ ფეხბურთელებს დაუმობდა. „რეალმა” ვერ მოახერხა „დორტმუნდის” გამოგდება, ხოლო ფანიმ ეპატაჟური მარიოს სახლიდან თავისი ნივთები წამოიღო და ცალკე გადავიდა საცხოვრებლად.

## ჯასტინ ბიბერის მსმენელი ბექჰემი

დევიდ ბექჰემი უსმენს ჯასტინ ბიბერს, – ასეთი განცხადება გააკეთა “პარი სენ ჟერმენის” შვედმა ვარსკვლავმა, ზლატან იბრაჰიმოვიჩმა. ზლატანის თქმით, მან გასახდელში ბექჰემის დატოვებული “აიპოდი” ნახა და გადაწყვიტა, გაეგო, თუ როგორ მუსიკას უსმენდა ლეგენდარული ინგლისელი. აღმოჩნდა, რომ “სფაიზ გიერლსის” წევრის, ვიქტორია ადამსის ვარსკვლავური მეუღლე თინეიჯერების კერპების – ჯასტინ ბიბერისა და სელენა გომესის სიმღერებს უსმენს. მოგვაინებით თავად ბექჰემმა გააკეთა განცხადება, რომ “აიპოდი” მის შვილებს ეკუთვნის და სწორედ ისინი უსმენენ აღნიშნულ მუსიკას. თავად კი როკსა და ჯაზს ანიჭებს უპირატესობას.

## ბეილი საუკეთესოა

უელსის ნაკრებისა და ლონდონის „ტოტენჰემის” ნახევარმცველი, გარეთ ბეილი ინგლისის პროფესიული საფეხბურთო ასოციაციის მიერ 2012-2013 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა.



გამოკითხვაში ბეილმა ლუის სუარესის, რობინ ვან პერსის, მაიკლ კარიკს, ხუან მატას და ედენ აზარის აჯობა. პირველად საუკეთესო ფეხბურთელად ბეილი 2010-2011 წლების სეზონზე დასახელდა. ამგვარად, ის მეოთხე ფეხბურთელი გახდა ისტორიაში, რომელმაც მსგავსი ტიტული ორჯერ მოიპოვა, მანამდე საუკეთესოებად სეზონზე ორ-ორჯერ დასახელდნენ: კრიშტიანუ რონალდუ, ალან შირერი და ტიერი ანრი.

## აველანჟის სკანდალური გადადგომა

96 წლის ბრაზილიელი ჟოაო აველანჟი ფიფას საპატიო პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგა. 1974-1998 წლებში ფიფას პრეზიდენტის წასვლას თანამდებობიდან სკანდალური ელფერი ჰქონდა, გამოძიებამ დაადასტურა ფაქტები, რომ აველანჟი და მისი თანამზრახველები – რიკარდო ტეიშეირა (ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის ექსპრეზიდენტი და აველანჟის სიძე) და ნიკოლას ლეოსი (სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის ასოციაციის ექსპრეზიდენტი) ქრთამს იღებდნენ მარკეტინგული კომპანია “ISL”-სგან, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატების ტელეტრანსლაციების უფლებას ანაწილებდა. საერთო ჯამში, ფიფას ანგარიშზე 22 მილიონი დოლარი ჩაირიცხა, საიდანაც ნახევარი მილიონი პირადად აველანჟის ანგარიშზე დაჯდა. გამოძიების თანახმად დადგინდა, რომ აღნიშნული თანხა აველანჟმა ზეპ ბლატერის პრეზიდენტობის პერიოდში მიიღო. ფიფას ოფიციალურ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ამჟამად ორგანიზაცია სრულად აკონტროლებს თანხების ბრუნვას და მომავალში მსგავსი ფაქტები აღარ განმეორდება.

## რობი კინის სექსუალური მეუღლე

მას შემდეგ, რაც დევიდ ბექჰემმა ამერიკის კონტინენტი მიატოვა და ევროპაში დაბრუნდა, „ლოს-ანჯელეს გელექსის” ირლანდიელი ვარსკვლავი – რობი კინი ამერიკის ჩემპიონატის ნომერ პირველი ლეგიონერი გახდა. ასევე, ყურადღების ცენტრშია, მისი მომხიბლავი მეუღლეც, მოდელი კლოდინ პალმერი. კლოდინი მის ირლანდიის კანდიდატი და ქალის თეთრეულის დიზაინერია. წყვილი ხშირად სეირნობს ერთად ლოს-ანჯელესის ქუჩებში. სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტომ რობინ კინის მეუღლე უკვე დაასახელა ამერიკის ჩემპიონატის, MLS-ის ყველაზე სექსუალურ ფეხბურთელის ცოლად.

გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



### აიმაღლეთ იმუნიტეტი სახლში დამზადებული პოლივიტამინური ნაყენებით

ვიტამინების ნაკლებობა იწვევს ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითებას, ამიტომ პოლივიტამინური ნაყენების ხალხური რეცეპტები სიმხნევეს მოგანიჭებთ, ტვინის მოქმედებას გააქტიურებს და ტონუსს აგიმაღლებთ.

*კუნელის ნაყენი: ნახევარ ჩაის ჭიქა კუნელის ნაყოფს დაასხით 1 ლიტრი მდუღარე წყალი. დადგით დაახლოებით 5-6 საათით ოთახის ტემპერატურაზე, შემდეგ კი 1 ჭიქა ნაყენში გაურიეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი და ჭამის  შემდეგ დალიეთ.

*მოცვის ნაყენი: 1/4 ჩაის ჭიქა მოცვის ფოთლებს დაასხით 3 ჭიქა ცივი წყალი, დადგით ნელ ცეცხლზე და ადუღეთ ნახევარი საათის განმავლობაში. დალიეთ თბილი, დღეში 2-ჯერ, ჭამის შემდეგ. ეს ნაყენი პოლივიტამინების საბადოა, ასევე, კარგია ნიკრისის ქარის დროს.

*დამამშვიდებელი ნაყენი: 4 სადილის კოვზი გვირილის ყვავილი, 4 სადილის კოვზი პიტნის ფოთოლი და 2 სადილის კოვზი ვალერიანის ძირები კარგად აურიეთ ერთმანეთში. ამ ნარევის 1 სადილის კოვზი ჩაყარეთ ჩაის ჭიქაში და შეავსეთ მდუღარე წყლით. გააჩერეთ დაახლოებით 10-15 წუთი, შემდეგ გაწურეთ და დალიეთ თითო ჭიქა, დღეში ორჯერ.

*გვირილის მკვებავი ნაყენი: 1 სადილის კოვზ გვირილის ყვავილს დაასხით 1 ლიტრი ადუღებული წყალი და დადგით 20 წუთით. დაუმატეთ შაქარი და ნაღები – გემოვნებით. ეს ნაყენი ორგანიზმისთვის ერთგვარი მკვებავია, ასევე უხდება ნაწლავებს და აწესრიგებს ძილს.

*ასკილისა და შავი მოცხარის ნაყენი: თანაბარი რაოდენობით შეურიეთ ერთმანეთს ასკილის ნაყოფი და მოცხარის კენკრა. 2 სადილის კოვზ ნარევს დაასხით 2 ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი და გააჩერეთ ერთი საათით თავდახურული. შემდეგ გადაწურეთ და დაატკბეთ შაქრით. დალიეთ ნახევარი ჭიქა, დღეში სამჯერ. ეს ნაყენი კარგია  გაციებისა და ინფექციური დაავადებების დროს.

*ასკილისა და ქიშმიშის ნაყენი: გაატარეთ ქიშმიში ხორცსაკეპ მანქანაში, დაასხით მდუღარე წყალი. ადუღეთ 10 წუთით და მიღებულ ნახარშს დაუმატეთ იმდენივე ასკილის ნახარში. დალიეთ ნახევარი ჭიქა დღეში რამდენჯერმე. ეს ნაყენი კარგია მათთვის, ვისაც გულსისხლძარღვთა დაავადებები აწუხებს, რადგან ქიშმიშიც და ასკილიც გულის კუნთს ამაგრებს.

*ასკილისა და ცირცელის ნაყენი: ერთმანეთში აურიეთ თანაბარი რაოდენობის ასკილი და ცირცელი. 2 ჩაის კოვზ ნარევს დაასხით 2 ჭიქა მდუღარე წყალი. გააჩერეთ დაახლოებით ერთი საათით. შემდეგ გაწურეთ და მიიღეთ დღეში სამჯერ, ნახევარი ჩაის ჭიქა.

*ავიტამინოზის დროს: აიღეთ 3-3 სადილის კოვზი ჭინჭრის ფოთოლი და ასკილი. დანაყეთ, დაუმატეთ 2 სადილის კოვზი მოცვი და კარგად აურიეთ. 3 სადილის კოვზ ნარევს დაასხით 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და დადგით სამი საათით, ოთახის ტემპერატურაზე. სვით დილა-საღამოს, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. ეს ნაყენი ამდიდრებს ორგანიზმს ყველა ვიტამინითა და მიკროელემენტით.

### როგორ დავიცვათ თავი საკვებისა და წყლის ინტოქსიკაციისგან

წყლითა და საკვებით ინტოქსიკაცია მწვავე დაავადებაა, რაც ხასიათდება გულისრევით, ღებინებით, ფაღარათით ან ნევროლოგიური სიმპტომებით. ბაქტერიული კვებითი ინტოქსიკაციის ყველაზე ხშირი გამომწვევია ოქროსფერი სტაფილოკოკებით საკვების დაბინძურება, ასევე, მისი დაბინძურება სალმონელათი, ბაცილუს ცერეუსით, კლოსტრიდიუმ პერფრინგენსით. მაგალითად, საკვები სტაფილოკოკით მაშინ ბინძურდება, თუ მისი მომზადების ან შენახვის წესი დარღვეულია. განსაკუთრებით ეს ეხება საკონდიტრო ნაწარმს, რომელიც ოთახის ტემპერატურაზე ინახება რამდენიმე საათით. ასეთ შემთხვევაში, ამ პროდუქტში იქმნება სტაფილოკოკის გამრავლებისთვის კარგი პირობები და ხდება ენტეროტოქსინის წარმოქმნა. სწორედ ეს არის ის ტოქსინი, რომელიც დაავადების განვითარებას იწვევს.

სტაფილოკოკური დაავადების დროს, პირველი 5-6 საათის განმავლობაში იწყება გულისრევა, მუცლის ტკივილი, ფაღარათი, ხანდახან შოკიც კი. ამ დროს ტემპერატურა ოდნავ მომატებულია. ადამიანი თავს ცუდად გრძნობს.

სალმონელა ადამიანის ორგანიზმში საკვებით ხვდება, განსაკუთრებით – კვერცხიდან, ხორციდან და ისეთი პროდუქტებიდან, რომლებიც სათანადოდ არ არის თერმულად დამუშავებული. ასეთ შემთხვევაში, ხდება მასობრივი ინფიცირება.

სალმონელათი დაბინძურებული საკვებით ინტოქსიკაცია უფრო ხშირად ბავშვებში ფიქსირდება. იწყება ღებინება, ტემპერატურის მკვეთრი მატება, საერთო სისუსტე, თავისა და მუცლის ტკივილი, კანის გამოშრობა, მუცლის შებერვა. ასევე, აღინიშნება ფაღარათი, განავალი კი თხელი, ლორწოვანი და ქაფისებურია. ამ დროს ავადმყოფს კიდურები უცივდება, ხშირია გონების დაკარგვა და კრუნჩხვაში ჩავარდნა. ეს სიმპტომები ვითარდება საკვების მიღებიდან 6-46 საათის განმავლობაში.

კლოსტრიდიუმ პერფრინგენსი ფართოდაა გავრცელებული წყალში, ნიადაგში, ადამიანისა და ცხოველის განავალში. სპორები ძალიან ადვილად მრავლდება და ინტენსიურად აბინძურებს საკვებ პროდუქტებს. ეს დაავადება ძირითადად ზაფხულში იჩენს თავს.

კლოსტრიდიებით გამოწვეული მოწამვლა იწყება საკვების მიღებიდან 6 – 12 საათის განმავლობაში. იმატებს ტემპერატურა, აღინიშნება ფაღარათი, ღებინება, მუცლის შეტევითი ხასიათის ტკივილი.

საკვებით ინტოქსიკაციის დროს უნდა მიიღოთ, რაც შეიძლება ბევრი სითხე ან გაიკეთოთ გადასხმა და ამით აინაზღაუროთ სითხის დანაკლისი. ზოგიერთ შემთხვევაში, საჭირო ხდება ანტიბიოტიკების მიღება. ამ მხრივ, პროფილაქტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. უბრალოდ, აუცილებლად უნდა დაიცვათ ზაფხულში საკვების შენახვისა და მომზადების სანიტარიული და ჰიგიენური პირობები. მოწამლული ადამიანი სრულ იზოლაციაში უნდა იყოს.

### უცხიმო ხორცი, წითელი ღვინო და თაფლი ებრძვის წონაში მომატების რისკს

ნორმალური წონის ადამიანებში ქოლესტერინის მაღალი დონე თავისთავად ზრდის კილოგრამების მომატების რისკს. ქოლესტერინის გამოყენებაზე პასუხისმგებელია ღვიძლი. სწორედ მასში გარდაიქმნება ჭარბი ქოლესტერინი ნაღვლის მჟავად, რომელიც, ნაწლავებში მოხვედრის შემდეგ, ბუნებრივი გზით, გარეთ გამოიყოფა. ეს მექანიზმი ფერხდება, თუ ღვიძლში ქოლესტერინის გადამუშავებაზე პასუხისმგებელი ძირითადი გენი დაზიანებულია. ამ დროს ქოლესტერინის ჭარბი რაოდენობა, სისხლის შრატში მიმოიქცევა, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ცხიმიან საკვებს აღარ მიირთმევს. აღნიშნული გენის დაზიანებისას ირღვევა ცუდი ქოლესტერინის განდევნა, კარგი კი ორგანიზმს შეუფერხებლად ტოვებს. ქოლესტერინის გენის მუშაობის შეფერხება ძირითადად ქალებში აღინიშნება. სისხლში ქოლესტერინის მომატებული დონე მოზარდ გოგონებში დაახლოებით 10 წლის ასაკიდან ხდება გასუქების მიზეზი. რაც უფრო დაბ-

ალია გოგონა, მით მეტია რისკი. ამიტომ, ტანმორჩილ ბავშვებს მშობლებმა ხშირად უნდა შეუმოწმონ სისხლში ქოლესტერინის დონე. თუმცა, ქოლესტერინის გაკონტროლება ნებისმიერ ასაკშია საჭირო.

ხშირად ქოლესტერინის მომატების მიზეზი კვების რაციონის არასწორი შერჩევაა. ქოლესტერინის დონეზე გავლენას ახდენს ცხიმები. ნაჯერი ცხიმები ამაღლებს სისხლში ქოლესტერინის რაოდენობას. ასეთი ცხიმებით მდიდარია ხორცი, ნაღების კარაქი და ყველი; ნახევრად უჯერი ცხიმები კი ამცირებს ქოლესტერინის დონეს. მას შეიცავს სოიის, მზესუმზირის, სიმინდის ზეთი, თევზი, ფრინველის მჭლე ხორცი, ზღვის პროდუქტი, უცხიმო რძის პროდუქტები. ასევე, სისხლში ქოლესტერინის დონეს ამცირებს მონო-უჯერი ცხიმები. მათ შეიცავს ზეითუნისა და არაქისის ზეთი, ნიგოზი და ავოკადო. ამ პროდუქტებით მდიდარი დიეტა ძალიან სასარგებლოა.

მცენარეული საკვები ქოლესტერინს არ შეიცავს, ერთ კვერცხში კი დაახლოებით 260-270 მილიგრამი ქოლესტერინია, რაც ადამიანის დღიური ნორმაა.

უცხიმო ხორცის ჭამა სასურველია მათთვის, ვისაც ქოლესტერინისგან გათავისუფლება სურთ. ხილი და ბოსტნეული კი ქოლესტერინის ნამდვილი მტერია. ამ მხრივ ყველაზე კარგია ვაშლი. თაფლიც ქოლესტერინთან მებრძოლ იმდენივე ანტიმჟანგავს შეიცავს, რამდენსაც ვაშლი. 1 ჭიქა წყალში გახსენით 2 სადილის კოვზი თაფლი და სვით ყოველ დილით. მოერიდეთ ყავის ხშირად სმას, რადგან მასში დუღილის დროს წარმოიქმნება ნივთიერება, რომელიც ქოლესტერინის დონეს ამაღლებს.

ასევე, კარგია, თუ მთელი დღის განმავლობაში 1 ჭიქა წითელ ღვინოს მიირთმევთ. ფიზიკური დატვირთვის დროს კი, სისხლი ინტენსიურად გაივლის ღვიძლს და ცუდი ქოლესტერინი ნაღვლის მჟავად გარდაიქმნება. ამიტომ, ფიზიკური ვარჯიშები ამ მხრივ ძალიან სასარგებლოა.

### კაკლის ფოთლების ნაყენი და მარილის და სოდის აბაზანა სოკოვან დაავადებას კურნავს

სოკოვანი დაავადება საკმაოდ უსიამოვნო და საშიშია. თუ სოკო ფეხის თითებზე გაჩნდა, გაიკეთეთ ცივი წყლის აბაზანა. წყალში კი ჩაყარეთ 1 სადილის კოვზი საჭმელი სოდა და მარილი. როგორც კი წყალში ფეხებს ჩადგამთ, მაშინვე იგრძნობთ შვებას.

სოკოვანი დაავადების დროს, აგრეთვე, კარგია კაკლის ფოთლების ნახარში, კერძოდ, 1 მუჭა, ანუ 100 გრამი კაკლის ფოთოლი ჩაყარეთ 3 ლიტრ ადუღებულ წყალში და თავზე მჭიდროდ დაახურეთ. როცა წყალი გაგრილდება, გაიკეთეთ აბაზანები. ეს პროცედურა უნდა ჩაიტაროთ დღეში ერთხელ, საღამოს. შემდეგ კი ფეხები არ შეიმშრალოთ.

კანის ძლიერი ქავილის დროს ტანი დაიზილეთ მარილიან წყალში დასველებული ტილოთი. გარწმუნებთ, ასეთი მეთოდის გამოყენებით, ქავილი შეწყდება და შვებასაც მალევე იგრძნობთ.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ხანგრძლივი სტრესის შემდეგ ჩამომიყალიბდა ნევროზი: გულისცემა სულ 80-90 მაქვს, მიკანკალებს ხელები, მაქვს უძილობა. როგორ ვუშველო თავს?**

**პასუხი:** უპირველესად, უნდა დარწმუნდეთ, რომ თქვენი სიმპტომები გამოწვეულია სტრესით და არა რაიმე სხვა დაავადებით, რომელიც ფსიქიკური გადაძაბვის ფონზე აღმოცენდა. უნდა გამოირიცხოს ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგია (ექოსკოპია და ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების ანალიზი) და ასევე, გულსისხლძარღვთა სისტემის (ელექტროკარდიოგრამა, გულის ექოსკოპია). გამოკვლევის პერიოდში მცენარეული დასამშვიდებელი პრეპარატების მიღება შეგიძლიათ. თუ ეს დაავადებები გამოკვლევების შედეგად გამოირიცხება, მიმართეთ ნევროპათოლოგს, რომელიც ადეკვატურ მკურნალობას დაგინიშნავთ.

**კითხვა: რა დაავადების დროს ჩნდება ენაზე წითელი პიგმენტური ლაქა?**

**პასუხი:** პირის ღრუს დაავადებების დროს (სტომატიტი) ან პროთეზის, ბჟენის, გვირგვინის მასალის ინდივიდუალური აუტანლობის დროს. რაც შეეხება ენის დაზიანებას სხვა დაავადებების დროს, ეს შესაძლოა, ავიტამინოზების, ანემიის ($B_{12}$ – დეფიციტური, ეგრეთ წოდებული ჰანტერის გლოსიტი), სიფილისის დროს. დიაგნოზის დასაზუსტებლად გირჩევთ, მიმართოთ სტომატოლოგს და თერაპევტს.

**კითხვა: ვარ 40 წლის მამაკაცი. მუცლის ღრუს ექოსკოპიის დროს ღვიძლში დიდი რაოდენობით კალცინატი აღმომაჩნდა. როგორ უნდა ვიმკურნალო?**

**პასუხი:** ღვიძლის კალცინატები არ არის დაავადება (შეიძლება, გადატანილი ინფექციის შედეგი იყოს) და არ ითხოვს სპეციალურ მკურნალობას.

**კითხვა: 2-3 თვეა, სიგარეტის მოწევას თავი დავანებე. ბოლო დროა, პირის ღრუში გამუდმებით სიმწარეს ვგრძნობ. რა უნდა იყოს მიზეზი?**

**პასუხი:** პირის ღრუში სიმწარე ქრონიკული გასტრიტის, ან კუჭ-ნაწლავის სხვა პრობლემის შედეგი შეიძლება იყოს. ამას სიგარეტის მოწევასთან კავშირში არ აქვს.

**კითხვა: შეიძლება თუ არა ყოველდღე ცხელი შხაპის ან აბაზანის მიღება?**

**პასუხი:** უკუჩვენებად შეიძლება შინაგან ორგანოთა სხვადასხვა დაავადება ჩაითვალოს: ფლებიტი (თრომბოფლებიტი), პანკრეატიტი, გულის იშემიური დაავადება, ჰიპერტონული დაავადება.

**კითხვა: დამისვეს დიაგნოზი: ცალმხრივი პიელოექტაზია. როგორ აისახება ეს ჩემს ჯანმრთელობაზე და როგორ ვიმკურნალო?**

**პასუხი:** პიელოექტაზია – თირკმლის ფიალების გაფართოება საშიშია ხშირი ანთებითი პროცესებით. საჭიროა პერიოდული პროფილაქტიკური მკურნალობა, რათა თირკმლის ქრონიკული უკმარისობა არ განვითარდეს.

**კითხვა: ერთი თვის წინ წითურა გადავიტანე. მას შემდეგ ხშირად სახსრები მტეხს. გამიგია, რომ წითურამ სახსრებზე გართულება შეიძლება გამოიწვიოს. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** თქვენ მართალი ბრძანდებით, შეიძლება გამოიწვიოს. უნდა გაიკეთოთ სისხლის ბიოქიმიური ანალიზი, ანალიზი C-რეაქტიულ ცილაზე, ჩაიტაროთ მკურნალობა.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**



გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძე

# როგორ გახდა დაწუნებული ბალერინა – ელენე გლურჯიძე მსოფლიო ვარსკვლავი და კარლ ლაგერფილდის მუზა

*ერთი წლის განმავლობაში შანელის „კომპანია“ მთელ მსოფლიოში ფარულად ადევნებდა თვალყურს ცნობილ ბალერინებს, რათა მათ შორის საუკეთესო შეერჩიათ. ცხადია, მეც არაფერი ვიცოდი და პირდაპირ ფაქტის წინაშე დამაყენეს, როცა მითხრეს, რომ ლაგერფილდის საბოლოო გადაწყვეტილება ჩემზე შეჩერდა. უნიკალური კაბა არა მხოლოდ შემიკერა, არამედ მაჩუქა. ეს კაბა დარჩება კომპანიაში, შემდეგ მუზეუმში, მაგრამ ჩემს გარდა მისი ჩაცმის უფლება არავის აქვს”... მსოფლიოში აღიარებულ ქართველ ვარსკვლავს – ელენე გლურჯიძეს საქართველოში შემოქმედებითი საღამო ჰქონდა და ძალიან დაკავებული გახლდათ, მაგრამ ინტერვიუზე მაინც დაგვთანხმდა.*



**– ელენე თბილისში გატარებულ ბავშვობას როგორ იხსენებთ?**

– ბავშვობიდან არაჩვეულებრივი მოგონებები მაქვს... ძალიან თბილ, ოჯახურ გარემოში ვიზრდებოდი. სულ ეზოში ვთამაშობდი დაჭერობანას, წრეში ბურთსა თუ რეზინობანას. „გარაჟებზე” დავძვრებოდით და მახსოვს, ერთხელ სახურავზე ფეხი გამეჭედა და ძლივს ჩამომიყვანეს. „როლიკებზე ვკატაობდი” და მუხლები სულ დაბეჟილი მქონდა. მოკლედ, ნამდვილი „ბანდიტი” ვიყავი...



**– ბალერინობა როდის მოგინდათ?**

– დედამ წაგვიყვანა მე და ჩემი და საირმეზე მდებარე ხელოვნების სკოლაში... ყველა დედას უნდა, მისმა გოგონამ იცოდეს ფორტეპიანოზე დაკვრა, ხატვა, ქარგვა.. ხელოვნების სკოლაში ვაბარებდი მუსიკაზე, მაგრამ ბალეტზე აღმოვჩნდი. სკოლის დირექტორმა (ნათელა წერეთელმა) ჩემში მაშინვე დაინახა ბალერინა – „არანაირი მუსიკა, საბალეტო კლასში უნდა ჩაგრიცხო”... მეც მომინდა, ცეკვა მეცადა და ეს მცდელობა მთელ ჩემ ცხოვრებად გადაიქცა.



**– ბალერინობა განსაკუთრებულად რთულია.. სირთულეებმა არ შეგაშინათ?**

– ადამიანს მაშინ ეჩვენება, რომ წვალობს, როცა ზუსტად არ იცის რა სურს. მე ასე არასდროს მიფიქრია. რა თქმა უნდა, რთული პროფესიაა, მაგრამ მე იმდენად რთულად არ მეჩვენებოდა, რომ შემშინებოდა.

**– საირმის ხელოვნების სკოლის შემდეგ სწავლა სად განაგრძეთ?**

– თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში, თუმცა ორ წელიწადში პეტერბურგში, ვაგანოვას რუსული ბალეტის აკადემიაში აღმოვჩნდი. პეტერბურგში, ფაქტობრივად, ჩემმა პედაგოგმა, თავად ცნობილმა ბალერინამ – ნატალია პაპინაშვილმა წამიყვანა. მან ჩემს მშობლებს კატეგორიულად გამოუცხადა: თუ გსურთ ელენემ სერიოზული კარიერა აიწყოს, უნდა სათანადო დონის სასწავლებელში გადავიდეს, აქ თუ დარჩება – დაიკარგებაო. პაპინაშვილმა პეტერბურგში გამოჩენილ ბალერინასა და პედაგოგთან – ნატალია დუდინსკაიასთან მიმიყვანა. მამა კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა 12 წლის ქალიშვილის უცხო ქალაქში საცხოვრებლად გადასვლას. მხოლოდ ბიძაჩემის, სანდრო გლურჯიძის გავლენამ გაჭრა და გამიშვა. თანაც, მამა დარწმუნებული იყო, რომ ასე განთქმულ სასწავლებელში იოლად არავინ მიმიღებდა და რამდენიმე დღეში კვლავ სახლში დავბრუნდებოდი. თუმცა, მისი იმედები არ გამართლდა – უკვე მეორე დღეს ვაცნობეთ, რომ მსოფლიოში ცნობილი სასწავლებლის მოსწავლე გავხდი.



**– როგორი იყო თქვენი, 12 წლის ბავშვის, ყოველდღიური ცხოვრება უცხო ქალაქში?**

– ჩვეული ცხოვრება საერთოდ აღარ არსებობდა. თბილისში მუდმივი და ყოვლისმომცველი მზრუნველობის პირობებში ვიზრდებოდი (მაგალითად: თმებს დედა მვარცხნიდა, სასწავლებელში და უკან მამა მაცილებდა...) დედაჩემმა ისე ინერვიულა ჩემი პეტერბურგში გადასვლის გამო, რომ ნახევრად გაჭაღარავდა. იქაური სასადილო რომ ნახა, ტირილი დაიწყო – აქ ბავშვი როგორ უნდა დავტოვოო. მაშინ რუსეთში რთული წლები იყო, მაღაზიებში რაღაცის მოძიება თითქმის შეუძლებელი გახლდათ... ყოველივეს მიუხედავად, ვერ ვიტყვი, რომ ეს წლები ცუდად მახსენდება. ბავშვები ერთმანეთს ვეხმარებოდით და ვამხნევებდით. მთელ დღეს სასწავლებელში ვატარებდით. იქვე ვჭამდით, ვვარჯიშობდით, გაკვეთილებს ვამზადებდით და შემდეგ კვატებივით ერთ ხაზზე გაბაწრული ყველანი ერთად მივდიოდით ინტერნატში. ცხადია, პირველი წელი პეტერბურგში ჩემთვის მძიმე იყო. სასწავლებლამდე დიდი გზა არ გვქონდა გასავლელი, მაგრამ ყინვას შეუჩვეველს ფეხი გამუდმებით მისრიალებდა, ვვარდებოდი. კიდევ კარგი, აქეთ-იქით გოგოები ხელკავით მომყვებოდნენ, რომ არ წავქცეულიყავი. თბილისიდან ფრიადოსნის „რანგში” ჩამოსული, უცებ ოროსანი გავხდი. რუსულად კი თავისუფლად ვლაპარაკობდი, მაგრამ ქართულ სკოლაში რუსულს ხომ როგორც უცხო ენას, ისე ვსწავლობდი. დაახლოებით 2 წელი დამჭირდა, რომ კვლავ ფრიადოსანი გავმხდარიყავი.

**კარლ ლაგერფილდის შექმნილი კაბა დაცვის თანხლებით ჩამოიტანეს მხოლოდ იმისთვის, რომ ჩამეცვა და რამდენიმე ფოტო გადაეღოთ**



**– სცენაზე პირველი გასვლა, პირველი წარმატება როგორ გახსენდებათ?**

– უკვე აკადემიაში სწავლისას, თეატრის ბევრ სპექტაკლში ვიღებდით მონაწილეობას. მოწაფეებს თეატრში რომ მიგვიყვანდნენ, ყველაფერი იწვევდა აღფრთოვანებას – საბალეტო კოსტიუმები, პარიკები, თეატრალურ ბუფეტში სადილისთვის განკუთვნილი ტალონები, ის, რომ ბუფეტში ვხედავდით ცნობილ მსახიობებს... პეტერბურგში 28 წლამდე დავრჩი. 7 წლის განმავლობაში ჩემი პედაგოგი იყო და ნამდვილ ბალერინად მზრდიდა, ძალიან მომთხოვნი, ჯერ კიდევ მოქმედი, გამოჩენილი რუსი ბალერინა ლუბოვ კუნაკოვა. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლებლის დამთავრებისთანავე, წარმოდგენებში წლების განმავლობაში, მხოლოდ წამყვანი როლები მქონდა და თითქმის მთელი კლასიკური რეპერტუარი მქონდა შესრულებული, მხოლოდ შვიდწლიანი – მუდმივი წვრთნის შემდგომ მითხრა (კარგად მახსოვს, იმ საღამოს ავრორა ვიცეკვე „მძინარე მზეთუნახავში”): აი, ახლა უკვე ნამდვილი ბალერინა ხარ და სადაც არ უნდა წახვიდე, ყველგან წარმატებული იქნებიო... სხვათა შორის, მასწავლებელი, რომელიც აკადემიაში მყავდა, მაინცდამაინც არ მაფასებდა და არ სჯეროდა, რომ მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწევდი. ამაზე დედაჩემმა მას ასე უთხრა: თქვენს კლასში ერთადერთი ბავშვი, რომელიც მართლა ცეკვავს ჩემი ქალიშვილიაო. მისი სიტყვები ზუსტად ახდა – იმ წელს გამოშვებულთაგან ერთადერთი გოგონა გახდა ბალერინა და ეს მე ვარ.






**– საკონკურსო წარმატებები როგორი იყო?**

– არც ერთი კონკურსიდან ჯილდოს გარეშე არ დავბრუნებულვარ და ეს ჩამონათვალი ასეთია: 1996 წელი, მოსკოვი – ბრინჯაოს მედალი; 1998 წელი, პარიზი – პირველი ადგილი; 2002 წელი პერმი – საუკეთესო პარტნიორი; ინტერნეტ-გამო-



ცემის Ballet.co.uk გამოკითხვაში – ინგლისის სცენაზე გამოსულთაგან საუკეთესო ბალერინა: 2006 წელი – მეორე ადგილი, 2007 და 2008 წლები – პირველი ადგილი; კრიტიკოსთა წრის აზრით, 2009 წელს – ინგლისის საუკეთესო ბალერინა გავხდი.



**– როგორ აღმოჩნდით ლონდონში?**

– მამაჩემის იდეა იყო. მას სურდა, მე და ჩემი და ისეთ ქვეყანაში წავსულიყავით, სადაც წესიერი ცხოვრებაც გვექნებოდა და პროფესიული ზრდის საშუალებაც. მეც მინდოდა, რამე ახალი მენახა და მესწავლა. ამ მხრივ ლონდონია გამორჩეული. აქ უამრავი განსხვავებული სკოლის წარმომადგენელი მუშაობს. მამაჩემმა გაგზავნა ჩემი ჩანაწერები რამდენიმე კომპანიაში და ინგლისის ნაციონალური ბალეტის დასიდან მივიღეთ მიწვევა. მანამდე ახალ ზელანდიაში ვიყავი საგასტროლოდ და სწორედ იქ დაესწრო სპექტაკლს ინგლისის ნაციონალური ბალეტის იმჟამინდელი არტისტული დირექტორი... ამიტომაც, როგორც კი ჩანაწერი გავაგზავნეთ, მიწვევაც თითქმის მაშინვე მივიღეთ.

**– ინგლისში როგორ აეწყო თქვენი კარიერა?**

– ინგლისში მხოლოდ წამყვან როლებს ვცეკვავდი. რაც აქ ვარ, რეპერტუარის ყველა წარმოდგენაში ვიცეკვე. ხშირად საგასტროლოდაც დავდივართ.

**– კარლ ლაგერფილდის მუზა რომ გახდით, ამის შესახებ გვიამბეთ?**

– რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მოვლენა იყო. ერთი წლის განმავლობაში შანელის კომპანია მთელ მსოფლიოში ფარულად თვალყურს ადევნებდა ცნობილ ბალერინებს, რათა მათ შორის საუკეთესო შეერჩიათ. ცხადია, მეც არაფერი ვიცოდი და პირდაპირ ფაქტის წინაშე დამაყენეს, როცა მითხრეს, რომ ლაგერფილდის საბოლოო გადაწყვეტილება ჩემზე შეჩერდა – უნიკალური კაბა არა მხოლოდ შემიკერა, არამედ მაჩუქა. ეს კაბა დარჩება კომპანიაში, შემდეგ მუზეუმში, მაგრამ ჩემ გარდა, მისი ჩაცმის უფლება არავის აქვს. ძალიან დიდი პატივი დამდო კარლ ლაგერფილდმა. პარიზში, არქივში – „შანელჰაუზში" ინახება მის მიერ დახატული ყველა ესკიზის ორიგინალური. გარეთ მხოლოდ ასლები ვრცელდება. მე რომ ვიცეკვე, ლაგერფილდმა, გამოხატა რა განსაკუთრებული აღფრთოვანება, მოუტრიალდა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ მისი აზრით, ორიგინალი ესკიზი მე უნდა მეკუთვნოდეს. მცირე პაუზის შემდეგ მოახსენეს, რომ ესკიზი უკვე არქივშია ჩატანილი. მერე რა, ამოვიტანოთო, – განაცხადა ლაგერფილდმა. მე ამ სიტყვებს ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ სამი-ოთხი თვის შემდეგ, ლონდონში მართლაც მივიღე უზარმაზარი ყუთი, რომელშიც აღმოჩნდა ჩარჩოში ჩასმული ორიგინალური ესკიზი კარლ ლაგერფილდის ხელმოწერით. ეს კაბა მომაკვდავი გედისთვის შეიქმნა, რომლის განუმეორებელ შემსრულებლად ანა პავლოვა ითვლება. კარლ ლაგერფილდმა ჩემი შესრულებით რომ ნახა მომაკვდავი გედი, განაცხადა: შენ ანა პავლოვაზე უფრო ძლიერად შეასრულე. შენი ხელები უკეთესიაო. თუმცა, ეს მისი აზრია და მე გამეორებაც კი მეუხერხულება.



**– თქვენით განსაკუთრებულად მოხიბლულა, ალბათ, მეგობრობთ...**

– ლაგერფილდი ძალიან დაკავებულია და ვერ ვიტყვი, რომ ვმეგობრობთ. ლონდონში „შანელის ჰაუზთან" მაქვს ურთიერთობა. მათ ჩემს სპექტაკლებზეც ვიწვევ. შემდგომ ლაგერფილდმა პარიზიდან კიდევ ერთი ულამაზესი კაბა გამომიგზავნა ლონდონში. ეს კაბა დაცვის თანხლებით ჩამოიტანეს მხოლოდ იმისთვის, რომ ჩამეცვა და რამდენიმე ფოტო გადაეღოთ... თავისუფალი დრო არ მაქვს და მოდაში დიდად ვერ ვერკვევი, მაგრამ, ლაგერფილდის შემდეგი წლების კოლექციას ვუყურებდი, ძალიან ხშირად იყო გამოყენებული ბუმბულები... „მომაკვდავი გედი" შემდეგ ბევრჯერ ვიცეკვე – კონსერვატიული პარტიის ყრილობაზე, სამხატვრო გამოფენის გახსნაზე, „ბი-ბი-სის" ფილმთან დაკავშირებით. მმართველი პარტიის ყრილობაზე ერთადერთი მოწვეული არაპოლიტიკოსი ვიყავი და მის გახსნაზე ვიცეკვე. „მომაკვდავი გედი" ძალიან პოპულარული გახდა და მრავალ ქვეყანაში შევასრულე. საქართველოში ჯერ არ მიცეკვია.




**– გვიამბეთ ფილმზე, რომელიც თქვენ შესახებ გადაიღეს...**

– პატარა (10-წუთიანი) ფილმია, რომელიც SKY ARTS-მა გადაიღო ENB Ballet Russes-ს დადგმებთან დაკავშირებით და დროის დიდი ნაწილი ჩემთან ინტერვიუს ეთმობა. ფრანგულ-ქართულ მხატვრულ ფილმშიც გადამიღეს შარშან. 2008 წელს კი, „ბი-ბის-ის" მხატვრულ-დოკუმენტურ მრავალსერიან ფილმში „იმპრესიონისტები," მხატვარ დეგას მუზა-ბალერინა განვასახიერე (თუმცა, ძალიან მცირე დროის განმავლობაში ვარ ეკრანზე).

**– როგორია თქვენი ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრება ლონდონში?**

– ძალიან დაკავებულები ვართ მეც და ჩემი მეუღლე – კახაც, ასევე, შვილი – სანდროც. ბავშვი ძალიან დაკავებულია, რადგან სკოლის გარდა ათას რამეს სწავლობს, სპორტი უყვარს. კიდევ კარგი, ბებია არის ჩვენთან ლონდონში, თორემ არ ვიცი, რა გვეშველებოდა. ყოველ დილას მე და კახას წესად გვაქვს 15 წუთი ერთმანეთს დავუთმოთ („ჩვენი დრო"). ვსვამთ კაფეში ყავას და ვსაუბრობთ. შემდეგ კახა მიდის ოფისში, მე – თეატრში, სანდრუკას კი სკოლაში ვტოვებთ. ჩემი მეუღლე, კახა აბაშიძე დისნეი-ტელევიზიის ევროპული განყოფილების ვიცე-პრეზიდენტია.

**– რუსეთში თუ ცეკვავთ ბოლო წლებში?**

– სანამ დედაჩემი ცოცხალი იყო და პეტერბურგში ცხოვრობდა, ხშირად ჩავდიოდი... მას შემდეგ ერთხელ (2006 თუ 2007) იყო ჩვენი დასი მოსკოვში საკონცერტო გამოსვლით. ჩემს მეგობრებთან და პედაგოგებთან ურთიერთობას ვინარჩუნებ, თუმცა დრო არასდროს მყოფნის: თეატრი, ოჯახი, გასტროლები, სწავლა... (Royal Ballet Upper School, პედაგოგ-რეპეტიტორთა კურსს ვამთავრებ წელს. სამუშაო მიპატიჟებებიც უკვე მაქვს).

**კატო ჟღენტი**

# სად მდებარეობდა მუხრანბატონის სასახლე და რით იყო განთქმული რიყის უბანი

**(23-ე გვერდიდან)**

ხიდის აგების ხარჯები მთლიანად ქალაქის მთავრობის ბიუჯეტიდან დაიხარჯა. მუხრანის ხიდი ოფიციალურად 1911 წლის 24 აპრილს გაიხსნა და მის გახსნას ესწრებოდნენ მაშინდელი ქალაქისთავი ალექსანდრე ხატისოვი და მეფისნაცვალი, გრაფი ილარიონ ვორონცოვდაშკოვი. ხიდი დიდი პომპეზურობით გაიხსნა, გაიშალა სუფრა, გირლიანდებით იყო მორთული თავად ხიდი. „მუხრანის ხიდი" მოშალეს



რიყე (ფორმან-ჰარისონის ფოტო, 1959

1965 წელს, ახალი ხიდის აშენების შემდეგ, რომელსაც ბარათაშვილის სახელი ეწოდა. ქართულმა კინომ შემოინახა მუხრანის ხიდი, რომელიც ძალიან კარგად ჩანს ცნობილ ქართულ ფილმებში „ჩვენი ეზო" და „სხვისი შვილები."

მუხრანის ხიდი მნიშვნელოვან სატრანსპორტო ფუნქციას ასრულებდა. ხიდზე მოძრაობდა ტრამვაი, რომლის სამარშრუტო ხაზი ხიდის აღებასთან ერთად გაუქმდა.

**რიყე**

ტერიტორია მტკვრის მარცხენა ნაპირზე, დღევანდელი ბარათაშვილისა და მეტეხის ხიდებს შორის, არ იყო განაშენიანებული მეცხრამეტე საუკუნის 30-იან წლებამდე, რასაც თბილისის 1735, 1800 და 1828 წლების გეგმები ადასტურებს. ამ ადგილზე გადიოდა ავლაბრის კარიდან ავჭალისკენ მიმავალი გზა. შემდგომში აქ მტკვრის მარცხენა ტოტი გამეჩხერდა, დაშრა და სახელდახელოდ გამაგრებული სანაპირო საცხოვრებელი სახლებით განაშენიანდა. მეცხრამეტე საუკუნეში რიყეზე ფუნქციონირებდა ბაზარი, ქარვასლა, სახელოსნოები (მკალავები, ხარაზები, მჭედლები, ჭონები), მრავლად იყო დუქნები. თბილისის მცხოვრებლები რიყის უბანს „პესკებს" უწოდებდნენ და ეს სახელი ამ ადგილს დღემდე შემორჩა. რიყეზე ფუნქციონირებდა, ასევე, თეატრი „ფანტაზია"; იქვე იყო პირველი მისიონერული ეკლესიაც. მტკვრის ადიდების გამო, რიყის უბანი ხშირად იტბორებოდა. მაგალითად, 1893 წლის 13 მაისს მომხდარ წყალდიდობას რამდენიმე ათეული ადამიანი ემსხვერპლა. ქალაქის კეთილმოწყობის მიზნით, რიყის უბანი 1973 წელს დაანგრიეს და მის ადგილზე ამჟამად რიყის პარკია გახსნილი.



ხედი რიყეზე საბჭოთა დროს

**უშანგი რუხაძე**

**მასალაში გამოყენებულია ფრაგმენტები წიგნიდან: თ. კვირკველია „ძველთბილისური დასახელებანი" (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1985).**



**გამძაფრებული ინტუიცია და წინასწარმეტყველების უნარი, მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანს აქვს. გააჩნია, პიროვნება რამდენადაა მასზე ორიენტირებული. ეზოთერიკოსი, ქალბატონი მზია, უკვე წლებია, უცხოეთში ცხოვრობს და თანამშრომლობს მსოფლიოში ცნობილ პარაფსიქოლოგებთან. როგორც ჩვენთან საუბარში მან აღნიშნა, არ არის გამორიცხული, ერთ დღესაც ადამიანმა საკუთარ თავში უცნაური ნიჭი აღმოაჩინოს. მაგალითად, მიხვდეს, რომ მოვლენების წინასწარგანჭვრეტა შეუძლია. ასევე, არასწორ დროს შეცვლილი იმიჯიც უარყოფითად მოქმედებს ბედზე. თუ როდის უნდა ვერიდოთ თმის შეჭრას და რა ზიანის მოყენება შეუძლია არასასურველ დროს ვარცხნილობის გაკეთებას, ამ თემებთან დაკავშირებით, ქალბატონი მზია, მეტად საჭირო და დამაფიქრებელ ინფორმაციას მოგაწვდით.**

# როგორ გრძნობს შვილის შესაძლო საფრთხეს დედა და რომელ დღეს შეჭრილი თმა მოქმედებს ბედზე უარყოფითად

**მზია**: სამწუხაროდ, ადამიანები ვერ ერკვევიან საკუთარ შესაძლებლობებში. არადა, მთავარია, ყველაფერს კარგად დააკვირდეთ, ყველა მოვლენა გააანალიზოთ, გარემოებებზე მეტად იყოთ ორიენტირებული და მიხვდებით, იმაზე მეტი შეგიძლიათ გააკეთოთ, ვიდრე დღეს აკეთებთ. დამიჯერეთ, წინასწარმეტყველების უნარი ყველას აქვს, რასაკვირველია, ზოგს გამძაფრებულად, ზოგს კი შედარებით – ნაკლებად. ზემოდან, ანუ სამყაროს ზედა ფენიდან, ადამიანი მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ინფორმაციას წინასწარ იღებს. თუ დაკვირვებული თვალი გაქვთ და შეგრძნებებსაც ყურს დაუგდებთ, მეტად დაძაბავთ გონებას, მაშინ მოსალოდნელი საფრთხის წინასწარგანჭვრეტა, ნამდვილად არ გაგიჭირდებათ. შესაბამისად, ამ დროს უფრო ფრთხილად იქნებით და ასე, ბევრ უსიამოვნებასაც აირიდებთ თავიდან.

**– გავრცელებული მოსაზრების თანახმად, წინასწარმეტყველური შეგრძნებები და გამძაფრებული ინტუიცია ადამიანს გენეტიკურად დაჰყვება. რეალურია ეს მოსაზრება, თქვენი აზრით?**

– გამძაფრებული ინტუიცია თუ წინასწარმეტყველური შეგრძნებები, სწორედაც რომ, გენეტიკურად გადაეცემა ადამიანს. თუ თქვენს რომელიმე წინაპარს წინასწარმეტყველების ნიჭი ჰქონდა, არ არის გამორიცხული, გენეტიკური კოდის წყალობით, ის თქვენშიც ამოქმედდეს და ერთ დღესაც ეს ნიჭი საკუთარ თავშიც აღმოაჩინოთ. ასევე, მოსალოდნელი საშიშროების დროს, დედას შვილის მიმართ უმძაფრდება ინტუიცია და წინასწარ გრძნობს საფრთხის მოახლოებას. გამძაფრებული დედობრივი ინტუიცია ისეთი ფენომენია, რომელზე საუბარიც კი ზედმეტია. ანუ, როცა შვილს საფრთხე ელის, ამას დედა ქვეცნობიერად გრძნობს, ორგანიზმი მინიშნებებს აძლევს. შეიძლება, უეცრად გული აუჩქარდეს, წნევა დაეცეს, თავის საშინელი ტკივილი დაეწყოს და ასე შემდეგ. არ არის გამორიცხული, დედამ შვილის შესაძლო საფრთხე არა ტკივილის შეგრძნებით, არამედ მოუსვენრობით შეიტყოს – აფორიაქდეს, ან რომ იტყვიან, ადგილი ვერ იპოვოს.

**– ახლანდელ დროში, ყველა ცდილობს, ფორმაში იყოს, შეიცვალოს იმიჯი, თმის ვარცხნილობა, და, არასდროს ვაკვირდებით – რა დღეა, რომელი საათი და დღის რომელი მონაკვეთი. ეს თუ მოქმედებს ადამიანის ბედზე და მართალია, რომ ამბობენ, იმიჯის შეცვლა სწორ დროს უნდა დაამთხვიოო?**

– დიახ, უნდა მოერიდოთ თმის შეჭრას არასასურველ პერიოდში, რადგან ამას ზიანის მოყენება მართლაც შეუძლია. თუ გალამაზება გადაწყვიტეთ და ეს საქმე ვარცხნილობით დაიწყეთ, აუცილებლად ის დღე უნდა შეარჩიოთ, როცა სტილისტთან წასვლა თქვენთვის საშიში არ არის. მაგალითად, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, პარასკევს სილამაზის სალონში ვიზიტის დაგეგმვა და რაიმეს შეცვლა ვარცხნილობაში. ასევე, არც კვირას ვარგა თმის შეჭრა. პარასკევსა და კვირა დღეს თმის მოჭრა იმიტომ არ ვარგა, ამით საკუთარ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ასევე, ბედ-იღბალსა და კარიერას უქმნით გარკვეულ საფრთხეს. ამ დროს, სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელობა აქვს მთვარის ფაზებსაც. თუ თმას მზარდი მთვარის პერიოდში შეიჭრით, ის მალევე გაიზრდება, ხოლო თუ კლებადი მთვარის ფაზაში – მაშინ შედარებით გვიან. მაგალითად, თუ თმას შეიჭრით ორშაბათს, დეპრესიისგან, დარდისა და უსიამოვნო მოგონებებისგან გათავისუფლდებით. კვირის ამ დღეს შეჭრილ თმას თან გაჰყვება უარყოფითი ემოციები. თუ ვარცხნილობის შეცვლას სამშაბათს გადაწყვეტთ, მაშინ თავს შესაძლო უსიამოვნო ამბების, ჭორებისა და გაურკვეველი სიტუაციებისგან დაიცავთ. ოთხშაბათს შეჭრილი თმა და შეცვლილი ვარცხნილობა დაგეხმარებათ, ადვილად მოაგვაროთ პრობლემები სამსახურსა თუ ოჯახში, ასევე, შეგიწყობთ ის ხელს, ადვილად დაარეგულიროთ დაძაბული ურთიერთობები გარშემო მყოფებთან და საქმიან პარტნიორებთან. ხუთშაბათს შეჭრილი თმა და შეცვლილი იმიჯი დაგეხმარებათ წამოწყებული საქმეების ადვილად და წარმატებით დასრულებაში, ასევე, აამაღლებს თქვენს ავტორიტეტს და ფრიად მომხიბვლელს გაგხდით. აი, პარასკევს სილამაზის სალონში ვიზიტსა და ვარცხნილობის შეცვლაზე კი უარი უნდა თქვათ. სწორედ ამ დღეს, ადამიანის ორგანიზმში ბიოქიმიური პროცესები შედარებით შენელებულია და თმის შეჭრა თქვენს სასიცოცხლო პოტენციალს დაასუსტებს. თანაც, ამ დღეს შეჭრილი თმა ნელა იზრდება და სტრუქტურულ შემადგენლობასაც იცვლის. კვირის დღეებიდან კარგია თმის შეჭრა შაბათს. ამ დღეს შეცვლილი იმიჯი დაგეხმარებათ, ადვილად დაძლიოთ მარტოობა, დეპრესია და გაიჩინოთ თანამოაზრეები. შაბათს შეჭრილი თმა საკუთარი ძალების რწმენასაც აღგიდგენთ და სასიყვარულო გრძნობების თამამად გამოვლენაშიც დაგეხმარებათ, გათავისუფლდებით უარყოფითი ემოციებისგან და ადვილად შეძლებთ საყოფაცხოვრებო თუ პირადული პრობლემების უმტკივნეულოდ გადალახვას. თუ დამიჯერებთ და კვირა დღეს არ შეიჭრით თმას, მაშინ უახლოეს მომავალში ასცდებით მთელ რიგ უსიამოვნებებს. კვირა დღეს თქვენი და თქვენი მფარველი ანგელოზის კავშირი მაქსიმალურ ზღვარს აღწევს. ამის განყვეტა და შესუსტება თმის მოჭრით, სწორედ კვირას ხდება და ამას კატეგორიულად არ გირჩევთ. მაგრამ, თუ არ გაითვალისწინებთ და კვირას მაინც შეიჭრით თმას, შეიცვლით ვარცხნილობას, მაშინ იცოდეთ, ამით კოსმიურ ძალებთან დაარღვევთ კავშირს და ეს თქვენზე უარყოფითად აისახება. ასე რომ, თუ ზედმეტი პრობლემა და ბარიერი არ გსურთ ცხოვრებაში, კვირა დღეს არ უნდა დაგეგმოთ თმის შეჭრა.

**– მსმენია, თითქოს, საკუთარი ხელით მოჭრილ თმას უბედურება მოაქვს. ამაზე რა კომენტარს გააკეთებთ?**

– თმის საკუთარი ხელით შეჭრა არ შეიძლება, რადგან, მას უბედობა და პრობლემები ახლავს თან. ეს სიცოცხლის შემოკლებასაც კი უწყობს ხელს და საგრძნობლად ამცირებს ადამიანის სასიცოცხლო პოტენციალს. არც მზის ჩასვლის შემდეგ ვარგა თმისა და ფრჩხილის მოჭრა-დამოკლება. ასევე, კვირა დღეს არ ვარგა ფრჩხილის მოჭრა და არც იმ დღეს, როცა ამ ქვეყანას მოევლინეთ.

**– რომელ დღესაც დავიბადეთ, იმ დღეს რატომ არ ღირს ფრჩხილის მოჭრა?**

– ამით თქვენსავე ბედნიერებას შეებრძოლებით და ხელს შეუშლით საკუთარ კეთილდღეობას. სხვათა შორის, კონკრეტული თმის ვარცხნილობაც აგებს პასუხს ადამიანის წარმატება-წარუმატებლობაზე. მაგალითად, უკან გადაწეული და შეკრული თმა აძლიერებს ენერგეტიკულ კავშირს გარე სამყაროსთან, მარცნივ და უკან გადავარცხნილი – ლოგიკურ აზროვნებაში გვეხმარება, გაშლილი – უდარდელობის ნიშანია და გოგონა ან ქალბატონი საპირისპირო სქესის მეტ დაინტერესებას იწვევს. ხვეული და გაშლილი თმა ადამიანს წარმატებას ჰპირდება საქმიან სფეროში. ზოგადად, თმა ადამიანის ენერგეტიკაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს და ის ცხოვრების სწორად დაგეგმვასა და მოწესრიგებაში გვეხმარება. თმა კოსმოსიდან იღებს საჭირო ინფორმაციას და ინახავს ჩვენს წარსულსა და აწმყოს. ეს ყოველივე კი ჩვენს ენერგეტიკაზე ახდენს უდიდეს ზეგავლენას. ასე რომ, თმას მარტო დეკორატიული ფუნქცია არ აკისრია. უეცარი იმიჯის შეცვლა, განსაკუთრებით, კვირის არასასურველ დღეს, შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩნდეს და ამას სათანადო ყურადღება აუცილებლად უნდა მიაქციოთ.

**თუ დაკვირვებული თვალი გაქვთ და შეგრძნებებსაც ყურს დაუგდებთ, მეტად დაძაბავთ გონებას, მაშინ მოსალოდნელი საფრთხის წინასწარ განჭვრეტა, ნამდვილად არ გაგიჭირდებათ**

**ნონა დათეშიძე**

## გავხდე იდეალური?!

სტერეოტიპები ღუპავს ურთიერთობას. თუმცა, ჩვენ ამის გაცნობიერება მაინც გვიჭირს ან უნებლიეთ მივყვებით მათ და სერიოზულ შეცდომებსაც ვუშვებთ. მაგალითად, ბევრ ქალს აქვს სურვილი, იყოს იდეალური ცოლი, მაგრამ, სანამ სტერეოტიპულ ჩარჩოზე მორგებას შეეცდებით, მაინც ჰკითხეთ ქმარს – როგორ წარმოუდგენიხართ იდეალური ცოლის როლში.

რეალურ ცხოვრებაში წყვილი ერთმანეთის ხასიათს მხოლოდ საქორწინო ბეჭდების გაცვლის შემდეგ იგებს და მათი მთავარი თავგადასავალიც მხოლოდ ამ დღიდან იწყება. ღირს კი, უარი თქვათ საკუთარ პრინციპებზე, ჩვევებსა და პატარ-პატარა სიამოვნებაზე, რათა „ქმარი-მასწავლებლის“ წინაშე „ხუთოსანი“ გახდეთ, სიყვარული მსხვერპლს მოითხოვსო – ეს ფრაზა საერთოდ დაივიწყეთ, თორემ, სამსხვერპლო ქვაზე რომ აღმოჩნდები, მერე ძალიან გვიან იქნება.

მამაკაცების უმრავლესობა ძალიან მალე ეჩვევა იმ კომფორტს, რომელსაც მას ცოლი უქმნის: სისუფთავეს, წესრიგს, გემრიელ და მრავალფეროვან კერძებს, იდეალურად დალაგებულ სახლს... ისე ეჩვევა, რომ ვეღარც კი ამჩნევს. სამაგიეროდ, ამჩნევს ცოლის დაღლილ სახეს, ჩამუქებულ უპეებს და დაუვარცხნელ თმას. ამიტომ, დაანებეთ თავი იატაკს, სარკეში ჩაიხედეთ და ის დრო, რაც იატაკის მოსახეხად უნდა დაგეხარჯათ, საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვას მოახმარეთ. კიდევ, რა თქმა უნდა, ქმრის ინტერესებიც უნდა გაითვალისწინოთ, მაგრამ, არასდროს დაივიწყოთ თქვენი ინტერესებიც. იდეალური სწორედ მაშინ იქნებით, როცა თავს სრულყოფილ პიროვნებად იგრძნობთ.

## გამოიწვიე სიხარული...

თუ ბედნიერებისა და სიხარულისთვის მცირედი არ გყოფნით, მაშინ არც სიხარულის ფასი გცოდნიათ და არც ბედნიერების. ფსიქოლოგებში არსებობს მოსაზრება, რომ სიხარული თავად უნდა გამოიწვიო. დაიწყეთ იმით, რომ რევიზია ჩაუტარეთ საკუთარ ცხოვრებას. რა გაქვთ ისეთი, რითაც იამაყებდით. ნუ შეეცდებით აქცენტი გარეგნობაზე გააკეთოთ. სისულელეა იმაზე ფიქრი და ნერვიულობა, რა არ გაქვთ ლამაზი... სილამაზე „დეტალებშია“, მაგრამ გააჩნია, რას მოიაზრებთ ამ „დეტალებში“, ანუ, ეს ფრაზა პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გაიგოთ.

შეახსენეთ საკუთარ თავს ის უპირატესობები, რაც გაქვთ. დაფიქრდებით და მათ აუცილებლად აღმოაჩენთ. თანაც, არც ისე ცოტას. ადამიანი, რომელიც საკუთარ ხასიათსა და გარეგნობაში პლუსებს ხედავს, ხშირად არის გახარებული. სიხარული კი შობს ბედნიერებას – მისი წინა პირობაა.

ქალი ძალიან ნიჭიერი და მამაკაცზე გაცილებით მიზანდასახული არსებაა. დაფიქრდით და თავად დარწმუნდებით იმაში, რომ, თუკი ცხოვრებაში რაღაცისთვის ვერ მიგიღწევიათ, მხოლოდ იმიტომ, რომ დაგეზარათ... დააკელით პოზიტიური ძალისხმევა და სიხარული.

დიახ, სიხარული იზიდავს სიხარულს... იცხოვრეთ მხოლოდ სიხარულით და ნებისმიერი პრობლემა მოგიგვარდებათ.

## არც ილაპარაკო

მამაკაცებს უყვართ თვალებით. ანუ, თუ გინდა, მათ თავი მოაწონო, უნდა იყო ჩუმად და იზრუნო გარეგნობაზე. მაგრამ, მთლად ასეც არ არის საქმე. კაცს აქვს ყურებიც, რომელიც ისეთივე მოსასმენი საშუალებაა, როგორიც ქალის შემთხვევაში. ანუ, ის შეიძლება, არ იმჩნევდეს, მაგრამ გისმენდეს. რა მოეწონება მას? – იუმორის გრძნობა, სიმსუბუქე და თავისუფლება ნებისა. მოუყევით მას თქვენ შესახებ, მაგრამ გამოიჩინეთ სიფრთხილე და წინდახედულება. ერთმანეთი აუცილებლად უნდა გაიცნოთ, მაგრამ რაღაც თქვენთვის უთუოდ დაიტოვოთ. ანუ, ყველაფრის მოყოლა, მით უმეტეს საკუთარი წარსულიდან, აუცილებელი არ არის. ჭკვიანმა ქალმა ყოველთვის იცის, რა დოზით იყოს გულახდილი. თქვენ შეიძლება ფიქრობთ, რომ მამაკაცი არ ცდილობს, თავი იმაზე უკეთ წარმოაჩინოს, ვიდრე სინამდვილეშია. ეცადეთ, თქვენც და არ ილაპარაკოთ იმაზე, როგორ ხიბლავდით მამაკაცებს, როგორ იპყრობდით მათ გულს და მერე ტოვებდით. აქცენტი გააკეთეთ იმაზე, როგორი კომუნიკაბელური, თბილი და ყურადღებიანი ხართ, როგორ კარგად გამოგდით ურთიერთობები. ელაპარაკეთ თქვენს გატაცებებზე – რა გიყვართ, რა გაინტერესებთ. უწყინარი თემები შეარჩიეთ. ერთ კონკრეტულ საკითხზე რომ ისაუბრებთ, გაჩუმდით და რეაქციას დაელოდეთ. მთავარია, იგრძნობოდეს სურვილი, რომ თქვენ მასთან ურთიერთობის გაგრძელება გინდათ. მამაკაცი ამას უნდა მიხვდეს, თქვენი საუბრის მანერიდან და ინტონაციიდან... ნუ დაგავიწყდებათ ღიმილიც.

## რა მინდა...

მაინც რა სურთ ქალებს? როგორი მამაკაცი სჭირდებათ გვერდით? მაგალითად, ევროპაში ყველა გამოკითხვამ აჩვენა, რომ იქაური ქალები კაცის გარეგნობას ყველაზე ნაკლებად აქცევენ ყურადღებას. სამაგიეროდ, ძალიან ინტერესდებიან მათი ფინანსური მდგომარეობით. მამაკაცური შარმი და სექსუალურობა არც ისე მნიშვნელოვანიაო, – ამტკიცებს ევროპელი ქალების უმრავლესობა. საერთოდაც, ქალების მხოლოდ 9 პროცენტი აქცევს ყურადღებას კაცის გარეგნობას, როცა მასთან ოჯახის შექმნას აპირებს. 2 პროცენტს აინტერესებს, რამდენად აკურატული და მოწესრიგებულია მამაკაცი; 3 პროცენტს კი – იცის თუ არა კერძების მომზადება. მამაკაცში ქარიზმას ქალების მხოლოდ 1 პროცენტი ეძებს.

მოდი, ვკითხოთ საკუთარ თავს, რას ველით იმ ადამიანისგან, რომელმაც ჩვენ მხარდამხარ უნდა იაროს ცხოვრების გზაზე და ჩვენი სიხარული და ტკივილები გაიზიაროს. ალბათ, ყველაზე მეტად ფასდება საიმედოობა, სიკეთე, ინტელექტი, პატიოსნება და ერთგულება. ბუნებრივია, რომ მამაკაცებში სითბოს ვეძებდეთ. სითბოს მოთხოვნილება ბუნებრივად არის კოდირებული... მარტოობა დამღლელიც არის, მტკივნეულიც და მოსაწყენიც. მაგრამ, ფორმალური ურთიერთობაც ვერ გაგრძელდება დიდხანს. ამიტომ, თავიდანვე სწორად განსაზღვრეთ პრიორიტეტები და არჩევანი ისე გააკეთეთ...



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# რას უწოდებს თავის წვერს მოფერებით ზაკ გალიფიანაკისი და რის გამო არ მოიხმარს დეზოდორანტსა და ანტიპერსპირანტებს პლანეტის 2011 წლის ყველაზე სექსუალური მამაკაცი – ბრედლი კუპერი

*სულ მალე მსოფლიოს კინოთეატრების დიდ ეკრანებზე გახმაურებული და მეგაპოპულარული ამერიკული ბლოკბასტერის – „წვეულება ვეგასში" მესამე და დასკვნითი ნაწილი გამოვა. ფილმის გმირები ახალი თავგადასავლებითა და შავი იუმორით დაბრუნდებიან და წერტილს დაუსვამენ ისტორიას, რომელმაც მილიონობით კინომანი ეკრანებს მიაჯაჭვა.*

**ბრედლი კუპერი – ფილი**

* ბრედლი კუპერი დაიბადა 1975 წლის 5 იანვარს ფილადელფიაში. დედა – გლორია, იტალიელია, მამა – ჩარლი კუპერი – ირლანდიელი. ბრედლი ბავშვობიდან კათოლიკურ ოჯახში იზრდებოდა და, მისი თქმით, ლოცვა ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო.

* 5 წლის ასაკში ბრედლის დაუდგინდა ყურის დაავადება – ჰოლესტეატომა. 18 წლის ასაკამდე მას რეგულარულად უტარდებოდა ურთულესი ქირურგიული ოპერაციები, რათა სმენა არ დაჰქვეითებოდა.

* ბრედლი კუპერის თქმით, მსახიობობა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც დეივიდ ლინჩის ფილმი – „ადამიანი-სპილო" ნახა.

* ბრედლი კუპერის აზრით, დენიელ დეი-ლუისი ყველა დროის საუკეთესო მსახიობი მამაკაცია.

* ბრედლი კუპერი ხანგრძლივი და მტკიცე კავშირების მომხრეა: „ჩემი მშობლები 1963 წლიდან ცხოვრობენ ერთად; ჩემი ბებია-ბაბუა ახლაც ერთად არიან და მეც მინდა, ასეთი ურთიერთობა მქონდეს".

* ბრედლი კუპერის მეუღლე იყო მსახიობი ჯენიფერ ესპოზიტო; ასევე, მას რომანი ჰქონდა რენე ზელვეგერთან და ზოი სალდანიასთან.

* ბრედლი კუპერი ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ოქროს მედალოსანია.

* ბრედლის ორი ძაღლი ჰყავს: პონტერის ჯიშის „სამსონი" და რეტრივერი „შარლოტა".

* ბრედლი კუპერს ეპიზოდური როლი აქვს შესრულებული ცნობილ სერიალში „სექსი დიდ ქალაქში", სადაც, სცენარის თანახმად, სარა ჯესიკა პარკერის გმირთან უნდა ჰქონოდა ხანგრძლივი კოცნა. სცენის გადაღების დაწყებამდე სარა ჯესიკა პარკერის ასისტენტი მივიდა ბრედლისთან და გააფრთხილა, რომ კოცნის დროს ენა არ გამოეყენებინა. ბრედლის თქმით, მან ისე ინერვიულა, რომ კინაღამ ენა გადაყლაპა.



* ბრედლი კუპერის სიმაღლე 185 სანტიმეტრია.

* ბრედლი კუპერი არ მოიხმარს ანტიპერსპირანტებსა და დეზოდორანტებს. მსახიობის თქმით, იგი თავს არაკომფორტულად გრძნობს, როდესაც ოფლის საწინააღმდეგო საშუალების მოხმარება უწევს.

* 29 წლის ასაკში ბრედლიმ თავი დაანება ალკოჰოლის მოხმარებას.

* 2011 წელს ჟურნალმა „ფიფლმა" ბრედლი კუპერი პლანეტის ყველაზე სექსუალურ მამაკაცად დაასახელა.

* „წვეულება ვეგასში" პირველი სერიისთვის, ჰონორარის სახით, ბრედლიმ 600 ათასი დოლარი მიიღო, მეორე ნაწილისთვის – 5 მილიონი დოლარი, ხოლო მესამე ნაწილში მისი გასამრჯელო 1,5 მილიონი დოლარია.



**ზაკ გალიფიანაკისი – ალანი**

* ზახარიუს ნაით გალიფიანაკისი ჩრდილოეთ კაროლინაში, უილკესბოროში დაიბადა 1969 წლის 1 ოქტომბერს. მისი მამა – ჰარი გალიფიანაკისი, წარმოშობით ბერძენია, დედა – მერი ფრენსისი კი ირლანდიელებისა და შოტლანდიელების შთამომავალი. ზაკი ბერძენი მართლმადიდებელია.

* ზაკის ბიძა არის ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი კონგრესმენი ნიკ გალიფიანაკისი, ჩრდილოეთ კაროლინის შტატის წარმომადგენელი კონგრესში 1967-1973 წლებში.

* ზაკის სამსახიობო კარიერა ნიუ-იორკში დაიწყო, სადაც ის ჰამბურგერებით მოვაჭრე ფურგონის გვეერდით აწყობდა იუმორისტულ ნომრებს.

* ზაკ გალიფიანაკისს არანაირი თეატრალური განათლება არ აქვს მიღებული, ის თვითნასწავლი მსახიობია.

* ზაკს ჩაკეტილი სივრცის შიში აქვს – კლაუსტროფობიით არის დაავადებული.

* ზაკი ცნობილია პროვოკაციული ქცევებით: თავის ერთ-ერთ შოუში, რომელიც მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზაციის თემას ეხებოდა, ტელევიზიის პირდაპირ ეთერში ეწეოდა მარიხუანას.

* გადაღებებისგან თავისუფალ დროს ზაკს ჩრდილოეთ კაროლინაში, საკუთარ სახლში უყვარს ყოფნა, სადაც მცირე ფერმის მოწყობზე ოცნებობს. ზაკის თქმით, მას შემდეგ, რაც მსახიობობა მობეზრდება, წიგნების წერას დაიწყებს.

* თავის წვერს ზაკი მოფერებით „შელის" უწოდებს.

* ზაკი ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში სწავლობდა, თუმცა დამამთავრებელ კურსზე გამოცდაზე ჩაიჭრა და დიპლომის გარეშე დარჩა.

* ზაკის ბერძენი წინაპრები კუნძულ კრეტადან ემიგრირდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

* 2012 წელს ზაკი 29 წლის ბალერინაზე, ქუინ ლანდბერგზე დაქორწინდა.

* ზაკ გალიფიანაკისის სიმაღლე 173 სანტიმეტრია.

* ბრედლი კუპერის მსგავსად, „წვეულება ვეგასში" მეორე სერიისთვის, ზაკმაც ჰონორარის სახით 5 მილიონი დოლარი მიიღო.

**ედ ჰელმსი – სტიუ**

* ედვარდ პოლ ჰელმსი დაიბადა 1974 წლის 24 იანვარს, ატლანტაში მისი მამა, ჯონ ჰელმსი, ვექილია, ხოლო დედა – პამელა პარკერი – სკოლის ადმინისტრატორი. პროფესიით ედ ჰელმსი გეოლოგია. მას, ასევე, დამთავრებული აქვს ნიუ-იორკის ხელოვნების ინსტიტუტის სამსახიობო კურსები.

* სამსახიობო კარიერა ედ ჰელმსმა „სტენდ-აპ კომედის" ჟანრში დაიწყო, ის ნიუ-იორკში თავის მიერვე დაწერილ იუმორისტულ სკეტჩებში მონაწილეობდა.

* ედ ჰელმსი გიტარასა და ბანჯოზე უკრავს.

* ედი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდა პოპულარულ ტელესერიალში – „ოფისი."

* ჰელმსი არატრადიციული სექსუალური უმცირესობების უფლებების დამცველი და გეიქორწინებების ლეგალიზების მომხრეა.

* „წვეულება ვეგასში" მეორე ნაწილის ედ ჰელმსის გმირს – სტიუს, სახეზე ზუსტად ისეთი ტატუირება აქვს, როგორიც მაიკ ტაისონს.

* ედ ჰელმსის სიმაღლე 183 სანტიმეტრია.

**ჯასტინ ბართა – დაგი**

* ჯასტინ ლი ბართა დაიბადა 1978 წლის 21 ივლისს ფორტ-ლოდერდეილში, ებრაელების ოჯახში. მამა, სტივენ ბართა, უძრავი ქონების აგენტია, ხოლო დედა – ბეტი ბართა – მასწავლებელი. ჯასტინმა 15 წლის ასაკში გადაწყვიტა მსახიობობა და შესაბამისი განათლება ნიუ-იორკის უნივერსიტეტში მიიღო.

* ჯასტინ ბართას ყველაზე ცნობილი როლია ნიკოლას ქეიჯის ასისტენტის, რაილი პულის პერსონაჟი ბლოკბასტერში „ნაციონალური საგანძური."

* 2008-2011 წლებში ჯასტინ ბართა ხვდებოდა მსახიობ ეშლი ოლსენს. წყვილი დაქორწინებას აპირებდა, თუმცა, საბოლოოდ, ერთმანეთს დაშორდნენ.

* „წვეულება ვეგასში" პირველი სერიის თავგადასავლები სწორედ ჯასტინ ბართას გმირის გაუჩინარების შემდეგ დაიწყო.

**უშანგი რუხაძე**

# როგორ გადაურჩა ფინეთი სტალინს



რუსეთისთვის ფინეთი ისეთივე სტრატეგიული ტერიტორია გახლდათ, როგორც ბალტიისპირეთი. ამიტომაც, ფინეთში გაბატონება, ყოველთვის იყო რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი. სწორედ ამ თემაზე ვისაუბრებთ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალებზე დაყრდნობით.

რუსეთის მისწრაფებას ფინეთისკენ წინ ელობებოდა შვედეთის ძლიერი სახელმწიფო, რომლის მეფეებიც ფინეთს, ასევე, სტრატეგიულ ტერიტორიად მიიჩნევდნენ. განსაკუთრებით უფრთხილდებოდა შვედეთი ფინეთს, ბალტიისპირეთში რუსეთის გაბატონების შემდეგ. საბოლოოდ, რუსეთმა მიზანს მაინც მიაღწია: 1808-1809 წლებში შვედეთი ომში დაამარცხა და ფინეთის ტერიტორია დაიკავა. ფინეთს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გარკვეული ავტონომია ჰქონდა. ფინეთი ითვლებოდა სამთავროდ, ხოლო ფინეთის დიდი მთავრის ტიტულს ატარებდა რუსეთის იმპერატორი. ალბათ, ავტონომიაც იყო იმის მიზეზი, რომ რუსეთმა ვერ მოახდინა ფინეთის დემოგრაფიული ექსპანსია. ფინელები არასდროს შერიგებიან რუსეთის ბატონობას და ბოლომდე დარჩნენ ევროპული ორიენტაციის ერად.

1917 წელს რევოლუციამ ბოლო მოუღო რომანოვების იმპერიას. ფინეთმაც არ დააყოვნა და დასავლეთევროპული ქვეყნების ძლიერი მხარდაჭერით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა. მძიმე მდგომარეობაში მყოფი საბჭოთა რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა, ოფიციალურად ეცნო ფინეთის დამოუკიდებლობა. ამის შემდეგ ფინეთის დასავლურ სამყაროში ინტეგრაცია სწრაფი ტემპით წავიდა წინ.

მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში სტალინი ცდილობდა, ფინეთის ტერიტორიის მიტაცების ხარჯზე, საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ საზღვრების გამაგრებას. ცხადია, ამას იოსებ სტალინი ადოლფ ჰიტლერთან მოლაპარაკების გარეშე ვერ გააკეთებდა. გამორიცხული არ იყო, ფინეთს ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ბედი გაეზიარებინა და საბჭოთა რესპუბლიკად გადაქცეულიყო. მიუხედავად ამისა, ფინელებმა შესძლეს დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

1935 წელს ფინეთმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, რითაც ხაზი გაუსვა, რომ არც საბჭოთა კავშირს და არც ნაცისტურ გერმანიას არ მიემხრობოდა. თუმცა, ეს მიუმხრობლობა პირობითი იყო. სტალინმა კარგად უწყოდა, რომ ნეიტრალიტეტის მიუხედავად, ფინეთი დასავლური ორიენტაციის სახელმწიფოდ რჩებოდა. მით უმეტეს, რომ ფინეთის მთავრობა დროდადრო ანტისაბჭოთა განწყობილებას არ მალავდა. ფინეთის პრეზიდენტი – პერ ედვინ სვინჰუვუდი აცხადებდა: „რუსეთი ფინეთის ერთადერთი მუდმივი მტერია. რუსეთის ნებისმიერი მტერი ფინეთის მეგობარი უნდა იყოს". გასაგებია რა განწყობაზეც დადგებოდა ამ განცხადების შემდეგ სტალინი. ფინეთის მთავრობა მარტო განცხადებებით არ შემოიფარგლა. საბჭოთა კავშირის მხრიდან მოსალოდნელი სამხედრო აგრესიის მოგერიების მიზნით, ფინელებმა კარელიის ყელზე გამაგრებული ხაზის მშენებლობა დაიწყეს. ამ ხაზის მშენებლობა გამოჩენილი ფინელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწის, კარლ ჰუსტავ მანერჰეიმის სახელს უკავშირდება და ისტორიაში მანერჰეიმის ხაზის სახელწოდებითაა შესული. ფინეთის მთავრობა დიდ ფულს ხარჯავდა არმიის ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებისა და გაზრდის მიზნით. გულხელდაკრეფილი არც იოსებ სტალინი იჯდა. საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვარი ქალაქ ლენინგრადიდან 32 კილომეტრის დაშორებით გადიოდა. სტალინმა სწორედ ამის გამოყენება სცადა თავის სასარგებლოდ. 1938 წლის ოქტომბრიდან 1939 წლის ოქტომბრამდე ფინეთი და საბჭოთა კავშირი განიხილავდნენ ლენინგრადის რაიონში სასაზღვრო ხაზის უსაფრთხოების დაცვის შესაძლო ღონისძიებებს. სტალინმა ფინეთის მთავრობას შესთავაზა 30 წლის ვადით საბჭოთა კავშირისთვის იჯარით გადაეცა ჰანკოს პორტი, სადაც საბჭოთა კავშირი სამხედრო-საზღვაო ბაზის განლაგებას აპირებდა. გარდა ამისა, ფინეთს საბჭოთა კავშირისათვის უნდა გადაეცა რამდენიმე კუნძული ფინეთის ყურეში – კარელიის ყელის ნაწილი და ნახევარკუნძულ რიბაჩის ნაწილი, სულ 2 700 კვადრატული კილომეტრი. სამაგიეროდ, საბჭოთა კავშირი ფინეთს უთმობდა 5 500 კვადრატულ კილომეტრს აღმოსავლეთ კარელიაში. ცხადია, ტერიტორიების გაცვლა საბჭოთა კავშირისათვის ხელსაყრელი გახლდათ, რადგან საბჭოთა კავშირი სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიას იღებდა, ხოლო ფინეთისათვის გადასაცემად გამიზნულ ტერიტორიას არანაირი სტრატეგიული მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ ფინეთის დელეგაციამ საბჭოთა მხარის წინადადება არ მიიღო და მოლაპარაკება შეწყვიტა. სტალინი დარწმუნდა, რომ ფინეთი ომის გარეშე არაფერს დათმობდა. საჭირო იყო ომისათვის შესაფერისი საბაბის მოძებნა. ეს საბაბიც ადვილად იპოვეს...

1939 წლის 26 ნოემბერს საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვარზე, სოფელ მაინილასთან მოხდა ინციდენტი. დღეს ზუსტად არ არის დადგენილი, ცეცხლი პირველად ფინელებმა გახსნეს თუ რუსებმა. მხარეები ერთმანეთს აბრალებდნენ ცეცხლის გახსნას. მაგრამ, ამას მნიშვნელობა უკვე აღარ ჰქონდა. ინციდენტი თავის სასარგებლოდ

**საბჭოთა კავშირ-ფინეთის საზღვარი ქალაქ ლენინგრადიდან 32 კილომეტრის დაშორებით გადიოდა. სტალინმა სწორედ ამის გამოყენება სცადა თავის სასარგებლოდ**

გამოიყენა სტალინმა. სტალინმა ფინეთის მთავრობას ულტიმატუმი წაუყენა: მოსკოვი მოითხოვდა,ზემოაღნიშნული მოლაპარაკების პროცესში, საბჭოთა მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნების მიღებას ფინეთის მხარისგან. ფინელები მიხვდნენ, რომ სტალინი ომზე წავიდოდა და ამიტომ, კომპრომისული წინადადება შესთავაზეს საბჭოთა მხარეს, – ფინეთი მზად იყო, ლენინგრადიდან ჩრდილო-დასავლეთით თავისი ჯარები იმდენად დაეხია ქვეყნის სიღრმისკენ, რომ ლენინგრადის უსაფრთხოება გარანტირებული ყოფილიყო. სტალინს ფინელების მიერ წამოყენებული წინადადება არც განუხილია. 1939 წლის 30 ნოემბერს დილის 8 საათზე საბჭოთა ჯარებმა კარელიის ყელი და კიდევ რამდენიმე ადგილას სახელმწიფო საზღვარი გადალახეს და ფინეთის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. ასე დაიწყო საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომი.

ომის დაწყებამდე სტალინი გულდასმით ამზადებდა ფინეთში მეხუთე კოლონას – ფინელ კომუნისტებს. ომის დაწყების დღესვე მოსკოვმა გაავრცელა ცნობა იმის თაობაზე, რომ ფინეთის ქალაქ ტერიოკში შეიქმნა ფინეთის დემოკრატიული რესპუბლიკის „სახალხო მთავრობა", რომლის სათავეშიც იდგა კომუნისტი ოტო კუუსინენი. მოსკოვმა დაუყოვნებლივ ცნო, ეს არარსებული მთავრობა. საბოლოოდ, ფინეთის მეხუთე კოლონამ სტალინის მიერ დაკისრებული ფუნქცია ვერ შეასრულა – ციხე შიგნიდან ვერ გატეხეს. ფინელები ზესახელმწიფოსთან სასტიკ ომში ჩაებნენ.

ომი ფინეთთან არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ფინელებმა დიდი თავგანწირვით იბრძოლეს. საბჭოთა ჯარებმა უდიდესი დანაკლისი ნახეს მანერჰეიმის გამაგრებული ხაზის გადალახვისთვის ბრძოლაში. საბოლოოდ, მანერჰეიმის ხაზი გადალახულ იქნა, მაგრამ ეს გამარჯვება ძვირად დაუჯდა მოსკოვს. საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომი 105 დღე გრძელდებოდა. ომში ფინეთის წინააღმდეგ მოსკოვმა 760-ათასიანი არმია ჩააბა. მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა, გამარჯვება არც ისე შთამბეჭდავი იყო, დანაკარგი კი – დიდი. საბჭოთა კავშირმა ომში მოკლულთა სახით დაკარგა 65 ათასი კაცი. უკვალოდ დაიკარგა, ან ფინელთა ტყვეობაში მოხვდა – 20 ათასი, დაიჭრა და მოიყინა – 200 ათასი, სხვადასხვა ავადმყოფობით დაავადდა 51 ათასი კაცი. დანაკარგი ასეთი დიდი არ იქნებოდა, რომ არა, საბჭოთა სარდლობის მოუმზადებლობა ომისთვის. ომმა გამოავლინა, რომ საბჭოთა გენერალიტეტი სავსებით უსუსური იყო თანამედროვე ომის წარმოებისთვის. საბჭოთა სარდლობამ ვერ გამოიყენა დიდი უპირატესობა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. სტალინი ძალზე დააფიქრა ყოველივე ამან. 1940 წლის 12 მარტს, მოსკოვში საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის დაიდო ზავი. დამარცხებული ფინეთი იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო. ფინეთმა კარელიის ყელზე, ლენინგრადის ჩრდილო-დასავლეთით, საზღვარი ქვეყნის სიღრმისკენ გადაწია და საბჭოთა კავშირს მნიშვნელოვანი ტერიტორია დაუთმო. საბჭოთა კავშირმა მიიღო რამდენიმე კუნძული ფინეთის ყურეში, ნახევარკუნძულების – რიბაჩისა და სრედნის ნაწილი და ნახევარკუნძული ჰანკო. აღსანიშნავია, რომ ფინეთმა ჰანკო საბჭოთა კავშირს გადასცა 30-წლიანი იჯარითა და სამხედრო საზღვაო ბაზის განლაგების უფლებით. მიუხედავად ასეთი არახელსაყრელი ზავისა, ფინეთმა შეძლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ეს არ მომხდარა მხოლოდ დასავლური სამყაროს მხარდაჭერით, ეს იყო ფინელი ხალხის თავგანწირული ბრძოლის შედეგი.

**მოამზადა**
**ანრი შავლაძე**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

# რატომ უნდა დაგეგმოთ ბინის რემონტი სწორად და საიდან შემოდის სახლში დადებითი ენერგიის ნაკადი

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

კურტ ვონეგუტი

როდესაც ცხოვრებაში წარუმატებელი, ეგრეთ წოდებული „ჩავარდნის“ პერიოდი იწყება, მხოლოდ მაშინ ვიწყებთ იმაზე ფიქრს, თუ რა გავაკეთეთ არასწორად, როგორ შეიძლება პრობლემის მოგვარება, როგორ უნდა შევიმსუბუქოთ ცხოვრება. ახლა ის პერიოდი დგას, როცა ბევრი ფიქრობს, როგორ ააშენოს ახალი საცხოვრებელი, ჩაუტაროს ბინას სარემონტო თუ კოსმეტიკური სამუშაოები. ამ საკითხს მეტად ფრთხილად და ცოდნით უნდა მივუდგეთ და ყველა დეტალი გავთვალოთ, რომ ამ ყოველივემ მომავალში პრობლემების წინაშე კი არ დაგვაყენოს, არამედ, სიამოვნება მოგვანიჭოს და წარმატებისკენ გვიბიძგოს.

დღეს ბევრი ყიდულობს მიწას და საკუთარი გემოვნებით აშენებს სახლს, მაგრამ, არ ინტერესდება იმ ადგილის ენერგეტიკით. ძველად კი, იმ ადგილას, სადაც სახლის აშენება უნდოდათ, ხეს რგავდნენ და, თუ ის გაიხარებდა, მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდნენ მშენებლობას. დღეს უამრავი ხელსაწყო არსებობს ამის დასადგენად. იმ ადგილას დაგროვილი ენერგიები, სადაც სახლის აშენებას გეგმავთ, უდიდეს გავლენას ახდენს იქ მცხოვრებ ადამიანებზე. საცხოვრებლის ყველა კუთხე-კუნჭული ენერგიის დაგროვებას იწყებს, რომელიც მოდის როგორც მიწიდან, ასევე, ადამიანებისგანაც. ამიტომ არის, რომ დადებითი აურის მქონე ადამიანების ბინაში ყოფნა გსიამოვნებთ, სადაც უარყოფითი ენერგიაა, იმ სახლში კი ფორიაქობთ, ვერ ისვენებთ, გინდათ, მალე დატოვოთ იქაურობა. ეს ცუდი აურა კი შემდეგ დიდხანს გაგყვებათ ყოველდღიურ ცხოვრებაში. როგორ უნდა მივხვდეთ, დაგროვდა თუ არა ბინაში უარყოფითი ენერგია? – ძალიან მარტივია: კარგად დააკვირდით, სახლში ყოფნისას ხომ არ შფოთავთ, ხშირად და მალე ხომ არ ფუჭდება საკვები, ზამთრის მარაგი, ჭკნება ქოთნის ყვავილები. თუ ძაღლი გყავთ, კარგად დააკვირდით მის ქცევებსაც: თუ ის ნერვიულად დადის ოთახიდან ოთახში, ყეფს და იღრინება, ესე იგი, ამ უარყოფით გავლენას განიცდის.

ბინის ყიდვისას კარგად უნდა გაამახვილოთ გრძნობათა ორგანოები. სანამ იყიდით, დაადგინეთ, ვინ ცხოვრობდა იქ, რა იყო ამ სახლში გარდაცვლილთა სიკვდილის მიზეზი, რამდენად წარმატებულები იყვნენ ცხოვრებაში. შედით ბინაში, ცოტა ხანს დადექით და, თუ იგრძნობთ, რომ სახლის აურა დადებითად მოქმედებს თქვენზე, ესე იგი, შეგიძლიათ, ეს ბინა შეიძინოთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახლა ის პერიოდი დგას, როცა ვფიქრობთ, მოვაწესრიგოთ სახლი, გავაკეთოთ რემონტი, დავიწყოთ საცხოვრებლის აშენება და ასე შემდეგ. სანამ ამ საქმიანობას დაიწყებთ, დაფიქრდით, რათა მომავალში საცხოვრებელ გარემოში შეტანილმა არასწორმა შტრიხმა პრობლემა არ შეგიქმნათ. მაგალითად, არ უნდა ააშენოთ სახლი მთის წვერზე, არც ხეობის შესასვლელში ან გამოსასვლელში, რადგან, სხვადასხვა ფაქტორიდან გამომდინარე, წარმატების ნაცვლად, საწინააღმდეგო შედეგს მიიღებთ. ასევე, არ უნდა ააშენოთ ან იყიდოთ სახლი გზაჯვარედინზე, რადგან, ასეთ საცხოვრებელში წარუმატებლობის შანსი იზრდება და ადამიანებს შორის ურთიერთობები ვერ ლაგდება. კარგია, თუ სახლის ფასადი დასავლეთისკენაა მიმართული, იქ კი გზა გადის, რადგან, ასეთ გარემოში ადვილია სიმშვიდის, ჰარმონიისა და ბედნიერების მოპოვება, პირადი ცხოვრების ადვილად აწყობა და გარშემო მყოფების აგრესიისგან თავდაცვა.

როდესაც გადაწყვეტთ, აიშენოთ კერძო სახლი და ირგვლივ სხვა საცხოვრებელი სახლებიცაა, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ის რჩევები, რომლებიც მომავალში თქვენს კეთილდღეობაზე აგებს პასუხს, კერძოდ: თქვენი სახლი არ უნდა იყოს ირგვლივ მდებარე სახლებზე ძალიან მაღალი. როცა სახლი ყველა მხრიდან ღიაა და მისი იზოლირება შეუძლებელია, ადამიანები მოუსვენრად გრძნობენ თავს. ამ დროს სახლიდან გაედინება დადებითი ენერგიები და მათი ეგრეთ წოდებული შეკავება და ცირკულაცია საცხოვრებელში ვერ ხერხდება. ასეთი დისჰარმონია კი უეცარი დაავადებების მიზეზი შეიძლება გახდეს.

სახლი ის ადგილია, სადაც დაძაბული რიტმისა და მომქანცველი მუშაობის შემდეგ ადამიანმა უნდა დაისვენოს, თავი კომფორტულად იგრძნოს. თუმცა, ბევრი ამბობს, რომ მათთვის მსგავსი იდილია და სიმშვიდე უცხოა. ალბათ, არც კი დაფიქრებულხართ იმაზე, ვის ეკუთვნოდა წინათ ბინა, რომელიც შეიძინეთ და ცხოვრობთ ოჯახთან ერთად, ან, რომელიც მემკვიდრეობით გერგოთ; რა ვნება და რა ძალა ტრიალებდა თქვენს მისვლამდე იქ. ფაქტებითაა დადასტურებული, რომ, იმ სახლში, სადაც თვითმკვლელობა მოხდა ან ბოროტი ადამიანები ცხოვრობდნენ, უარყოფითი ენერგია დიდხანს ტრიალებს. ასეთი ბინის შეძენისა და იქ დასახლების შემდეგ კი ხშირად ბოროტი ძალების მსახური თავად ხდებით და, შესაძლოა, დიდი ხნის წინ მომხდარი ტრაგედია წლების შემდეგ კვლავ განმეორდეს. ამიტომ, აუცილებლად გაითვალისწინეთ ის რეკომენდაციები, რომლებიც თქვენს უზრუნველ ცხოვრებაზე აგებს პასუხს და გონივრულად მიუდექით ბინის მშენებლობას, რემონტსა თუ მის მოწყობას.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1991 წლის 18 ივლისს, საღამოს საათებში. რომელი პროფესიები ჩემთვის წარმატებების მომტანი სამომავლოდ?**

**პასუხი:** თქვენთვის მისაღები და წარმატების მომტანი პროფესიებია: პედიატრია, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ქორეოგრაფია, ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო საქმე, კომერცია, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია.

**კითხვა: დავიბადე 1987 წლის 4 მაისს. მინდა უცხოეთში წასვლა და ძალების მოსინჯვა. გთხოვთ, მიპასუხოთ, რომელ ქვეყანაში გამიმართლებს?**

**პასუხი:** უცხოეთი თქვენი კარმული მისია ნამდვილად არ არის, თუმცა, არც ცუდია. ქვეყნებიდან კი მისაღებია: უკრაინა, პოლონეთი, ირლანდია, კვიპროსი, შვეიცარიის ალმოსავლეთი მხარე, ბელგია, მოლდავეთი, არგენტინა, ესტონეთი, ფინეთი, ლატვია, ბულგარეთი, ისრაელი, კუნძული შრი-ლანკა, ბრაზილია, პორტუგალია, ჩინეთის ცენტრალური ნაწილი, ვიეტნამი, ფილიპინები, ტაილანდი, სამხრეთ კორეა, კუნძული მალტა.

**კითხვა: ჩემი გოგონა დაიბადა 2004 წლის 28 ივნისს, დილის 7 საათზე. რა არის მისი კარმულ-კოსმიური მისია და რომელი პროფესიები აირჩიოს სამომავლოდ წარმატებების მისაღწევად?**

**პასუხი:** მის კოსმიურ მისიაში შედის უცხოეთთან კონტაქტი. ამიტომ, აუცილებელია, ადრეული ასაკიდან დააწყებინოთ უცხო ენების შესწავლა. თუ იცხოვრებს სამშობლოში, აუცილებლად უნდა იმუშაოს უცხოურ ფირმაში და ჰქონდეს ურთიერთობა უცხოელებთან. თუ შანსი მიეცემა და დროებით უცხოეთში იცხოვრებს, იქ დაგროვილი ცოდნით, კაპიტალითა და გამოცდილებით, სამშობლოში დაბრუნებისას ადვილად შეძლებს წარმატების მიღწევას. ასევე, უნდა იყოს მებრძოლი, უშიშარი, შეუპოვარი, დაეყრდნოს საკუთარ ინტუიციასა და ცოდნის ბაზას; უნდა, იყოს კომუნიკაბელური და ერთგული. რაც შეეხება წარმატების მომტან პროფესიებს, ასეთებია: პროფესიონალური დიპლომატია საელჩოებისა და საკონსულოების დონეზე, ტურისტული ბიზნესი, პოლიტიკის ფართო სპექტრი, იურისპრუდენცია, პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, საქველმოქმედო საქმე, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, სასტუმროების ბიზნესი და დასასვენებელი ინდუსტრია.

**კითხვა: დავიბადე 1989 წლის 26 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე. რომელ სფეროში მელის წარმატება?**

**პასუხი:** თქვენთვის წარმატებების მომტანი პროფესიებია: საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო ფართო სპექტრი, დიზაინი, სამოდელო სფერო, არქიტექტურა, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური საქმიანობა ან ბიზნესი, ხელოვნების ფართო სპექტრი, საარქივო, სამუზეუმო, საბიბლიოთეკო საქმიანობა, დეკორატიული მებაღეობა, მშენებლობა, სოციოლოგია, სამეცნიერო-სკვლევითი საქმიანობა, ტექნიკა-მექანიკა, ავიაციის ბიზნესი, კომპიუტერული ტექნოლოგიები, ვიდეო და მობილური სისტემები, საინჟინრო საქმე, სცენარისტობა, დრამატურგია, რეჟისურა, ქორეოგრაფია.

**კითხვა: დავიბადე 1974 წლის 26 მარტს. მინდა უცხოეთში წასვლა. ასტროლოგიურად რომელი ქვეყნებია ჩემთვის მეტად მისაღები?**

**პასუხი:** უცხოეთი თქვენი კოსმიური მისიაა, ქვეყნებიდან კი მეტად მისაღებია: ესპანეთი, პორტუგალია, ავსტრალია, სერბეთი, სლოვენია, ბრაზილია, ჩინეთის ცენტრალური ნაწილი, ვიეტნამი, ფილიპინები, ტაილანდი, ახალი ზელანდია, ისრაელი, სამხრეთ კორეა, ფინეთი, კუნძული მალტა.

# თეატრები

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

15 მაისი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ქარი მწყური მე პირდაპირი".** (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ავტორი, რეჟისორი, ინსცენირების ავტორი, მხატვარი, მუსიკალური გამფორმებელი - მურმან ჯინორია. მონაწილეობენ: ერთადერთი მთავარი როლის შემსრულებელი - მურმან ჯინორია. მონოსპექტაკლი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

16 მაისი, **ხუთშაბათი** 19.45 - **„ფსიქოზი 4:48"** - (ბილეთის ფასი - 8 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი კიტა როყვა. მონაწილეობს: ბესო ზანგური; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

17 მაისი, **პარასკევი** 19.45 - **„პრინცი ჰომბურგი".** (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ირაკლი მაჭარაშვილი, მარინა ჯანაშია, ია სუხიტაშვილი, ზურა ინგოროყვა, სანდრო მიკუჩაძე-ღალანიძე, დავით უფლისაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, ბაჩი ლეჟავა, ბექა სონღულაშვილი, მანანა აბრამიშვილი; დრამა. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

18 მაისი, **შაბათი** 19.45 - **„დარისპანის გასაჭირი".** (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი რობერტ სტურუა, ზაზა პაპუაშვილი. მონაწილეობენ: ზაზა ბარათაშვილი, დათო გოცირიძე, პაატა გულიაშვილი, ნინო კასრაძე, მამუკა ლორია, ეკა მინდიაშვილი, ეკა მოლოდინაშვილი, ზაზა პაპუაშვილი. ექსცენტრიკული ტრაგიკომედია ერთ მოქმედებად. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

19 მაისი, **კვირა** 19.45 - **„ბიდერმანი და ცეცხლისწამკიდებელნი".** (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), რეჟისორი რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ზაზა პაპუაშვილი, ნინო კასრაძე, ბესო ზანგური, დავით დარჩია, დავით გოცირიძე, ია სუხიტაშვილი. კომედია ერთ მოქმედებად მორალის გარეშე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი.***

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**მარჯანიშვილის ქუჩა №8,**
**ტელ.: 295-59-66.**

14 მაისი, **სამშაბათი** 20.00 - **„აგნუს დეი" - „მოცარტი და სალიერისა" და „ეგვიპტის ღამეების" მიხედვით** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი დავით ჩიხარტიშვილი. მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, გაგა შიშინაშვილი, შაკო მირიანაშვილი, ჯანო იზორია, დათო ბელთაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

14 მაისი, **სამშაბათი** 20.00 - **„როგორც გვენებოთ"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მანანა კოზაკოვა, ნატო კახიძე, ქეთევან შათირიშვილი, ქეთევან ცხაკაია, ნატა მურვანიძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნიკოლოზ თავაძე, მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, დავით ხურცილავა, ნიკა კუჭავა, ზურაბ ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ონისე ონიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

15 მაისი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„პიგმალიონი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, აკაკი ხიდაშელი, გივი ჩუგუაშვილი, გივი ბერიკაშვილი, მანანა კოზაკოვა, ნინო დუმბაძე, თეონა ქოქრაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

18-19 მაისი, **შაბათი-კვირა** 20.00 - **„ჰაჯი-მურატი".** (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, პაატა ინაური, რატი გოგუაძე, გიორგი შავგულიძე, გაგა შიშინაშვილი, ზაზა იაქაშვილი, თემურ კილაძე; პრემიერა. ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

**თავისუფალი თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №2,**
**ტელ.: 298-58-21.**

17 მაისი, **პარასკევი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

19 მაისი, **კვირა** 19.00 - **„სათამაშო პისტოლეტი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 12 ლარი), რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი. მონაწილეობენ: ანი ალადაშვილი, გიორგი აბაშიძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.***

**ახმეტელის თეატრი**
**ვეკუას ქუჩა №8.**
**ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

16 მაისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მაგიის საოცრებანი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: გოგა თავაძე. როლებში: ზურა ავსაჯანიშვილი, აკაკი ხიდაშელი, ანა მატუაშვილი, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

17 მაისი, **პარასკევი** 19.00 - **„ღია შუშაბანდი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, ამირან ქაჩიბაია, გვანცა კანდელაკი, მზია ტალიაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

18 მაისი, **შაბათი** 19.00 - **„გასროლა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი გიორგი ქანთარია. მონაწილეობენ: თამარ ბეჟუაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, გვანცა კანდელაკი, კახა ჯოხაძე, ჯაბა ჯაფარიძე, თამთა პატაშური, ბექნუ ქაფიანიძე, ნატალია მეტრეველი, ვალერი ტორონჯაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

19 მაისი, **კვირა** 19.00 - **„ტაქსისტი გივის სასიყვარულო ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი მალხაზ ასლამაზაშვილი. მონაწილეობენ: ბაჩო ქაჯაია, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური, კაკო რონიშვილი, ანდრო სარიშვილი, გიორგი ქსოვრელი, კახა ჯოხაძე, ზურაბ იაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი.***

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი**
**ჭავჭავაძის გამზირი №32.**
**ტელ.: 229-47-15.**

17, 19 მაისი, **პარასკევი, კვირა** 20.00 - **„სიზმრები სინანულისანი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ოთარ ეგაძე. მონაწილეობენ: ნიკუშა გიორგაძე, გიორგი ჭუმბურიძე, მარი კალატოზიშვილი, ზუკა პაპუაშვილი, თამთა ცინცაძე, დათო ველიჯანაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

18 მაისი, **შაბათი** 20.00 - **„ინსტინქტი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ოთარ ეგაძე. მონაწილეობენ: დუტა სხირტლაძე, ბაია დვალიშვილი, რუსიკო ბოლქვაძე, გიორგი ჭუმბურიძე, მაკა ძაგანია, დავით გიგოლაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი.***

**გაბრიაძის თეატრი**
**შავთელის ქუჩა №13,**
**ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი),**
**298-65-90**

16, 19 მაისი, **ხუთშაბათი, კვირა** 20.00 - **„რამონა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

17 მაისი, **პარასკევი** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

18 მაისი, **შაბათი** 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15 ლარი), ავტორი და რეჟისორი რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

**დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.**
**ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.**



## ორშაბათი 13 მაისი

**06.30** დ/ფ "სუფრაჟისტები" **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.20** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ **"ბორჯია"** **17.00** დ/ფ **"100** უდიდესი აღმოჩენა" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"სიყვარულის შიშით"** **21.00** ტ/სერ **"ბორჯია"** **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** "კომენტატორი" **00.00** "საფარი" **00.30** მხ/ფ **"მკვლელი ნინძა"** (ტიტ.) **02.40** დ/ფ "იმპრესიონისტული სკანდალი".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** ფულთან თამაში (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"მაგნატები"** 4 სერ. **19.05** მთავარი ფაქტორი **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** მთავარი ფაქტორი (პ/ე) (გაგრძელება) **23.00** მხ/ფ **"საუკეთესო საყვარელი"** (მ.სტრიპი) **01.20** მხ/ფ: **"ოქროს ყვავილის წყევლა"** (ს.ლ. გონგი) **03.20** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ყველაზე ჭკვიანი **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **22.00** "საქართველოს ვარსკვლავი" **00.00** შიშის ფაქტორი **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 1.00, 4.30, 6.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.00, 10.00** ახალი ამბები **8.10, 9.15, 10.15** მალვიძარა **11.00, 12.45, 14.30, 17.00, 22.20, 0.30** მაგთიფანი **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00, 5.00** "თავისუფალი დრო" **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** "პრესკლუბი" **16.30** "ღია კარის დღე" (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30** "ყოველდღიური აბები" **23.00, 3.00** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.30** მხ/ფ **"ვერის უბნის მელოდიები"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30** ისტორიის დღიური **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"ფესვები"** **13.30** კონცერტი -ჯეიმს ლასტი **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი - **"ძველი ვოდევილები"** **17.15** დოკ/ფ "ველური ბუნება" **17.40** ეთნოგრაფია **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"იმერული ესკიზები"** **20.40** ძილი ნებისა **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.25** საუბრები ლიტერატურაზე **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "გალობის რაინდები" **00.40** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ოქროს ობობა"** I სერ. **02.30** სიახლენი.

## სამშაბათი 14 მაისი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.30** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ **"ბორჯია"** **17.00** დ/ფ "თანამედროვე სნაიპერი" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"სიყვარული შიშით"** **21.00** ტ/სერ **"ბორჯია"** **22.00** "აქცენტები" **23.00** ევროვიზიის I ნახევარფინალი. (პ/ტრ) **01.00** მხ/ფ **"დასაწყისი"** (ტიტ.) (ლ. დი კაპრიო) **03.50** პროგრამის დახურვა: ანონსი ბლოკი "ბოლოl ნეხტltიხარი".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** კონცერტი: "შვიდკაცა" (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"მაგნატები"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ახალი საბავშვო ხმა (პ/ე) **00.15** მხ/ფ **"ერთგული მეგობარი"** (რ.ფაინსი) **02.35** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ვანოს შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ. **"ერთგულების ძალა"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია. **23.30** სერ. **"გრიმი"** **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 4.30, 6.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.00, 10.00, 1.00** ახალი ამბები **8.10, 9.15, 10.15** მალვიძარა **11.00, 12.45, 17.30, 22.20, 0.30** მაგთიფანი **11.30** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00, 5.00** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** "პრეს-პრესი"(გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00** თოქ-შოუ "სუბ. აზრი" **19.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30** "ყოველდღიური აბები" **23.00, 3.00** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** სპექტაკლი - **"ძველი ვოდევილები"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** ქრისტიანული სწავლება **10.50** საუბრები ლიტერატურაზე **10.20** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"იმერული ესკიზები"** **13.25** კონცერტი - ზაურ ბოლქვაძის საღამო **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.25** დოკ/ფ "წმინდა მეფე თამარი" **15.55** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.20** მხ/ფ **"მოკვეთილი"** **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ჩემი ქვეყანა **19.30** დროის ჩანაწერები **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.30** ჩვენი ბიბლიოთეკა **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** ჩვენი ფონდი **23.30** პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან - მეფე თამარი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** ერთსულოვნების სალონი **01.45** კარაბადინი **02.10** ირაო.

გაგრძელება 47-ე გვერდზე

# კინოთეატრები

### კინოთეატრი „რუსთაველი"
რუსთაველის გამზირი №5.
ტელ.: 293-22-53, 255-50-00.

**13 – 19 აპრილი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.30, 17.15, 20.00, 22.30 - **„რკინის კაცი 3"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.15 - **„ნაწილები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.00, 16.00, 18.00 - **„ქრუდსების ოჯახი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00, 22.30 - **„ძალიან საშიში კინო 5"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.15, 14.45, 17.30, 19.45, 22.15 - **„ობლივიონი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.30, 17.10, 20.00, 22.30 - **„სისხლით და ოფლით"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 11,50 ლარი).

### კინოთეატრი „ამირანი"
კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55

*დიდი დარბაზი*

12.00, 14.45, 17.15 - **„რკინის კაცი 3"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 10 წუთი;*

20.00 - **„ტრანსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

22.30 - **„ნაწილები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*მცირე დარბაზი*

12.00, 14.00 - **„ქრუდსების ოჯახი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

16.00, 18.00, 22.30 - **„ტრანსი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00 - **„ნაწილები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 11,50 ლარი).

### კინოთეატრი „საქართველო"
გურამიშვილის გამზ. 2/9,
ტელ: 230-80-80; 269-66-47.

12.00, 18.00 - **„მონსტრი პარიზში"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

14.00, 16.00 - **„რომის გლადიატორები"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00, 22.00 - **„კომა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.*

(ბილეთის ფასი: 4 - 7 ლარი).


კეფენტეკი
კეტოპროფენი 30 მგ
ანთების საწინააღმდეგო
და ტკივილგამაყუჩებელი
პლასტირი
დაიკარი პლასტირი –
დაივიწყე ტკივილი!
გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.
დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 296-72-27
Brupharmexport

გურმანთა მეგზური

# ფარში „ჩიტის ბუდე“















**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ქათმის ფარში, 5 კვერცხი, 1 თავი ხახვი, 1 ცალი მოზრდილი სტაფილო, 2 ნაჭერი თეთრი პური, მარილი, პილპილი, ზეთი შესაწვავად.

**მომზადების წესი:** წვრილად დაჭერით ხახვი, სტაფილო გახეხეთ წვრილკბილა სახეხზე, ფარშში შეურიეთ ხახვი, სტაფილო, თეთრი პური, 1 კვერცხი, მარილი და პილპილი, აურიეთ კარგად.

ფარში გაყავით ოთხ ნაწილად. გამოსაცხობ ტაფას წაუსვით ზეთი და ფარშის გუნდებისგან გააკეთეთ ოთხი „ბუდე“. ჩაღრმავებებში სათითაოდ ჩაახალეთ თითო კვერცხი და ტაფა მოათავსეთ აირღუმელში. 35-40 წუთის შემდეგ მზად იქნება. ღუმელში ტემპერატურა 180-200 გრადუსი უნდა იყოს.

# ყაბაყი სოუსში











**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ცალი პატარა ყაბაყი, ერთი თავი ხახვი, 2 ძირი ნიახური, 400 გრამი ფარში (შერეული ან ძროხის), 100 გრამი ყველი, 2-3 სადილის კოვზი თხელი არაჟანი, ცოტა ორეგანო და ტომატ-პასტა, პომიდორი საკუთარ სოუსში (შეგიძლიათ, გამოიყენოთ დაკეპილი პომიდორი თავისსავე სოუსში), ზეთი შესაწვავად, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხახვი და ნიახური დაჭერით წვრილად. მოშუშეთ ცოტა ზეთში. დაუმატეთ ფარში და ჩაშუშეთ. დროდადრო ჩანგლით ჩასრისეთ. კუბიკებად ან წვრილ ჩხირებად დაჭერით ყაბაყი. ყველი გახეხეთ მსხვილკბილა სახეხზე. შეურიეთ ფარშს. ფარშსვე ჩაუმატეთ ტომატი და პომიდორი. უყავით მარილი და ოდნავ ჩაშუშეთ.

ტაფაზე ან გამოსაცხობ ფორმაში ფსკერზე წაუსვით ცოტა ზეთი. მოათავსეთ პირველ ფენად ყაბაყი. ზემოდან გაშალეთ ფარში და დაფარეთ დარჩენილი ყაბაყით. გადააფარეთ ფოლგა.



გამოაცხვეთ აირღუმელში 30 წუთის განმავლობაში. ამ დროის გასვლის მერე მოხსენით ფოლგა, წაუსვით არაჟანი და მოაყარეთ ორეგანო. კიდევ ორი წუთით დატოვეთ აირღუმელში და მზად არის.

# ქათმის ფრთების ჩახრაკული















**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი ქათმის ფრთები, 2 სადილის კოვზი ზეითუნის (ან ჩვეულებრივი) ზეთი, 100 მილილიტრი (0,5 ჭიქა) სოიის სოუსი, 2 სადილის კოვზი კეტჩუპი, 1 ჭიქა თაფლი (5-6 სადილის კოვზი), 1 კბილი ნიორი, 2 სადილის კოვზი კარტოფილის ფქვილი – სახამებელი, მარილი, 1 ჩაის კოვზი შავი პილპილი.

**მომზადების წესი:** აიღეთ საშუალო ზომის მომინანქრებული ქვაბი. ჩაასხით მასში 2 სადილის კოვზი ზეთი და სოიის სოუსი, დადგით ძალიან დაბალ ცეცხლზე, ჩაუმატეთ კეტჩუპი, მერე – თაფლი, ძალიან წვრილად დაკეპილი ნიორი, 2 სადილის კოვზი სახამებელი. აურიეთ კარგად და მიიყვანეთ ადუღებამდე. მერე ცეცხლს მაქსიმალურად დაუკელით და ადუღეთ სოუსი 15 წუთი.

სანამ სოუსი მზადდება, ქათმის ფრთები გარეცხეთ და გადაჭერით შუაზე, შეაშრეთ; მოაყარეთ მარილი და პილპილი. აურიეთ კარგად და ცოტა ხანი გააჩერეთ. აიღეთ მინის ღრმა ჭურჭელი, წაუსვით ფსკერზე ცოტა სოუსი, ჩააწყვეთ მასში ფრთები, ზემოდანაც მოასხით სოუსი და მოათავსეთ ჭურჭელი ცხელ აირღუმელში 15 წუთით 190 გრადუსზე.

ამ დროის გასვლის მერე (სოუსი დაახლოებით 20 წუთის შემდეგ ისევ ადუღდება) კერძი გამოიღეთ, თავსახური მოხადეთ და 5 წუთით ისევ შედგით აირღუმელში. ფრთები კარგად დაიბრაწება. სოუსიც გლაზურივით შეაშრება და მზად არის.

# რულეტი „ზღაპრული“





**საჭირო ინგრედიენტები:** 600-700 გრამი ქათმის ფილე, 100 გრამი კურაგა, 150 გრამი ქამა სოკო, 1-2 თავი ხახვი, 2 ცალი კვერცხი, 1 სადილის კოვზი მაიონეზი, 100 მილილიტრი თეთრი, ნახევრად მშრალი ღვინო, მარილი, პილპილი, კამა, ოხრახუში, მწვანე სალათის ფოთლები, ზეთი შესაწვავად.

**მომზადების წესი:** კურაგა (გარგარის ჩირი) ორი საათით ჩაალბეთ ღვინოში. შეურიეთ ერთმანეთს კვერცხი და მაიონეზი. დაუმატეთ მარილი და პილპილი (გემოვნებით). ეს ყველაფერი ძალიან კარგად ათქვიფეთ.

ცხელ ტაფაზე დაასხით ცოტა ზეთი და ომლეტი შეწვით საშუალო ცეცხლზე ორივე მხრიდან. სასურველია, ტაფას თავსახური დააფაროთ. ომლეტი გააცივეთ და დაჭერით პატარა კუბიკებად. სოკო (შეგიძლიათ, გამოიყენოთ კონსერვის სოკოც) დაჭერით და მოხრაკეთ ცოტაოდენ ხახვთან ერთად. გააცივეთ.

კურაგა გადაწურეთ. დაჭერით ძალიან წვრილად. ქათმის ფილე გაატარეთ ხორცსაკეპში (შეგიძლიათ, პირდაპირ ქათმის ფარში გამოიყენოთ) დაუმატეთ მარილი და პილპილი, აზილეთ კარგად.

სუფთა დოლბანდი (მარლა) გადაკეცეთ შუაზე, დაასველეთ და გაშალეთ ფიცარზე. მასზე გააბრტყელეთ მართკუთხედის ფორმით ფარში, 1 სანტიმეტრ სისქეზე. მოაყარეთ კურაგა, ძალიან წვრილად დაჭრილი მწვანილი. ზემოდან მოაყარეთ ხახვთან ერთად მოშუშული სოკო, დაჭრილი ომლეტი და დოლბანდის საშუალებით რულეტივით გადაახვიეთ, ისე ფრთხილად, რომ მისი მთლიანობა არ დაირღვეს. რულეტი სველი ხელისგულით კარგად გაასწორეთ. ფრთხილად გადაიტანეთ ზეთწასმულ ტაფაზე და მოაშორეთ დოლბანდი.

რულეტს ზემოდან მოასხით ის ღვინო, რომელშიც კურაგა ჩაალბეთ. დაუმატეთ ნახევარი ჭიქა წყალი და მოათავსეთ ცხელ აირღუმელში. გამოაცხვეთ 200 გრადუსზე 40 წუთის განმავლობაში. მზა რულეტი ამოიღეთ სალათის მწვანე ფოთლებზე.

# ღვეზელი მჟაუნით









**საჭირო ინგრედიენტები:** 2 კონა მჟაუნა (ან ტარხუნა, ტარხუნითაც ძალიან გემრიელია), 150 გრამი მაგარი ყველი, კამა და ოხრახუში, 2 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 2 სადილის კოვზი სოიის სოუსი. თხელი ლავაში, ზეთი, 1 თავი ხახვი.

**მომზადების წესი:** მჟაუნა გარეცხეთ კარგად. დაწურეთ, შეაშრეთ და დაჭერით. ტაფაზე დაასხით ცოტა ზეთი და მოათავსეთ მასზე მჟაუნა. ოდნავ ჩაშუშეთ საშუალო სიძლიერის ცეცხლზე, სანამ ფერს არ შეიცვლის. დაუმატეთ ნახევარრგოლებად დაჭრილი ხახვი. დაუმატეთ ტომატ-პასტა. შუშეთ კიდევ ცოტა ხანს და მოასხით სოიის სოუსი. ყველი გახეხეთ. შეურიეთ წვრილად დაჭრილი კამა და ოხრახუში. ლავაში გაშალეთ გამოსაცხობ ტაფაზე. თუ ფორმა პატარაა, ერთი ცალი ლავაშიც გეყოფათ, რომელსაც 4 ნაწილად გაჭრით. პირველ ფენა ლავაშს წაუსვით 1/2 მჟაუნას მასა. გადააფარეთ ლავაშის მეორე ფენა და მოაყარეთ გახეხილი ყველის ნახევარი; მერე ისევ ლავაშის ფენა და დარჩენილი მჟაუნა; ბოლოს ისევ ლავაში და ყველი. გამოაცხვეთ ცხელ აირღუმელში. 10 წუთში ყველი გადნება და მზად არის.



# სალათა ღორით და კვერცხით

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კონა სალათის ფურცელი, 1 ცალი კიტრი, 1 ცალი პომიდორი, 40 გრამი მოხარშული ლორი, 2 ნაჭერი ყველი, 1 ცალი მოხარშული კვერცხი. 1 სადილის კოვზი ვაშლის ძმარი, 1 სადილის კოვზი იოგურტი, 1 სადილის კოვზი მაიონეზი, 0,5 სადილის კოვზი კეტჩუპი, 0,5 სადილის კოვზი მდოგვი, მარილი, წიწაკა და შაქარი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** კიტრი გათალეთ და მსხვილად დაჭერით. ოთხად გაჭერით პომიდორი და კვერცხი. სალათის ფოთლები ხელით დააქუცმაცეთ. ყველი და ლორი თანაბარი ზომის ზოლებად დაჭერით. მაიონეზი, იოგურტი, კეტჩუპი, მდოგვი, ძმარი, მარილი, წიწაკა და შაქარი კარგად აურიეთ ერთმანეთში. დაჭრილი ინგრედიენტები მოათავსეთ სასალათეში და ზემოდან სოუსი მოასხით.



# ღორის ნეკნები ფორთოხლის მარინადში

**საჭირო ინგრედიენტები:** 800 გრამი ღორის ნეკნები, 3 მსხვილი ფორთოხალი, 3 თავი ხახვი, დაფქული პილპილი, მარილი, ძირა, პაპრიკა გემოვნებით, ზეთი მოსაშუშად.

**მომზადების წესი:** ნეკნები და ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი 10 წუთის განმავლობაში შუშეთ ზეთში, ნელ ცეცხლზე. დაასხით ფორთოხლის წვენი, მოაყარეთ 1 ფორთოხლის ცედრა და სანელებლები. ქვაბს დაახურეთ და ნელ ცეცხლზე შუშეთ დაახლოებით 50 წუთის განმავლობაში. თუ ფორთოხლის წვენი ამოშრა, პერიოდულად ცოტ-ცოტა წყალი ჩაუმატეთ. კერძი სუფრაზე მიიტანეთ ცხელი, ფორთოხლის ნაჭრებთან ერთად.



# მოხარშული ხორცი კიტრით

**საჭირო ინგრედიენტები:** 800 გრამი კიტრი, 1/3 ჩაის კოვზი მარილი, 500 გრამი ღორის ან ხბოს ხორცი, 2 თავი ხახვი, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 3 კბილი ნიორი, 1 სადილის კოვზი ჩილის სოუსი, 1/2 ჩაის კოვზი დაფქული ქინძის თესლი, 1/2 ჩაის კოვზი შაქარი, 3 სადილის კოვზი სოიის სოუსი, 2 სადილის კოვზი ღვინის ძმარი, მარილი, ზეთი – შესაწვავად.



**მომზადების წესი:** კიტრი დაჭერით მოგრძო ნაჭრებად, მოაყარეთ მარილი და 30 წუთით მოათავსეთ თასში. კიტრი გაწურეთ და აურიეთ 1 კბილი დანაყილი ნიორი, ქინძის თესლი, შაქარი და ჩილის სოუსი. ხახვი და წიწაკა დაჭერით მრგვალ, თხელ ნაჭრებად, ხორცი დაჭერით მოგრძო ნაჭრებად. ღრმა ტაფაზე ზეთში შებრაწეთ ხორცი, დაუმატეთ ხახვი და მოშუშეთ ხახვის დარბილებამდე. დაუმატეთ სოიის სოუსი, დანაყილი 2 კბილი ნიორი, ბულგარული წიწაკა და დაასხით კიტრის ნაჭრებს. დაამატეთ ძმარი, ცოტა ხანს თავდახურული გააჩერეთ და შეგრილებული მიიტანეთ სუფრაზე.




მოწევა კლავს

მოწევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას

38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 15 მაისი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ **"ბორჯია"** **17.00** დ/ფ "სიმართლე ატლანტიდაზე" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"სიყვარული შიშით"** **21.00** ტ/სერ **"ნიკოლა ლე ფლოკი"** **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** მხ/ფ **"ლუდის ფესტივალი"** (ჯ.კერი) **01.20** დ/ფ " ღრუბელი სამყაროს თავზე".

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"მაგნატები"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ფულთან თამაში **23.00** მხ/ფ **"ადრენალინი 2"** (ჯ.სტეტჰემი) **01.20** მხ/ფ **"შიშის აჩრდილი"** (მ.დევისი) (ტიტ.) **02.45** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** იღბლიანი ბორბალი. **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **22.00** ნანუკას შოუ. **23.30** სერ. **"გრიმი"** **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 1.35, 4.15, 6.25** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.00, 10.00, 0.00** ახალი ამბები **8.10, 9.15, 10.15** მაღვიძარა **11.00, 14.30** მაგთიფანი **11.30** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00, 4.55** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** კვირის აბები (გამ.) **17.00** ჩემი ქორწილი (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 0.40** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **21.30, 2.15** მაგთიფანი კონცერტი.

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.25** მხ/ფ **"ოქროს ოზოზა"** I სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** ჩვენი ფონდი **11.00** ქრისტიანული ხელოვნება **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.05** ამინდი **12.10** დროის ჩანაწერები **13.20** ქრისტიანული სწავლება **13.30** კონცერტი -პოლ მაკარტნი **14.20** ჩვენი ბიბლიოთეკა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** მოკ/ფ **"მხოლოდ ერთხელ"** **16.55** კვირიაკე **18.05** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** დეკორატიული ფლორა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ჩემი ბოშები"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ/ფ **"ჭა"** **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ოქროს ოზოზა"** II სერ.

## ხუთშაბათი 16 მაისი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.20** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ **"ნიკოლა ლე ფლოკი"** **17.00** დ/ფ "სიცოცხლე" **18.30** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"სიყვარული შიშით"** **21.00** ტ/სერ **"ნიკოლა ლე ფლოკი"** **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** ევროვიზიის II ნახევარფინალი (პ/ტრ) **01.00** მხ/ფ **"სუინი თოდი:წყეული დალაქი ფლით სტრიტიდან"** (ჯ.ლოუ).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"მაგნატები"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** მხ/ფ **"იუმას მატარებელი"** (რ.ქროუ) **00.45** მხ/ფ **"უნივერსალური აგენტი"** **02.20** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** კომედი შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **22.00** პროფილი **23.30** ტოპ გოგო **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 3.00, 6.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 9.00, 10.00, 1.00** ახალი ამბები **8.10, 9.15, 10.15** მაღვიძარა **11.00** კვირის აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.45, 14.30, 22.20, 0.30** მაგთიფანი **13.00, 5.00** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** მაგთიფანი კონცერტი (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05, 2.00** თოქ-შოუ "სუბ. აზრი" **19.00** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 1.30** "ყოველდღიური აბები" **23.00, 3.30** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი".

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ **"ოქროს ოზოზა"** II სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.05** ლექსით ქებათა ქება **10.40** მოკ/ფ **"ჭა"** **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"ჩემი ბოშები"** **13.25** კონცერტი - ანს"დიდგორი" **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** მოკ/ფ **"მეზობლები"** **16.20** კონცერტი - კონსტანტინე პევზნერის საღამო **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"მონანიება"** I ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების სალონი **22.25** ქრისტე აღსდგა, საქართველო (გვილოცავს ხევი) **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ/ფ **"შნო"** **23.35** ეთნოგრაფია **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ოქროს ოზოზა"** III სერ.

## პარასკევი 17 მაისი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.50** "მოამბე" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** ტ/სერ **"ნიკოლა ლე ფლოკი"** **17.00** დ/ფ "სამხედრო საზღვაო ავიაცია" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ **"სიყვარული შიშით"** **21.00** ტ/სერ **"ნიკოლა ლე ფლოკი"** **22.00** "აქცენტები" **23.30** "წითელი ზონა" **00.30** მხ/ფ **"სიტყვა"** (ტიტ.).

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **09.10** იმედის დილა (გაგრძელება) **10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** **11.20** სერ. **"მაფიის ქვრივი"** **12.30** იმედის დღე (პ/ე) **14.40** ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) **17.50** სერ. **"მაგნატები"** 8 სერ. **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) **00.15** მხ/ფ **"ფარული მუქარა"** **01.55** მუსიკა.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"სიყვარული მშვენიერია"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **15.30** ეკი ვოკი (გ/ჩ) **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **20.05** სერ **"ერთგულების ძალა"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**7.00, 1.00, 4.30, 6.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30**

მულტფილმი **8.00**, **9.00**, **10.00** ახალი ამბები **8.10**, **9.15**, **10.15** მაღვიძარა **11.00**, **12.45**, **14.30**, **17.00**, **22.20**, **0.30** მაგთიფანი **11.30** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **13.00**, **5.00** თავისუფალი დრო **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **16.00** პრესკლუბი **16.30** "მონიტორის/ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **18.05**, **2.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00**, **1.30** "ყოველდღიური აბები" **23.00**, **3.00** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი".

**06.00**, **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05**, **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მხ/ფ **"ოქროს ობობა"** III სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00**, **18.05**, **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05**, **12.10**, **18.55**, **21.55**, **00.25** ისტორიის დღიური **10.10**, **19.00**, **22.00**, **00.05**, **02.30** სიახლენი **10.35** მოკ/ფ **"შნო"** **11.00** ქრისტე აღსდგა, საქართველო (გვილოცავს ხევი) **11.25** ეთნოგრაფია **11.40** ქრისტიანული სწავლება **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"მონანიება"** I ნაწ. **13.25** კონცერტი - რიჩარდ კლაიდერმანი **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დეკორატიული ფლორა **15.45** მოკ/ფ **"ბედურების გადაფრენა"** **16.40** დოკ/ფ "ველური ბუნება" **17.05** საუბრები ლიტერატურაზე **17.35** მოკ/ფ **"წყრომა"** **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.35** ფოტოგალერეა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"მონანიება"** II ნაწ. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ლექსით ქებათა ქება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ქრისტიანული ხელოვნება **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ/ფ **"სერენადა"** **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** კვირიაკე **02.00** ჩვენი ბიბლიოთეკა.

## შაბათი 18 მაისი

**08.00** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00** საბ. ან/ფ "მარსიანელი ბავშვი" **11.00** "ეთნოგრაფიული ნარკვევები" **11.30** საბ. ტ/სერ **"ზინგზილები"** **12.00**, **16.00**, **20.00**, **03.30** "მოამბე" **12.30** "AGVA-GEORGIA" **13.00** დ/ფ "ღვინო" **14.00** მხ/ფ **"მეხისმტყორცნელი და ვინეტუ"** **16.30** "ჩემპიონთა ლიგის დღიური" **17.00** დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" **18.00** "ეტალონი" **19.00** "გურმანია" **21.00** მხ/ფ **"სიყვარულის ამბავი"** **23.00** ევროვიზიის კონცერტის ფინალი (პ/ტრ) **01.30** მხ/ფ **"ბზარი"** (ე.ჰოპკინსი).

**07.20** ან/ფ "ბარბი მაკნატუნას ქვეყანაში" **08.50** მხ/ფ **"ოსტინ პაუერსი"** **11.00**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00** ქრონიკა **11.15** ან/ფ "ავატარი" **12.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში"** **13.00** სერ.**"ოქროს კერპი"** **3** სერ. **14.20** იმედიატორი (გ/ჩ) **15.50** დოკ/ფ "ტონინო გუერა საქართველოში" (გ/ჩ) **17.50** სერ **"მაგნატები"** **9** სერ. **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** კაცების შოუ **00.00** მხ/ფ **"ბანქო" ფული და ორი ლულა"** (ჯ.ფლემინგი) **01.55** მხ/ფ **"მინდა გახსოვდე"** (ე. დე რეივინი) (ტიტ.) **03.45** მუსიკა.

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.30** შერეკილები **10.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **04.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **13.30** ქართ. მხ/ფ **16.30** "ნანუკას შოუ" - (გ/ჩ) **19.00** ყველაზე ჭკვიანი **2.** **20.05** სერ. **"ერთგულების ძალა"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **00.30** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.00** "Latin Angels" **01.30** სერ. **"გრიმი"** **02.00** მხ/ფ.

**7.00**, **0.00**, **2.00**, **3.00**, **6.30** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **9.30** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.) **11.00**, **18.45**, **23.00**, **3.30** მაგთიფანი **11.30** აბები (გამ.) **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.30**, **15.30**, **19.00** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **21.45**, **0.30**, **4.30** თოქ-შოუ "პრესპრესი" **1.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) **2.30** "ღია კარის დღე" (გამ.) **5.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.).

**06.00**, **08.55**, **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05**, **09.00**, **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05**, **18.05**, **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10**, **12.10**, **18.55**, **21.55**, **00.25** ისტორიის დღიური **10.15**, **19.00**, **22.00**, **00.05**, **02.30** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"მონანიება"** II ნაწ. **13.30** ჩვენი ბიბლიოთეკა **13.55** ქრისტიანული სწავლება **14.10** მოკ/ფ **"სერენადა"** **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.10** ოპერა-**"ნორმა"** **18.10** ქრისტიანული ხელოვნება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** ერთსულოვნების სალონი **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ლექსით ქებათა ქება **21.30** კარაბადინი **22.25** პორტრეტი "ერთსულოვნების" გალერეიდან **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **22.10** სიმღერის კვალდაკვალ **00.30** მხ/ფ **"ოქროს ობობა"** IV სერ. **01.40** დოკ/ფ "კაკ ენისელი".

## კვირა 19 მაისი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.20** საბ/ფ **"საოცარი მისტერ ბარნანდერი"** **10.00** "ეტალონი" **11.00** საბ. ტ/სერ **"ზინგზილები"** **12.00**, **16.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სპექტაკლის დრო" **15.00** დ/ფ "ჩაცმის თავისუფლება" **16.30** "ჩვენი ეზო" **17.30** "ვაშინგტონი დღეს" **18.00** მხ/ფ **"გრაფი მონტე კრისტო"** (ჟ.მარე) **21.00** კონცერტი **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **23.00** "აღმოაჩინე საქართველო" **23.30** "უცნობი მუსიკა" **00.30** კონცერტი **01.30** მხ/ფ **"ჰაროლდი და კუმარი"** (ჰ.შლოსბერგი).

**07.20** ან/ფ "ბარბი: გედების ტბა" **09.10** ქ.მხ/ფ **"დიდედები და შვილიშვილები"** **11.00**, **14.00**, **17.00**, **19.00**, **20.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში"** **13.00** სერ.**"ოქროს კერპი"** **8** სერ. **14.20** მხ/ფ **"მითი"** **17.40** იმედის გმირები **17.50** სერ **"მაგნატები"** **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული"** **21.00** ღამის შოუ **22.00** ქ/სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** რომ გადახვალ" გააჩერე **23.30** იმედიატორი **01.00** დოკ/ფ "ელექტრომობილების შურისძიება" **02.00** მუსიკა.

**08.00** კურიერი დაიჯესტი **08.30** MTV ROOM RAIDERS **09.00** ანიმაცია "პატარა პრინცი" **09.30** შიშის ფაქტორი **10.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **12.00**, **15.00**, **18.00**, **04.00** კურიერი **12.30** დოკ/ფ (ფრაგმენტი) **13.00** "საქართველოს ვარსკვლავი" **16.30** პროფილი (გ/ჩ) **19.00** ეკი ვოკი **20.00** იღბლიანი ბორბალი **21.00** P.S. **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **23.00** კომედი შოუ **00.00** კარდაშიანების ოჯახი **01.00** ტოპ გოგო (გ/ჩ) **01.30** სერ. **"გრიმი"** **02.00** მხ/ფ.

**7.00** ახალი ამბები კოლაჟი **7.30** მულტფილმი **8.00** მაღვიძარა (კოლაჟი) **9.30**, **18.45**, **3.30** ღია კარის დღე **10.00**, **11.00**, **22.30**, **0.00**, **2.30**, **5.30** მაგთიფანი **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **12.30**, **15.30** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.30** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება **20.00**, **4.30** ჩემი ქორწილი **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **21.45**, **1.30** კვირის აბები **23.30**, **1.00**, **4.00**, **6.30** ახალი ამბები (კოლაჟი).

**06.00**, **08.55**, **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05**, **09.00**, **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.10** სახარება **08.20** გამოყენებითი ხელოვნება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** დეკორატიული ფლორა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05**, **21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10**, **12.10**, **22.55**, **00.05** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.50** სიმღერის კვალდაკვალ **11.30** ქართული ალბომი **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ **"მაისის თოვლი"** **13.25** ქრისტიანული ხელოვნება **13.55** დოკ/ფ "კაკ ენისელი" **14.30** კარაბადინი **15.05**, **18.05**, **21.05**, **00.10** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** სადვთისმეტყველო საუბრები **18.30** დროის ჩანაწერები **19.35** მხ/ფ **"არასერიოზული კაცი"** **21.35** ლექსით ქებათა ქება **21.45** კვირიაკე **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ხილული სასწაულები" **00.30** მხ/ფ **"მუსიკის ჰანგები"**.

### ვერძი



ხანგრძლივი პროექტები ფინანსურ მოგებას მოგიტანთ, ახალი საქმის დაწყებას კი ჯერ არ გირჩევთ. საყვარელ ადამიანს თამამად გადაუშალეთ გული და გაანებივრეთ სიურპრიზებით, ის კი დაუვიწყარ შეგრძნებებს მოგანიჭებთ. კარგია მოგზაურობა.

### კურო



თუ ყურადღებას არ მოადუნებთ ძირითადი პრობლემების მიმართ, წარმატებას ადვილად მიაღწევთ. მთავარია, არ იზარმაცოთ და არ აჰყვეთ ემოციებს. არ გირჩევთ ახალი სასიყვარულო რომანის ამ პერიოდში დაწყებას, რადგან მხოლოდ გულს გატკენთ. კარგია, თუ ახლობლებთან ერთად დაისვენებთ ქალაქგარეთ.

### ტყუპები



ხშირად გაერთეთ და ეცადეთ, არ განმარტოვდეთ. დახარჯული შრომა კარგ შემოსავალს გპირდებათ. ამიტომ, ნუ იზარმაცებთ. მოერიდეთ მოგზაურობას. ცვლილებებია მოსალოდნელი სასიყვარულო სფეროში, ამიტომ, ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს.

### კირჩხიბი



კარგია შემოქმედებითი მუშაობა. იმუშავეთ დამოუკიდებლად – ეს მეტ შემოსავალს მოგიტანთ. არ გირჩევთ მოგზაურობას. შესაძლოა, სასიყვარულო სფეროში ბევრი რამის დათმობა მოგიწიოთ, თუმცა, საყვარელი ადამიანის გამო ღირს ამის გაკეთება. არ არის გამორიცხული, ამ პერიოდში სერიოზულად დაფიქრდეთ პირად ცხოვრებაზე და მისი შეცვლა გადაწყვიტოთ.

### ლომი



ამ პერიოდში ბევრი საქმე გექნებათ და ნუ იზარმაცებთ. მომჭირნედ ხარჯეთ ფული. განსაკუთრებით მომგებიანი იქნება უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობა. აუცილებლად გამონახეთ დრო საყვარელი ადამიანისთვის, რათა ის უყურადღებობით არ გაალიზიანოთ. არ გირჩევთ მოგზაურობას.

### ქალწული



ნუ დახარჯავთ ფულს უმიზნოდ. კარგია ახალი კავშირების დამყარება. არ გირჩევთ მოგზაურობას. სასიყვარულო ურთიერთობა დაუვიწყარი შეგრძნებებით აგავსებთ. მოზღვავებული ენერგიითა და კარგი განწყობით ბევრი საქმის შესრულებას შეძლებთ.

### სასწორი



მინიმუმამდე შეამცირეთ ხელმძღვანელ პირებთან კამათის რისკი. საქმეებში დაეყრდენით ინტუიციას და იაზროვნეთ საღად. ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდება. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ცოტა დაიძაბება. ხშირად დაისვენეთ და გამოიძინეთ, რათა არ გაირთულოთ ჯანმრთელობის მდგომარეობა.

### ღრიანკალი



არ გირჩევთ ბევრ გადაადგილებასა და შორეულ მოგზაურობას. შინაგანი დაძაბულობა გახდება დაბნეულობის, ცუდი განწყობის, აგრესიისა და დეპრესიის მიზეზი. დროა, დაფირდეთ ცხოვრებაში ცვლილებების შეტანაზე. არ არის გამორიცხული, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა გაცივდეს.

### მშვილდოსანი



კარგად წაგივათ სამსახურებრივი საქმეები. სარისკო ფინანსური ოპერაციებისა და ხელშეკრულებების დადებისგან კი, ჯობია, თავი შეიკავოთ. კარგია მოგზაურობა, მეცნიერული მოღვაწეობა. არსებობს ახალი სასიყვარულო რომანის დაწყების ალბათობა, რაც თქვენს ცხოვრებას კიდევ უფრო რომანტიკულს გახდის.

### თხის რქა



ახალი იდეებისა და მიზნისკენ სწრაფვის პერიოდია, როცა ბოლომდე უნდა დაიხარჯოთ, იშრომოთ და გამოავლინოთ სიმტკიცე და შრომისუნარიანობა. სასიყვარულო სფეროში კი ყველაფერი თავისთავად დალაგდება და სტაბილური ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან გარანტირებული გექნებათ.

### მერწყული



საქმეების შესრულებისას ნუ აჩქარდებით და კარგად გაიაზრეთ თითოეული ნაბიჯი. მოერიდეთ კონფლიქტებს და გონივრულად ხარჯეთ ფული. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ბევრ სიხარულს მოგიტანთ. არ გირჩევთ მოგზაურობას.

### თევზები



მოიმატებს ენერგია და თავს კარგად იგრძნობთ. გაიზრდება თქვენი ინტელექტუალური აქტივობაც, რაც ხელს შეგიწყობთ საქმეში. ფინანსური მდგომარეობა სტაბილური იქნება. არ არის გამორიცხული, გამოჩნდეს ადამიანი, რომელთანაც ახალ სასიყვარულო რომანს გააბამთ და ის ხანგრძლივი აღმოჩნდება.

**ახალმთვარეობა – 8 ივნისი, 15 სთ: 55 წთ.**

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი

აკონტროლეთ ემოციები, დაიცავით პრინციპები და მოერიდეთ კონტაქტებსა და ახალ ნაცნობობას. კარგია სავაჭრო გარიგებები, საბანკო ოპერაციების ჩატარება, სამეცნიერო კვლევა, მშენებლობა. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. ატარეთ ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, ოქროსფერი, ყვითელი, მწვანე, იისფერი, ვერცხლისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, ზურმუხტი, ლაზურიტი, აქატი ან საფირონი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. მოერიდეთ ფულის ვალად აღებას. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, კუჭი, მკერდი, ხელები, მხრები.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

მაღალია მოტყუების ალბათობა, განსაკუთრებით – საფინანსო საკითხებში. მოერიდეთ ზედმეტ კონტაქტებსა და ახალ ნაცნობობას. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს. ატარეთ მწვანე, იისფერი, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, ოპალი, მწვანე იასპი, მალაქიტი ან მარჯანი. ნუ მოუყვებით სხვებს დღეს ნანახ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, მშენებლობის დაწყება, ადგილსამყოფლის შეცვლა. სუსტდება კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ოთხშაბათი

ეცადეთ, შეინარჩუნოთ პოზიტიური განწყობა. აკონტროლეთ ემოციები. ატარეთ მწვანე, ნაცრისფერი, იისფერი, ვერცხლისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, მთვარის ქვა, ოპალი, მარგალიტი ან ამეთვისტო. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მაღალია ფინანსური შეცდომების დაშვების ალბათობა. არ ვარგა მშენებლობის დაწყება, ადგილსამყოფლის შეცვლა, ფულის ვალად აღება. კარგია ვაჭრობა, სასამართლო პროცესების დაწყება, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობები. სუსტდება კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### ხუთშაბათი

მოერიდეთ საფინანსო ოპერაციებს, ადგილსამყოფლის შეცვლას, მცენარეების დარგვა-გადარგვას, სასიყვარულო კავშირებს. კარგია მკურნალობის დაწყება. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ოქროსფერი, ლურჯი, ნარინჯისფერი ან ბეჟი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია იურიდიული საქმიანობა, ხელმძღვანელებთან ურთიერთობა. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღეა

მოიმატებს ილუზიების ალბათობა. აკონტროლეთ ეჭვიანობა, ეგოიზმი, სარკაზმი და პრეტენზიები. არ ვარგა ფინანსური გარიგებები, ხელშეკრულებების დადება, ადგილსამყოფლის შეცვლა, მცენარეების დარგვა-გადარგვა, სასიყვარულო კავშირები. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ლურჯი, ოქროსფერი, ბეჟი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, ქარვა, მთის ბროლი ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია თმის შეჭრა. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღეა

მაღალია მოტყუების, კონფლიქტების, ტრავმების, ავარიების ალბათობა. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ლურჯი, ოქროსფერი, ბეჟი, ნარინჯისფერი, ყავისფერი, ყვითელი, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, ქარვა, სარდიონი, მწვანე ან ყვითელი იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ ხელშეკრულების დადებას, ადგილსამყოფლის შეცვლას, მცენარეების გადარგვას. კარგია იურიდიული საქმიანობა, მშენებლობის დაწყება. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა და ნაწლავთა სისტემები, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღეა

მეგობრების დახმარებით არაერთ პრობლემას გადაწყვეტთ. დაწყებული საქმე აუცილებლად მიიყვანეთ ბოლომდე. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, ახალი ნაცნობობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. ატარეთ მწვანე, ყავისფერი, ვერცხლისფერი, ოქროსფერი, ნაცრისფერი, ყვითელი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, ოპალი, ონიქსი, აქატი ან მალაქიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ვაჭრობა, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### გონგაძე-გონგლაძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელის – გონას კნინობითი ფორმა **გონგა.**

1731 წლის ხარჯის გამღებთა ნუსხაში, ნაბახტევში მოიხსენიება ვინმე **გონგაძე.**

1843 წელს სოფელ ფარცხისში მოიხსენიებიან **გონგაძეები.**

ამავე ძირისაა გვარი **გონგლაძე.**

საქართველოში 436 **გონგაძე** ცხოვრობს: თბილისში – 192, წყალტუბოში – 75, თეთრი წყაროში – 72. არიან სხვაგანაც.

618 – **გონგლაძე.**

### გუგულაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გუგულა.**

„სოფელ ჩხიკვთაში მცხოვრები ვასილ **გუგულაშვილი** ნათლავს ქალიშვილს – ნინას. მიმრქმელი არის თანასოფლელი, იოსებ დავითაშვილი".

საქართველოში 580 **გუგულაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 213, კასპში – 137, გურჯაანში – 98. არიან სხვაგანაც.

### გოგბერაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გოგიბერი**.

ანალოგიურად ნაწარმოები გვარებია: **გოგიბერაშვილი, გოგობერიშვილი.**

მოსე გოგბერაშვილი 1843 წელს მოიხსენიება სოფელ თონეთში.

საქართველოში 900 **გოგბერაშვილი** ცხოვრობს: თერჯოლაში – 329, ზესტაფონში – 236, თბილისში – 114. არიან სხვაგანაც.

### რუაძე

გვარის ფუძე უნდა იყო ხელობა-საქმიანობის აღმნიშვნელი სიტყვა. მათი მიწათმოქმედი წინაპრები მიწების გაწყლოვანებას ხელოვნური მეთოდებით ცდილობდნენ – უნდოდათ, წყლის არხები გაეყვანათ. როგორც ჩანს, ისინი ამ საქმეში დახელოვნებულები იყვნენ.

ქართულ განმარტებით ლექსიკონში რუ ასეა ახსნილი: „სარწყავად გაყვანილი პატარა არხი, ასეთ არხში მიმდინარე წყალი". ლოგიკურად, **რუაძეების** გვარი სწორედ ამ ხელობის მიხედვით მიუღიათ.

ერთ-ერთი მოსაზრებით, თითქოს რუა იყო საკუთარი სახელი და სწორედ მან დაუდო სათავე **რუაძეთა** გვარს.

ისტორიულ წყაროებში გვხვდება საკუთარი სახელები: რუამა, რუამ, რუმა, მაგრამ, არც ერთი მათგანი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ასე მარტივად გადაწყდეს გვარის ეტიმოლოგიის საკითხი.

საქართველოში 770 **რუაძე** ცხოვრობს: გურჯაანში – 611, თბილისში – 84, რუსთავში – 34. არიან სხვაგანაც.

### ოქრიაშვილი

ისტორიული წყარო მიგვანიშნებს, რომ გვარის ფუძემდებელს სახელად **ოქრია** ერქვა. ოქრია მამაკაცის საკუთარი სახელია და ოდითგანვე ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში.

სახელი ოქრია და გვარი **ოქრიაშვილი** ერთსა და იმავე რეგიონში გვხვდება, კერძოდ, ქვემო ქართლში.

ოქრი ერტისში მცხოვრებ აზნაურად არის მოხსენიებული ფეოდალ ბარათაშვილების გაყრის საბუთში.

თაყა ბარათაშვილის მიერ თამაზა ალავერდაშვილისადმი მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნში მოიხსენიება იასე **ოქრიაშვილი.**

**ოქრიაშვილთა** გვარში მოხსენიებული თაყაიშვილების გვარი გაჩნდა თაყა ბარათაშვილისგან, ალავერდაშვილი კი – ქვემო ქართლის მებატონის, მემამულე ალავერდა იაგულაშვილისგან.

საქართველოში 678 **ოქრიაშვილი** ცხოვრობს: დმანისში – 248, თბილისში – 234, ბოლნისში – 123. არიან სხვაგანაც.

### ნეგულაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ნეგულა.**

1705 წელს ნინუა და ხოსია **ნეგულაშვილები** მოხსენიებულნი არიან დავით და აბაშ აბაშიშვილების მსახურებად.

საქართველოში 89 **ნეგულაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 46, თეთრი წყაროში – 26, გარდაბანში – 17.

### მონადირიშვილი-მონადირეშვილი

გვარის ფუძეა საქმიანობის აღმნიშვნელი სიტყვა მონადირე.

მონადირეები მონადირეთუხუცესს ექვემდებარებოდნენ. მათ ევალებოდათ სამონადირეო




ძაღლების გამოკვება და, შესაბამისად, გაწვრთნაც.

ამავე ძირისაა გვარი **მონადირეშვილი**.

საქართველოში 23 **მონადირიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 18, რუსთავში – 3, თეთრი წყაროში – 2.

63 – **მონადირეშვილი.**

### კოლაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი კოლა. ის ნიკოლოზის კნინობითი ფორმაა.

1885 წელს გოლთეთელმა ალექსი **კოლაშვილმა** დიდი ენაგეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მონათლა შვილი – გიორგი.

საქართველოში 69 **კოლაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 38, გარდაბანში – 13, თელავში – 7. არიან სხვაგანაც.

### პატარაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **პატარა.**

ეს სახელი 1202 წელს თამარ მეფის სიგელშია მოხსენიებული.

ამავე ძირისაა გვარები: **პატარავა, პატარაია, პატარაძე, პატარიძე.**

1873 წლის აღწერაში, სოფელ ენაგეთში მოიხსენიება პაშა **პატარაშვილი**.

საქართველოში 263 **პატარაშვილი** ცხოვრობს: ახმეტაში – 74, თბილისში – 68, თელავში – 37. არიან სხვაგანაც.

### თათრიშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი თათრა, თათარა.

**თათარა** მომდინარეობს სხვა ტომის, თათრის სახელწოდებიდან.

ამგვარად ნაწარმოები გვარებია: არაბიძე, ოსაძე, ჩერქეზია.

გადმოცემის მიხედვით, **თათარაშვილების** ადრინდელი გვარი ქავთარაძე იყო. ერთ-ერთი ქავთარაძე თათრებს მთიულეთიდან გაუტაცებიათ. დიდი ხნის შემდეგ მას ტყვეობიდან დაუღწევია თავი და მცხეთაში დასახლებულა. ამის გამო მის შთამომავლებს გვარად **თათრიშვილი**, მოგვიანებით კი **თათარაშვილი** მიუღიათ. ისინი სოფელ დიდ დაღეთში ცხოვრობდნენ.

კუმისიდან დიდ ენაგეთში საცხოვრებლად გადასულა მიხეილ ჯაშიაშვილის სიძე, პაშა **თათარაშვილი.**

ამავე ძირისაა გვარები: **თათარაძე, თათარაიძე**.

საქართველოში 858 **თათრიშვილი** ცხოვრობს.

1 537 – **თათარაშვილი.**

200 – **თათარიშვილი.**

### მორთულაძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **მორთულა.**

არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვით, დასავლეთ საქართველოდან გადმოსული **მორთულაძეები** გვარად **მორთულაძეშვილები** გახდნენ.

1823 წელს ვაშლოვანში მოიხსენიება აზნაური **მორთულაძეშვილი** ოჯახითურთ.

საქართველოში 395 **მორთულაძე** ცხოვრობს: ბათუმში – 71, ქედაში – 52, ქობულეთში – 13. არიან სხვაგანაც.

### ტუხაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი ტუხა, ტუხია.

1636 წელს მოიხსენიება პაპუნა **ტუხაშვილი**.

1676 წლის ყმის ნასყიდობის წიგნში, რომელიც დურმიშხან ფილავან-ხოსროშვილს პაპუნა გოსტაშაბიშვილისთვის მიუცია, მოხსენიებულია სიყმია **ტუხაშვილი.**

ამავე ძირისაა გვარები: **ტუხაშვილი, ტუხიშვილი, ტუხიაშვილი.**

საქართველოში 1 095 **ტუხაშვილი** ცხოვრობს: სიღნაღში – 405, თბილისში – 260, დედოფლისწყაროში – 116. არიან სხვაგანაც.

123 – **ტუხიაშვილი.**

44 – **ტუხიშვილი.**

### ქავთარაშვილი-ქავთარიშვილი-ქავთარაძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი ქავთარა. ქავთარ სპარსული სიტყვაა და მტრედს ნიშნავს.

ამავე ძირისაა გვარი **ქავთარაძე.**

**ქავთარაშვილების** ერთი შტო ბარათაშვილებიდან მომდინარეობს.

1721 წლის აღწერით, მარიამ **ქავთარაშვილს** ნაქურდევში ჰყოლია ყმა.

საქართველოში 600 **ქავთარაშვილი** ცხოვრობს: ახმეტაში – 478, ყაზბეგში – 50, თბილისში – 32. არიან სხვაგანაც.

60 – **ქავთარიშვილი.**

### ჯანიკაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჯანიკა.**

**ჯანიკაშვილები**, როგორც გოსტაშაბიშვილების ყმები, 1661 წლის ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნში არიან მოხსენიებულნი.

საქართველოში 396 **ჯანიკაშვილი** ცხოვრობს: სიღნაღში – 162, თბილისში – 117, რუსთავში – 48. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# წყლის დიეტა

ზაფხულს განსაკუთრებით არ უხდება ჭარბი წონა. როგორ მოვიშოროთ ზედმეტი კილოგრამები? მეთოდი უამრავია: ტკბილეულის, ცომეულისა და ცხიმიანი კერძების ამოღება რაციონიდან; საღამოს 6 საათის შემდეგ კვების აკრძალვა და ასე შემდეგ. მაგრამ, შეიძლება, სულ სხვაგვარად მივუდგეთ ამ პრობლემას: საკვები კი არ შევამციროთ, არამედ, გავზარდოთ სასმელი, ანუ – წყლის რაოდენობა.



წყლის დიეტას უამრავი დადებითი მხარე აქვს: ჯერ ერთი, ყველაზე იაფი ჯდება; მეორე – ძალიან ადვილი დასაცავია და, მესამე – არ მოითხოვს შეზღუდვებს: ის უფლებას გაძლევთ, იკვებოთ ჩვეული რეჟიმით, მთავარია, არ დაგავიწყდეთ წყლის დალევა, რა თქმა უნდა – სუფთა წყლის. დაივიწყეთ ონკანის წყალი, რადგან, არ არსებობს მისი სისუფთავის გარანტია. ამიტომ, უნდა შეიძინოთ წყლის გამფილტრავი მოწყობილობა, ან – წყალი დაბეჭდილი ბოთლებით.

რაც შეეხება დალევის დროს: პირველი ჭიქა უნდა დალიოთ დილით, უზმოზე, საუზმობამდე 20-30 წუთით ადრე; ასევე, ყოველი კვების წინ, 30 წუთით ადრე ან 1-1,5 საათის შემდეგ; ბოლო დალევა კი – დაძინებამდე ნახევარი საათით ადრე. თუ წყალს საჭმელს შეატანთ, საჭმლის გადამუშავების პროცესი შენელდება, რაც ცხიმების დაგროვებას იწვევს. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა დალიოთ წყალი, როცა შიმშილს იგრძნობთ (ცხადია, სანამ რამეს შეჭამთ), რადგან, შესაძლოა, სინამდვილეში კი არ გშიათ, არამედ, გწყურიათ. თუ დალევიდან ნახევარი საათის შემდეგ მაინც იგრძნობთ შიმშილს, შეგიძლიათ, რამე მიირთვათ.

ყოველი დალევისას წყლის რაოდენობა დამოკიდებულია თქვენს წონაზე: გაამრავლეთ ის 40-ზე და მიიღებთ დღეღამურ ნორმას. მაგალითად, თუ იწონით 80 კილოგრამს, თქვენი დღიური ნორმა იქნება 3 200 მილილიტრი, ანუ 3,2 ლიტრი წყალი. თუ არ ხართ ამდენი წყლის დალევას მიჩვეული, დაიწყეთ ნაკლები რაოდენობით და ნელ-ნელა მიდით ნორმამდე. უფრო ადვილი დასალევია ოთახის ტემპერატურის წყალი (მაცივრის წყალი გამორიცხეთ). სვით პატარა ყლუპებით, აუჩქარებლად. არ არის მიზანშეწონილი ერთ ჯერზე 1-1,5 ჩაის ჭიქაზე მეტი წყლის დალევა, თორემ, შესაძლოა, კუჭი „გაგეწელოთ."

დიეტოლოგების რჩევით, წყლის დიეტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2-3 კვირას, მერე კი 1 თვე უნდა შეისვენოთ, თუმცა, შესვენების პერიოდშიც არ უნდა დაგავიწყდეთ დილით, უზმოზე, 1 ჭიქა წყლის დალევა. ეს სასარგებლო ჩვევა დაგეხმარებათ, შეინარჩუნოთ ფორმა და ჯანმრთელობა. და, კიდევ: არ დაგავიწყდეთ, რომ საღამოს საათებში უნდა შეამციროთ წყლის რაოდენობა, თორემ, დილით სახე და კიდურები შეშუპებული გექნებათ.

შეგახსენებთ, რომ ნებისმიერი დიეტის დაწყების წინ ნებართვა აიღეთ თქვენი მკურნალი ექიმისგან.

წარმატებას გისურვებთ!

# მასაჟი კუნთებისთვის

ზუგჯერ, დაღლილობის, დაძაბულობისა თუ სტრესის გამო, ხდება კუნთების დაჭიმვა, რაც ხშირად უსიამოვნო შეგრძნებებსა და ტკივილსაც კი იწვევს. ამ, რბილად რომ ვთქვათ, დისკომფორტის მოხსნის ყველაზე სასარგებლო და უმტკივნეულო მეთოდია მასაჟი. არსებობს რამდენიმე სახის მასაჟი, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ყველა კუნთის ტონუსში მოყვანა. მათგან ყველაზე შედეგიანია:



* ტაიური იოგა-მასაჟის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის ძალიან ჰგავს იოგას ასანებს. ამ მასაჟით მუშავდება მთელი სხეული – ფეხის თითებიდან კეფამდე. გამოიყენება ადგილობრივად ხელის დაჭერის ტექნიკა, გადალუნვა (გადახრა), დაჭიმვა და გადაგრეხა. პროცედურის შემდეგ მთელი სხეული სასიამოვნოდ დუნდება, იხსნება ენერგეტიკული ბლოკები, ქრება შებორკილობის შეგრძნება სახსრებსა და ხერხემალში.

* ვიაიამა-მასაჟი. კლასიკური მასაჟის ტექნიკის – მოთელვის, ვიბრაციის, დაზელის, „დაწურვის" დახმარებით, მასაჟისტი შეძლებს კანის ელასტიკურობისა და სახსრების თავისუფალი მოძრაობის აღდგენას. გარდა ამისა, უმჯობესდება კუნთების მომარაგება ჟანგბადით, ორგანიზმი იწმინდება წიდებისგან და მაღლდება ტონუსი.

ფეხების დაჭიმვის შედეგად ელასტიკურობას აღიდგენს თეძოს შიდა და უკანა ზედაპირზე განთავსებული კუნთები.

ხელების ზურგს უკან დაჭიმვის შედეგად დაჭიმულობა ეხსნება წელს ზემოთ განთავსებულ კუნთებს.

გადაგრეხის შედეგია მუცლის პრესისა და მუცლის ირიბი კუნთების ტონუსში მოყვანა.

წელში გადალუნვით დაიჭიმება ტრიცეპსები, გაუმჯობესდება წელის ელასტიკურობა და გაძლიერდება ზურგის კუნთები.

ოღონდ, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ნებისმიერი მასაჟი უნდა გააკეთებინოთ გამოცდილ პროფესიონალს.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: მაინტერესებს, შეიძლება თუ არა ეთერზეთების გამოყენება სუფთა სახით?**

**პასუხი**: ეთერზეთების სუფთა სახით გამოყენება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. მისი რამდენიმე წვეთი აუცილებლად უნდა გააზავოთ საბაზისო (ძირითად) ზეთებში, კრემში ან შამპუნში.

**კითხვა: ალბათ, ეს კოსმეტოლოგს არ ეხება, მაგრამ, თუ შეგიძლიათ, მასწავლეთ, როგორ მოვიქცე, როცა მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ტარების შემდეგ მეღლება და მტკივა ტერფები, მიუხეშდება ქუსლები?**

**პასუხი**: ტერფის დაღლილობას მოგიხსნით, დაარბილებს ქუსლებს და დაატენიანებს ტერფების კანს ზღვის მარილისა და ზეითუნის ზეთის ნაზავი: 3 ჭიქა ზეითუნის ზეთში გახსენით 1 პაკეტი არაარომატიზებული ზღვის მარილი და შედგით მაცივარში. ყოველ საღამოს, აბაზანის მიღების შემდეგ ამ ხსნარში კარგად დაასველეთ 2 ცალი რბილი ქსოვილის ნაჭერი (ცოტა გაწურეთ, რომ არ ჩამოგეწვეთოთ) და ცალ-ცალკე შემოიხვიეთ ტერფებზე 5-10 წუთის განმავლობაში. შემდეგ კი მშრალი ნაჭრით გაიწმინდეთ ან, ეს ხსნარი (2-3 სადილის კოვზი) გააზავეთ ტაშტში ჩასხმულ თბილ წყალში და გაიკეთეთ ფეხების აბაზანა.

**კითხვა: როგორ უნდა დავიხატო თვალები ისე, რომ სიცხეში არ გამეთხაპნოს?**

**პასუხი**: პირველ ყოვლისა, უნდა შეიძინოთ ხარისხიანი კოსმეტიკა და პარფიუმერია. გარდა ამისა, უნდა იცოდეთ თვალების მაკიაჟის პროცედურის თანმიმდევრობა, კერძოდ: 1) კონტურის გაკეთების წინ არ წაისვათ თვალებზე ტონალური კრემი ან კორექტორი. მკვებავის წასმის შემდეგ თვალები გაიწმინდეთ ქაღალდის სპეციალური ხელსახოცით ან ფუმფულა ფუნჯით გადაისვით პუდრის თხელი ფენა.

2) კონტურის გაკეთებისას (როცა სარკეში იყურებით), ხელი, რომელშიც ფანქარი ან ლაინერი გიჭირავთ, იდაყვით დააყრდენით მაგიდას, რომ ხაზი ზიგზაგებიანი არ გამოვიდეს.

3) კონტური მთელ სიგრძეზე ერთი გასმით არ გააკეთოთ. უმჯობესია, ის ჯერ პუნქტირებით (წყვეტილი ხაზით) მონიშნოთ და მერე შეაერთოთ ერთმანეთთან. გარდა ამისა, არ დატოვოთ შუალედი კონტურსა და წამწამების ძირებს შორის.

**კითხვა: გავიგე, რომ პილპილი და წითელი წიწაკა ხელს უწყობს გახდომას. მაინტერესებს, რამდენი უნდა ჩავამატოთ კერძში, რომ სასურველი შედეგი მივიღო?**

**პასუხი**: წიწაკა აუმჯობესებს საჭმლის გადამუშავებას და აჩქარებს ნივთიერებათა ცვლას, მაგრამ, მასზე იმედების დამყარებას (გახდომის თვალსაზრისით), არ გირჩევთ, რადგან, მისი დიდი რაოდენობით მიღება ვნებს ჯანმრთელობას, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადების დროს კი საერთოდ აკრძალულია მისი გამოყენება. ამიტომ, ჯობია, გახდომის მიზნით წიწაკას ნუ მიეძალებით.



**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# ვინ და რატომ შექმნა გურიაში მილიციელ-ყაჩაღთა შეიარაღებული ბანდა

***პუბლიკაციის ზოგიერთი მონაწილის ვინაობა შეცვლილია და მათი ვინმესთან შემთხვევითი მსგავსების გამო წინასწარ გიხდით ბოდიშს.***

### ორმაგი მკვლელობა

– ღმერთო, ეს რა საშინელებაა! დედა! მამა! მიშველეთ, მიშველეთ! – იკივლა ახალგაზრდა ქალმა და გულწასული დაეცა მიწაზე...

ქალის კივილზე ჯერ მეზობლები მოცვივდნენ, შემდეგ მილიციაც მოვიდა და მოკვლევა დაიწყეს. გულწასული ქალი მოასულიერეს და საავადმყოფოში წაიყვანეს.

– ღმერთო, ღმერთო, ეს რა დამართნიათ წილოსანებს!.. – იმეორებდნენ შეშფოთებული მეზობლები, რომლებიც მილიციამ ეზოს გარეთ გაიყვანა, რათა ხელი არ შეეშალათ გამოძიებისთვის.

1971 წლის 20 აპრილს, გურიის ერთ-ერთ სოფელში მშობლებთან ჩასულმა თინა წილოსანმა დედ-მამა დახოცილები იპოვა სახლში. მკვდარი იყო უზარმაზარი გერმანული ნაგაზი მურაც, რომლის შიშითაც წილოსანების ეზოსთან გავლასაც კი ერიდებოდნენ მეზობლები

**მოკლულების ქალიშვილის ჩვენებით, ყაჩაღებმა 25 ათასი მანეთი და ძვირფასი სამკაულები გაიტაცეს**

და მათ ეზოში შესვლას მხოლოდ მას მერე ბედავდნენ, როდესაც ოჯახის უფროსი, ნუგზარ წილოსანი ძაღლს ფოლადის ჯაჭვით დააბამდა და კარზე მომდგარ სტუმარს ეზოში შეიპატიჟებდა: „შემოი ახლა, ამ ცეპს სპილოც კი ვერ აწყვიტავს“.

56 წლის ნუგზარ წილოსანის მეუღლე, 53 წლის მარგალიტა წილოსანი, ცნობილი მეჩაიე და სოციალისტური გმირი იყო. კომუნისტების დროს ასეთი უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოს მქონე ადამიანები დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ სახელმწიფოში. წილოსანები ძალიან პატიოსანი, გულისხმიერი ხალხი იყო. ისინი საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდნენ და თანასოფლელებს ხშირად უმართავდნენ ხოლმე ხელს. ისინი მთელ სოფელს უყვარდა, წესით, მტერი არ უნდა ჰყოლოდათ და, ამიტომ, ყველას უკვირდა, ვინ გაიმეტა ისინი სასიკვდილოდ.

სისხლის სამართლის საქმეს რაიონული პროკურატურა იძიებდა. ფეხზე იდგა გურიის მთელი მილიცია და ამ საზარელი დანაშაულის ჩამდენს (ან ჩამდენებს), ინტენსიურად ეძებდა. 32 წლის თინა წილოსანს მისმა თანაკლასელმა, კაპიტანმა ანზორ ბუხაიძემ მიაკითხა, რომელიც სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი იყო და უთხრა:

– მწუხარების მონაწილე ვარ. გეფიცები, თავს არ დავზოგავ და შენი დედ-მამის მკვლელებს დავიჭერ...

### ძირითადი ვერსია

წილოსანების საქმით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო იმჟამინდელი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ მოკლული იყო სოციალისტური შრომის გმირი, რაც სისტემის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ითვლებოდა. თანაც, გურია შევარდნაძის მშობლიური კუთხე იყო და ამ საქმის გახსნა პირადი ღირსების საკითხად მიაჩნდა. ამიტომ, შევარდნაძის ძალისხმევით, გურიაში მიავლინეს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის ერთობლივი, სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი, რათა მათ კვალიფიციურად ემოქმედათ და ეს დანაშაული გაეხსნათ. ჯგუფს პოდპოლკოვნიკი ოთარ კილურაძე ხელმძღვანელობდა, რომელიც გულდასმით გაეცნო პირველადი მოკვლევის მასალებს, ექსპერტიზის დასკვნებს, პირადად გაესაუბრა სოფლის მოსახლეობასა და რაიონული ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს და ამ დანაშაულის ძირითადი ვერსია შეიმუშავა. ოთარ კილურაძე თბილისში დაბრუნდა, მინისტრს ეახლა და მოახსენა:

– ედუარდ ამბროსოვიჩ, აშკარაა, რომ ეს მკვლელობა ყაჩაღობის მიზნითაა ჩადენილი და მასში წილოსანების უახლოესი ადამიანია გარეული.

– ოთარ, დაჯექი და ყველაფერი მშვიდად და თანმიმდევრულად მომიყევი, – უთხრა პოდპოლკოვნიკს გენერალმა შევარდნაძემ და სკამზე მიუთითა.

კილურაძე დაჯდა და დაიწყო:

– როგორც დახოცილი წილოსანების ერთადერთმა ქალიშვილმა, თინამ გვითხრა, სახლიდან წაღებულია 25 ათასი მანეთი, რომელიც მის მშობლებს ჩაის კრეფაში ჰქონდათ აღებული და წინა დღეს შემნახველი სალაროდან გამოიტანეს, რომ ქალიშვილის ოჯახისთვის ავტომობილი და იმპორტული ავეჯი შეეძინათ. გარდა ფულისა, გატაცებულია ძვირფასეულობა, მათ შორის – სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი და ლენინის ორდენი. რაც შეეხება ცოლ-ქმარ წილოსანებს, ექსპერტიზის დასკვნით, მკვლელებმა ისინი ჯერ თავში მძიმე საგნის ჩარტყმით გათიშეს, შემდეგ კი ორივე კაპრონის ძაფით გაგუდეს. და, ბოლოს, ყველაზე ხელჩასაჭიდი ფაქტი, რომ მკვლელი მძარცველები ოჯახის ახლობლები იყვნენ: შემთხვევის ადგილზე ჩატარებულმა მოკვლევამ დაადასტურა, რომ მარგალიტა წილოსანი სუფრას შლიდა სტუმრებისთვის და ის სამზარეულოშია მოკლული, ნუგზარ წილოსანი კი – მარანში, იმ დროს, როცა ის ქვევრიდან ღვინოს იღებდა. გამოძიების ვარაუდით, წილოსანები 2-3 კაცმა დააყაჩაღა. ყველაზე მთავარი მომენტი კი ისაა, რომ, უზარმაზარი გერმანული ნაგაზი ეზოში დაუბმელი იყო, როდესაც ის ყაჩაღები შევიდნენ. ძაღლი სწრაფმოქმედი შხამითაა მოწამლული, რომელიც მის ორგანიზმში ძეხვის მეშვეობით მოხვდა. სოფელში მურას „ბასკერვილების ძაღლს“ ეძახდნენ და მას თითქმის ვერავინ ეკარებოდა ნუგზარ წილოსანის გარდა. ერთ-ერთმა ყაჩაღმა კი იმდენი მოახერხა, რომ მას ძეხვი აჭამა და მოწამლა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ძაღლი მას არ ერჩოდა. ამჟამად, ჩემი ბიჭები იმ ხალხის ვინაობის დადგენაზე მუშაობენ, ვისაც მურა არ ერჩოდა და, თუკი მათ დავადგენთ, მაშინ ბოროტმოქმედებზეც გავალთ.

– ძალიან კარგი. მიდი, იმოქმედე. თუ რამე დაგჭირდეს, პირდაპირ მე დამირეკე და ყველაფერს გაგიკეთებ, – უთხრა კილურაძეს შევარდნაძემ და კაბინეტიდან გამოისტუმრა.

ოთარ კილურაძე სამინისტროდან პირდაპირ გურიაში გაემგზავრა, რომ გამოძიება გაეგრძელებინა და რაც შეიძლება სწრაფად დაეჭირა ბოროტმოქმედები. ის დარწმუნებული იყო, რომ ამ საქმეს სულ მალე გახსნიდა...

### ლიკვიდაცია

გურიაში დაბრუნებულმა კილურაძემ საგანგებო თათბირი მოიწვია, რომელზეც მას კაპიტანმა კოტე სალიამ უთხრა:

– ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, დავადგინეთ, რომ მოწამლული მურა არ ერჩოდა ხუთ ადამიანს, რომლებსაც თავისუფლად შეეძლოთ მასთან მიახლოება და ძეხვის მიცემა. ესენი არიან: გარდაცვლილი ნუგზარ და მარგალიტა წილოსნები, მათი ქალიშვილი – თინა, თინას 6 წლის ვაჟი – ნუგზარიკო და, ბოლოს, დემურ პაიჭაძე. ის წილოსანების მეზობელი და მათი ოჯახის ახლობელია. მას ხშირად გამოჰყავდა მურა გარეთ, ასეირნებდა და ისე ჰყავდა გამოწვრთნილი, პატრონივით უჯერებდა.

– ესე იგი, – კილურაძემ სიტყვა გააწყვეტინა სალიას, – ეგ დემურ პაიჭაძეა ამ საზარელი ყაჩაღობის ერთ-ერთი მონაწილე და, ალბათ, სწორედ მან მოწამლა ძაღლი, რადგან, მოკლული წილოსანები, მათი ქალიშვილი და შვილიშვილი გამორიცხულია. რა ქენით, დააკავეთ პაიჭაძე?

სალიამ ბოლომდე მოუსმინა კილურაძეს და მიუგო:

– ჩვენც ზუსტად ასე ვიფიქრეთ, მაგრამ, 23 წლის დემურ პაიჭაძე ტყის განაპირას მკვდარი, უფრო სწორად, მოკლული აღმოვაჩინეთ. მას ორი ტყვია აქვს ნასროლი თავში, სავარაუდოდ „მაკაროვიდან“. ტყვია ექსპერტიზაზეა გაგზავნილი და უახლოეს დღეებში ველოდებით პასუხს.

– თუ გაარკვიეთ, რა კაცი იყო მოკლული პაიჭაძე? – იკითხა კილურაძემ.



– შეიძლება, გიპასუხოთ? – ჰკითხა პოდპოლკოვნიკს სამძებროს უფროსმა, კაპიტანმა ბუხაიძემ.

– ბრძანეთ.

– საცოდავი დემური უპატიოსნესი, მშრომელი ბიჭი იყო. კოლმეურნეობაში მძღოლად მუშაობდა. სასაზღვრო ჯარში იყო ნამსახური და მურა იმიტომ ჰყავდა შეჩვეული. მილიციაში მუშაობა შევთავაზე და დღე-დღეზე პასუხი უნდა ეთქვა. თავს დავდებ, ის ამ საქმეში სუფთაა.

– მაშ, რატომ მოკლეს?

– ეგ ჯერ არ ვიცით, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, მაგრამ, დღე და ღამეს ვასწორებთ, რომ დავადგინოთ, – უთხრა კილურაძეს ბუხაიძემ, რომელსაც ქვედა ყბა უცახცახებდა.

ექსპერტიზის პასუხი ორი დღის შემდეგ მოვიდა, რომელშიც ეწერა, რომ „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, რომლითაც დემურ პაიჭაძე იყო მოკლული, ცნობილ ადგილობრივ ყაჩაღს, მურად ველურიძეს ეკუთვნოდა. ველურიძემ ამ იარაღით სამი წლის წინ ყაჩაღობა ჩაიდინა მახარაძეში (დღევანდელი ოზურგეთი) და მოკლა ადგილობრივი ოქრომჭედელი ანზორ გალოგრე. მაშინ ველურიძე დააპატიმრეს, მაგრამ, იმავე ღამეს გაიქცა საკნიდან და გადაიხვეწა.

კილურაძე ექსპერტიზის დასკვნას გაეცნო და მეტი ინფორმაციის მისაღებად კაპიტანი ბუხაიძე დაიბარა. სამძებროს უფროსი პოდპოლკოვნიკს ეახლა და მოახსენა:

– ველურიძე მილიციის ზემდეგად მუშაობდა და ეს „მაკაროვი“ მისი ტაბელური იარაღი იყო. თუმცა, როცა ის აიყვანეს, იარაღი თან არ აღმოაჩნდა. ველურიძე იმავე ღამეს გაიქცა საკნიდან და, როგორც ჩანს, იარაღიც თან წაიღო. მაშინ მე რიგითი ოპერი ვიყავი და კარგად მახსოვს, რომ ამ ამბავის გამო მილიციის უფროსი, მოადგილე, სამძებროს უფროსი, მისი მოადგილე და კიდევ ოთხი ოფიცერი მოხსნეს თანამდებობიდან. ჩემი აზრით, ახლა ის რაიონში დაბრუნდა და, გამორიცხული არ არის, რომ წილოსანებთან მივიდა საყაჩაღოდ.

**ძებნილ ველურიძეს 9 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, მათ შორის ორი – თავში**

– თქვენი სიტყვებიდან გამომდინარე, დემურ პაიჭაძეც უნდა იყოს ამ საქმეში. წინააღმდეგ შემთხვევაში, რა საქმე ჰქონდა მას ყაჩაღთან, თანაც, ტყის პირას, ღამით? როგორც ჩანს, კვალის დაფარვის მიზნით, ველურიძემ თავიდან მოიშორა პაიჭაძე.

– როგორც ეტყობა, – დაუდასტურა კილურაძეს ბუხაიძემ.

– თქვენ კი თავს დებდით პაიჭაძის უდანაშაულობაზე.

– უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები, – თქვა ბუხაიძემ და დაამატა, – ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ჩემი ბიჭები ფხიზლად არიან და ყველაფერს აკეთებენ, რომ დააკავონ, თუკი ველურიძე კვლავ ჩვენს რაიონშია. ნება მიბოძეთ, წავიდე!

– წადით, კაპიტანო და ეცადეთ, ცოცხლად შეიპყროთ – ის ერთ-ერთი მთავარი მოწმეა ამ საქმეში, – უთხრა კილურაძემ ბუხაიძეს და გაისტუმრა.

ორი დღის შემდეგ, 1971 წლის 23 მაისს, საღამოს 20 საათსა და 45 წუთზე, გურიის ერთ-ერთი რაიონის ტყიან ადგილას მილიციის ოპერატიულ ჯგუფსა და ძებნილ მურად ველურიძეს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა და ურთიერთსროლის დროს, მეტყევის ქოხში მოკლული იქნა 30 წლის ველურიძე, რომელსაც 9 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, მათ შორის ორი – თავში. დაიღუპა, ასევე, მილიციის ზემდეგი კოკაია, ხოლო უფროსი ლეიტენანტი პატარიძე. ფეხში მძიმედ დაიჭრა და მას მარცხენა ფეხის ამპუტაცია დასჭირდა.

### ზემდეგის ჩვენება

ველურიძის ლიკვიდაციიდან სულ რამდენიმე საათი იყო გასული, როდესაც პოდპოლკოვნიკ კილურაძეს მილიციის ზემდეგი, 21 წლის ვახტანგ ილურიძე ეახლა და სენსაციური განცხადება გააკეთა:

– ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, ყველაფერში კაპიტანი ანზორ ბუხაიძეა დამნაშავე. წილოსანების დაყაჩაღება მან მოაწყო, მანვე მოაკვლევინა ველურიძე. თუ არ მეშლება, ამ სამი წლის წინ, მან და ველურიძემ დააყაჩაღეს მახარაძელი ოქრომჭედელი გალოგრე და მანვე გააქცია საკნიდან ველურიძე. მურადი უკვე სამი თვეა, აქ არის და მას ბუხაიძე მალავდა თავის სახლში.

– შენ საიდან იცი ეს ყველაფერი? – ჰკითხა ზემდეგს კილურაძემ, რომელმაც თავი ჩაღუნა და ამოილუღლუღა:

– მეც მისი ბანდის წევრი ვიყავი და წილოსანების დაყაჩაღებაში ვმონაწილეობდი, მაგრამ, მკვლელობა არ ჩამიდენია. ცოლ-ქმარი ველურიძემ და ბუხაიძემ გაგუდეს: მურადმა – ნუგზარი, ანზორმა კი – მარგალიტა.

– ძაღლი ვინ მოკლა?

– ბუხაიძემ. ის მას დემურ პაიჭაძემ შეაჩვია, რომელიც მურას ტყეში ასეირნებდა ხოლმე და ანზორს კარგად იცნობდა. სწორედ ბუხაიძემ აჭამა ძაღლს წინასწარ მომზადებული მოწამლული ძეხვი, მოკლა და, როცა ცოლ-ქმარიც დახოცეს, ჩვენ ნაყაჩაღარი ქონება უპრობლემოდ წამოვიღეთ იქიდან. მან საცოდავი დემური ველურიძის იარაღით იმიტომ მოკლა, რომ თქვენთვის კვალი აერია, შემდეგ მურადიც მოაკვლევინა და, უნდოდა, მეც მოვეშორებინე თავიდან, რომ თვითონ სუფთად გამოსულიყო ამ საქმიდან. მურადის მოშორება მან ადვილად მოახერხა – ველურიძეს „სტრელკა“ დაუნიშნა მეტყევის ქოხში და იქ შეიარაღებული ბიჭები გაგზავნა. შეხვედრა მეც დამინიშნა, მაგრამ, მივხვდი, რასაც მიპირებდა, არ წავედი და თქვენთან მოვედი.

– სად და როდის უნდა შეხვედროდი იმ ნაძირალას?

– მახარაძისკენ მიმავალ ტრასაზე რომ მიტოვებული სამხერხაოა, იქ, დილის 8 საათზე.

კილურაძემ საათს დახედა და თქვა:

– ცხრის თხუთმეტი წუთია. ის, ალბათ, უკვე მიხვდა ყველაფერს, მაგრამ, მაინც წავიდეთ.

მიტოვებულ სამხერხაოსთან მისულ მილიციის ოპერჯგუფს არავინ დახვდა და 32 წლის მილიციის კაპიტან ანზორ ბუხაიძეზე საკავშირო ძებნა გამოცხადდა, მილიციის ზემდეგი ილურიძე კი დააპატიმრეს.

ძებნილი ბუხაიძე ერთი კვირის შემდეგ, 31 მაისს, თბილისში, ვაკის ერთ-ერთი სახლის ოთხოთახიან ბინაში უშიშროებამ დააპატიმრა. ის ისე აიყვანეს, წინააღმდეგობის გაწევაც ვერ მოასწრო. ჩხრეკის დროს მას აღმოუჩინეს წილოსანების სახლიდან გატაცებული ფული და ძვირფასეულობა.

ბუხაიძე გაასამართლეს და დახვრეტის განაჩენი გამოუტანეს, ილურიძეს კი 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ზემდეგმა პატიმრობა სრულად მოიხადა, ბუხაიძე კი ორთაჭალის ციხეში დახვრიტეს.

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

**13 მაისი**

1796 – ინგლისელმა ქირურგმა ედუარდ ჯენერიმ გამოიგონა ყვავილის საწინააღმდეგო აცრა.

1981 – თბილისის „დინამომ“ მოიგო თასის მფლობელთა თასი.

**14 მაისი**

1643 – საფრანგეთის მეფე გახდა ლუი მეთოთხმეტე, რომელიც იმ დროს მხოლოდ ოთხი წლის იყო.

1948 – უკანასკნელმა ბრიტანულმა შენაერთებმა დატოვეს პალესტინა. ებრაელთა ეროვნულმა კრებამ ისრაელის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

1988 – საბჭოთა კავშირმა დაიწყო ჯარების გამოყვანა ავღანეთიდან.

1996 – ლონდონში გაიმართა ანტონიო ბანდერასისა და მელანი გრიფიტის ქორწინების ცერემონიალი.

**15 მაისი**

1673 – კორნელიუს ი როზა-ბრალმა მიიღო პრემია საკუთარი მიღწევისთვის. მან გამოიყვანა შავი ტიტა.

1928 – პირველად კინოეკრანებზე გამოჩნდა „მიკი მაუსი“.

1932 – იოსებ სტალინის ბრძანებით, გამოცხადდა შემდეგი ხუთწლედი: „ხუთწლედი – ღმერთის გარეშე“.

1935 – საზეიმოდ გაიხსნა მოსკოვის მეტროპოლიტენის პირველი ხაზი.

1940 – ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველად მაღაზიებმა, ყველამ ერთ დღეს, გასაყიდად გამოიტანა ნეილონის წინდები.

1942 – საბჭოთა კავშირმა პირველად გამოსცადა რეაქტიული თვითმფრინავი. საბჭოთა პროპაგანდა აცხადებდა, რომ ეს იყო მსოფლიოში პირველი რეაქტიული თვითმფრინავი. აღმოჩნდა რომ პირველები ამ საქმეში იყვნენ გერმანელები – 1939 წელს, შემდეგ – ინგლისელები.

**16 მაისი**

1898 – ავსტრალიის ქალაქ იდენს გადაუფრინა რეკორდული სიმაღლის ქარბორბალამ – 1528 მეტრი.

1920 – კათოლიკურმა ეკლესიამ წმიდანად შერაცხა ჟანა დ'არკი.

1938 – კონგოში მოკლეს მსოფლიოში უდიდესი გორილა სიმაღლით 195 სანტიმეტრი და წონაში 257 კილოგრამი.

1975 – იაპონელი უნიკო ტაბეი გახდა პირველი ქალი, რომელმაც დალაშქრა ჯომოლუნგმას მთა.

**17 მაისი**

1846 – ბელგიელმა ადოლფ საქსმა დააპატენტა საქსოფონი.

1963 – მონტრეტში (კალიფორნია) ჩატარდა მსოფლიოში პირველი როკ-ფესტივალი.

**18 მაისი**

1291 – ეგვიპტელმა მამლუქებმა აიღეს სენ ჟან დ-აკრი, ახლო აღმოსავლეთში დაეცა უკანასკნელი ჯვაროსნული სახელმწიფო.

1642 – დაარსდა ქალაქი მონრეალი (კანადა).

1721 – ესპანელი მარია კარილიო გახდა ინკვიზიციის ყველაზე ხანდაზმული მსხვერპლი. ის კოცონზე დაწვეს 96 წლის ასაკში.

1967 – „კაგებეს“ შეფი გახდა იური ანდროპოვი.

**19 მაისი**

1571 – დაარსდა ფილიპინების დედაქალაქი – ქალაქი მანილა.

1712 – რუსეთის დედაქალაქი მოსკოვიდან პეტერბურგს გადავიდა.

1802 – დაარსდა საფრანგეთის უმაღლესი ჯილდო – „საპატიო ლეგიონის ორდენი“.

1995 – ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „კერკეტი კაკალი“ ბრიუს უილისის მონაწილეობით.

**ზოგიერთი უცხოელი მკვლევარი უარყოფს ტრაპიზონის სამეფოს შექმნის კავშირს ქართველებთან და ამტკიცებს, რომ ის მხოლოდ დროისა და გარემოებების დამთხვევის შედეგად შეიქმნა, რასაც კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით. ჯერ ერთი, ტრაპიზონის სამეფოში ქართული ეთნოსი შეადგენდა უმრავლესობას და, მეორეც – არა მარტო „ქართლის ცხოვრება", არამედ ბიზანტიური და აღმოსავლური წყაროები და თვით ტრაპიზონის ისტორიის ერთადერთი ქრონისტი მიქაელ პანარეტოსი, პირდაპირ აღნიშნავენ, რომ ტრაპიზონის სამეფო დიდი ქართველი მეფის, თამარის უშუალო ჩარევით დაარსდა. ჩვენი რესპონდენტია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მირიან მახარაძე.**

# რა ინციდენტი მოხდა ქართველებსა და ტრაპიზონელებს შორის და რა გავლენა მოახდინა ამ უთანხმოებამ მათ კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე

**მირიან მახარაძე:** 1204 წელს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით შექმნილმა ტრაპიზონის სამეფომ ორ-ნახევარი საუკუნე იარსება. ამ პერიოდის განმავლობაში ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული არა მხოლოდ ქართულ სამეფოსთან, არამედ, მის სათავადოებთანაც. ტრაპიზონის სამეფოში მუდამ ხდებოდა ორი პარტიის დაპირისპირება: პროქართულის და პრობიზანტიურის. იყო პერიოდები, როდესაც პრობიზანტიური პარტია, გარკვეული დროის მონაკვეთში, ხელისუფლების სათავეში მოდიოდა. თუმცა, ეს არ ნიშნავდა ტრაპიზონისა და ქართულ სამეფოებს შორის ურთიერთობის გაწყვეტას. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სამეფო მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებში თვითონ განიცდიდა ილხანთა მხრიდან საფრთხეს, ის სხვადასხვა ფორმით მუდამ გვერდში ედგა და ეხმარებოდა ტრაპიზონის სამეფოს. ილხანთა უღლის გადაგდების შემდეგ ქართული სამეფო არა მარტო თავის, არამედ, ტრაპიზონისადმი მტრულად განწყობილ თურქმანთა შემოტევებსაც იგერიებდა.

**– რა ხდება ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში ოსმალთა გამოჩენის შემდეგ?**

– 1402 წელს თემურ ლენგმა დაამარცხა ოსმალთა სულთანი ბაიაზეთი ანკარასთან ბრძოლაში, რამაც ერთგვარად გადასწია როგორც ოსმალთა მხრიდან ბიზანტიის, ასევე ტრაპიზონის დაპყრობის თარიღი. თუმცა, მეთხუთმეტე საუკუნის 20-იანი წლებიდან ოსმალები კვლავ იწყებენ დაპყრობით ომებს. ოსმალთა საფრთხე თვალნათლივ შეაფასეს ქართველებმაც და ტრაპიზონელებმაც. ამიტომ, 30-იანი წლების მიწურულს, მათ ერთობლივად მიიღეს გადაწყვეტილება, მონაწილეობა მიეღოთ რომის პაპის მიერ მოწოდებულ ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაში, რომლის უმთავრესი მიზანი ანტიოსმალური კოალიციის შექმნა იყო. თუმცა, კრებამ აშკარად სხვა ხასიათი მიიღო და აღმოსავლეთ დელეგატთა შორისაც უთანხმოება ჩამოვარდა.



**პარადოქსია, მაგრამ, ფაქტია, რომ სეფიანთა დინასტიაში ქართული სისხლი ერია, არადა, სწორედ ამ დინასტიის ამბიციებს შეეწირა ქართველთა, კონკრეტულად – აღმოსავლეთ საქართველოს უმრავლესობა**

**– რა უთანხმოებამ იჩინა თავი ფერერა ფლორენციის საეკლესიო კრებაზე ქართველებსა და ტრაპიზონელებს შორის?**

– როგორც აღვნიშნეთ, ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების მოწვევის მიზეზი ანტიოსმალური კოალიციის შექმნა იყო, სადაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ჯარები ერთობლივი ძალებით წინ აღუდგებოდნენ ოსმალთა აგრესიას. თუმცა, მოხდა ისე, რომ რომის პაპმა წინა პლანზე წამოსწია აღმოსავლეთის ეკლესიის პეტრეს ტაძარზე დაქვემდებარების საკითხი. ქართულმა დელეგაციამ კათოლიციზმზე დამორჩილებისადმი აშკარა პროტესტი გამოხატა. საპირისპიროდ მოიქცა არა მარტო ტრაპიზონის, არამედ რუსეთის, სომხეთის, ბიზანტიის წარმომადგენლობები, რომლებმაც რომის პაპის შეთავაზებას (უნიას) ხელი მოაწერეს.

**– რა მოხდა მას შემდეგ, რაც აღნიშნული დელეგატები კრებიდან შინ დაბრუნდნენ?**

– ქართულ დელეგაციას მალვით მოუწია კრების დატოვება, ვინაიდან, უნიის მომხრეები მათ სასიკვდილოდ დაუპირისპირდნენ. უფულოდ დარჩენილები მათხოვრობით აგროვებდნენ დასაბრუნებელ ფულს და ტირნოვოს ეპისკოპოსის მეოხებით მოახერხეს სამშობლოში დაბრუნება. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთის არც ერთმა ქვეყანამ არ მიიღო თავიანთ წარმომადგენელთა ხელმოწერილი დოკუმენტი. ტრაპიზონელებმა და ბიზანტიელებმა კინაღამ ქვეყნიდან გააძევეს თავიანთი დელეგატები, სომხეთში ეჩმიაძინის ტაძარში შეიკრიბა 300-მდე საერო და სასულიერო პირი, სადაც სახალხოდ დაგმეს და უარყვეს თავიანთ წარმომადგენელთა ნამოქმედარი. უფრო გამწვავდა სიტუაცია რუსეთში. იქ არა მარტო დაგმეს, არამედ, გაპარსეს უნიაზე ხელის მომწერი მღვდელი ისიდორე და ქვეყნიდან გააძევეს. აღსანიშნავია, რომ, მეთხუთმეტე საუკუნის რუსული წყაროები ქება-დიდებას ასხამს ქართულ დელეგაციას და აღმოსავლეთის ეკლესიების დამცველად ივერიელებს, ანუ ქართველებს მოიხსენიებს.

**– ამ ინციდენტის შემდეგ როგორ გრძელდება საქართველოსა და ტრაპიზონის ურთიერთობა?**

– მიუხედავად ინციდენტისა, ტრაპიზონისა და ქართული სამეფოების ურთიერთობა მაინც მჭიდროდ ვითარდებოდა. არც ტრაპიზონელებმა და არც ქართველებმა არ მიიღეს მონაწილეობა 1444 წლის ვარნის ბრძოლაში, რომელიც რომის პაპის მიერ იყო მოწოდებული. უფრო მეტიც, ტრაპიზონელებმა გააფრთხილეს ქართველები, რომ ბურგუნდიელი ადმირალი, ჟოფრუა დე ტუაზი, ბათუმის სანაპიროს დალაშქვრას აპირებდა, რის შემდეგაც ქართველები ჩაუსაფრდნენ თავხედ ბურგუნდიელს და ტყვედ აიყვანეს. მხოლოდ ტრაპიზონელების თხოვნით მოხდა მისი გათავისუფლება. ამ პერიოდის მნიშვნელოვანი ფაქტია ქართული სამეფოს მიერ ტრაპიზონის უფლისწულის – კალო (ლამაზი) იოანეს შეფარება. მომავალში მან იქორწინა ალექსანდრე პირველის ქალიშვილზე. მნიშვნელოვანია, რომ ქართულ სამეფოს გამოუჩნდა მომხრე ტრაპიზონში თავისი პოლიტიკის გატარებისა, ამიტომ ისინი დაეხმარნენ კალო იოანეს ქართული ჯარით, რომლითაც მან შეძლო, მამა ტახტიდან ჩამოეგდო და თავად გამეფებულიყო. აღსანიშნავია, რომ იოანესა და ქართველი დედოფლის ქორწინების შედეგად დაიბადა ულამაზესი თეოდორა, რომელიც ცოლად გაჰყვა თეთრბატკნიანთა მბრძანებელს – უზუნ ჰასანს. მათი ქორწინების ნაყოფი იყო მარტა (ქართულად – მართა), რომელიც მომავალში არდებილის მთავრის – ჰაიდარის მეუღლედ გვევლინება. სწორედ მათი შვილი, ისმაილი გახდა სეფიანთა ირანის დამაარსებელი. პარადოქსია, მაგრამ, ფაქტია, რომ სეფიანთა დინასტიაში ქართული სისხლი ერია, არადა, სწორედ ამ დინასტიის ამბიციებს შეეწირა ქართველთა, კონკრეტულად, აღმოსავლეთ საქართველოს უმრავლესობა.

**– ბიზანტიის დაცემის შემდეგ რა ხდება ქართულ-ტრაპიზონულ ურთიერთობებში?**

– 1453 წელს კონსტანტინოპოლის დაცემამ გარდაუვალი გახადა ტრაპიზონისა და საქართველოს ანექსიის საკითხიც. როგორც ქართველები, ასევე ტრაპიზონელები, ერთობლივად ჩაერთნენ რომის პაპის მიერ მოწოდებულ ანტიოსმალურ კოალიციაში. ამის გამო ტრაპიზონელები თეთრბატკნიანებსაც კი დაუმოყვრდნენ. მათ ერთობლივად გაგზავნეს ელჩები მანტუას საეკლესიო კრებაზე, თუმცა, აღსანიშნავია, რომ კრება უშედეგოდ დასრულდა. ქართულ-ტრაპიზონულ დელეგაციას ძალისხმევა არ დაუკლია, რომ რამენაირად შეეჩერებინათ ოსმალთა აგრესია. ამიტომ, მათ მანტუიდან არა სამშობლოსკენ, არამედ ევროპისკენ აიღეს გეზი. მოიარეს საფრანგეთი, გერმანია, პოლონეთი, ბურგუნდია, თუმცა, მათი ყოველი მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. ელჩების ევროპაში ყოფნას დაემთხვა ოსმალეთის სულთნის – მეჰმედ მეორის შავი ზღვის აღმოსავლეთში ლაშქრობა. 1461 წელს ოსმალებმა ტრაპიზონი დაიკავეს.

**– რა მოხდა შემდეგ?**

– ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ ქართველებს მონაწილეობა არ მიუღიათ ტრაპიზონის დაცვაში, რაც ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებაა.

**ტრაპიზონელებმა გააფრთხილეს ქართველები, რომ ბურგუნდიელი ადმირალი, ჟოფრუა დე ტუაზი, ბათუმის სანაპიროს დალაშქვრას აპირებდა, რის შემდეგაც ქართველები ჩაუსაფრდნენ თავხედ ბურგუნდიელს და ტყვედ აიყვანეს**

ჯერ კიდევ 1456 წელს, როდესაც არდებილის მთავარმა შეიხ ჯუნეიდმა ალყა შემოარტყა ტრაპიზონის სამეფოს, ქართველებმა მოსახლეობის დიდი ნაწილი შეიფარეს და დაიცვეს. მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეების უცხოენოვანი წყაროები ქართველების დახასიათების დროს მუდამ აღნიშნავენ, რომ ისინი ტრაპიზონის საზღვართან ცხოვრობენ და მუდამ ებრძვიან და ამარცხებენ სარკინოზებს. ასევე, ქართულმა სამეფომ შეიფარა ოსმალეთის ტყვეობიდან გამოქცეული ტრაპიზონის უფლისწული გიორგი, რომელიც შემდგომში ტრაპიზონის მეფედ მოიაზრებოდა. იგი საქართველოშივე დაქორწინდა. 1473 წელს თერჯანთან მომხდარ ბრძოლაში ოსმალებს დაუპირისპირდნენ საქართველოს მეფეები: კონსტანტინე მეორე და ალექსანდრე პირველი. აღსანიშნავია, რომ უფლისწული გიორგი ოსმალთა წინააღმდეგ თვითონ გამოდიოდა სხვა ქართული შენაერთების მეთაურად. ყოველივე აქედან ნათელი ხდება, რომ, იმ შემთხვევაში, თუ ანტიოსმალური კოალიცია გამარჯვებას მოიპოვებდა, ქართველთა დახმარებით კვლავ შეიქმნებოდა ტრაპიზონის სამეფო, რომლის სათავეშიც კვლავინდებურად კომნენოსთა გვარი მოექცეოდა. თუმცა, ბედმა ასე არ ინება და ტრაპიზონი ოსმალთა სახელმწიფოში შთაინთქა.

**ეკა სალაღაია**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
მევლუდ მელაძე

**კითხვა: მინდა ავტომობილის შეძენა, მაგრამ როგორც დავაკვირდი, სხვადასხვა ქვეყნისთვის წარმოებული მოდელები ერთმანეთისგან სერიოზულად განსხვავდება. ამას იმასაც თუ დავუმატებთ, რომ არ ვიცი, როგორი ნახმარია, შეიძლება სერიოზულად შევცდე? დიდი მნიშვნელობა თუ აქვს, როგორი ნახმარია ავტომობილი?**

**პასუხი:** არსებითად ამას მნიშვნელობა არ აქვს თუ, რა თქმა უნდა, რამე დაზიანებული არ არის. მნიშვნელობა აქვს მის კომპლექტაციას, როგორი ტიპის სავალი ნაწილი და ძრავა აქვს. ავტომობილის სიუხეშეს, სირბილესა და მანევრს მისი სავალი ნაწილის კომპლექტაცია იწვევს, ხოლო სიმძლავრეს – ძრავისა და ელექტრონული სისტემის კომპლექტაცია. როდესაც

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
> **მიხაილ შუმახერი**

ავტომობილის ყიდვას გადაწყვეტთ, კარგი იქნება, წინასწარ, თეორიულად გაეცნოთ ინფორმაციას, თუ მწარმოებელი ამ მოდელის რა და რა ვარიანტებს გვთავაზობს. მაგალითისთვის ავიღოთ ყველასთვის ნაცნობი „ე კლასის", იგივე მრგვალფარებიანი „მერსედესი". ვიზუალურად, მისი სხვადასხვა მოდელი ჩვეულებრივი მომხმარებლისთვის ძნელად გასარჩევია, ისე მიზერულია განსხვავება. არადა, ამ მოდელის თუნდაც ერთი ვარიანტი შეიცავს ბევრ ქვევარიანტს, როგორიცაა: მაგალითად, ამორტიზატორების სირბილისა და სიუხეშის კოეფიციენტი. ვარიანტების ცვლასთან ერთად, იცვლება როგორც ძრავას სიმძლავრე, ასევე, მანევრირება და რა თქმა უნდა, კომფორტის დეტალები სალონში. ამ ტიპის ავტომობილი, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, შეიძლება, ას კილომეტრზე ხუთ-ექვს ლიტრ საწვავს მოიხმარდეს (სწორედ ასეთ მოდელებს იყენებენ ტაქსებად გერმანიაში) და შეიძლება ყოველ ას კილომეტრზე ოცი ლიტრიც დასჭირდეს. (AMG-ის ტიუნინგით შესრულებულ მოდელებს).

**კითხვა: მაინტერესებს „ნისან X ტრიალი", 2.2 დიზელის ძრავით. როგორი ზოგადი მონაცემები აქვს ამ ავტომობილს, რას მეტყვით ძრავასთან დაკავშირებით და ზოგადად, როგორია ის ჩვენს პირობებში?**

**პასუხი:** „ნისანის" ეს მოდელი საკმაოდ მორგებულია ჩვენს პირობებს, არ საჭიროებს ხშირ სერვისს და თავისი კლასის სხვა მოდელებთან შედარებით კარგი მანევრირება აქვს. რაც შეეხება ძრავას, ამ ტიპის ძრავით აღჭურვილი ეს მოდელები ძალიან პოპულარულია და ყველაზე დიდი მოთხოვნა მასზე ინგლისშია, სადაც მომხმარებელი ჩვენზე გაცილებით პრეტენზიულია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ის, ეგრეთ წოდებული, „გამომდგარი" ძრავაა.

**კითხვა: ჩემს ავტომობილს მოულოდნელად მოაკლდა სიმძლავრე და მოუმატა საწვავის წვას. შევცვალე საწვავის ფილტრი, მაგრამ ამან საქმეს არ უშველა. რა შეიძლება იყოს კიდევ ამის მიზეზი?**

**პასუხი:** ხშირია ისეთი შემთხვევა, ბენზინის ფილტრს გამოცვლი, მაგრამ თქვენს პრობლემას ეს უკვე აღარ შველის. შესაძლოა, ფილტრის შეცვლაა დაგვიანებული, ან ჭუჭყი თუ წყალი მოხვდა ავზში; ანდა, უბრალოდ, ტუმბოს, როგორც დეტალს, ცვეთის რესურსი ამოეწურა, ან, თავიდანვე არ იყო კარგი ხარისხის და თვითონ „ნასოსი" ვერ ქმნის სათანადო წნევას. ამის გადამოწმება ძალიან იოლად ხდება. ნებისმიერ ხელოსანს, რომელიც ინჟექტორებს წმენდს, აქვს ხელსაწყო, რომლითაც გასინჯავს – მიეწოდება თუ არა სისტემას ბენზინი სათანადო წნევით. თუ დაზიანებულია, „ნასოსის" აღდგენა შესაძლებელია და არც მისი გამოცვლაა დიდი პრობლემა, სხვადასხვა მოდელის „ნასოსიც" მიდის ერთმანეთზე. მთავარია, მოერგოს და წარმადობა ჰყოფნიდეს, ანუ იგივენაირ წნევას ქმნიდეს და გამტარობაც იდენტური ჰქონდეს. როგორც ორიგინალ ტუმბოს, ისე ახალსაც აწერია ეს ყველაფერი. აგრეთვე, შეიძლება, დაზიანებული იყოს, ეგრეთ წოდებული, „აბრატნი კლაპანი", რომელიც „ნასოსიდან" გამოსულ წნევას არეგულირებს და განსაზღვრავს, თუ რამდენი დატოვოს ძრავის სექტორში და რაც ზედმეტია, უკანვე, ავზში აბრუნებს. არის შანსი, რომ ეს სარქველი, ეგრეთ წოდებული „კლაპანი" დაზიანდეს, რის გამოც ის ნაკლებ წნევას ტოვებს სისტემაში და უფრო მეტს უკან აბრუნებს. არც ამის გაგებაა ძალიან რთული. იგივე ხელოსანი იოლად შეამოწმებს, არის თუ არა სისტემაში დარჩენილი საჭირო წნევა, ან საერთოდ, ეს დეტალი – „აბრატნი კლაპანი", მუშაობს თუ არა.

**კითხვა: მინდა, შევიძინო, ავტომობილი „ჰონდა ფიტი", 2002 წლის, იაპონური წარმოების, 1.3-იანი ძრავითა და გადაცემათა ვარიატორული კოლოფით. მინდა, საჭის გადატანა, მაგრამ ხელოსანმა მითხრა, კონდიციონერს ექნება პრობლემებიო. შეესაბამება თუ არა ეს სიმართლეს? ზოგადად, რას მეტყვით ვარიატორთან დაკავშირებით და ამ მანქანის შესახებ?**

**პასუხი:** „ჰონდა ფიტი" ძალიან კარგი მანქანაა, საკმაოდ გამძლე და ეკონომიური. რაც შეეხება საჭის გადატანას, მას მექანიკურად პრობლემები არ შეექმნება, მაგრამ გადამტანი ჰერმეტულობას ვერ დაიცავს და შემოვა უფრო მეტი ხმაური. მეორე – კონდიციონერს, ნორმალური ფუნქციონირებისთვის კონკრეტული დეტალების გადაკეთება დასჭირდება, რაც ამ ტიპის ყველა ხელოსანს არ შეუძლია. შესაბამისად, როგორც მინიმუმ, თავს დაიზღვევს და გეტყვით, რომ კონდიციონერი ნორმალურად არ იმუშავებს. რაც შეეხება ვარიატორს, ეს მექანიზმი კარგია, მაგრამ თუ საქართველოში არ ცხოვრობ. ეს არის ყველაზე დინამიკური, ეკონომიური და უზუსტესი სისტემა – ყოველთვის იმ სიჩქარეს იყენებს, რომელიც კონკრეტული მომენტისთვისაა იდეალური. მაგრამ, მოვლა სჭირდება – როგორც მინიმუმ, ზეთი უნდა შეცვალოს, დაახლოებით ყოველ გავლილ ორმოცი ათას კილომეტრზე. რაც ვარიატორს სჭირდება, შესაბამისი ხარისხის ზეთი, ჩემი ინფორმაციით, აქვს „რეინოლსა" და „იამოტოს".

> **ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
> ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
> ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
> ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
> ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
> *გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა
სალომე გველესიანმა**



1
2
3
4
5
6
7
8

- ...მეკო-კიშვილი / მიჯაჭ-ვული
- ...თუთ-ბერიძე / კედლის სანათი
- ფირ-ოსმანი
- სტანისლავ ლემის რომანი / სრულიად განსხვავებული
- პირველი მოსახლე / ...ლოლო-ბერიძე
- მარტო სიმღერა
- (......)-ბედზე
- კენიის ძირი-თადი ტომი
- ისტორიული ოლქი საფრანგეთ-ის აღმოსავლეთ ნაწილში
- დიდი ნახატი
- რბილი ლითონი
- ვიბრა-ცია ანუ?
- ჩვენი ვალუტა
- ეკალი / არის ასეთი ბგერები
- აღმოს-ავლური ტკბი-ლეული
- მუსლ-იმანი ღვთის-მსახური
- სასია-მოვნო
- მსახი-ობი
- სასულე საკრავი / ლოკო-მოტივი
- XIX-XX ს-ის ქართველი მწერალი ფსევდონიმით
- სიმინდის კაბები / ნოეს შვილი
- ცხრილი
- მანვნის ქურქელი
- ქართ-ული გაზეთი
- ფრანგი მხატვარი / აჭარელის დედა
- ფრან-გული მანქანა
- ძვ.ამე-რიკ.მომ-ღერალი ......რიდი
- სალექი რეზინი
- კუნძული აზიაში
- ცუდი კბილი ასეთია
- კანადის ქალაქი / აგენტი 007
- რუსი მსახიო-ბი ქალი ია.....
- ხორცის ნახარში / თბილისის ტაძარი
- პარფიუ-მერიული საშუ-ალება
- აშშ-ს შტატი / ....მანჯ-გალაძე
- სამეფო კარის ფავორიტი ჭაბუკი
- 1000 კგ / დენის ძალა
- ლოგინის ნაწილი
- ციმბირის მდინარე
- აგულის მამა
- ჩაკეტი-ლი გზა / დიაპო-ზიტივი
- (...) ქუანი
- დელფინი / ცხერები
- ჩელია-ბინსკის მდინარე
- კენედის ცოლი / მგზავრის ჩანთა
- ამერიკ. მსახიობი / თანამო-საქმე
- ფუჭი
- ძველ პურს აქვს
- იტალიელი მწვრთნელი / ფორტეს პარტნიორი / ყორღანიანი ყაენი
- მურ-მანის მცენარე
- საცხოვ-რებელი
- მოცე-კვავე
- მანერა თავის-ებურება
- ზემოთ
- ფრანგი მხატ-ვარი
- ებრაელი
- ქართვე-ლთა წარ-მართული ღვთაება
- სახელმ-წიფოთა კავშირი
- ქვეყნის ნაწილი
- მხედრის „ტახტი" / ხელგა-შლილი
- ...მან-იანი / სახლში
- თუნდაც „ნიქარა" / მაკი არ მოგვცა
- ისლამური სახელმწიფო / (......)- ანჯელესი
- ...პამ-ზათოვი / ბალღების დამჭერი
- რუსეთის მდინარე
- ბულგა-რეთის ქალაქი
- გან-თიადი
- მგალ-ობელი
- შეკედ-ლებული
- უარყ-ოფითი ელექტ-რონი
- საჭად-რაკო ქმედება
- აკრძ-ალვის სიტყვა
- ბინის ნაწილი / ხრიკი, ფანდი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | 3 | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | 1 | 1 | | 1 | | | | | 3 | 1 | 3 | 3 | 6 | 1 | 3 | | 3 | | | | | | | | | | | | | |
| | | | | 1 | 4 | 12 | 1 | 3 | | | 3 | 2 | 1 | 2 | 1 | 1 | 3 | 2 | 2 | 1 | 3 | 4 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | | | | | | | |
| | 1 | 1 | 1 | 2 | 5 | 2 | 15 | 12 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | 2 | 2 | 3 | 4 | 15 | 15 | 13 | 11 | 7 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 23 |
| 29 | 1 | 1 | 2 | 3 | 5 | 1 | 3 | 3 | 16 | 17 | 9 | 4 | 4 | 5 | 9 | 9 | 2 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | 3 | 3 | 4 | 4 | 4 | 5 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | 10 | 1 | 11 |
| | 1 | 1 | 5 | 1 | 1 |
| | | | 1 | 9 | 1 |
| | 1 | 1 | 5 | 1 | 1 |
| | | | 1 | 1 | 1 |
| | | 1 | 3 | 8 | 1 |
| | 1 | 5 | 3 | 6 | 1 |
| | 1 | 5 | 2 | 5 | 1 |
| | 1 | 4 | 1 | 5 | 1 |
| 1 | 2 | 2 | 2 | 5 | 1 |
| | 1 | 6 | 2 | 5 | 1 |
| | 1 | 6 | 2 | 5 | 1 |
| | 1 | 6 | 2 | 5 | 1 |
| | 1 | 6 | 3 | 5 | 1 |
| | | 1 | 10 | 5 | 1 |
| | | 1 | 7 | 5 | 1 |
| | | 1 | 5 | 5 | 1 |
| | | 1 | 5 | 5 | 1 |
| | | 1 | 5 | 5 | 1 |
| | | 1 | 6 | 5 | 1 |
| | | 1 | 7 | 6 | 1 |
| | | | 1 | 14 | 1 |
| | | | 1 | 8 | 1 |
| | | 1 | 3 | 4 | 1 |
| | | | 1 | 5 | 3 |
| | | 1 | 7 | 2 | 1 |
| | | 1 | 6 | 2 | 4 |
| | | 1 | 3 | 2 | 7 |
| | | 1 | 2 | 3 | 11 |
| | | 3 | 2 | 5 | 14 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | 7 | 1 | 6 | | 4 | | 2 |
| | 2 | | 9 | 3 | | 8 | 5 | 1 |
| 1 | 8 | 3 | | 5 | | 9 | 6 | |
| | | 2 | 7 | | | 6 | 9 | 5 |
| 3 | 7 | | 5 | 4 | | | 1 | |
| | 9 | 8 | | 1 | | 3 | 7 | 4 |
| | 4 | | 6 | | 1 | | | 3 |
| | | 1 | | | 5 | 7 | 4 | |
| 7 | 6 | | | 2 | | | 8 | 9 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | | | 1 | 5 | | |
| | 1 | | 9 | 5 | | | | |
| 5 | 9 | | | 3 | | | 4 | 6 |
| 1 | | | 5 | 7 | | | | 4 |
| | | 7 | | | 9 | | 6 | |
| 9 | 6 | | | 4 | | | | 1 |
| | 4 | | | 9 | 5 | | 7 | |
| 6 | 5 | | | | | | 1 | |
| | | | 6 | 1 | 3 | 4 | | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. დაიწყეთ ბალერინას თავის ხატვა



2. შემდეგ მიახატეთ სამკუთხედი



3. მიახატეთ სახე: თვალ-წარბი და ცხვირ-პირი



4. მიახატეთ მაღლა აწეული ხელები



5. ბალერინას მიახატეთ მარაოსავით გაშლილი ქაბა



6. მიახატეთ ფეხები და პუანტებიც



7. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება





## რა გზებით მოწყვეტს გოგონა ყვავილებს



## იპოვე ცხოველების შესაბამისი ჩრდილები



# გლეხი

## (იგავ-არაკი)

გლეხი მიწას თხრიდა და ოქრო იპოვა. ყოველდღე მიწას ჰკოცნიდა – ოქრო შენ მიწყალობეო. მაშინ გლეხს ბედმა უთხრა:

– ჩემო ძმაო, ოქრო მე გამოგიგზავნე – ვთქვი, ამ კაცს გავამდიდრებ-მეთქი, შენ კი მიწას ემადლიერებიო. ამის მერე ეგ შენი ოქრო რომ სხვის ხელში აღმოჩნდეს, მე ნუღარ დამაბრალებ და გინებასაც ნუ დამიწყებო.

მოკეთე უნდა იცნო და სიკეთეც დაუმადლოო, – ამბობს არაკი.

## რიცხვრებუსი

7,,,, 10,, ,6,,, 10,, ,2



# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი **ზაქრო ბაჟიაშვილი**

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
> **ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: თუ შეიძლება, მითხარით, რა ფერის არსებობს ინგლისური ბულდოგი? მის შესახებ ასევე მაინტერესებს მცირე ინფორმაცია, რადგან დიდი სურვილი მაქვს, შევიძინო.**

**პასუხი:** ინგლისური ბულდოგი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფერის, გარდა შავისა და რუხისა. მისი წარმომავლობა დიდი ბრიტანეთიდან მოდის. არის ძალიან გონიერი, კეთილგანწყობილი, მამაცი ეგზოტიკური ექსტერიერით. გაითვალისწინეთ, რომ ის საკმაოდ ჯიუტია. მას გრილი კლიმატი სჭირდება. ახასიათებს ღამით ხვრინვა და პირის სისველე. ინგლისური ბულდოგის სიმაღლე მინდოში დაახლოებით 40 სანტიმეტრია. რაც შეეხება წონას, ხვადი 25 კილოგრამი, ხოლო ძუ – 23 კილოგრამია. ინგლისური ბულდოგის შეძენისას, აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება მშობლებისა და ლეკვის ჯანმრთელობას. ეს უნიკალური ძაღლი გაცილებით მეტ ყურადღებასა და მოვლას ითხოვს, ვიდრე სხვა ჯიშის ძაღლები. ამიტომ, სანამ მას შეიძენთ, აუცილებლად დაფიქრდით, შეძლებთ თუ არა სათანადოდ მის მოვლას.

**კითხვა: რა უნდა გავაკეთო უპირველესად, თუ ჩემი ძაღლი სხვამ დაკბინა, განსაკუთრებით ქუჩის ძაღლმა.**

**პასუხი:** ცხოველის დაკბენის შემთხვევაში, სასწრაფოდ უნდა მიიყვანოთ ის ვეტერინართან, რადგან ერთი დღე-ღამის შემდეგ, ჩირქოვანი პროცესი ძალიან ღრმად მიდის და ძაღლის მდგომარეობა უარესდება. იწყება ჩირქოვან-რეზორბციული ცხელება, რაც რთულდება სეფსისით და შეიძლება ცხოველის სიკვდილით დამთავრდეს, ან ქრონიკული სახე მიიღოს. მიიყვანეთ რა თქვენს ცხოველს ვეტერინართან, ის შეაფასებს მის ზოგად მდგომარეობას, ტრავმის ხარისხს და ნაკბენების რაოდენობას. ჩაატარებს ნაკბენი ჭრილობების ქირურგიულ დამუშავებას, შეაჩერებს სისხლდენას და სიცოცხლისათვის საშიში ორგანოების დაზიანების შემთხვევაში, ქირურგიულ ოპერაციას დანიშნავს, ისევე როგორც პოსტოპერაციულ მკურნალობას.

**კითხვა: რა პერიოდში სჭირდება ლეკვს განსაკუთრებული მოვლა და ყურადღება?**

**პასუხი:** გახსოვდეთ, რომ ლეკვს ყურადღების მიქცევა მუდმივად სჭირდება, მაგრამ განსაკუთრებით – 4-დან 6-თვის ასაკში. ამ პერიოდში ის კბილების ცვლას იწყებს. სამედიცინო თვალსაზრისით კი კბილების ცვლა ერთ-ერთი რთული რამ არის ორგანიზმისთვის. ამ პერიოდში ლეკვს ყველაზე ბევრი ვიტამინის დანამატი უნდა მისცეთ, რადგან იფიტება და იმუნიტეტი უძლეურდება. თუ ძაღლს ამ დროს უყურადღებოდ დატოვებთ. შეიძლება, ძალიან ბევრი დაავადება შეეყაროს, ვიტამინების დანამატით კი, პროცესის გადატანას საგრძნობლად გაუადვილებთ.

**კითხვა: თუ შეიძლება, მითხარით, რამდენ ხანში ერთხელ აქვს ძუ ძაღლს ციკლი?**

**პასუხი:** საორიენტაციოდ, ძუ ძაღლებს ციკლი წელიწადში ორჯერ აქვთ. არის შემთხვევა, როცა 8 თვეში ერთხელაც ფიქსირდება. ციკლის დაწყებისთანავე, ძუ ძაღლს სასქესო ორგანო ებერება. რაც შეეხება ციკლის ხანგრძლივობას, დაახლოებით 22-26 დღე გრძელდება, გააჩნია ჯიშს. ზოგ ძაღლს მხოლოდ 16 დღე აქვს. ციკლი იმას არ ნიშნავს, რომ მისი დაწყების დღიდან დაწყვილების პერიოდი დგება. დაწყვილების პერიოდი, ციკლის გაწყებასთან ერთად იწყების განვითარებას.

**კითხვა: შეიძლება, ზუსტი შემადგენლობით სახლში მოვუმზადოთ ძაღლს საკვები. ეს მიღებული ფორმაა?**

**პასუხი:** ესეც ხშირია, თუმცა არ ვეთანხმები და არც არავის ვურჩევ. მიუხედავად ყველა რეკომენდაციის ზედმიწევნით გათვალისწინებისა, აღნიშნული რაციონი ვერ იქნება დაბალანსებული და შეიძლება, სხვადასხვა დაავადება გამოიწვიოს.

მოამზადა
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ამირან ბიწაძე**

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
> **გოეთე**

**კითხვა: როგორ მოვუარო ლიკუალას პალმას? მას გაუხმა ბოლო ფოთლები და, იქნებ, მირჩიოთ, რა გავაკეთო ამ დროს?**

**პასუხი:** ლიკუალას პალმა ტროპიკული მცენარეა, ამიტომ, ესაჭიროება სათუთი მოვლა. ყოველ ადრე გაზაფხულსა და შემოდგომაზე სასუქების მიცემა არ დაგავიწყდეთ. ის არ არის ძალიან პრეტენზიული მოსავლელი. ეცადეთ, ჰქონდეს კარგი დრენაჟი; ასევე გაითვალისწინეთ, რომ მაღალ ტემპერატურაზე კარგი იქნება ზემოდან დანამვა, რათა სიცხეში თავი კარგად იგრძნოს. ლიკუალა გადარგეთ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, ასევე, ნიადაგი გამოუცვალეთ ყოველ მეორე წელს. ნიადაგში მას ესაჭიროება ნაკელი, ტორფი, მიწა, ქვიშა. ასეთ ნიადაგში მცენარე კარგად იზრდება. რაც შეეხება ფოთლების გახმობას, ლიკუალას საერთოდ ყველა ბოლო ფოთოლი უხმება, რაც იმის ნიშანია, რომ მცენარე ზრდაშია და ეს არ არის საშიში. თუ, საერთოდ, ლიკუალა ხმება, ეს უკვე ფესვების ბრალია. არასდროს მისცეთ მას ზედმეტად აზოტიანი სასუქები, რომ ფესვები არ დაწვათ; ასევე, შეგიძლიათ, ზაფხულში სიცხეში ამყოფოთ – ეს დისკომფორტს არ შეუქმნის.

**კითხვა: მაქვს ჟასმინი და წელს კვირტები ნაკლებად აქვს. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** ჟასმინი სუბტროპიკული მცენარეა, ამიტომ ის საერთოდ უხვად მოყვავილედ ითვლება. თუ გსურთ, რომ მას ბევრი ყვავილი ჰქონდეს, თებერვალში უნდა მისცეთ სასუქები, რომლებიც არ უნდა იყოს აზოტის შემცველი. მცენარე გადარგეთ ყოველ მესამე წელს, ასევე გადარგვისას შეაჭერით ფესვები, რომ ახალი ცხოვრება დაიწყოს. ჟასმინს ყვავილობამდე სჭირდება მავნებლებზე დამუშავება, რათა არ შეესიოს; ასევე, გახსოვდეთ, რომ სიცხეში ზემოდან უნდა დანამოთ. თუ მცენარეს არ დაამუშავებთ მავნებლების საწინააღმდეგო შხამებით, მაშინ ეს მავნებელი მომავალი კვირტების ადგილებს დააზიანებს და შემდეგ წელს აღარ ამოუვა ბევრი კვირტი. ჟასმინს, ასევე, ესაჭიროება გვიან შემოდგომით საკვები ნივთიერებების მიცემა. ის მრავლდება როგორც თესლით, ასევე კალმით. კალმობა უნდა მოხდეს გვიან შემოდგომით, როდესაც მცენარე უკვე კარგა ხნის მიძინებულია. ჟასმინს ზემოდან აქვს დამატებითი ფესვები, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოაჭრათ. ეს მცენარე ყინვაგამძლეა და მისი გარეთ დატოვება შეიძლება.

**კითხვა: მსურს, ბინაში გავახარო ლიმონის ხე ისე, რომ თან მსხმოიარეც იყოს. იქნებ ამიხსნათ, როგორ მოვუარო ამ შემთხვევაში მცენარეს და როგორ გავამრავლო?**

**პასუხი:** კარგად მოვლილი ლიმონი 20-40 ცალ ნაყოფს იძლევა. ოთახის პირობებში უმთავრესად კარგად იზრდება და მსხმოიარობს ის ნერგები, რომლებიც მიღებულია კალმებისა და ტოტების დაფესვიანებით. მათი გამრავლება უმჯობესია თებერვალ-მარტში. ლიმონის დასაკალმებლად უნდა აიჭრას 4-6 მილიმეტრი სისქისა და 10-12 სანტიმეტრი სიგრძის ტოტები. კალამი უნდა ჩაირგას ღრმად, თავისი სიგრძის ნახევრამდე. ზემოდან დაახურეთ ქილა და სითბოში დადგით. ერთ თვეში დაფესვიანდება და შემდეგ გადარგეთ მაღალ ქოთანში.

მისი ნიადაგი უნდა მომზადდეს სპეციალურად: ჰუმუსი, დამწვარი ნაკელი და სილა თანაბარი რაოდენობით.

სასურველია, ლიმონი გვიან შემოდგომამდე გედგათ აივანზე. მისი დაკოკრება-დაყვავილებისთვის საკმარისია ოთახის ტემპერატურა 10-15 გრადუსი, ხოლო ნაყოფის მომწიფებისთვის 20-25 გრადუსი.

ზაფხულში მორწყვა სჭირდება ყოველდღიურად ან 2-3 დღეში ერთხელ. შემოდგომით ნაყოფის მოსამწიფებლად აუცილებელია, მორწყვა შეამციროთ. ნაყოფის შემცირებისა და კოკრის დაცვენის უმთავრესი მიზეზებია: მაღალი ტემპერატურა, ჰაერის დაბალი შეფარდებითი ტენიანობა, ტემპერატურის დიდი ცვალებადობა, ცივი წყლით რწყვა, ნიადაგის ზედმეტი სიმშრალე ან ჭარბი ტენი, მავნებლების მოქმედება და სხვადასხვა დაავადება.

იმისათვის, რომ ლიმონის ფოთლები სუფთა იყოს, გირჩევთ, თბილი წყლით ჩამობანოთ.

მავნებლების საწინააღმდეგოდ მცენარის ფოთლები ხანდახან საპნიან ხსნარში დასველებული ბამბით გაწმინდეთ. კვირაში ერთხელ სასურველია გოგირდის შეფრქვევაც.

მოამზადა
**თეონა გოზალიშვილმა**

# როგორ დააკავეს მოძალადე მამათმავალი და რით აშანტაჟებდა ის თავის მსხვერპლს



49 წლის ზურა ბ-შვილი სამართალდამცველებმა ჩადენილი დანაშაულიდან ორი კვირის შემდეგ დააკავეს. წარსულში მძიმე ბრალდებებით ორჯერ ნასამართლევ მამაკაცს მესამე სასჯელიც სისხლის სამართლის კოდექსის მძიმე მუხლით დაემატა – სექსუალური ძალადობისთვის 18 წლის ბიჭთან, რომელიც გონებრივად ჩამორჩენილი იყო, სასამართლომ ზურა ბ-შვილს 11-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

ზურა ბ-შვილი წარსულში ყაჩაღობისა და გაუპატიურებისთვის იყო ნასამართლევი – 30 წლის ასაკში ის გაუპატიურების ფაქტზე დააკავეს, მისი მსხვერპლი მისივე შორეული ნათესავი ქალი აღმოჩნდა, რომელიც მას ახლოს არ იცნობდა. გამოძიების დროს ზურა ბ-შვილმა განაცხადა, რომ ქალზე შეყვარებული იყო და, ვინაიდან ცოლად გაყოლაზე არ თანხმდებოდა, მასზე შურისძიება ამ ფორმით გადაწყვიტა. გაუპატიურებული ახალგაზრდა ქალი გამოძიებასთან აცხადებდა, რომ ზურა ბ-შვილი სექსუალური მოძალადე და მანიაკალური მიდრეკილებების მამაკაცი იყო. ეს თვისებები ზურა ბ-შვილმა ციხიდან გათავისუფლების შემდეგაც ვერ მოიშორა. სოფელი, სადაც ის მარტოხელა დედასთან ერთად ცხოვრობდა, მასთან ურთიერთობას ერიდებოდა. მოძალადე მამაკაცი ბოლმას სასმელში იქარვებდა, ის ხშირად თვრებოდა და თანასოფლელთაგან მათ, ვინც განსაკუთრებით ჰყავდა ამოთვალწუნებული, ცხოვრებას უწამლავდა. მოკლედ, ზურა ბ-შვილი სოფელს მოუშორებელ ჭირად ექცა, თუმცა, დანაშაული, რომელიც მან ჩაიდინა, ისე ოსტატურად შენიღბა და ისე აურ-დაურია ძიებას კვალი, რომ მისი რეპუტაციის მიუხედავად, ის ეჭვმიტანილთა სიაში არ მოხვედრილა და მისი დაკავებაც მხოლოდ ორკვირიანი ძებნის შემდეგ შეძლეს.

დანაშაული, რომელიც ზურა ბ-შვილმა საკუთარ სოფელში ჩაიდინა, ადგილობრივ მცხოვრებთა შოკის მომგვრელი აღმოჩნდა. ბიძინა ჭ-ძის მრავალშვილიანი ოჯახი ზურა ბ-შვილის სახლიდან მოშორებით, სოფლის განაპირას ცხოვრობდა. ბიძინა და ზურა ერთმანეთს ახლოს არ იცნობდნენ, შესაბამისად, ზურა ბ-შვილი, რომელიც ციხიდან რამდენიმე თვის გამოსული იყო, არ იცნობდა ამ ოჯახის არც ერთ ბავშვს, რომელთაგან უფროსი, 18 წლის კახა ჭ-ძე, გონებრივად ჩამორჩენილი ახალგაზრდა იყო. ზურა ბ-შვილმა ის რამდენჯერმე ნახა სოფლის ბირჟაზე, ფიზიკურად მოხდენილი ბიჭი მოეწონა და მისი ვინაობით დაინტერესდა. ამის შემდეგ მათი პირველი შეხვედრა სოფლის დანგრეულ ავტოსადგომზე შედგა: ზურა ბ-შვილი ბიჭს გამოეცნაურა და შესთავაზა, ვიმეგობროთო. კახა ჭ-ძე მამაკაცის დაინტერესების მიზეზს ვერ მიხვდა, ზურა ბ-შვილმა კი უთხრა – ვიცი, რომ სოფლის ტექნიკა გაინტერესებს, ჩემს ნაკვეთში წაგიყვან და ტრაქტორებს გაჩვენებო. ასე დაუმეგობრდა სოფელში ცნობილი მოძალადე კახა ჭ-ძეს, თუმცა მას ისე მალულად ხვდებოდა, რომ ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ამ ამბავს კახა ჭ-ძეც მალავდა ოჯახის წევრებთან. მართალია, ოჯახი ხვდებოდა, რომ ის უცნაურად იყო შეცვლილი, თუმცა, ამ ცვლილების მიზეზს სახლში მანამდე ვერავინ მიხვდა, სანამ ოჯახის წევრებმა მას თვითმკვლელობის მცდელობის ფაქტზე არ წაასწრეს. მოგვიანებით კახა ჭ-ძის დედამ მოწმის სახით დაკითხვისას განაცხადა: „ჩემი შვილი კახა, ბავშვობიდან გონებაჩამორჩენილია, თუმცა, სამედიცინო დიაგნოზით, დაავადება მკვეთრად გამოხატული არ აქვს და არც ქმედუუნარო ყოფილა როდისმე. პირიქით, ფიზიკურად ისეთი ძლიერი ბიჭია, მთელი ოჯახის ფიზიკური საქმე მის ზურგზე გადადის და მამამისსაც ეხმარება. ბოლო პერიოდში კახა ძალიან შეიცვალა – ის საათობით იკარგებოდა სახლიდან და, როცა ვეკითხებოდი, სად იყო, გაურკვეველ პასუხს მცემდა. იმ დღეს, როდესაც თვითმკვლელობა სცადა, სახლში მხოლოდ ჩვენ ორნი ვიყავით. სახლის უკან ფარდული გვაქვს, საიდანაც უცნაური ხმა შემომესმა. გავედი და დავინახე, რომ კახას ფარდულის ბოძზე თოკი ჰქონდა ჩამოკიდებული და თავს იხრჩობდა. საკუთარი ხელით ჩამოვხსენი შვილი თოკიდან, სულ აკანკალებული იყო. მალე ჩემი მეუღლეც მოვიდა სახლში და ეს ამბავი რომ გაიგო, გადაირია. ვკითხეთ ბავშვს, რა იყო თვითმკვლელობის მიზეზი. ბოლოს, როგორც იქნა, გამოვტეხეთ, რომ მასთან სქესობრივი ურთიერთობა ჰქონდა მამაკაცს, რომელსაც არ იცნობდა. როგორც თვითონ მოგვიყვა, პირველად მასთან კავშირი ძალადობით დაამყარა, მერე კი აშანტაჟებდა. ბევრი ვიფიქრეთ მე და ჩემმა მეუღლემ, შეგვეტყობინებინა თუ არა ეს ამბავი პოლიციისთვის, ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ ხელის დაფარება კარგს არაფერს მოგვიტანდა და დამნაშავე აუცილებლად უნდა დასჯილიყო."

პოლიციამ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა და დაიწყო გამოძიება. დაიკითხა დაზარალებული კახა ჭ-ძე, რომელმაც გამოძიებასთანაც დაადასტურა სექსუალური ძალადობის ფაქტი. მისი მონათხრობის მიხედვით, მამაკაცი მასთან სქესობრივ კავშირს ბოლო ორი კვირის განმავლობაში რეგულარულად ამყარებდა. ისინი შეხვედრის ადგილს წინასწარ გეგმავდნენ, სადაც ის მოძალადის შიშისა და შანტაჟის გამო მიდიოდა.

## მოძალადე მამათმავალს პირველი განაჩენი სოფელმა გამოუტანა

ამონაწერი კახა ჭ-ძის ჩვენებიდან: „პირველად რომ შევხვდით ერთმანეთს, მთვრალი იყო, ნაკვეთში წამიყვანა და ჩემთან ძალადობით დაამყარა სქესობრივი კავშირი. იმ დღესვე დამემუქრა: თუ ამის შესახებ ვინმეს ეტყვი, ცოცხალს არ დაგტოვებო. ძალიან შემეშინდა მისი, ამიტომაც, მის ყოველ დაძახილზე მასთან შესახვედრად გავრბოდი. ძირითადად სოფლის ნაკვეთებში ვხვდებოდით ერთმანეთს, ორჯერ რაიონულ ცენტრშიც წამიყვანა. ბოლოს გადავწყვიტე, რომ შეხვედრაზე უარი მეთქვა და ასეც მოვიქეცი, ის კი ფიზიკურად გამისწორდა – მცემა და დამემუქრა: თუ არ შემხვდები, ყელს გამოგჭრიო."

სამართალდამცველებმა სექსუალური მოძალადის იმ ფიზიკური მონაცემების მიხედვით დაიწყეს ძებნა, როგორც მათ დაზარალებულმა ახალგაზრდამ აღწერა, თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, კახა ჭ-ძეს მოძალადის ვინაობა სცოდნია და ეს განგებ დამალა, რადგან მისგან ძალიან იყო დაშინებული. სამართალდამცველებისა და ჭ-ძეების ოჯახის მრავალი მცდელობის მიუხედავად, კახა ჭ-ძე მოძალადის ვინაობას არ ამხელდა. ის თავის თავში ჩაიკეტა, გარეთ საერთოდ აღარ გადიოდა. ორკვირიანი ინტერვალის შემდეგ კი, კახა ჭ-ძე სახლიდან გაურკვეველი მიმართულებით წავიდა. ოპერატიული სამსახურის თანამშრომლები მას კვალში ჩაუდგნენ. დაზარალებულმა, ისე, რომ ამის შესახებ წარმოდგენა არ ჰქონდა, თავისი ფეხით მიიყვანა სამართალდამცველები ზურა ბ-შვილთან, რომელიც მას დათქმულ ადგილას ელოდა. დამნაშავე მიხვდა, რომ უთვალთვალებდნენ და შეხვედრის ადგილიდან გაუჩინარდა, რამდენიმე დღით მან სოფელიც კი დატოვა კვალის არევის მიზნით, თუმცა გამოძიებას უკვე ბევრი მტკიცებულება ჰქონდა მის წინააღმდეგ. მოგვიანებით მის წინააღმდეგ ჩვენება დაზარალებულმა კახა ჭ-ძემაც მისცა. სამართალდამცველებმა ზურა ბ-შვილი ნათესავის ბინაში დააკავეს, რომელიც თავიდან კატეგორიულად უარყოფდა ჩადენილ დანაშაულს და ამბობდა, რომ კახა ჭ-ძე თვალით არ ჰყავდა ნანახი, თუმცა, ბოლოს იძულებული გახდა, ჩადენილი მძიმე დანაშაული ეღიარებინა, რაც ციხის პერიოდში მასზე დატოვებული ძალადობის კვალითა და სექსუალური პრობლემებით ახსნა. თუმცა, ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზით დადგინდა, რომ ის არათუ სექსუალური გადახრების მქონე პაციენტი, არამედ ჩვეულებრივი სექსუალური მოძალადე იყო.

ამონაწერი დაკავებულის ჩვენებიდან: „მას შემდეგ, რაც მეორე სასჯელი მოვიხადე, სოფელში არავინ აღარ მეკარებოდა. ვიცოდი, ათას მეტსახელს მეძახდნენ და ყველა ზიზღით მიყურებდა. ერთხანს სოფლიდან სადმე გადახვეწასაც ვაპირებდი, მაგრამ, წასასვლელი არსად მქონდა. როცა კახა პირველად დავინახე, მომეწონა. გავიგე, რომ ავადმყოფი იყო, ვიფიქრე, თუ მასთან კავშირს დავამყარებდი, მუდმივად მეყოლებოდა პარტნიორი. ერთ დღეს ნათესავის გასვენებაში ვიყავი და ძალიან ბევრი დავლიე. სოფლის ბირჟაზე კიდევ დავამატე სასმელი. მანქანით სახლისკენ მივდიოდი, როცა დანგრეულ ავტოსადგომთან კახა დავინახე, – მანქანა გავუჩერე და გამოველაპარაკე. მერე ვუთხარი, დაჯექი მანქანაში, ჩემს ტრაქტორებს გაჩვენებ-მეთქი. კახა მანქანაში ჩამიჯდა, სოფლის ბოლოში ჩავიყვანე და გავაუპატიურე. ამის შემდეგ რეგულარულად ვაიძულებდი შეხვედრას და თან ვემუქრებოდი, არავისთვის არაფერი ეთქვა. ისიც იძულებული იყო, შემხვედროდა და მეც, ხან ძალადობით, ხან კი შანტაჟით მასთან კავშირს ვამყარებდი".

სასამართლოზე ზურა ბ-შვილმა წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ ცნო და გამოტანილ სასჯელსაც მშვიდად შეხვდა. მოძალადე მამათმავალს პირველი განაჩენი სოფელმა გამოუტანა, თუმცა, ამ მძიმე ვერდიქტს გადაურჩა – ლინჩის წესით ჩაქოლვისგან ის პოლიციამ იხსნა.

**ეკა ბარაბაძე**

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28(550)-19(645)

კარგია, როცა ყველაფერი კარგად მთავრდება, მაგრამ, ასეთია ცხოვრება: ცუდს ყოველთვის კარგი მოჰყვება და პირიქით... თუმცა, დაზვერვაში არსებობს მტკიცედ ჩამოყალიბებული მოსაზრება, რომ მზვერავი ყოველთვის ცუდ გარემოში მოქმედებს და, თუკი წამით მაინც კი მოდუნდება, აუცილებლად ჩავარდება.

– კოკი, გახსოვდეს, რომ წამითაც არ უნდა მოდუნდე და სიამოვნებამ არ უნდა გაგიტაცოს. მაშინაც კი, როდესაც მიზნის მისაღწევად ქალის გაჟიმვა გიწევს, მიზანზე უნდა იფიქრო და არა სიამოვნებაზე, – მასწავლიდა ერთ-ერთი კოჯრელი ინსტრუქტორი და ღიმილით დაამატებდა ხოლმე: ჩვენთვის, ჩემო კარგო, ქალი ისეთივე დამხმარე საშუალებაა მიზნის მისაღწევად, როგორც სპორტული მანქანა ან მაყუჩიანი პისტოლეტი. მაგრამ, თუკი მასში სიამოვნების საშუალებას დაინახავ, არამცთუ მიზანს ვერ მიაღწევ, არამედ, თავსაც წააგებ. გასაგებია?

– დიახ, გასაგებია, – ღიმილითვე მივუგებდი ხოლმე ინსტრუქტორს და იქვე ვკითხავდი, – ქალის გაჟიმვაში თუ სიამოვნება არ უნდა მიიღო, სხვა ყველაფერში, ალბათ, ჯოჯოხეთი უნდა ეძიო, ხომ?

– ირონიის გარეშე, კოკი, ირონიის გარეშე! სიამოვნება ჩვენთვის უცხო ხილია. ჯოჯოხეთში უნდა ვიცხოვროთ, რომ პატიოსანი საბჭოთა ადამიანი ბედნიერი და გალაღებული იყოს, – მეტყოდა ხოლმე ინსტრუქტორი, რომელიც დარწმუნებული იყო საკუთარი სიტყვების სისწორეში და არც მე შემიტანია ამაში არასდროს ეჭვი.

მზვერავი, უშიშროების თანამშრომელი და, საერთოდ, ძალოვანი სტრუქტურის ნებისმიერი პატიოსანი მუშაკი შეგნებულად ებმება ჯოჯოხეთურ საქმიანობაში მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სხვებს ბედნიერება მოუტანოს. ჯოჯოხეთურ შრომაში, მხოლოდ უკიდურეს დაძაბულობასა და რისკს კი არ ვგულისხმობ, არამედ იმ ცოდვებსაც, რისი ჩადენაც და საკუთარ თავზე აღება უწევთ ზემოთ ხსენებული პროფესიის ადამიანებს. ხშირად ხომ კაცის მოკვლაც გვიწევს და ამაზე დიდი ცოდვა რა უნდა იყოს?.. ბევრს, ალბათ, უკიდურეს ცინიზმად მოეჩვენება, რომ მე, დაქირავებული მკვლელი, კაცისკვლის ცოდვაზე ვლაპარაკობ. მაგრამ, გარწმუნებთ, ამ ყველაფერზე არა ცინიკურად, არამედ გულწრფელად ვლაპარაკობ. ვინ, თუ არა მე, კარგად ვიცი სიცოცხლის ფასი და, თუკი ასი პროცენტით დარწმუნებული არ ვარ იმაში, რომ ობიექტი სიკვდილის ღირსია, სასხლეტს თითს არ გამოვკრავ... მავანს შეუძლია, თქვას, რომ მსგავსი არჩევნის გაკეთების უფლება მხოლოდ ღმერთს აქვს, რაშიც მეც დავეთანხმები, მაგრამ, რადგან ადამიანები ვართ და მიწიერი კანონებით ვცხოვრობთ, მსგავსი საკითხების გადაწყვეტა ჩვენ თვითონ გვიწევს ხოლმე. ღვთიური ლოგიკით, არც მოსამართლეობა შეიძლება, არც პოლიციელობა და, რა თქმა უნდა, არც ავაზაკობა. მაგრამ, რადგან ასეთი ხალხი არსებობს, საჭირო ვართ ჩვენც, ვინც მიწიერი მახვილის ფუნქციებს შეასრულებს და სწორედ ერთ-ერთი ასეთი მახვილი ვარ მეც... როდესაც ზემოხსენებულ კოჯრელ ინსტრუქტორს ერთხელ ვუთხარი, რომ მიწიერი მახვილის როლი უნდა შევასრულო-მეთქი, მან მითხრა:



– გირჩევ, შენი პროფესიის ფილოსოფიურ მხარეზე ნაკლებად იფიქრო და ძირითადად დავალების შესრულებაზე იზრუნო და კიდევ იმაზე, რომ მიწიერი მახვილის მსხვერპლი თავად არ გახდე...

ინსტრუქტორის შეგონება კარგად გავითავისე და, მიუხედავად იმისა, რომ „მიწიერი მახვილის“ სამიზნე არაერთხელ ვყოფილვარ, ჩემი მოხელთება ვერავინ შეძლო.

ერთხელ, ერთი შეკვეთა შევასრულე თბილისში. შეთანხმებისამებრ, ერთ-ერთი უბნის ახალაშენებული სახლის ბინაში ერთ ნაძირალას შუბლი გავუხვრიტე და ფრთხილად გამოვედი გარეთ. საკმაოდ შებინდებული იყო. ქვევით საევაკუაციო კიბით დავეშვი, ლიფტით არ მისარგებლია, თან, უკიდურესად მობილიზებული ვიყავი და ორი შეყენებული ავტომატური მაყუჩიანი პისტოლეტი ქამარში მქონდა გარჭობილი. ასეთი მზადყოფნისკენ ინტუიციამ მიბიძგა, რადგან, გულმა მიგრძნო, რომ საფრთხე მელოდა. წინათგრძნობას არასოდეს ულალატია ჩემთვის და არც ამჯერად მიმტყუნა. „კუდზე“ ქილერი მაჯდა, რომელიც ქვევით მელოდებოდა, შორიახლოს კი მისი მეწყვილე იმყოფებოდა, რომელსაც ის უნდა დაეზღვია. ამ შეკვეთაში 300 ათასი დოლარი უნდა ამეღო, რომლის მესამედიც უკვე ჩარიცხული მქონდა ანგარიშზე. მე საევაკუაციო კიბის მეორე სართულიდან ვუთვალთვალებდი ჩემს მოდარაჯე ქილერებს და ზუსტად ვიცოდი, როგორ უნდა მემოქმედა. შენობიდან გამოსვლას არ ვჩქარობდი, რათა ერთი ქილერი მაინც შემეტყუებინა შიგნით. ნახევარი საათის შემდეგ პირველმა ქილერმა მეორეს ანიშნა, შევდივარო და შენობაში შემოვიდა, რომ მოვეძებნე, მეორემ კი მისი ადგილი დაიკავა. პირველ ქილერს ლიფტთან დავხვდი და რომ გამოვიდა, პისტოლეტი მივადე, მაყუჩიანი იარაღი ავართვი, სანაგვე ბუნკერში გავიყვანე და ჩურჩულით ვკითხე:

– ჩუმადვე მიპასუხე, ვინ გამოგზავნა ჩემს მოსაკლავად?

– პეტრემ, – მაშინვე მითხრა პირველმა ქილერმა, რომელმაც ის კაცი დაასახელა, ვინც მე მომცა შეკვეთა.

– მარტო ხარ?

– ორნი ვართ. ჩემი პაძელნიკი ქვევით გელოდება.

– რატომ დაგავალეს ჩემი მოკვლა?

– კვალის მოსპობის მიზნით.

– რამდენს გიხდით?

– ათ-ათ ათასს.

– რატომ ასე ცოტას?

– ჩვენ პეტრეს ხალხი ვართ და არა დაქირავებულები.

– რომ გაგიშვა, რას იზამ?

– სახლში წავალ.

– ვერ წახვალ, – ვუთხარი პირველ ქილერს, მაყუჩიანი პისტოლეტიდან გულში ვესროლე და იქვე დავტოვე, მერე მობილური ტელეფონი ამოვაცალე და ქვევით დავეშვი. მეორე ქილერი ქუჩაშივე მოვკალი, ორასიოდე მეტრი ფეხით გავიარე და პეტრეს ნომერი ავკრიფე პირველი ქილერის ტელეფონიდან.

– რა, ქენი, შეასრულე? – მკითხა პეტრემ, მე კი მშვიდად ვუთხარი:

– კი, შევასრულე. ერთი ნაგვის ბუნკერთან გდია, მეექვსე სართულზე, მეორე კი – პირდაპირ ქუჩაში. შენ ჩემი ვალი გაქვს – ორასი ნაჭერი და არ დამიგვიანო. ხვალ შუადღისთვის ანგარიშზე თუ არ დამიჯდა, შენი ცელქობა

სიცოცხლის ფასად დაგიჯდება.

– დარდი ნუ გაქვს, ყველაფერი რიგზე იქნება. ეს პატარა გაუგებრობა იყო და მეტი არაფერი. ფული კი ამაღამვე დაგიჯდება, – მითხრა პეტრემ, რომელიც ცდილობდა, მღელვარება დაეფარა, მაგრამ მე მისი ნერვიულობა არ გამომპარვია.

აქამდე ეს ჩემი „გადაგდების" მეორე მცდელობა იყო და ორივეჯერ თბილისში, ქართველები მიპირებდნენ გაცურებას. პეტრემ დარჩენილი ორასი ათასი დოლარის ნაცვლად, ორას ორმოცდაათი ათასი დოლარი დამისვა ანგარიშზე, თუმცა, მას არც ამან უშველა: სამი კვირის შემდეგ, ბათუმში, მის ფეშენებელურ იახტაზე, შუა ზღვაში შუაღამისას, იმ დროს წამოვადექი თავზე, როცა ის ვიღაც ლამაზმანთან ერთად ნებივრობდა საწოლში. ქალი მუშტით გავთიშე, პეტრეს კი მაყუჩიანი პისტოლეტი მივუშვირე და ვუთხარი:

– ხელი ხომ არ შეგიშალე?

პეტრე მიხვდა, ვინც ვიყავი და მომიგო:

– რას მერჩი, ჯარიმა ხომ გადაგიხადე. თუ გინდა, ბოდიშსაც მოგიხდი.

– ბოდიში და ფული რომ მკვდარს აცოცხლებდეს, ამდენი ხალხი კი არ იწვებოდა მიწაში.

– რა გინდა, ხომ ცოცხალი ხარ?

– იმიტომ, რომ პროფესიონალი ვარ. მაგრამ, ხომ შეიძლებოდა, მოგეკალი?

– ნუ მომკლავ. დაივიწყე, რაც მოხდა და მილიონს გადაგიხდი.

– ხომ გითხარი, რომ ფული და ბოდიში პანაცეა არ არის-მეთქი? შენ ჩემი ტყუილუბრალოდ მოკვლა სცადე, ესე იგი, ჩემი მტერი ხარ, მტრები კი უნდა გაანადგურო. არ შემიძლია, რომ არ მოგკლა, – ვუთხარი პეტრეს. შემდეგ მარცხენა თვალში გავუტარე ტყვია და, სანამ გათიშული მეძავი გამოფხიზლდებოდა, იქაურობა სწრაფმავალი კატერით დავტოვე.

სიმართლე რომ ვთქვა, პეტრე ვერანაირ ზიანს ვერ მომაყენებდა, მაგრამ, ის მაინც მტერი იყო და მე არც ამჯერად ვუღალატე ჩემს პრინციპებს – მტერი გავანადგურე... ყველაზე სასაცილო კი ისაა, რომ ჩემი გადაგდება მესამედაც მოინდომეს და კვლავ ქართველებმა.

„არა, რა, – ვფიქრობდი გუნებაში, – რასაც ვიმსახურებთ, სწორედ ისეთ ყოფაში ვართ. სანამ წესიერებას არ ვისწავლით და პარტნიორს პატივს არ ვცემთ, ყოველთვის ასეთ გაჭირვებაში მოგვიწევს არსებობა. უცხოეთში თავშიც კი არავის მოუვა ქილერის გადაგდება, რომელიც ნახევარმილიონიან შეკვეთას ასრულებს. ეჰ, ქართველებო, ქართველებო, არც სხვას სცემთ პატივს და არც საკუთარი თავი გეცოდებათ..."

ჩემი ეს მონოლოგი, რბილად რომ ვთქვათ, ალბათ, ტრაგიკომიკურად ჟღერს, მაგრამ, სულაც არ მეცინებოდა, როცა ჩემი საბანკო ანგარიში შევამოწმე და აღმოვაჩინე, რომ შეპირებული ხუთასი ათასი დოლარი აკლდა. არადა, ორი ბობოლა ქართველი კრიმინალური ავტორიტეტის მიერ შეკვეთილი ერთი რუსი კრიმინალი შუა მოსკოვში, ოცდაათი ადამიანის თვალწინ მოვკალი და იქაურობას ძლივს დავაღწიე თავი. ნახევარი მილიონი დოლარი კი, შეთანხმებისამებრ, საქმის გაკეთებისთანავე უნდა დაესვათ ჩემს ანგარიშზე. მე სამი დღე ველოდე, მეოთხე დღეს კი ერთ-ერთი შემკვეთი ქუთაისში, საკუთარი სახლიდან გავიტაცე, ახლომდებარე სახლის სარდაფში ჩავათრიე, პისტოლეტი მივადე და ვუთხარი:

– თქვენ რა, ჩემი გადაგდება მოინდომეთ?

ქუთაისელმა ავტორიტეტმა გაოცებული მზერა მესროლა და მითხრა:

– რის გადაგდება, ძამიკო, პროსტო, მაყუთმა დეიგვიანა, ახლა კი ყველაფერი რიგზეა და მისაღებს მიიღებ.

ტიპი კაიფში იყო. აშკარად ეტყობოდა, რომ მატყუებდა და ცდილობდა, ჩემგან თავი დაეღწია. ამიტომ, პისტოლეტი მარჯვენა თვალზე მივაჭირე და ვუთხარი:

– მე შენ საფიჩხიელი ნაბიჭვარი ხომ არ გგონივარ, რომ მაბოლებ. ჩქარა, მაყუთი მოჯვი, თორემ, აქვე გაგაგორებ!

– გამაგორებ რა, კამათელი ვარ?! მობილური მომეცი, დავრეკავ და ფულს მოიტანენ, – მითხრა ავტორიტეტმა და სახის ფხანა აუტყდა...

წყობიდან თითქმის არასდროს გამოვსულვარ, მაგრამ, ნარკოტიკებით გაბრუებული ავტორიტეტის უტიფარმა საქციელმა უკიდურესად გამაღიზიანა. მას პისტოლეტის ტარი ვთხლიშე ტუჩებში, ოთხი კბილი ჩამოვუღე და გამოვცარი:

– ჩქარა, ფული მოჯვით, თორემ, კბილებს სულსაც გააყოლებ.

ავტორიტეტი მიხვდა, რომ არ ვხუმრობდი და ფხანა შეწყვიტა, შემდეგ მობილურზე დარეკა და თქვა:

– მიტუშ, ბიჯო, ნახევარი ლიმონი მოიტანე, თორემ, ველარ მნახავ ცოცხალს. იჩქარე და მარტო მოდი. აბა, გელოდები, – ავტორიტეტმა შემომხედა და მკითხა:

– სად მოვიდეს?

მე მისამართი ვუკარნახე და გავაფრთხილე:

– იცოდე, ღმერთი არ გაგიწყრეს და ისევ გადაგდება არ მოინდომოთ, თორემ, ყველას დაგხოცავთ, პირველს კი შენ გაგისტუმრებ.

– მიტუშა, იცოდე, ჭკვიანად! სერიოზული კაცია და თვალსაც არ დაახამხამებს, – გააფრთხილა ავტორიტეტმა თავისი მეგობარი, ტელეფონი გათიშა და მითხრა:

– ტყვილა ბრაზობ, ძამია. შენი გადაგდება ნამდვილად არ გვიფიქრია. მოვა მიტუშა და ნახევარ ლიმონს ჩაგახუტებს.

მიტუშა ნახევარ საათში მოვიდა, შავი ტყავის სპორტული ჩანთით ნახევარი მილიონი დოლარი მოიტანა, წინ დამიგდო და მითხრა:

– ა, ძამიკო, მიიღე მისაღები. ბოდიშს გიხდით დაგვიანებისთვის.

ქუთაისელი ავტორიტეტები საკმაოდ სერიოზული ხალხი იყო და, როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში გავლენით სარგებლობდნენ. თუმცა, თავი კომიკურ სიტუაციაში ჩაიგდეს და დროზე რომ არ მოსულიყვნენ გონს, ტრაგედია არ ასცდებოდათ. მე ფულიანი ჩანთა ავიღე და მიტუშას ვუთხარი:

– გარეთ ყველაფერი სუფთადაა?

– კი, ძამიკო, მარტო მოვედი.

– დაჯექი მანდ და ერთი საათი არც არსად დარეკოთ, არც გარეთ გამოყოთ თავი. გასაგებია?

– კი. ძამიკო, გასაგებია, – ერთხმად მიპასუხეს ძმაკაცებმა.

მე ცალ ხელში პისტოლეტი მეკავა, მეორეში კი – ფულით სავსე ჩანთა და სანამ იქიდან






ერდო ჯგუფი

-ლექტორი ბებიის დანატოვარ 5 ოთახიან ბინას ვყიდი ვაკეში, ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს ნორმალური სამუშაო და თან ...

-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაკეში, მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს კარგი სამსახური და თან ...

მაკლერი:

-კი თქვენ გენაცვალეთ და თან ... გადაგვიხადეთ 6%. 3 გამყიდველის და 3 მყიდველის მხრიდან.

მარიკა 599 24 28 31

გავიდოდი, ავტორიტეტებს ვუთხარი:

– ჩემდა თავად, იმისი დედაც, ვინც ამიერიდან ქართველებთან დაიჭიროს საქმე.

– რატომ, ძამიკო, რას ერჩი ქართველებს? – მითხრა მიტუშამ. მე კი მივუგე:

– არაფერს რომ არ ვერჩი, სწორედ იმიტომ არ დავიჭერ საქმეს. მადლობა თქვით, რომ ცოცხლები დაგტოვეთ, სხვა ჩემს ადგილას დაგხოცავდათ. აბა, მშვიდობით.

– „ს ბოგომ“, – მითხრა მიტუშამ, მერე კი დაამატა, – ღმერთი შენკენ, ძამია, კარგად იყავი.

გარეთ მართლაც არავინ დამხვედრია და ქუთაისიდან თბილისში უპრობლემოდ ჩამოვედი. თუმცა, მთელი გზა ვფიქრობდი და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ხშირ შემთხვევაში ქართველები არაადეკვატურად ვაფასებთ სიტუაციას და ამის გამო ვისჯებით და საკმაოდ მძიმედაც...

ქუთაისური თავგადასავლის შემდეგ, ყოველთვის ვერიდები ქართველებთან საქმის დაჭერას და, სანამ კარგად არ დავრწმუნდები ჩემი თანამემამულე შემკვეთის საიმედოობაში, მას ახლოც არ ვიკარებ. თუმცა, ასპროცენტიანი გარანტია ჩემს საქმეში არ არსებობს და მეტნაკლები რისკი, ყოველთვის არის – შეიძლება, არაქართველმა შემკვეთმაც მოინდომოს შენი გადაგდება და ზედმეტი სატკივარი გაგიჩინოს. ამიტომ, ზემოხსენებული ისტორიის მერე, ფულს ყოველთვის წინასწარ და მთლიანად ვიღებ და მხოლოდ ამის შემდეგ ვკიდებ საქმეს ხელს.

ერთხელ ერთ შემკვეთს შევხვდი პრაღაში. ჩვენ პატარა სკვერში ვისხედით, სადაც არც ისე ბევრი ხალხი იყო თავმოყრილი და ვსაუბრობდით. გარეგნობით ის ჩრდილოევროპელს ჩამოჰგავდა, თუმცა, რუსული აქცენტით მელაპარაკებოდა ინგლისურ ენაზე, რადგან, რატომღაც, ამერიკელი ვეგონე და არც მიცდია მისი გადარწმუნება.

– იცით, მისტერ, როდესაც თქვენი კანტორა მომასწავლეს, მითხრეს, საუკეთესო შემსრულებლები ჰყავთო. მაგრამ, ისიც მითხრეს, საუკეთესო მოითხოვეთო და მასზე ისეთი საოცრებები მომიყვნენ, მონუსხულივით ვუსმენდი. იმედია, ის საუკეთესო სწორედ თქვენ ხართ, – მითხრა ენაწყლიანმა შემკვეთმა და დაამატა: – მე სწორედ რომ მასეთი მჭირდება.

– საქმესთან ახლოს, მისტერ, – ვუთხარი შემკვეთს, – დრო ფულია, როგორც ამერიკელები იტყვიან.

– აი, ხომ ვთქვი, – თითი დამიქნია გაღიმებულმა შემკვეთმა, – ამერიკელი ხართ. დიახ, დიახ, სწორედ ამერიკაში არიან საუკეთესო შემსრულებლები.

– გისმენთ, – ვუთხარი მოლაყბე შემკვეთს, რომელსაც მოულოდნელად ყვავმა ცხვირზე დაასკინტლა და მან, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ქართულად თქვა:

– შენი დედაც...

მე ვითომ ვერ გავიგე, რომ მან არაინგლისური ფრაზა წარმოთქვა, მშვიდად ავიხედე ზევით, გუნებაში კი გავიფიქრე: „ისეთი ჰაბიტუსი აქვს, ვერ წარმოვიდგენდი, ქართველი თუ იყო, შევცდი, არც ისეთი მოლაყბე უნდა იყოს, როგორადაც თავი მომაჩვენა. საინტერესოა, რა უნდა. აბა, მოვუსმინოთ“, – გავიფიქრე შემკვეთს კი გავუმეორე:

– გისმენთ, მისტერ.

– ოთხასი ათას დოლარს გადაგიხდით, თუკი აი, ამ კაცს მოიტაცებთ და მოგვიყვანთ, – მითხრა შემკვეთმა და ფერადი ფოტო დამიდო მუხლებზე.

სურათზე აღბეჭდილი სახე მეცნო, თუმცა, ვერ გავიხსენე, საიდან და შემკვეთს ვკითხე:

– მოქმედების დრო და ადგილი?

– რაც შეიძლება მალე, მაქსიმუმ – სამი კვირა; ადგილი კი – თბილისი.

– რა ბრძანეთ, ტბილისი? – „ძლივს“ წარმოვთქვი ჩემი მშობლიური ქალაქის სახელი. შემკვეთს გულიანად გაეცინა და მითხრა:

– დიახ, ეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქია. საქართველო არ გაგიგიათ?

– დიახ, დიახ, საქართველო... კავკასიაშია, ხომ?

– კავკასიაშია.

– მე თანახმა ვარ, მაგრამ, თანხა წინასწარ და სრულად უნდა გადამიხადოთ.

– თანახმა ვარ. ფული ხვალ დილით დაჯდება თქვენს ანგარიშზე, ვიცით, რომ სერიოზული ადამიანი ბრძანდებით და გენდობით.



– ძალიან კარგი, რომ მენდობით. მოტაცებული სად უნდა მოვიყვანო?

– დანარჩენს თბილისში რომ შევხვდებით, მაშინ გეტყვით. კონსპირაციულ ბინას პირადად გიჩვენებთ და ობიექტის მისამართსაც გეტყვით. თქვენ მხოლოდ ის მითხარით, როდის შეძლებთ თბილისში ჩასვლას, რომ ქალაქი გაგაცნოთ, დაგაბინაოთ და დამატებითი ინფორმაცია გაგაცნოთ.

– დაბინავება და სხვა დანარჩენი ჩემი საქმეა. თქვენ მხოლოდ ინფორმაცია მითხარით და კონსპირაციული ბინა მაჩვენეთ. თბილისში სამ დღეში ვიქნები. დრო და შეხვედრის ადგილი? – ვკითხე შემკვეთს.

– სამი დღის შემდეგ, ალექსანდრეს ზედა ბაღში, შადრევანთან, დღის პირველ საათზე მოვალ, შადრევანთან ვიდგები და ხელში რომელიმე ადგილობრივი ჟურნალი მეკავება.

– კარგი, შევთანხმდით. ნახვამდის, – შეხვედრამდე გამოვემშვიდობე შემკვეთს და ჯერ კონსპირაციულ ბინაში წავედი და გრიმი მოვიშორე, შემდეგ კი აეროპორტისკენ გავემართე და პრაღა-თბილისის თვითმფრინავში ჩავჯექი.

ბედის ირონიით, შემკვეთი ჩემ გვერდით იჯდა. მან, რა თქმა უნდა, ვერ მიცნო, გამიღიმა და მკითხა:

– ქართველი ბრძანდებით?

– დიახ, – თავაზიანად მივუგე ჩემს მეზობელს.

– ბოდიშს გიხდით, მაგრამ, ქართველი ნამდვილად არ მეგონეთ.

– ყველას ასე ეშლება. ზოგს ნორვეგიელი ვგონივარ, ზოგს – შვედი, მე კი სულით ხორცამდე ქართველი ვარ. თქვენ პრაღაში ხომ არ მოღვაწეობთ?

– რას გულისხმობთ?

– ბიზნესმენი ხომ არ ბრძანდებით?

– არა.

– ბოდიშს გიხდით. ჩეხეთში ბევრი ქართველი ბიზნესმენობს და იმიტომ გკითხეთ.

– არა, არა. პრაღაში ჩემი ძმისშვილი ცხოვრობს – ჩეხი მეუღლე ჰყავს და მასთან ვიყავი სტუმრად.

– გასაგებია.

– თქვენ?

– მე აქ პატარა ბიზნესის დასაწყებად ვიყავი ჩამოსული და ნიადაგი მოვსინჯე.

– მერე? გამოდის რამე?

– მე მგონი, კი.

– ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

მე და ჩემი მეზობელი თბილისამდე თითქმის არც გამოვლაპარაკებივართ ერთმანეთს. თვითმფრინავი აეროპორტში რომ დაეშვა და საბაჟო კონტროლის გასავლელად გავემართეთ, მან მითხრა:

– თუ გნებავთ, სახლში მიგიყვანთ, მეგობრები უნდა დამხვდნენ და მანქანით იქნებიან.

– არა, ნუ შეწუხდებით, ტაქსით წავალ, – ვუთხარი შემკვეთს, თუმცა, მაინტერესებდა, ვინ დახვდებოდა.

– რა შეწუხებაა, წამობრძანდით.

– კეთილი, თავს აღარ გამოვიდებ.

შემკვეთს 30-35 წლის სამი მამაკაცი დახვდა, რომლებსაც ეტყობოდათ, რომ „შავები“ იყვნენ და, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა. მათ მე პლეხანოვზე, ჩემს ძველ სახლში მიმიყვანეს და წავიდნენ. სამი დღის შემდეგ კი გრიმი გავიკეთე და ალექსანდრეს ზემო ბაღისკენ გავემართე შეხვედრაზე. შემკვეთი შადრევანთან იდგა და ხელში ჟურნალი „თბილისელები“ ეჭირა. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ერთ-ერთ სკამზე მისი სამი „შავი“ მეგობარი შევნიშნე, რომლებიც მალულად გვითვალთვალებდნენ.

– გამარჯობა, – მივესალმე შემკვეთს, მან კი მომიგო:

– გაგიმარჯოთ, მისტერ. მოგწონთ აქაურობა?

– პროვინციაა, საინტერესო არაფერი უნდა იყოს, თუ, რა თქმა უნდა, იმას არ ჩავთვლით, რომ აქ ჩამოსვლით ჩემი ბიუჯეტი გაიზარდა.

– ხომ დაგიჯდათ ფული ანგარიშზე?

– დიახ. ახლა კი გისმენთ.

შემკვეთმა ქაღალდის ფურცელი მომცა და მითხრა:

– აქ ობიექტის მისამართებია. ყველაზე ხში-

რად ის ამ ორ სახლში ათენებს ღამეს და ეს თქვენს ამოცანას გააადვილებს. ახლა კი კონსპირაციულ ბინაში წაგიყვანთ – იქ, სადაც ობიექტი უნდა მოიყვანოთ.

შემკვეთმა ნაძალადევის ერთ-ერთ კერძო სახლთან მიმიყვანა და მითხრა:

– აი, აქ უნდა მოიყვანოთ. გზის დამახსოვრება, ხომ არ გაგიჭირდებათ?

– არა, მოვაგნებ.

შემკვეთმა მობილური ტელეფონი მომცა და მითხრა:

– როცა საქმეს გააკეთებთ, ამ ტელეფონს ჩართავთ, აქ ჩაწერილ ერთადერთ ნომერზე დარეკავთ, მეტყვით, რომ სტუმრად მოსვლა გინდათ და დაასახელებთ დროს, შემდეგ კი ტელეფონს გათიშავთ და გადააგდებთ.

– კეთილი. შევთანხმდით.

– ახლა სად მიგიყვანოთ?

– არ არის საჭირო. მე თვითონ გავიგნებ გზას. წავედი, – ვუთხარი შემკვეთს და მისი მანქანიდან გადმოვედი. შემდეგ დაველოდე მის წასვლას. ბოლოს, ტაქსი გავაჩერე, ჩავჯექი და ვაგზლის მოედნამდე ვიმგზავრე. იქ კიდევ ერთი ტაქსი გამოვიცვალე და მხოლოდ მას მერე დავბრუნდი სახლში, როცა დავრწმუნდი, რომ არავინ მეჯდა კუდზე. შევედი თუ არა ბინაში, შემკვეთის მიერ მოცემულ ფურცელს ჩავხედე და გავოგნდი – იმ ორი მისამართიდან, სადაც ობიექტი ღამეს ათევდა, ერთ-ერთი ჩემი საცხოვრებელი კორპუსი იყო, თანაც, ჩემ ზემოთ.

„ეჰ, კოკი, კოკი, შტერდები და ეგაა, – გავიფიქრე გუნებაში, – აი, რატომ გეცნო პრალაში ობიექტის ფიზიონომია. ის ხომ შენს სადარბაზოში გყავს ერთხელ ნანახი“.

ობიექტი, როგორც უკვე ვთქვი, ჩემ ზემოთ ცხოვრობდა. მე ის ერთადერთხელ ვნახე, როდესაც სახლში დავბრუნდი, მისმა მრავალრიცხოვანმა დაცვამ კი შესასვლელის ბლოკირება გააკეთა და სადარბაზოში არ შემიშვა.

– უკაცრავად, ბატონო, – მითხრა ერთ-ერთმა გოლიათმა მცველმა, რომელიც ორ მეტრზე მაღალი იყო, – ჯერ ვერ შეგიშვებთ, ჯერ ბატონმა მერაბმა უნდა გაიაროს.

ობიექტს მერაბი ერქვა. ის იმ დროს გამოჩნდა სადარბაზოში, როდესაც მისი მცველი გადაადგილების საშუალებას არ მაძლევდა და მას უბრძანა:

– ყარამან, გამოატარე, – შემდეგ გამიღიმა და მითხრა: – ბოდიშს გიხდით ჩემი ბიჭების მაგივრად. მობრძანდით ლიფტში.

მე და მერაბმა ერთად ვიმგზავრეთ ლიფტით და მაშინ გავიგე, რომ ჩემ ზემოთ ცხოვრობდა. მას მერე, მერაბს კიდევ ორჯერ მოვკარი  თვალი და ორჯერვე ჩემი სახლის ფანჯრიდან: ერთხელ – საღამოთი, ერთხელაც – დილით. ობიექტის საქმიანობით მაშინ არც დავინტერესებულვარ და ამის გაკეთება არც შეკვეთის მიღების მერე იყო სავალდებულო. თუმცა, ცნობისმოყვარეობამ დამძლია და გავარკვიე, რომ ობიექტი ერთ-ერთი მსხვილი საინვესტიციო კომპანიის მფლობელი იყო და დიდძალი ქონება ჰქონდა. გადავწყვიტე, უფრო ღრმად გავრკვეულიყავი სიტუაციაში. ამიტომ, ახალი გრიმი გავიკეთე, სადად ჩავიცვი და კომპანიაში მივედი მერაბის გარემოცვის დასაზვერად, რადგან, ერთმა ეჭვმა გამკრა და გადამოწმება შევუდექი.

– ვინ გნებავთ, ბატონო? – მკითხა სრულიად ნორჩმა მდივანმა გოგონამ, რომელსაც ეტყობოდა, რომ სამოდელო სააგენტოს აღზრდილი იყო.

– ბატონი მერაბი, – მივუგე მდივანს.

– შეხვედრა გაქვთ?

– დიახ. უფრო სწორად, შეხვედრა მინდა, საქმე მაქვს მასთან.

– თუ წინასწარ შეთანხმებული არ ხართ, არ მიგიღებთ.

– შვილო, სერიოზული ეროვნული მნიშვნელობის პროექტი მაქვს და ინვესტიცია მჭირდება. ბატონი მერაბი პირადად უნდა ვნახო.

– მესმის, ბატონო, მაგრამ, ვერაფრით დაგეხმარებით, – ხელები გაასავსავა მდივანმა, მე კი „მეორე სიჩქარე“ ჩავრთე, რომ ხალხი შემეყარა და კოპებშეკრულმა ხმას ავუწიე:

– შენ რა გესმის ეროვნული საქმის, შე ცხვირმოუხოცავო. უზრდელო გოგო! როგორ ბედავ ასეთ საქციელს!



თავისი კოლეგა მდივნებისგან განსხვავებით, მერაბის მდივანი საკმაოდ მოკრძალებული გოგონა აღმოჩნდა და, იმის ნაცვლად, რომ უზრდელობის კორიანტელი გადმოეფრქვია ჩემზე, თავის სავარძელში ჩაჯდა და აქვითინდა. ჩემთვის ეს მოულოდნელი იყო, მაგრამ, შუა გზაზე ხომ არ შევჩერდებოდი. მიუხედავად იმისა, რომ მდივანი გოგონა შემეცოდა, გიჟის როლის თამაში განვაგრძე და კიდევ უფრო ავღრიალდი:

– საინვესტიციო კომპანია ხართ თუ აფერისტების ტრესტი? მე დიადი ეროვნული პროექტით მოვედი, თქვენ კი პანღურებს მირტყამთ და შეურაცხყოფას მაყენებთ!

ცოტა ხანში კომპანიის პრეზიდენტის მისაღებში შვიდიოდე თანამშრომელი შეიკრიბა, რომლებიც ჩემს დამშვიდებას ცდილობდნენ. მათ შორის მდივანიც, რომელიც უკვე აღარ ქვითინებდა, რადგან, გიჟად ჩამთვალა, შევეცოდე და მითხრა:

– დამშვიდდით, ბატონო. ბატონი მერაბი ქალაქგარეთაა გასული და მის თანაშემწეს შეგახვედრებთ.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვ | ა | ლ | ს | ი | | | ბ | ი | ზ | ა | ნ | ტ | ი | ა |
| | თ | | ტ | | ს | ვ | ე | | ი | | უ | | უ | |
| რ | ი | გ | ე | ლ | ი | | ლ | | ნ | ა | ბ | ა | დ | ი |
| | ა | | ნ | | ო | ს | ა | კ | ა | | ი | | ე | |
| | ნ | ა | დ | ი |  | | | | | დ | ა | ლ | ა | ი |
| ა | ი | ლ | ი | | | | | | | ა | | ო | | რ |
| ლ | | უ | | ლ | | | | | | ლ | ე | ნ | გ | ი |
| ვ | ა | რ | დ | ი | | | | | | ა | | დ | ა | ს |
| ა | რ | ი | | ა | | | | | | ს | ა | რ | ფ | ი |
| | ა | | ო | | | | | | | ი | მ | ე | ლ | |
| ი | მ | ა | რ | გ | | | | | | | პ | | ა | პ |
| | ი | | ე | | ს | | ნ | ა | ვ | თ | ი | | ნ | |
| კ | | ა | რ | მ | ა | დ | ა | | ო | | რ | ი | გ | ა |
| ლ | ა | ქ | ა | | ხ | | რ | ა | ლ | ფ | ი | | ვ | |
| ა | | ტ | | ს | ა | რ | ი | ს | ტ | ა | | ჩ | ა | ო |
| ს | ვ | ი | ა | | დ | ა | ნ | ი | ე | ლ | ი | | | პ |
| ი | | | ტ | ა | ი | ჭ | ი | | რ | ი | ვ | ა | | ე |
| | ა | | რ | | | ა | | რ | ი | ა | ლ | ი | | რ |
| ს | ტ | რ | ო | ფ | ი | | უ | | | | ი | რ | ზ | ა |
| | ა | ი | ფ | | ს | ა | რ | ა | გ | ო | ს | ა | | ც |
| ა | ნ | გ | ი | ნ | ა | | ვ | ი | ნ | | ი | ნ | ო | ი |
| | ა | ი | ა | | ი | მ | ა | რ | უ | გ | | ი | | ა |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 7 | 6 | 1 | 5 | 3 | 4 | 2 | 8 |
| 5 | 4 | 8 | 2 | 6 | 9 | 3 | 1 | 7 |
| 3 | 1 | 2 | 4 | 8 | 7 | 6 | 5 | 9 |
| 2 | 5 | 3 | 8 | 1 | 6 | 9 | 7 | 4 |
| 4 | 9 | 1 | 7 | 3 | 5 | 8 | 6 | 2 |
| 8 | 6 | 7 | 9 | 4 | 2 | 5 | 3 | 1 |
| 1 | 3 | 9 | 6 | 2 | 8 | 7 | 4 | 5 |
| 7 | 2 | 5 | 3 | 9 | 4 | 1 | 8 | 6 |
| 6 | 8 | 4 | 5 | 7 | 1 | 2 | 9 | 3 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 6 | 2 | 5 | 9 | 7 | 4 | 1 | 8 |
| 4 | 7 | 1 | 8 | 3 | 6 | 5 | 2 | 9 |
| 9 | 8 | 5 | 1 | 2 | 4 | 7 | 6 | 3 |
| 8 | 5 | 7 | 6 | 4 | 1 | 3 | 9 | 2 |
| 6 | 4 | 3 | 2 | 8 | 9 | 1 | 7 | 5 |
| 2 | 1 | 9 | 7 | 5 | 3 | 8 | 4 | 6 |
| 7 | 3 | 8 | 9 | 1 | 2 | 6 | 5 | 4 |
| 5 | 2 | 6 | 4 | 7 | 8 | 9 | 3 | 1 |
| 1 | 9 | 4 | 3 | 6 | 5 | 2 | 8 | 7 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. ცინიკოსები. 2. 1789 წლის 14 ივლისი – ბასტილიის აღების დღე. 3. მეორე მსოფლიო ომი. 4. ვერონა – ვერონეზე. 5. ლოცვა. 6. თაფლი. 7. ვრანგელის. 8. იტალიის სამხრეთ ნაწილში და სიცილიაზე. 9. რგლფ (ხმოვნების გარეშე). 10. ესკალაცია.**

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №12-19(645)

### მოცემულობა და მტკიცებულება

მამაკაცები ამტკიცებდნენ, რომ ქალების გაგება შეუძლებელია... სწორედ მათი – ძლიერი სქესის ფანტაზიის ნაყოფია უამრავი მითი, რომლებიც ძალიან შორს არის რეალობისგან. შეიძლება, ამ მითებიდან ზოგიერთი უწყინარი მოგეჩვენოთ, თუმცა...

„სიყვარული მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია ცხოვრებაში. სიყვარულისთვის ადამიანები ყველაფერზე მიდიან... თუ გვერდით საყვარელი ადამიანი გყავს, ცხოვრება ქოხშიც კი სამოთხედ მოგეჩვენება...“ – ესეც მითია, თანაც, ძალიან საშიში... ტყუილად გელიმებათ და ტყუილად გგონიათ, რომ მითი სწორედ ამ რეალობის უარყოფაა. როცა სიყვარულს ასეთ ინტერპრეტაციას აძლევთ, ამით აფრთხობთ მამაკაცებს. არ იცოდით, რომ მამაკაცებს მსხვერპლთშეწირვის პანიკურად ეშინიათ?!

სიყვარული, რომლის გავლენითაც ყველაფერზე წახვალ? – გმადლობთ, ასეთი არაფერი მჭირდება... ერთმანეთის მოყვარულ წყვილში (ოჯახურში, რა თქმა უნდა), ასეთებიც ხომ არსებობენ, ხშირად, შეიძლება, ვერ შენიშნო ურთიერთპატივისცემა. მათი ურთიერთობა თითქოს ცეცხლს ეთამაშება... იფიქრებთ, რა კოშმარიაო და მართლებიც იქნებით. ცივილიზებული ურთიერთობა წარმოუდგენელია ურთიერთპატივისცემის გარეშე – არაფერში გამოგადგება... მაგრამ, ფართოდ გაახილეთ თვალები და გარშემო მიმოიხედეთ – განა შეიძლება, სიყვარული და მასთან დაკავშირებული ვნებები ცივილიზებული იყოს?!..

***

... ქეთიმ ჩანთიდან სიგარეტი ამოიღო და სამზარეულოში გავიდა.

– ორი წუთი დამელოდე და მეც გამოვალ, რა! – ოთახიდან გამოსძახა ნატომ.

– კარგი, მანამდე ყავასაც მოვადუღებ.

ნატო რომ სამზარეულოში შევიდა, ქეთი ისეთი გამომეტყველებით იჯდა მაგიდასთან, ფინჯანთან თავდახრილი, მოუკიდებელი სიგარეტით ხელში, რომ ნატო შეშფოთდა:

– იცი, რა სახე გაქვს? რამე მოხდა?

– არაფერი ისეთი. უბრალოდ, ცოტა დავიგრუზე, – ქეთომ სიგარეტი პირში ჩაიდო და მაშინღა მიხვდა, მოკიდებული რომ არ ჰქონდა, – აი, ხედავ?

– ვხედავ და მაგიტომაც გეუბნები. მიდი, მოყევი...

– გოგო, სალონში ვიყავი...

– შეგატყვე ვარცხნილობაზე. ეგ ხევსურული, მოკლე „ჩოლკა“ ძალიან გიხდება. ფერიც ორიგინალურია. სადმე მიდიხართ შენ და ვახო?

ქეთიმ ამოიოხრა:

– ზუსტად ეგ მკითხა იმ ვალიდამაც და სწორედ ამან დამგრუზა.

– მოიცა, ვერ გავიგე, რა გკითხა?

– ვარცხნილობის შეცვლა რატომ გადაწყვიტე, დეპრესია გაქვს თუ პირადი ცხოვრება აგერიაო?

– ვა, მართლა? – ნატომ გაოცება ვერ დამალა, – ვითომ, ეგ ყველაფერი ერთმანეთთან რა კავშირშია?

– ეტყობა, კავშირშია. მაგან უფრო იცის... თურმე, ქალების ორი კატეგორია არსებობს: ქმრები რომ ღალატობენ, ერთი კატეგორია ვნებებს იჭრის, მეორე – ვარცხნილობას იცვლის რადიკალურად.

ნატოს სიცილი აუტყდა:

– ნუ აფრენ, რა სისულელეა!

– სულელი იძახე შენ და... იცი, რაები მელაპარაკა? ცუდად ვარ, შენს თავს გეფიცები.

– კარგი, რა, მაგის ლაპარაკს როგორ უნდა აჰყვე, არ იცი, რა ტიპია? თმა კი ძალიან გიხდება.

– ეჰ, რაღაც-რაღაცეები ისე ცუდად მენიშნა... ზოგჯერ მეც ვფიქრობ, რომ ამ ჩემს ქმარს საერთოდ არ ვამოწმებ. ბრმად კი საკუთარ თავსაც არ უნდა ენდო, ხომ იცი?

– მერე, ეგრე თუ ეჭვიანობ, არ გირჩევნია, შეამოწმო ხოლმე, ვიდრე თავი გაინაღმო? კარგი კი არ არის ამდენი ნერვიულობა, ნერვები დაგაწყდება.



– დამაწყდა და ეგ არის... მოთმინება აღარ მყოფნის, ვახოს უმნიშვნელო წვრილმანებზე ვუშარდები და მერე ვჩხუბობთ.

– ჰოდა, სანამ პრობლემები შეგქმნია, მიხედე ამ ამბავს.

– როგორ?

ნატომ თვალები მოჭუტა:

– მე დიდი გამოცდილება არ მაქვს, მაგრამ, ალბათ, სტანდარტული მეთოდებით.

– სტანდარტული მეთოდები როგორია?

– ნუ, მობილურის და „მეილის“ შემოწმება... თუ სოციალური ქსელი აქვს, პაროლი უნდა გაიგო და, კიდევ, სამსახურში თუ შეუვლი, ცუდი არ იქნება. თანამშრომელი ქალი ბევრი ჰყავს?

– მგონი, არა... – ქეთი დაფიქრდა, – არ ვიცი, არასდროს ვყოფილვარ მასთან სამსახურში. ადრე სხვაგან მუშაობდა. ამ ფირმაში თვითონ არის უფროსი. თანამშრომლებს არ ვიცნობ. არც რამე ისეთი შეხვედრა ყოფილა, რომ ვინმე მენახა.

– ანუ, არ იცი, ჰყავს თუ არა ფირმაში ქალები?

ქეთიმ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

– შენც მაგარი ტიპი ხარ. როგორ ერთხელ მაინც არ დაგაინტერესა ამ ამბავმა?

– არც მიფიქრია, რომ უნდა დავინტერესებულიყავი.

– რად უნდა მაგას ფიქრი? ქმარი არ მყავს, მაგრამ, ვიცი, რომ არც ერთი კაცის ნდობა არ შეიძლება, აბსოლუტურად არც ერთის. „დავერიაი, ნო პრავერიაიო“, – არ გაგიგია მაინც?

– ეგ როგორ დამემართა. ესე იგი, მასთან, ოფისში აუცილებლად უნდა მივიდე, ჰო? – ქეთიმ სიგარეტი ყავის ნალექში ჩასრისა და ნატოს მოლოდინით სავსე მზერა მიაპყრო.

ნატომ ყოყმანით დააქნია თავი და ხმადაბლა დაუდასტურა:

– ალბათ, ჰო.

– მაგრამ, რომ მივალ, რა ვთქვა, რატომ მოვედი-მეთქი? ვახოს ჭიჭყინის თავი არ მაქვს.

– მოვიგონოთ რამე დამაჯერებელი მიზეზი.

– მაგალითად?

– ასე მალე რა მოვიფიქრო, ცოტა დრო მომეცი. ლელასაც შევეკითხები, – ნატომ გამამხნევებლად გაუღიმა, – ნუ გეშინია, რაღაცას აუცილებლად მივაგნებთ ჭკვიანურს. მთავარია, ქმართან ურთიერთობა ემოციების თვალსაზრისით არ დაგეძაბოს. მოეშვი და დატკბით ერთად გატარებული წუთებით. სულ მარტო ყოფნას ყველაფერი ჯობია. ეჰ! – ნატომ ხელი ჩაიქნია. ქეთიმ ნატოს შეხედა და გაიფიქრა, მგონი, სულელი ვარ, ამ უსარგებლო ეჭვებით თავს როგორ ვილლი და ნერვებსაც როგორ ვიფუჭებო.

– პაციენტი მოვიდა? წავალ, მივხედავ... ვიცი, სისულელეს გთხოვ, მაგრამ, იქნებ მართლა რამე მოიფიქრო? – სანამ გავიდოდა, სთხოვა ნატოს ქეთიმ და იმანაც შეთქმულივით დაუქნია თავი.

***

ვახომ მადლობა გადაუხადა თიკოს ყავისთვის და ჰკითხა:

– ბიჭები ოთახში არიან? რაღაც, ხმა არ მესმის.

– ზუკას კლიენტი ჰყავს – ის კაცი მოვიდა. გიგი და ლაშაც მასთან იყვნენ. დავუძახო?

– არა. ზუკას სად ჰყავს სტუმარი?

– საპრეზენტაციოში. ჩვენი ძველი შეკვეთების სლაიდებს აჩვენებს.

– კარგია. ყავას დავლევ და მეც შევალ. ძალიან სერიოზული კლიენტია. სხვაგან არ უნდა წავიდეს.

თიკომ მექანიკურად დაუქნია თავი...

***

... მამაკაციც ჩვეულებრივი ადამიანია – ისიც ხორცისგან და სისხლისგან არის შექმნილი, ნერვული სისტემაც აქვს და შესაბამისად, ტკივილსაც გრძნობს... ანუ, რა გამოდის? – ყველა ორგანო აქვს იმისთვის, რომ ემოციები ჰქონდეს: განიცადოს, იგრძნოს, ინერვიულოს, შეიბრალოს, აპატიოს და ყველაფერი გააკეთოს, გული რომ არ მოუკლას, მაგრამ, რეალურად ასე არ ხდება... იყო დრო, როცა მამაკაცებიც წერდნენ სასიყვარულო წერილებს; ხედავდნენ, როდის გრძნობდა ქალი თავს ცუდად მათ გვერდით; ცდილობდნენ, ჰყვარებოდათ უანგაროდ და მთელი გულით და ეს სიყვარული ყველაფრით დაემტკიცებინათ – საქმით, გამოხედვით... ცხადსა თუ სიზმარში... მოკლედ, იყვნენ მამაკაცები – ამ სიტყვის მთელი სისრულით.. ქორწინებას სერიოზულად აღიქვამდნენ, მამაკაცურ პასუხისმგებლობას სრულად აცნობიერებდნენ, ოჯახს უფრთხილდებოდნენ, ანუ, ჰქონდათ ღირსება – ის, რაც კაცს კაცად აქცევს...

***

ზუკამ კლიენტი გააცილა და ოფისში შემობრუნდა.

– ვახოსთან შედი, – თიკომ კაბინეტის კარზე მიუთითა, – შემოვიდესო...

– გიგი წავიდა? – პასუხად იკითხა ზუკამ.

– არ ვიცი, არ დამინახავს.

– აქვე არ ზიხარ? შენ ცხვირწინ უნდა გაევლო.

– არ დამინახავს-მეთქი, – უხეშად მიუგო გოგომ და თავი მიაბრუნა.

ბიჭს გაუკვირდა.

– რა გჭირს? რა ხასიათზე ხარ, ვინ გაგაბრაზა?

– არავისაც არ გავუბრაზებივარ, თავი დამანებე!

– არა, აშკარად გაბრაზებული ხარ. მე ხომ არაფერი დამიშავებია? – ზუკამ მხრები აიჩეჩა.

– ყველანი აშავებთ, მეტ-ნაკლებად, – ჩაილაპარაკა თიკომ გულდაწყვეტით.

ბიჭს აღარ უცდია, გაერკვია, რას გულისხმობდა გოგო, თავი გადააქნია და ვახოსთან შევიდა. ვახო კომპიუტერთან იჯდა, კარის ხმაზე შემობრუნდა და ზუკას ანიშნა, მოდიო.

– აბა, რა ქენი, ჩვენთან აკეთებს შეკვეთებს თუ გამექცა კლიენტი?

– რა თქმა უნდა, ჩვენთან აკეთებს. სად უნდა გამქცეოდა. იცი, როგორი ტიპია? ჩვენ რომ გვიყვარს, – ბოლომდე გენდობითო, როგორც გინდათ და რასაც შემომთავაზებთო. ფული პრობლემა არ არისო.

ვახომ კმაყოფილებით გაიცინა.

– გადასარევი ამბავი მითხარი, ახლა სწორედ ეგ მჭირდებოდა.

– ჰო? რა ხდება?

– მინდა, ქეთის სიურპრიზი გავუკეთო – სადმე უნდა წავიყვანო, დასასვენებლად. რაც ბავშვი გაგვიჩნდა, არსად ვყოფილვართ და ცოდოა. ამიტომაც, სულ წუწუნებს. ვარჩევ, რომელ ქვეყანაში აჯობებს გამგზავრება.



– რომ გეკითხა, რომელი ურჩევნია? – შესთავაზა ზუკამ.

– არა. ჯერ ერთი, სიურპრიზი აღარ გამოვა და, თანაც, მაგის ამბავი რომ ვიცი, ისეთ ქვეყანას დაადებს ხელს, ჩემი ჯიბე ვერ გასწვდება. მოკლედ, „კარგი მინდოდა და ცუდი გამომივიდა“ დამემართება.

– მაშინ, თურქეთი, – ახლოსაც არის და არც ძვირია. თან, იქ უკვე იწყება ზღვის სეზონი.

ვახომ თავი გააქნია:

– არა, თურქეთი ძალიან ბანალურია. თურქეთს ვერ ვაკადრებ... თუმცა, რამდენიმე ძალიან მაგარი სასტუმრო გავჩითე.

– ჰო, თურქეთი სერიოზულია... ჩემი ძმაკაცი იყო და გაგიჟებული ჩამოვიდა. ისეთი კომფორტია, თავი ზღაპარში მეგონაო. ჩვენი კურორტებით კიდევ დიდხანს ვერ მივალთ მაგათ დონემდე.

– ეგვიპტეზე ხომ არ შევაჩერო არჩევანი? – ვახომ საიტი გახსნა და სურათების თვალიერებას შეუდგა, – არც ძვირია... ბოლოს და ბოლოს, მარჯნის რიფების ნახვაც ერთ რამედ ღირს, ხომ მართალი ვარ?

– მგონი, კი... თანაც, ქალს ის უფრო უხარია, როცა მის მიმართ ყურადღებას იჩენ, მასშტაბებს მნიშვნელობა არა აქვს. მოკლედ, ეგვიპტე იყოს... შენ მაგ კლიენტთან ხელშეკრულებას როდის აფორმებ?

– გავაფორმე უკვე. ორ დღეში საწყის თანხას გადმორიცხავს.

– ძალიან კარგია. მაშინ, ბარემ დავჯავშნი... – ვახო გახალისდა, – იცი, რა... ერთ ათ წუთში გავიდეთ და სადმე გემრიელად ვისადილოთ... რას იტყვი?

ზუკა უხერხულად შეიშმუშნა:

– მე ვერ წამოვალ.

– რატომ?

– შეხვედრა მაქვს... ვერ გადავდებ, დავპირდი უკვე.

– კლიენტთან?

ზუკა შეყოყმანდა და გაწითლდა:

– ნუ, ჰო, შეიძლება, ასეც ითქვას. ჯერ კონკრეტული არაფერი, მაგრამ, შეიძლება რამე გამოვიდეს.

***

ნინიმ შუბლზე ჩამოშლილი თმა კეფისკენ გადაივარცხნა, მერე ისევ შუბლზე ჩამოიშალა, ისევ გადაიწია... მის ცქერაში გართულმა მიხომ ამოიოხრა და გულდაწყვეტილს ალმოხდა:

– იცი, რა ლამაზი ხარ?

ნინი აიმრიზა:

– კარგი რა, რამდენჯერ უნდა გთხოვო... საერთოდ არ მცემ პატივს.

– სიყვარული პატივისცემას არ განიხილავს...

– იმას ხომ განიხილავს, ვისაც არ უყვარხარ და სხვა უყვარს, თავი რომ უნდა დაანებო?

– არც მაგას. ახლა გიყურებდი და ვფიქრობდი, ამ გოგოს გულის დასაპყრობად მთის წვერზე ავიდოდი და იქიდან გადმოვეშვებოდი-მეთქი...

ნინიმ მხრები აიჩეჩა:

– მერე, ხელს რა გიშლის, მთების მეტი რა არის საქართველოში? თუ, ელოდები, სიყვარული ფრთებს როდის შეგასხამს?..

– დამცინე, შენ ყველაფრის უფლება გაქვს. მაგრამ, ზოგჯერ სიყვარული სწორედ ასეთია: რთული, ტკივილიანი, ცინიკური, აბსოლუტურად გაუგებარი და არანორმალურად გასაგები – უბრალოდ, შენ ამ ადამიანის გვერდით ყოფნა სიგიჟემდე გინდა და მორჩა!

ლიზამ გადაიკისკისა. ბორბლებიანი სკამსავარძელი უკან გააგორა, გრძელი, სოლარიუმში გარუჯული ფეხები მაგიდაზე უცერემონიოდ შემოაწყო და მიხოს გასაგონად თქვა:

– ვგიჟდები რომანტიკოს კაცებზე... ისეთებზე, ზღაპრების რომ სჯერათ და დარწმუნებულები არიან, თუ ბაყაყს გრძნობით აკოცებ, ის აუცილებლად პრინცესად გადაიქცევა. სინამდვილეში კი ბაყაყი ყოველთვის ბაყაყად დარჩება.

მიხო სიბრაზისგან გაწითლდა.

– შენ რომ არ შეგხვდა შესაფერისი პრინცი და ისე ვერ გაკოცა, როგორც საჭირო იყო, ეგ ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, – გამოეპასუხა გესლიანად.

– ჰა, ჰა, კიდევ ერთი, ჭეშმარიტი ქართველი მამრი... – ტუჩები გამომწვევად გაბუსხა ლიზამ, – ამ ქვეყანაში მამაკაცობის ნამდვილი დეფიციტია... თავი კი მოაქვთ კაცებად, მაგრამ, ნახევრამდეც ვერ ქაჩავენ და მერე იბოღმებიან... ტრადიციულები მარტო ღვინის სმისას არიან, ხელგაშლილები კი მხოლოდ მაშინ, როცა სანაცვლოდ რაღაცის მიღების იმედი აქვთ. ძალიან უნდათ, სამყარომ მათ გარშემო იბრუნოს, მაგრამ, დედამიწას თავისი ღერძი აქვს და ამ კანონზომიერებას ვერ შეცვლიან. ქართველი კაცი ის ფენომენია, რომელსაც ვერაფერს გაუგებ და არც უნდა შეეცადო – რა საჭიროა?! საკუთარ თავზე უნდა იზრუნო და იმაზე, როგორ მიიღო ცხოვრებისგან მაქსიმალური სიამოვნება. ეს გახლავთ მოცემულობა და ყველაფერ ამის დასამტკიცებლად ახლა სასადილოდ წავალ... ნინისაც ვურჩევ, მომბაძოს...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# თქვენი მომხიბვლელობის საიდუმლო

*რით იპყრობთ საპირისპირო სქესის ყურადღებას, რაშია თქვენი მომხიბვლელობის საიდუმლო და რა არის თქვენი ძლიერი მხარეები? ამ ყველაფრის გაგებას ტესტის კითხვებზე პასუხის გაცემით შეძლებთ.*

**1. მოცემული სიტუაციებიდან რომელი გაშინებთ ყველაზე მეტად?**

ა) გამოვთვრე და გონი დავკარგო კორპორაციულ წვეულებაზე;

ბ) დამავიწყდეს საყვარელი ადამიანის დაბადების დღე;

გ) დამავიწყდეს საჭირო დოკუმენტაცია მნიშვნელოვან შეხვედრაზე.



**2. თქვენს მეგობარს მუდმივად გიჟური იდეები აქვს და თქვენ...**

ა) ვცდილობ, დავაკავო და არ მივუშვა თავის ნებაზე;

ბ) მუდმივად ყველგან თან დავყვები;

გ) მის ყველა იდეას მხარს ვუჭერ.

**3. რომელი ჟანრის ფილმში დასთანხმდებით, მთავარი როლის შესრულებას?**

ა) მელოდრამაში;

ბ) რომანტიკულ კომედიაში;

გ) ბოევიკში.

**4. ტრანსპორტში მეტისმეტად ცნობისმოყვარე და ენაწყლიანი თანამგზავრი შეგხვდათ:**

ა) თავს მოვაჩვენებ, რომ კითხვაში ვარ გართული;

ბ) გამოველაპარაკები, მაგრამ უხალისოდ;

გ) პირდაპირ ვეტყვი, რომ ლაპარაკის გუნებაზე არ ვარ.

**5. საკუთარი ცხოვრების შეცვლა რომ შეგეძლოთ, გახდებოდით...**

ა) ტელეწამყვანი;

ბ) ფსიქოლოგი;

გ) ბიზნესკონსულტანტი.

**6. პირველ პაემანზე როგორ გამოეწყობით?**

ა) ჩავიცვამ იმას, რაც ყველაზე ძალიან მიყვარს;

ბ) კლასიკური ვარიანტი ყოველთვის „მუშაობს";

გ) ჯინსს – სპორტულად.

**7. შემთხვევით გაიგონეთ, როგორ „გამუშავებთ" კოლეგა არაკორექტული სიტყვებით:**

ა) ვეტყვი, რომ უსაქმურია;

ბ) ხმამაღლა ვიტყვი, რომ სულელია;

გ) იქვე დავდგები და მშვიდად მოვუსმენ.

**8. ყველაზე მეტად გიყვართ:**

ა) მყუდრო საღამოები ოჯახურ გარემოში;

ბ) ხმაურიანი წვეულებები;

გ) უიქენდი ბუნებაში და გართობა ახლობლებთან.

**9. წვეულებაზე პარტნიორად აირჩევთ იმას, ვინც...**

ა) ყველაზე ბოლოს მოვიდა და ყურადღების ცენტრში მოხვდა;

ბ) რამდენჯერმე გამიღიმა;

გ) შევატყობ, რომ აქვს იუმორის გრძნობა.

**ნახეთ შედეგები:**

*პასუხების უმრავლესობაა „ა": თქვენი სექსუალურობის საიდუმლო მკაცრ სტილში და თავშეკავებულობაშია. თქვენი ბუნებრივი გულგრილობა და უკომპლექსობა განსაკუთრებულ ხიბლს გძენთ.*

*პასუხების უმრავლესობაა „ბ": ალბათ, შინაგანი თავისუფლება და აბსოლუტური დამოუკიდებლობაა თქვენი მომხიბვლელობის საიდუმლო. ეს ყველაფერი თქვენდამი პატივისცემას ბადებს. თქვენ ზუსტად იცით, რომ გვერდით გჭირდებათ ის, ვინც ამ ღირსებას დააფასებს.*

*პასუხების უმრავლესობაა „გ": ადამიანები თქვენთან თავს კარგად გრძნობენ, რადგან მათ არ აკომპლექსებთ. ურთიერთობაში უშუალო და ბუნებრივი ხართ, ყურადღებიანი და თბილი, კარგი იუმორის გრძნობითა და გამორჩეული სტილით.*



## ნივთების ისტორია

იცით, ვის ჰქონდა პირველი უთო?! ალბათ, არ გაგიკვირდებათ და – გერმანელებს. 1647 წელს ისინი უკვე იყენებდნენ ლითონისგან ჩამოსხმულ, თანამედროვე უთოს ფორმის ნივთს, რომელსაც გაახურებდნენ ხოლმე ღია ცეცხლზე და აუთოებდნენ თეთრეულს.

1752 წელს გერმანელების ნოვაცია გააუმჯობესეს რუსებმა: მათ დაამზადეს პირველი ნახშირის უთო თუჯისგან. ნახშირის ნაკვერჩხლები უთოს „მუცელში" იყრებოდა და გაცილებით უსაფრთხო იყო.

თანამედროვეობასთან მიმსგავსებული, პირველი ელექტრონული უთო ლითონისა და პლასტმასისგან დამზადდა 1933 წელს, საფრანგეთში. მას პატარა დამტენ-აკუმულატორი ჰქონდა.

2012 წელს ჰოლანდიაში უჟანგავი ფოლადისა და ფაიფურისგან დამზადდა კომფორტული და მრავალფუნქციური უთო. ის აუთოებს, ორთქლით ასწორებს და წმენდს სამოსსა და ქსოვილს. თან, არ სჭირდება ზედაპირის მოვლა და საგანგებოდ გასუფთავება.

## ყველაზე ცნობილი... ცხენები

კაცობრიობის ისტორიაში, ადამიანებთან ერთად, ცხენის სახელიც შესულა. ალექსანდრე მაკედონელის ძალა მარტო ფალანგაში არ ყოფილა. ისტორიაში პირველად, ალექსანდრემ შეძლო შეექმნა ცხენოსანთა გვარდია – ჰეტაირები. დიდი მხედართმთავრის ერთგული თანამებრძოლი და შთაგონების წყარო ყოველთვის იყო მისი ცხენი – ბუცეფალი.

ბუცეფალმა თავისი პატრონი ცხრაჯერ იხსნა რეალური სიკვდილისგან. ინდოეთის ლაშქრობისას მოკლულ ბუცეფალს ალექსანდრემ გრანდიოზული დაკრძალვა მოუწყო და ცხენის დაღუპვის ადგილას, მისივე სახელობის ქალაქის აშენება ბრძანა. სხვათა შორის, ეს ქალაქი დღესაც არსებობს შეცვლილი სახელწოდებით – ჯალ-ალპური.

* ცნობილი ცხენია, ასევე, კალიგულას საყვარელი ოთხფეხი – ინციტატი. ღია ნაცრისფერი შეფერილობის ჯიშიანი ბედაური წარმოშობით ესპანეთიდან იყო. კალიგულას ისე უყვარდა ცხენი, რომ მარმარილოს საჯინიბო აუშენა და სპილოს ძვლის მოოქრული სვეტებით მორთო. მალე კალიგულამ ცხენს, საერთოდ, სასახლეში მიუჩინა ბინა, რომის მოქალაქის საპატიო ტიტული უბოძა და წვეულებებზე სტუმრებს მასთან ერთად იღებდა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, კალიგულამ ცხენი სენატორად აქცია. რომაელი ისტორიკოსი სვეტანი წერდა, კიდევ კარგი, დროზე მოკლეს კალიგულა, თორემ ინციტატს რომის კონსულად გახდიდაო.



* კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში ყველაზე დიდი ზომის ცხენად მიჩნეულია სუფთა სისხლის ბელგიური ბედაური – ბრუკლინ სუპრიმი. ის 1928 წელს ამერიკაში, აიოვას შტატში დაიბადა. მისი სიმაღლე 1 მეტრი და 98 სანტიმეტრი იყო. მკერდის გარშემოწერილობა – 259 სანტიმეტრი. იწონიდა 1 451 კილოგრამს. ცხენი 20 წლის ასაკში გარდაიცვალა.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# ენდეთ დიასახლისს

## იაფე ჯეიმსი

ინსპექტორი მილერი დედის დაბადების დღეზე მოგვიანებით მივიდა და ისეთ გუნებაზე იყო, ყველამ შეამჩნია მისი მოღუშული იერი. შირლიმ – მილერის ცოლმა რამდენჯერმე სცადა ენიშნ- ებინა, რომ ოდნავ მაინც გამხიარულებულიყო. მაგრამ, ინსპექტორმა მხოლოდ უკმაყოფილოდ გადააქნია თავი. ჩაი რომ შემოიტანეს, იუბილა- რი ადგა და შვილთან მივიდა.

– ტორტს იქამდე არ შემოვიტან, სანამ არ მომიყვები, რა ხდება.

– განსაკუთრებული არაფერი. ჩვეულებრივი ამბავია – მკვლელობა.

– მერე?

– მერე არაფერი, მკვლელი უკვე ვიცით, ვინც არის და ხვალ, ალბათ, დავაკავებთ. მაგრამ...

მის მილერმა გაიღიმა.

– აი, ხედავ? მე სწორედ მაგ „მაგრამის“ ამბავი მაინტერესებს. შენ ხომ იცი, დიასახლის- ის ალღოს ყოველთვის უნდა ენდო. მოყევი, რა გაწუხებს.

მილერმა ცოტა კიდევ იყოყმანა, მერე დაიწ- ყო...

– მოკლედ, საქმე ასეა: ყოფილი პროფესორი პატჰემი უნივერსიტეტიდან ექვსი წლის წინ და- ითხოვეს. ერთ-ერთი უძლიერესი სპეციალისტია და დეკანი მორისონი მას განსაკუთრებით უფრ- თხილდებოდა, მაგრამ მოხდა უბედურება. პრო- ფესორს ცოლი მოუკვდა. ოჯახური ტრაგედია მან მძიმედ გადაიტანა. ლექციებს მუდმივად აც- დენდა. შენიშვნებზე უხეშად რეაგირებდა. სტუ- დენტებთან კონფლიქტი მოსდიოდა. დეკანმა ვე- ღარ მოუთმინა და უნივერსიტეტიდან დაითხო- ვა. პროფესორს ერთი ქალიშვილი ჰყავდა – ჯო- ანი. ქალიშვილი იმავე უნივერსიტეტში სწავლო- ბდა, მაგრამ, რადგან მამა უმუშევარი დარჩა, ჯოანმა მისი ზრუნვა და რჩენა საკუთარ თავზე აიღო. სწავლა მიატოვა. სტენოგრაფია ისწავლა და მდივან-რეფერენტად მოეწყო. საქმეს მალე- ვე აუღო ალღო. მამა-შვილი მოკრძალებულად ცხოვრობდა, მაგრამ რაც საჭირო იყო ნორმალ- ური არსებობისთვის, ყველაფერი ჰქონდათ. თუ- მცა, ორი წლის წინ ყოფილმა პროფესორმა სმა დაიწყო. ის კვირაში ორჯერ – ორშაბათობით და ოთხშაბათობით, საღამოს რვა საათიდან თო- რმეტის ნახევრამდე სახლიდან მიდიოდა, უახლ- ოეს ბარში სვამდა და უკან ვისკის სუნით აქო- თებული ბრუნდებოდა. ჯოანი ძალიან განიცდი- და, მაგრამ ამ ახალმა უბედურებამ კიდევ უფ- რო მეტი პასუხისმგებლობა აგრძნობინა მშობ- ლის მიმართ. ის იძულებული გახდა, დაქორწინ- ებაც გადაედო. სხვათა შორის, მისი რჩეული დეკანის ვაჟიშვილი მაიკლია. მათმა რომანმა პრო- ფესორი პატჰემი ისე ალაშფოთა, რომ სასიძო სახლშიც არ შეუშვა. ჯოანს და მაიკლს უყვართ ერთმანეთი, მაგრამ მათი ურთიერთობა პროფ- ესორის ლოთობამ და წინააღმდეგობამ ჩიხში შეიყვანა. დეკანი მათ მხარეს იყო. ამან პროფე- სორი გააცოფა. ის დეკანს უნივერსიტეტში მიუ- ვარდა და გალანძღა. მთელი ხმით უყვიროდა, თანაც, სახალხოდ: შენ გამაუბედურე. ჯერ ცო- ლი დამაკარგვინე, ახლა შენი შვილი ერთადერთ ნუგეშს და სიხარულს, ჩემს ჯოანს მართმევსო. საქმეში პოლიცია და სასწრაფო დახმარების ბრი- გადაც ჩაერია... გუშინ კი, ოთხშაბათს (სკანდა- ლი უნივერსიტეტში დაახლოებით ერთი თვის წინ მოხდა), დეკანის უსულო სხეული ვაშინგტ- ონ-სკვერის განაპირას იპოვეს. სიკვდილი გამო- იწვია თავში ვისკის ბოთლის ჩარტყმამ... მკვლე- ლობის იარაღიც იქვე ეგდო. დეკანი თერთმეტ საათზე, სახლიდან გაზეთების საყიდლად გავი- და.

– მდააა, – ჩაილაპარაკა მის მილერმა, – და თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ის პროფესო- რმა მოკლა.

– კი, დედა. ყველაფერი ერთმანეთს ემთხვე- ვა: დრო... ადგილი... პროფესორს ჰქონდა მოტი- ვიც. მას სძულდა დეკანი... მთვრალი შემთხვევ- ით შეხვდა ქუჩაში, გაცეცხლდა, ვისკის ბოთლი თავში ჩაარტყა და მოკლა. მე უკვე დავკითხე ის, იმავე ღამეს. ოთხი საათის განმავლობაში დაკითხვაზე მყავდა.

– მერე, აღიარა დანაშაული?

– არა. საერთოდ არაფერი უთქვამს. არც ერთი სიტყვა. სახლში დავაბრუნეთ და მეთვალ- ყურე მივუჩინეთ. კიდევ ერთი – არსებობს მო- წმე. იქვე, უნივერსიტეტსა და დეკანის სახლთან ახლოს ბარია. ბარმენს და მის ცოლს პროფესო- რის ფოტო ვანახეთ და ავუხსენით, რაც მოხდა. მათ დაადასტურეს, რომ პროფესორი თავიანთ ბარში ხშირად უნახავთ. მანამდე ექვს ბარში მაინც ვიყავით, მაგრამ უშედეგოდ... ამ ბარში კი იცნეს. ბარმენის ცოლმა ისიც თქვა, ადრეც მო- სულა აქ დასალევად, მაგრამ ახლა ისეთი მთვრა- ლი იყო, ფეხზე ვერ იდგა. არ გვინდოდა სასმლ- ის მიცემა, მაგრამ სკანდალი მოაწყო და ერთი ბოთლი ვისკი მივყიდეთო.

– და შენთვის ეს საკმარისია, ადამიანი მკვლე- ლად გამოაცხადო? – თავი გადააქნია მის მილ- ერმა, – მე კი ჩემი ალღო მკარნახობს, რომ პროფესორი მკვლელი არ არის. სამ შეკითხვაზე მიპასუხე. შეიძლება, ეს შეკითხვები უადგილოდ და უცნაურად მოგეჩვენოს, მაგრამ ახსნა-განმ- არტებებს ნუ მომთხოვ. პირველი: დეკანს როგ- ორი დამოკიდებულება ჰქონდა სასმელთან?

– საშინელი. სძულდა ლოთები და სიფხიზლ- ის მომხრეთა ორგანიზაციაც ჩამოაყალიბა. თა- ვის სტუდენტებს კატეგორიულად უკრძალავდა დალევას, – უპასუხა ინსპექტორმა ცოტაოდენი გაოცებით.

– მეორე შეკითხვა, – მის მილერი აშკარად კმაყოფილი დარჩა პასუხით, – პროფესორი რო- გორ მოიქცა, როცა დაკითხვის მერე სახლში მიიყვანეთ და მესამე – მის სახლთან ახლოს კინოთეატრი თუ არის?

ინსპექტორმა მხრები აიჩეჩა.

– პროფესორი სახლში რომ დაბრუნდა, საკ- მაოდ მშვიდი იყო. ჭამა ტოსტები, დალია ფორ- თოხლის წვენი და დივანზე წამოწვა. დიახ, მის სახლთან არის კინოთეატრი, სადაც სეანსები, ძირითადად ღამით გადის.

მის მილერს სახე გაუბრწყინდა და ხელი ხელს შემოჰკრა.

– შესანიშნავია! ასეც ვიცოდი. ახლა დარწმ- უნებით გეტყვი, რომ დეკანი პროფესორს არ მოუკლავს. მომისმინე, – დავიწყებ იმით, რომ პროფესორი სულაც არ არის ლოთი. რომელი ლოთი გინახავს, კარგად გამოთრობის შემდეგ „პახმელიაზე“ არ გამოდიოდეს, თუნდაც ერთი ყლუპი ვისკით. თან, პროფესორი დაკითხვაზეც გყავდა. ის კი როგორ მოიქცა. გემრიელად ჭამა, ფორთოხლის წვენი დალია და წამოწვა. პროფე- სორი ორშაბათობით და ოთხშაბათობით კინოში მიდიოდა, ღამის სეანსზე. მერე მალაზიაში ვისკის ყიდულობდა, პირში გამოივლებდა, ტანსაცმელ- ზე ცოტას მოასხამდა და შვილს თავს მთვრალ- ად აჩვენებდა. ასე რატომ იქცეოდა? – იმიტომ, რომ ქალიშვილი კიდევ უფრო მიჯაჭვოდა მას. ეგოიზმია, მაგრამ ასეთი ადამიანები ცოტანი არ არიან. ბევრი მოურჩენელი ავადმყოფის როლს თამაშობს, რომ ოჯახის წევრებს თავი შეაცოდ- ოს, მუდმივად მათი ყურადღების ცენტრში იყ- ოს.

ახლა, რაც შეეხება დეკანის მკვლელობას. მკვლელი სწორედ ის ბარმენია, რომელსაც სას- მლის მოძულე დეკანმა კლიენტები წაართვა. ბა- რი ხომ უნივერსიტეტთან არის? ჰოდა, პროფე- სორი თავის სტუდენტებს დალევას უკრძალავ- და, ანუ ბარს აკოტრებდა. აქციებიც მოუწყო, ალბათ და გადარია. გაზეთების საყიდლად წას- ულ დეკანს ბარმენი შეხვდა და არა პროფესო- რი. ისინი შელაპარაკდნენ და ბარმენმა აფექტის დროს მას თავში ბოთლი ჩაარტყა. შეიძლება, ნასვამიც იყო. მეორე დღეს კი შენ მიადექი ბა- რში პროფესორის სურათით. ანუ, მიეცი საშუა- ლება, თავისი დანაშაული სხვისთვის გადაებრა- ლებინა. პირდაპირ უკარნახე, თავი როგორ და- ეძვრინა. დარწმუნებული ვარ, ყველაფერს აღი- არებს. ჯოანი კი გათხოვდება. ახლა კი ტორტ- საც მივხედოთ... ჯერ სურვილიც არ ჩამიფიქრ- ებია...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძემ**



# მკვდარი ვერსია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №7-19(645)**

***

შინ დაბრუნებულ ნიკას ნანა სამზარეულოში დახვდა. შევიდა თუ არა, მაშინვე იგრძნო საოცარი სიმშვიდე და სიმყუდროვე. მაგიდა ლამაზად იყო გაწყობილი ერთ კაცზე.

ნიკამ გაოცებით მოავლო თვალი სამზარეულოს და გაეცინა.

– რატომ იცინი, რამე ისე არ გავაკეთე? – დაიძაბა ნანა.

– არა, პირიქით, ყველაფერი იმდენად იდეალურად არის, რომ თავი სხვის სახლში მგონია.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ჩემს სამზარეულოს ასეთი წესრიგი დიდი ხანია, არ ღირსებია, – გაეღიმა ნიკას.

– არ ვიცოდი, მთელი დღე რა მეკეთებინა და ცოტა გავერთე, – თითქოს მოუბოდიშა ნანამ.

– ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ, არ იყო საჭირო. ჯობდა დაგესვენა – წამოწოლილიყავი და წიგნი წაგეკითხა, ან ტელევიზორი ჩაგერთო.

– წიგნის კითხვის ნერვები აღარ მაქვს, გონებას ველარ ვატან ჩემი პრობლემების გადამკიდე. ტელევიზორში კი ყველა ქართულ არხზე პოლიტიკოსები ჩხუბობენ, რაც აბსოლუტურად არ მაინტერესებს.

– შენც, გადაგერთო რუსულ ან რომელიმე სხვა უცხოურ არხზე, მოგეძებნა რამე გასართობი გადაცემა ან კარგი ფილმი, – თქვა ნიკამ და მთელი მონდომებით გაწყობილ სუფრას გადახედა, – ერთი თეფში რატომ დგას?

– მე არ მშია, უკვე ვისადილე, – თქვა ნანამ და გაზქურასთან მივიდა, – ხელები დაიბანე და კერძს მერე დაგისხამ, რომ არ გაცივდეს.

– შენც თუ არ ისადილებ ჩემთან ერთად, შიმშილობას გამოვაცხადებ. არადა, ძალიან გემრიელი სუნი მცემს და გამიჭირდება ამის გაკეთება, – გააპროტესტა ნიკამ ღიმილით.

– კარგი, დაგეწვევი, – გაეღიმა ნანას, – მაგრამ, მაინცდამაინც გამოცდილი კულინარი არ ვარ და, თუ კერძი არ მოგეწონა, არ დამცინო.

– დაცინვა რა საკადრისია. თანაც, შენ რომ იცოდე, ძირითადად რითი ვიკვებები, მაგას აღარ მეტყოდი, – ნიკამ თვალი ჩაუკრა ნანას და ხელების დასაბანად აბაზანაში შევიდა.

სადილობის დრო ისედაც გადასული იყო და ნიკა და ნანა იმდენ ხანს შეჰყვნენ საუბარს, სადილი ვახშამში გადაიზარდა. ყველაფერზე ილაპარაკეს იმ მთავარი საქმის გარდა, რამაც ერთმანეთს შეახვედრა.

რაღაც მომენტში უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ნანა ადგა და ყავის სამზადისს შეუდგა, რომ ამ უხერხულობისგან თავი დაეღწია.



– მე ოთახში გავალ, ტელევიზორს ჩავრთავ, – თქვა ნიკამ და ადგა, – დიდი მადლობა, ასეთი გემრიელი სადილი დიდი ხანია, არ მიჭამია.

ნანამ ღიმილით გამოხედა და რაღაც საოცრად შინაურული ხმით უპასუხა:

– კარგი, იქ გამოგიტან ყავას.

– თუ არ შეწუხდები, – მობოდიშებით თქვა ნიკამ, – ერთი ბოთლი ძალიან მაგარი კონიაკი მაქვს და ცოტა დავლიოთ, არც ერთს არ გვაწყენს.

ყავა მართლაც გემრიელი გამოდგა, კონიაკი – კიდევ უკეთესი. ალკოჰოლმა ორივეს მოუხსნა ის დაძაბულობა თუ უხერხულობა, რასაც მთელი საღამოს განმავლობაში გრძნობდნენ.

– ექიმთან არ იყავი? – ჰკითხა ნანამ და შეეცადა, ძალიან მზრუნველი ტონი არ ჰქონოდა – არ უნდოდა, ნიკას რამე „ისეთი“ ეფიქრა.

– ვიყავი. საშიში არაფერია, მაგრამ, მკურნალობა მაინც საჭიროაო და რაღაცეები გამომიწერა. თან, მითხრა, კარგი იქნება, რამდენიმე დღე იწვეო, რასაც, რა თქმა უნდა, ვერ შევასრულებ, თუმცა, შევეცდები, ფიზიკური დატვირთვა მაქსიმალურად ავიცილო თავიდან.

– ჰო, – თქვა ნანამ და გაჩუმდა.

რამდენიმე წუთის განმავლობაში არც ერთს ხმა აღარ ამოუღია. ნანა ჩუმად იყო. იმიტომ, რომ ერიდებოდა, კითხვები დაესვა იმ თემაზე, რაც ყველაზე მეტად აწუხებდა და რის გამოც იქცა ასე თუ ისე უცხო ადამიანის სახლში თავშეფარებულ ლტოლვილად; ნიკა კი თითქოს არ ჩქარობდა საქმეზე საუბარს, რადგან ამ ქალის გვერდით საოცარ სიმშვიდესა და სიმყუდროვეს გრძნობდა და უნდოდა, ეს წუთები ცოტათი მაინც გაეხანგრძლივებინა. რაღაც მომენტში საკუთარ თავს კითხვაც კი დაუსვა – ჩემი კლიენტი ხომ არ მიყვარდებაო, მაგრამ, მაშინვე უარყო ეს აზრი: „არა, ეს სიყვარული არ არის. ასე რომ იყოს, მის მიმართ ლტოლვაც მექნებოდა. მართალია, საკმაოდ სიმპათიურია, შეიძლება ითქვას, ლამაზიც კი, მაგრამ, ჩემში ვნებას კი არ აღძრავს, პირიქით, თითქოს მშობლიურ გრძნობას მიჩენს. ეტყობა, ტიპია ასეთი – დედასავით უნდა იზრუნოს იმ ადამიანზე, ვინც გვერდით ჰყავს; კომფორტი და იდილიური გარემო შეუქმნას. რა საინტერესოა, რატომ არ უმართლებს ხოლმე ასეთ ქალებს პირად ცხოვრებაში...“

ნიკამ პატარა სირჩები ისევ შეავსო კონიაკით, ნანას მიუჭახუნა და თქვა:

– ჩვენს საერთო საქმეს გაუმარჯოს, უფრო სწორად, ღმერთმა ქნას, მალე და წარმატებით დაგვესვას წერტილი ამ ყველაფრისთვის.

– ამინ, – დოდომ კონიაკი დალია და ნიკას შეკითხვის მზერით შეხედა.

– დღეს კიდევ ხომ არ დაურეკავს იმ ტიპს? – ჰკითხა ნიკამ და ისევ ჩამოასხა სირჩებში კონიაკი.

– ერთხელ დარეკა, შუადღეზე.

– რამე ახალი გითხრა?

– არაფერი. თითქმის სიტყვასიტყვით გაიმეორა იგივე ტექსტი.

– შენ რა უპასუხე?

– პრაქტიკულად, არაფერი. გავიგე-მეთქი, ვუთხარი, – ნანას ტუჩები ოდნავ აუკანკალდა და თვალები ცრემლით აევსო. აშკარად ეტყობოდა, რომ ძალიან ეშინოდა და ამ შიშს მალავდა.

– ნუ გეშინია, ვერაფერს დაგაკლებენ, გპირდები. შენს საქმესაც დავაბრუნებინებ სამმართველოს უფროსს.

– რატომ დახურა ეს საქმე პროკურატურამ?

– იმიტომ, რომ რუხაძემ დაარწმუნა, – ბრაზით თქვა ნიკამ.

– რუხაძეს რატომ უნდა უნდოდეს ჩემი საქმის დახურვა?

– აქ ორი მომენტია: ერთი – რომ მკვლელობებს ვერ ხსნიან და არ უნდათ, კიდევ ერთი გაუხსნელი საქმე „შეეტენოთ“ და, მეორე – შეიძლება, ვიღაც ინკოგნიტო დაინტერესებული პირი იყოს გარეული ამ საქმეში. სამმართველოს უფროსს პირდაპირ უთქვამს, ნანა სირაძისა და ბანკის ურთიერთობა მათი პირადი საქმეა და თვითონ მოაგვარონ, გამოძიება არაფერ შუაშიაო.

– შენ გითხრა?

– მე არა, ზურაბს უთხრა, კვაჭაძეს.

– მაგ ზურაბს ენდობი?

– საკუთარი თავივით.

– ნიკა... – გაუბედავად დაიწყო ნანამ, – რაღაც მინდა გითხრა და, ძალიან გთხოვ, სწორად გამიგე. უკვე ორი დღეა, ამაზე ვფიქრობ და ვერ გეუბნები – არ მინდა, რამე...

– გისმენ, – შეაწყვეტინა ნიკამ და ინტერესით შეაცქერდა.

– იმ ქალს... დოდოსაც ენდობი? – ნანამ ძალიან ფრთხილად, თითქოს შიშით წარმოთქვა დოდოს სახელი?

– რა გაგებით?

– ყველანაირი გაგებით. ზოგადად, სანდო ადამიანია? უფრო სწორად, შენთვის თუ არის სანდო?

– რატომ მეკითხები, დოდო რამ გაგახსენა? – გაუკვირდა ნიკას და თავისდაუნებურად გაწითლდა, – გულწრფელად გეტყვი: დოდო ერთი თავისუფალი ქალია, რომელსაც პირად ცხოვრებაში, როგორც ჩანს, არ გაუმართლა და თავისებურად ცდილობს ამ ხარვეზის ამოვსებას.

– როგორც ვხვდები, მოსწონხარ, – ისევ გაუბედავად თქვა ნანამ, – ოღონდ, ძალიან გთხოვ, სწორად გამიგე, რასაც გეუბნები. მე შენს პირად ცხოვრებაში კი არ ვერევი, უბრალოდ, ქალური ალღო მკარნახობს, რომ აქ რაღაც ისე არ უნდა იყოს.

– კი მაგრამ, შენ ხომ არც კი იცნობ დოდოს, თვალითაც არ გინახავს.

– ნახვა აუცილებელი არ არის. არსებობს ლოგიკა, თუ გინდა, ამას დედუქციაც დაარქვი.

– უფრო კონკრეტულად? – ისევ შეაწყვეტინა ნიკამ.

– კარგი, გეტყვი უფრო კონკრეტულად, – ნანამ სიმხნევისთვის სირჩაში ჩარჩენილი კონიაკი დალია და ნიკას თვალებში შეხედა, – ის კაცი, ვინც მირეკავს და მემუქრება, ყოველ დარეკვაზე ერთსა და იმავე ტექსტს მეუბნება: ნუ იქექები ამ საქმეში, დაითხოვე შენი დეტექტივი და ყველაფერი კარგად იქნება, თუ არა და, შენს ქმართან მოგიწევს გამგზავრებაო.

– მერე? – დაიძაბა ნიკა.

– მერე ის, რომ იმ ტიპმა ზუსტად იცის, რომ არ დამითხოვიხარ და, შედეგად რა მოხდა?! – ცხენიდან გადმოვარდი და სასწაულით გადაურჩი სიკვდილს.

– ცხენიდან ბევრი ჩამოვარდნილა და დამტვრეულა, ბევრი მომკვდარა კიდეც. მე არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი. ეს, უბრალოდ, გარემოებების დამთხვევაა, – გააპროტესტა ნიკამ.

– შესაძლოა, მაგრამ, ხანდახან ამ „დამთხვევებს“ სპეციალურად აწყობენ, თანაც ისე, რომ მაქსიმალურად დაემსგავსოს შემთხვევითობას.

– ამით რისი თქმა გინდა?

– იმ დღემდე ოდესმე ყოფილხარ იპოდრომზე?

– როგორ არ ვყოფილვარ.

– მე ვგულისხმობ, ცხენზე თუ მჯდარხარ?

– არა. ეს სპორტი არასდროს მიტაცებდა. ცხენები ისე მიყვარს, შორიდან.

– ვინ დაგპატიჟა იპოდრომზე?

– დოდომ... – ნიკა მხოლოდ ახლა მიხვდა, რას გულისხმობდა ნანა.

– იცოდა დოდომ, რომ ცხენზე არასდროს

მჯდარხარ?

– საიდან უნდა სცოდნოდა? ჩვენ ასი წელია, ერთმანეთი არ გვინახავს, სტუდენტობის შემდეგ ერთმანეთი, ალბათ, არც კი გაგვხსენებია. სრულიად შემთხვევით შევხვდი „ინტელგრუპჯორჯიაში“, შენს საქმეზე რომ მოვედი, მაშინ.

– შენ როგორ ფიქრობ, რომ მოესურვებინა, დოდო ვერ დაადგენდა თავისთვის საჭირო ინფორმაციას? ანუ, კონკრეტულ შემთხვევაში, ვგულისხმობ შენი ინტერესებისა თუ გატაცებების სფეროებს?

– რა თქმა უნდა, შეუძლებელი არაფერია, მით უმეტეს, დოდოსნაირი ქალისთვის, მაგრამ, მაინც არა მგონია, რომ ასე იყოს.

– რატომ არ გგონია, დოდო ისეთი წესიერი ადამიანია, რომ ამას არ იკადრებს? – გესლი გაურია ხმაში ნანამ.

„მგონი, ეჭვიანობს“, – გაიფიქრა ნიკამ და ქალს გაოცებით ჰკითხა:

– კი მაგრამ, ასე რატომ გძულს ადამიანი, რომელსაც არც კი იცნობ?

ნანამ მშვიდად შეხედა ნიკას, მერე თვალები დახარა და ისე უპასუხა:

– ვიცი, ახლა რაც გაიფიქრე, მაგრამ, ეს ასე არ არის. რა უფლება მაქვს, ვიეჭვიანო? არც სიძულვილი მამოძრავებს – მართლაც, რატომ უნდა მძულდეს ადამიანი, რომელიც ერთხელაც არ მინახავს და მისი გვარიც კი არ ვიცი? მე ის კი არ მძულს, მისი მეშინია. ის მტაცებელია, ნიკა, ჩვეულებრივი მტაცებელი. ნამდვილი პირანიაა – ყველას შეჭამს და გაანადგურებს, ვინც კი გზაზე გადაეღობება. ასეთებმა დანდობა არ იციან, ოღონდ, ამას ისე აკეთებენ, აშკარა ძალადობის გარეშე. თან, არის მეორე მომენტიც: ჩემი აზრით, დოდო ის ქალია, რომელიც გიჟდება კარგ, მდიდრულ, კომფორტულ ცხოვრებაზე, შესაბამისად, მაღალ წრეში ტრიალის პრეტენზიაც ექნება. ამისთვის კი რა არის საჭირო, როცა ლამაზ და ამბიციურ ქალს არ ჰყავს რესპექტაბელური და მდიდარი ქმარი? ფულიანი საყვარელი? არა, ჩემო კარგო, ასეთებს ფულიანი და, პარალელურად, ცოლიანი საყვარლები არ სჭირდებათ, რადგან ის ფულიან-ცოლიანი კაცი მოერიდება თავის წრეში მის გამოჩენას. მარტო ბინა, სამკაული, მანქანა, აგარაკი და გრიალი კი სრული პაკეტი არ არის, თუ „სვეტსკი“ წრის ქალად არ იქნა მიღებული საზოგადოებაში. ამის მისაღწევად კი რა რჩება?! – რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი ფული. ბევრი კი არა, ხაზს ვუსვამ – ძალიან-ძალიან ბევრი, იმდენი, რომ მისთვის საინტერესო ყველა მამაკაცი იქით გაეგოს ფეხქვეშ... – ნანამ ამოისუნთქა და გაჩუმდა.

– მაშ, შენ ამტკიცებ, რომ რაღაც ინტერესის გამო, ყველაფერი ნანამ მომიწყო?

– არ ვამტკიცებ, ნიკა, უბრალოდ, საშინელი ეჭვი გამიჩნდა, რომელიც ტვინს მიღრღნის და ვერაფრით მოვიშორე. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ, არა მგონია... იშვიათად უმტყუნებია ალღოს.

– კარგი... – ნიკა დაფიქრდა, მერე თავი ასწია და ნანას უთხრა: – ერთხელ უკვე გითხარი, რომ ვიღაცას მტკივნეულ ადგილზე დავადგი ფეხი. მუქარებიც არის, შესაბამისად, არაა გამორიცხული, რომ ვიღაცას ჩემი თავიდან მოშორება ან დაშინება უნდა და ამის მისაღწევად ჩემს გარემოცვაში მყოფი ადამიანებიც გამოიყენოს...

– მე ვფიქრობ, დაშინება კი არა, უფრო – თავიდან მოშორება უნდა, – ჩაურთო ნანამ.

– რატომ ხარ დარწმუნებული? – ნიკა უკვე აშკარად ანგარიშს უწევდა ნანას ვარაუდებსა და პირად მოსაზრებებს, – მე ხომ არ მოვმკვდარვარ, არც კი დავმტვრეულვარ.

– ეს მხოლოდ შემთხვევითობაა. ასი ასეთი შემთხვევიდან ოთხმოცდაცხრამეტი სიკვდილით ან სამუდამოდ დასახიჩრებით მთავრდება. შენ ის მეასე ბედნიერი ხარ, რომელიც ცოცხალი და, პრაქტიკულად, უვნებელი გადარჩა.

– დავიჯეროთ, რომ... მოდი, ერთხელ კიდევ თავიდან გავიაროთ ყველაფერი: დოდო მირეკავს და შეხვედრას მთხოვს. მეუბნება, რომ სიურპრიზი აქვს ჩემთვის, მიბარებს იპოდრომზე და მთავაზობს ცხენებით გასეირნებას...



– ასეთი ორიგინალური სიურპრიზი რატომ მოიფიქრა? – ისევ შეაწყვეტინა ნანამ.

– ალბათ, იმიტომ, რომ პირველ პაემანზე ბოტანიკურ ბაღში წავიყვანე და, გადაწყვიტა, თვითონ უფრო ეგზოტიკური და ორიგინალური რამ მოეფიქრებინა. მოკლედ, მთავაზობს ცხენებით გასეირნებას და მეჯინიბეს ჩემთვის გამოჰყავს, როგორც მაშინ დოდომაც და იმ მეჯინიბემაც თქვეს, ყველაზე მშვიდი და წყნარი ცხენი – ოსკარი... – იმ წუთების გახსენებამ ნიკა რატომღაც ააღელვა და, სული რომ მოითქვა, სიგარეტს მოუკიდა.

– მერე? – ველარ მოითმინა ნანამ.

– მერე შევჯექი ცხენზე და ლობეს გავუყევი. რამდენიმე მეტრი რომ გავიარეთ, მგონი, მანქანის საყვირის ხმა გაისმა, ცხენი დაფრთხა და ყალყზე შედგა, მახსოვს, მთელი ძალით დავასკდი მიწას და ზემოდანაც რაღაც უშველებელი დამეცა. როგორც მერე გაირკვა, ეს ოსკარი იყო – ცხენი, რომელზეც ვიჯექი. როგორც ჩანს, რამდენიმე წუთით გონება დავკარგე და გავითიშე, რადგან არც დოდოს ხმა გამიგია და არც ის დამინახავს, როგორ მოგროვდა ჩემ გარშემო ხალხი. თვალი რომ გავახილე, დავინახე დოდოს შეშლილი სახე, ჩემს თავთან დახრილი უცხო სახეები. მერე დოდოს ისტერიკული კივილიც გავიგონე, – ჩქარა, ექიმს დაუძახეთო... არა, ეს გულწრფელი შიში იყო, ასე ვერც ერთი ქალი, თვით ყველაზე გამოცდილი მსახიობიც კი ვერ ითამაშებდა... – ნიკა აშკარად ცდილობდა, საკუთარ თავთან მაინც გაემართლებინა დოდო. როგორც ჩანს, არ უნდოდა, დოდოს ცუდქალობაში დარწმუნებულიყო, – მერე იპოდრომის ექიმი მოვიდა, გამსინჯა და გახარებულმა თქვა, რომ ცოცხალი ვარ და დამტვრევასაც გადავურჩი... მერე დოდომ თავის სახლში წამიყვანა და შვილივით მომიარა... – ამ სიტყვებზე ნიკას აბაზანის სცენა გაახსენდა და ისე გაწითლდა, როგორც პატარა ბიჭი, რომელსაც პირველ ქალთან წაასწრეს, – ჰო... მერე შენ დამირეკე, მემუქრებიანო და მაშინვე წამოვედი – სულ ეს იყო. მგონი, საეჭვო ვერაფერი აღმოვაჩინე.

– გარდა თავად ფაქტისა – იპოდრომზე დოდომ დაგპატიჟა, – მკაცრად გაიმეორა ნანამ, – კიდევ გიმეორებ: ეგ ქალი აშკარად მტაცებელია და ფრთხილად იყავი, ამ თემაზე მე მეტს არაფერს გეტყვი.

ნიკას უნდოდა, დოდოს გასამართლებლად რაღაც პასუხი გაეცა ნანასთვის, მაგრამ, ამ დროს მისმა მობილურმა დარეკა.

– ჰო, ზურაბ, საღამო მშვიდობის, მოხდა რამე? – ჰკითხა მოუთმენლად.

– მოხდა. შენ სად ხარ?

– სახლში ვარ, მინდა, ცოტა დავისვენო. რაღა დაგიმალო და ძალიან მიჭირს სიარული, მალე ვიღლები და მთელი სხეული მტკივა. საჭესთანაც კი ვერ ვჯდები – სუნთქვა მეკვრება. რა მოხდა, ცუდი ამბავია?

– საკმაოდ.

– მაინც, რა, აღარ იტყვი?

– იპოდრომის ერთ-ერთი მეჯინიბე, სწორედ ის, ვინც ცხენი შეგირჩია, ლისის ტბის ტერიტორიაზე პისტოლეტის ტყვიით არის მოკლული. შუბლში აქვს ნასროლი, ამიტომ მკვლელობის გარდა, ყველა სხვა ვერსია გამორიცხულია. ხვდები, ვისზეც გეუბნები?

– აზრზე არა ვარ, მე იქ არავის ვიცნობ. უბრალოდ, ვიცი, რომ დოდოს თხოვნით ერთ-ერთმა მეჯინიბემ ყველაზე მშვიდი ცხენი შემირჩია. ვინ არის მოკლული, რა ჰქვია, რა გვარია?

– დიმა, დიმიტრი გაბისონია. არაფერს გეუბნება ეს სახელი და გვარი?

– მგონი, არაფერს. ყოველ შემთხვევაში, ახლა ვერ ვიხსენებ.

– ხუთი წლის წინ მე ავიყვანე ყაჩაღობის საქმეზე. ცხრა წელი მისცეს, მაგრამ, ხუთი წელიც კი არ მჯდარა ციხეში. როგორც თვითონ მითხრა, ტუბერკულოზის გამო გაათავისუფლეს ვადაზე ადრე. ასეთი რამ კი ძალიან დიდი „ჩაწყობის“ შედეგად ხდება, თანაც, ძალიან იშვიათად.

– შენ რა, ნახე ეს კაცი და ესაუბრე?

– ჰო, ვესაუბრე და ბევრი საეჭვო რამ აღმოვაჩინე. კიდევ ვაპირებდი მის ნახვას, მაგრამ, ეტყობა, ვიღაცამ დამასწრო, ან, უბრალოდ, ეჭვი აიღო დიმაზე და საიქიოში გაისტუმრა, რომ ზედმეტი არ ელაპარაკა. ყოველ შემთხვევაში, ახლა ერთი გვამით მეტი გვაქვს. საქმე რთულდება. დარწმუნებული ვარ, ყველა მკვლელობა ერთმანეთთან არის დაკავშირებული. საინტერესოა, ახლა რას იტყვიან კოტე რუხაძე და სამმართველოს უფროსი. ისიც მაინტერესებს, პროკუ-

## ლევან მარგიანის ხსოვნას



ჩემო ლევან! ჩემო კარგო ლევან! გაუსაძლისი ერთი წელი გავიდა, დედი... ძნელი ყოფილა უშენობა, შვილო! მიჭირს, ძალიან მიჭირს! მაისის თვეში დაიბადე და მაისის თვეში დატოვე ეს წუთისოფელი. წახვედი, სამუდამოდ დაგვტოვე და ეს გაზაფხულიც უშენოდ მოვიდა. დაგეძებ ყველგან: ცხადში, სიზმარში, უზომოდ მენატრები...

ყველას ვუყვარვარო, ამბობდი, მართალია, ასეც არის. ძალიან ხშირად, თითქმის ყოველდღე გიხსენებენ შენი ახლობლები, ნათესავები და თანამშრომლები. შენმა ტანჯულმა მამამ შენს სახელზე „ხარების“ სახელობის პატარა, კოხტა და ლამაზი ტაძარი ააგო ვაშლიჯვარში, ისეთი, შენ რომ მოგეწონებოდა... ჩვენმა გულშემატკივრებმა კი წმიდანების ხატებით შემოსეს. იქ ხარების დღიდან წირვა-ლოცვა აღევლინება. შენ იქიდან ილოცე ყველასთვის, ჩემო კეთილო ბიჭო. ილოცე შენი ლამაზი ცოლ-შვილისთვის, შენი გიორგუნასთვის, ძმისთვის, მამისთვის...

2012 წლის 18 მაისი საბედისწერო, უდიდესი ტკივილისა და მწუხარების დღეა ჩვენთვის. ამ დღიდან აღარ გვესმის შენი ხმა. აღარ მეძახი, ლალი დედიიიიი, მაგრამ მე ამ ტკივილით და თმენით ვიცხოვრებ. შეხვედრამდე!!!

რატურაში თუ მოეგებიან გონს. ჰო, პროკურატურაზე გამახსენდა – დაურეკე პროკურატურის ჭორიკნებს?

– ეგ სულ გადამავიწყდა, ახლა დავურეკავ, – გაეცინა ნიკას.

– ნუ იცინი, ეს ძალიან მნიშვნელოვანია და აღარ გადადო.

– კარგი, არ გადავდებ. ჰო, რა მაინტერესებს... ოფიციალურად გამოაცხადეს იმ მეჯინიბის მკვლელობის ამბავი?

– ჯერ არა, ალბათ, ღამის „კურიერში“ გამოაცხადებენ. ჯერ 11 საათი არ არის, 12-ზე ჩართე ტელევიზორი და მოუსმინე, რას იტყვიან.

– თუ მანამდე ან მერე რამე ახალი გაიგე, რომელი საათიც არ უნდა იყოს, აუცილებლად დამირეკე.

– კარგი. აბა, დროებით. თავს მოუარე.

– დროებით, – ნიკამ ყურმილი გათიშა და, ის იყო პროკურატურის ერთ-ერთი ჭორიკანა თანამშრომლის ნომერი უნდა აეკრიფა, რომ მობილურზე ისევ ზარის ხმა გაისმა. ნიკას ისევ ზურაბი ეგონა და ნომრისთვის არც კი დაუხედავს, ისე უპასუხა:

– ჰო, ზურა, გისმენ!

– დოდო ვარ! – გაისმა ყურმილში აღელვებული ხმა, – ნიკა, დოდო ვარ! ლამის გავგიჟდე, აღარ ვიცი, რა ვიფიქრო და როგორ მოვიქცე! ნიკას გაუკვირდა ქალის ისტერიკამდე მისული ყვირილი. ეს ის დოდო აღარ იყო, რომელსაც ყოველთვის შეეძლო საკუთარი ემოციების მართვა, ის აშკარად ველარ ფლობდა თავს.

– გისმენ, დოდო, რა მოხდა, ხომ მშვიდობაა? – ნიკას გულმა უგრძნო, რატომაც ურეკავდა ქალი, მაგრამ, რატომღაც, გადაწყვიტა, ისე მოქცეულიყო,ვითომ არაფერი იცოდა.

– ნიკა, ის ბიჭი მოუკლავთ, იპოდრომის თანამშრომელი!

– ვინ ბიჭი? – ჩაეკითხა ნიკა.

– მეჯინიბე, ჩვენ რომ ცხენები გამოგვიყვანა!

– საწყალი... რატომ მოკლეს, რას ერჩოდნენ?

– წარმოდგენა არ მაქვს. ისეთი კარგი ბიჭი იყო... ლამის ჭკუიდან შევიშალო! უკვე პროზექტურაში გადაუსვენებიათ. ნახვა მინდოდა, მაგრამ, მარტო მეშინია წასვლა. ხომ არ წამომყვები?

– მართალია, ცოდვაა, ვინც არ უნდა იყოს, მაგრამ, რატომ ხარ ასეთი აღელვებული, შენი ახლობელი იყო?

– არა, უბრალოდ, იპოდრომიდან ვიცნობდი. ძალიან კარგი ბიჭი იყო, წესიერი, მშრომელი. ძალიან მეცოდება. თან, მგონი, არავინ ჰყავდა და მიცვალებულს ვიღაცამ ხომ უნდა უპატრონოს?

– მერე, შენზე უფრო ახლობელი, დავიჯერო, არავინ ეყოლება? ან, რომ მიხვალ და გკითხავენ, თქვენი ვინ არისო, რას ეტყვი, იპოდრომზე მყავს რამდენჯერმე ნანახი და მაინტერესებს,



ახლა როგორ გამოიყურებაო?! – რატომღაც, გესლით უპასუხა ნიკამ და იგრძნო, რომ ამ ქალის მიმართ უნდობლობა სწორედ ამ ბოლო ფრაზებმა ჩამოუყალიბა.

– შენ რა ცინიკოსი ყოფილხარ, ასეთი არ მეგონე, – ეწყინა დოდოს.

– ჰო, ხანდახან ცინიკოსიც ვარ ხოლმე და ზოგჯერ – უარესიც, – ნიკა გრძნობდა, როგორ ნელ-ნელა გამოდიოდა წყობიდან.

– ესე იგი, ვერ წამომყვები? – დოდომ აშკარად გამოხატა წყენა, რომ მისი სურვილი, შესაძლოა, შეუსრულებელი დარჩენილიყო. ის არ იყო ამას ჩვეული, მით უმეტეს – მამაკაცებისგან.

– ვერც და არც, – ნიკა თავისდა გასაკვირად, უცბად დამშვიდდა, ფინჯანში ჩარჩენილი ცივი ყავა მოსვა და განაგრძო: – ჯერ ერთი, ძალიან მიჭირს სიარულიც და საჭესთან ჯდომაც, მეორე – არანაირ აუცილებლობად არ მიმაჩნია ჩვენი, მით უმეტეს – ჩემი იქ მისვლა და, მესამე – უკვე ლოგინში ვწევარ და დაძინებას ვაპირებ – ექიმმა მითხრა, მაქსიმალურად შეეცადე, რომ იწვეო.

– კარგი, გასაგებია... – დოდოს ხმაში მუქარის ტონი გაისმა.

– ჰო, მართლა, – უცებ ჰკითხა ნიკამ, – მთელი საღამოა, ტელევიზორში არაფერი უთქვამთ ამ ამბის შესახებ და შენ საიდან გაიგე, იქნებ, სულაც, ტყუილია?

– არ არის ტყუილი, სიმართლეა. ისეთმა კაცმა დამირეკა, ვინც საკუთარი თვალით ნახა მოკლული დიმა.

– ვინ არის ის კაცი, არ შეიძლება, ვიცოდე?

– რაში გაინტერესებს? – გაუკვირდა დოდოს.

– რომ გითხრა, ვეჭვიანობ-მეთქი, დამიჯერებ?

– დაჯერების რა მოგახსენო, მაგრამ გამიხარდება. როდის შევხვდეთ?

– რაღაც, ძალიან მალე დაგავიწყდა მოკლული მეგობარი.

– როდის შევხვდეთ-მეთქი? – დოდოს სიბრაზე დაეტყო ხმაში.

– ჯერ არ ვიცი. ჯერჯერობით ძალიან სუსტად ვგრძნობ თავს, თან, ყველაფერი მტკივა. გარდა ამისა, უამრავი საქმე დამიგროვდა და...

– ყველაფერი გასაგებია – იმ ქალთან ხარ, ვის დარეკვაზეც თავქუდმოგლეჯილი გაიქეცი და მარტო დამტოვე. მაგრამ, არა უშავს, ჩემი დროც დადგება და მერე უკვე გვიან იქნება თითზე კბენა... – და დოდომ ყურმილი გათიშა.

ნიკა რამდენიმე წუთის განმავლობაში გაოგნებული იჯდა და ხმა არ ამოუღია. თავისი პროფესიის მიუხედავად, აქამდე არ შეხვედრია ადამიანი, რომელსაც შეეძლო, ხმაში ჩაექსოვა ამდენი გესლი, შხამი, ბოროტი სურვილი. უცებ, თავისდაუნებურად წარმოიდგინა, რომ ქალს კი არა, შხამიან მცურავს ელაპარაკა, მტაცებელს, რომელიც ყველაფერზეა წამსვლელი.

„პირანია... – გაახსენდა ნანას ნათქვამი, – არა, პირანია კი არა, იმ თავის თევზებს ჰგავს, ლამაზ, მაგრამ მკვლელ თევზებს, რომლებიც ცოცხლად ჭამენ მეტოქეს“... – ნიკას უსიამოვნოდ გააჟრჟოლა და სავარძელში ჩუმად მჯდარ ნანას დამნაშავესავით გახედა.

– ყველაფერი მესმოდა – შენს მობილურს ძალიან ძლიერი მიკროფონი აქვს, – თავი იმართლა ნანამ, – ამიტომ, არაფერს გკითხავ.

– ჰო, სიტუაცია ყოველი მხრიდან გართულდა. ჩვენმა საქმემ ძალიან სერიოზული სახე მიიღო. ამიტომ, გაათმაგებული სიფრთხილე გვმართებს, – ნიკა შეეცადა, ხმა შეერბილებინა და დაყვავებით განაგრძო: – შენი აქ ყოფნის შესახებ ზურაბის მეტმა არავინ იცის, ის კი არსად არაფერს იტყვის. უსაფრთხოების მიზნით, კატეგორიულად გიკრძალავ არა მარტო ბინიდან გარეთ გასვლას, არამედ, ფანჯარასთან მიახლოებასაც კი.

– ზურაბის გარდა, შენმა მეზობლებმაც იციან, რომ აქ ვარ. რამდენჯერმე დაგვინახეს, ერთად რომ გავედით და უკან დავბრუნდით, – ფრთხილად შენიშნა ნანამ.

– ჰო, მართალი ხარ. ესე იგი, ბინის შეცვლა მოგვიწევს, ნიკა ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერე თქვა: – ბინა უნდა ვიქირაოთ, სადმე ახლოს. ჩემს უბანში საერთოდ რომ აღარ გამოვჩნდე, მეზობლები ეჭვს აიღებენ. შენ იქ დაგაბინავებ და გარეთ დაცვასაც დაგიყენებ – ისეთს, ეჭვი რომ ვერ აიღონ მის ვინაობაზე. მე კი ძირითადად შენთან ერთად ვიქნები და, თან, ჩემს ბინასაც მივაკითხავ ხოლმე, რომ უბანში დამინახონ.

– კარგი, როგორც შენ იტყვი, – დაეთანხმა ნანა, – მაგრამ, იცი, რისი მეშინია? მე თუ ვერ მიპოვიან, ჩემს მშობლებზე არ იძიონ შური.

– დაწყნარდი, მაგაზეც ნაფიქრი მაქვს და ყველაფერს მოვაგვარებ. ახლა კი პროკურატურის ჭორიკნებს უნდა დავურეკო, მაგრამ რა მოვიფიქრო ისეთი, რომ ამ შუაღამისას დარეკვა არ გაუკვირდეთ?

– რა ვიცი, გააჩნია, რა დონის ნაცნობია... – ჩაფიქრდა ნანა, – პროკურორის ან რომელიმე მაღალჩინოსნის მდივანს თუ იცნობ ახლოს, ან ვინმეს კანცელარიიდან, ყველაზე სწრაფად ისინი გაავრცელებენ ჭორს. ოღონდ, უნდა გააფრთხილო, არავისთან არაფერი წამოგცდესო – ეს მაგიური სიტყვებია.

– ჭკვიანი ქალი ხარ, ნიკას ღიმილი მოერია, – მოდი, კანცელარიიდან დავიწყებ. იქ ერთ შინაბერას ვიცნობ, მგონი, იმიტომ გაჩნდა ამქვეყნად, რომ ჭორები აგროვოს. საწყალს, თავისი პირადი ცხოვრება არ გააჩნია და იმით ცოცხლობს, რომ სხვისი ცხოვრება ქექოს. თან, ერთი დიდი განყოფილების უფროსის მდივანი მისი დაქალის შვილია – სოფლიდან ჩამოსული, პრეტენზიული გოგო, რომელიც ვიღაცამ ნაცნობობით მოაწყო სამსახურში და, აქაოდა, პროკურატურაში ვმუშაობო, „სვეცკობას“ აწვება – ჩაცმის სტილიც შეიცვალა, სიარულიც და ლაპარაკის მანერაც, მაგრამ, ბგერა ლ-ს ვერ მოუხერხა ვერაფერი – ისევ ძველებურად არბილებს, თუმცა, „არა მჯერა“, „არ არსებობს“, „ვაიმეე“ და სხვა „სვეცკური“ ფრაზები და შორისდებულები კარგად აითვისა – ნიჭიერი გოგოა.

ნანას ხმამაღლა გაეცინა.

– რა გაცინებს, არ გჯერა? – თავაუწევლად ჰკითხა ნიკამ და თან მოლურში კანცელარიის თანამშრომლის ტელეფონის ნომრის ძებნას შეუდგა.

– როგორ არ მჯერა, მაგრამ... – ნანამ თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან.

– რა „მაგრამ“? – დაინტერესდა ნიკა.

– გეტყვი თუ არ გეწყინება.

– რატომ უნდა მეწყინოს? პირიქით, შენს სიტყვებსა და რჩევებს ყოველთვის მივიღებ მხედველობაში.

– აქ სარჩევი და მხედველობაში მისაღები არაფერია. იმის თქმა მინდოდა, რომ შენც გყვარებია ჭორების მოსმენა, – ნანამ თვალებში შეხედა ნიკას, – ხომ არ გეწყინა?

– არა, რა არის საწყენი, – ახლა ნიკას გაეცინა, მაგრამ ეს ჭორების სიყვარული კი არა, ჩემი პროფესიაა, ჩემო კარგო: რაც უფრო მეტი ინფორმაცია გაქვს გარშემო მყოფებზე, მით უკეთ ფლობ სიტუაციას.

– ფლობ თუ აკონტროლებ?

– ეს ერთი და იგივეა. თანაც, მე ასეთ ადამიანებზე ინფორმაციას სპეციალურად კი არ ვაგროვებ, უბრალოდ, ყველა ნორმალური ადამიანივით, ორი ყური მაქვს და, სხვათა შორის, არც სმენას ვუჩივი. ასე რომ...

– გასაგებია, უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები. ნიკა... – წამოიწყო ნანამ და გაჩუმდა.

– თქვი, ნუ გერიდება. თითქოს რაღაც გაწუხებს და არ მეუბნები.

– ბანკში კიდევ უნდა მიხვიდე?

– აუცილებლად, ოღონდ, ჯერ არა, ჯერ სხვა საქმეები მაქვს მოსაგვარებელი.

– „ინტელგრუპჯორჯიაში“?

– იქ ხვალ ვაპირებ მისვლას. უფროსის ნახვა მინდა.

– დოდოს არ ნახავ? – ნანას ხმა დაეძაბა, –



რატომღაც, მეშინია მაგ ქალის.

– ნუ გეშინია, არაფერს დამიშავებს. და თუ ეგეც არის ამ საქმეში გარეული, მაგასაც დავადგენ, შენ არ ინერვიულო. ახლა კი დავრეკავ, თორემ, მართლა ძალიან გვიანაა უკვე და უხერხულია.

– კარგი. ბოდიშს ვიხდი, – ნანამ ყავის ფინჯნები სამზარეულოში გაიტანა.

ნიკამ ნაცნობი შინაბერას ტელეფონის ნომერი იპოვა და დარეკა, თან ფიქრობდა, უხერხული ხომ არ არის არცთუ ახლობელ ადამიანთან შუაღამისას საუბარიო. ყურმილი მესამე ზუმერის შემდეგ აიღეს.

– გისმენთ! – გაპრანჭული ხმით უპასუხა ქალმა. ნიკა მიხვდა, რომ მის ჭორიკანა ნაცნობს ჯერ არ ეძინა და შინაურულად მიმართა:

– მადონა, გამარჯობა, ჩემო კარგო, ნიკა ვარ.

– რომელი ნიკა? – ხმა გაინაზა მადონამ.

– ნიკა მესხი, დეტექტივი, – ნიკას კინაღამ ხმამაღლა გაეცინა მადონას ხმის შეცვლაზე.

– უი, ნიკა, როგორ გამიხარდა შენი ხმის გაგონება! როგორ მოგვანატრე თავი, რამდენი ხანია, ჩვენთან აღარ გამოგივლია, რაშია საქმე, მთელი ქვეყანა გაპატიოსნდა და საქართველოში დანაშაულები აღარ ხდება? – მადონამ თავის ხუმრობაზე თვითონვე გადაიკისკისა, – გისმენ, ჩემო კარგო, რა გაგჭირვებია? შენ მე ისე, მოსაკითხავად არ დამირეკავდი. ხომ მშვიდობაა?

– მშვიდობაა, მადონა. რაც შეეხება დანაშაულებს, სამწუხაროდ, ისევ ხდება, არც მთელი საქართველო გაპატიოსნებულა, პირიქით, იმდენი საქმე დამიგროვდა, ახლა ვნანობ, ზოგიერთს საერთოდ რომ მოვკიდე ხელი და, მინდა, ცოტა გამოვხშირო.

– გამოვხშირო რას ნიშნავს?

– ზოგიერთზე უარი უნდა ვთქვა, – ნიკას გაუხარდა, რომ საუბარი თავისთავად აეწყო მის სასარგებლოდ და დიდი მიდებ-მოდება აღარ დასჭირდებოდა.

– რომელზე აპირებ უარის თქმას, გაგიჟდი? თითოეულზე ამდენი გიწვალია და ახლა სხვას უნდა მიართვა მზამზარეულად?

– არა, უკვე დასრულებულ საქმეებს არ ვგულისხმობ, მაგრამ ერთი ისედაც დახურეს და რაღაზე მოვიკლა თავი? ისედაც ვნანობდი, რატომ ავიღე ეს საქმე-მეთქი და, ძალიანაც კარგი, ძიება რომ შეწყვიტეს. ამდენი წელია, ამ სფეროში ვმუშაობ და ასეთი აწეწილ-დაწეწილი საქმე ჯერ არ შემხვედრია.

– რომელ საქმეზე მელაპარაკები?

– არ ვიცი, შეიძლება, არც კი გაგიგია. ნანა სირაძის საქმეა – ბანკი, სამშენებლო ფირმა, მკვლელობები... მოკლედ, მთელი აჯაფსანდალია. თან, პატარა ტრავმაც მივიღე და ფიზიკურადაც აღარ შემიძლია ამდენი სირბილი.

– რა ტრავმა, რამე სერიოზულია?

– არა, არაფერი ისეთი, მაგრამ... მოკლედ, დავიღალე და ცოტა შეღავათი უნდა მივცე საკუთარ თავს. ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდა კაცი ვარ და ამ სამსახურის გადამკიდე, პირადი ცხოვრება აღარ მაქვს.

– მართალი ხარ, თავს უნდა მიხედო.

– ოღონდ, მადონა, ერთ რამეს გთხოვ: კი ვიცი, რომ საიდუმლოს შენახვა შეგიძლია, მაგრამ, მაინც, მინდა, გაგაფრთხილო, ამ ჩვენი საუბრის, ანუ, ჩემი გადაწყვეტილების შესახებ ნანა სირაძის საქმესთან დაკავშირებით, არავის არაფერი უთხრა, კარგი?

– არ გრცხვენია, ნიკა, მაგაზე გაფრთხილება მინდა? ხომ იცი, რომ სამარე ვარ.

– ვიცი, ჩემო კარგო, ვიცი და იმიტომაც გაგანდე. ჯერჯერობით, ერთი-ორი თვე, გარკვეული მიზეზების გამო, არ მინდა, რომ ვინმემ გაიგოს, მერე კი მე თვითონ ვიტყვი ხმამაღლა.

– დაწყნარდი, ჩემო სიცოცხლე, ეს საიდუმლო ჩემთან ერთად მოკვდება. ახლა კი ის მითხარი, რატომ დამირეკე.

– მადონა, შენ ისეთი ქალი ხარ, ყველას იცნობ და ყველაფერი იცი. გამოცდილი ექიმი მინდა, რომელიც მოტეხილობებს მკურნალობს თაბაშირის გარეშე. ხომ იცი, ცხოვრებაში ექიმთან არ ვყოფილვარ და აზრზე არა ვარ, ვისთან მივიდე.

– შენთვის გინდა?

– ჰო, ტრავმა მივიღე-მეთქი, რომ გითხარი, მგონი, ნეკნი მაქვს გაბზარული და ცოტა მაწუხებს, – ნიკამ ამდენ ტყუილს ერთი სიმართლე მაინც გამოურია.

მადონამ ნახევარ წუთში მოძებნა საუკეთესო ექიმის ტელეფონის ნომერი, ნიკას ჩააწერინა და მკაცრად გააფრთხილა, – ხვალვე მიდი, თორემ, შეგამოწმებ, იცოდეო; მერე დაემშვიდობა და მშვიდი ღამე უსურვა.

ნიკამ ყურმილი გათიშა და გაეღიმა – ზუსტად იცოდა, რომ ნახევარ საათში თვით რუხაძესაც კი ეცოდინებოდა მისი გადაწყვეტილების შესახებ.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# კალეიდოსკოპი

### პლანეტის 100 ყველაზე სექსუალური ქალი

მამაკაცების პოპულარულმა ჟურნალმა FHM-მა (For Him Magazine – „ჟურნალი მისთვის“ – მამაკაცისთვის) გამოაქვეყნა 2013 წლის მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ ქალთა ასეული. რეიტინგი ჟურნალის მკითხველთა ხმის მიცემის შედეგებით შედგა.

პირველი ადგილი ჰოლივუდის მსახიობმა, 29 წლის მილა კუნისმა დაიკავა. მილა უკრაინაში, ქალაქ ჩერნოვციში, ებრაელთა ოჯახში დაიბადა. როდესაც მომავალ მსახიობს 7 წელი შეუსრულდა, მამამისი – ინჟინერ-მექანიკოსი, მარკი და დედა – ფიზიკის მასწავლებელი, ელვირა, შვილებთან ერთად ლოს-ანჯელესში გადასახლდნენ.

ახალ გარემოში ადაპტირება რომ გაადვილებოდა, მილა სამსახიობო ოსტატობის კურსებზე შეიყვანეს. 2 წლის შემდეგ, მილამ თავისი პირველი როლი შეასრულა ტელესერიალ „ჩვენი ცხოვრების დღეებში“. დღეს ის უკვე თითქმის 50 ფილმშია გადაღებული. მილა კუნისი არაერთხელ მოხვდა ყველაზე სექსუალური ცნობილების ტოპ-რეიტინგში. 2012 წელს FHM-ის ამავე რეიტინგში ის მე-9 ადგილზე იყო. ჟურნალმა Esquire-მ კი დედამიწაზე მცხოვრებთა შორის ყველაზე სექსუალურ ქალად შარშანვე დაასახელა.

მეორე ადგილი წელს 25 წლის ამერიკელმა მომღერალმა რიანამ დაიკავა. ის შარშან მესამე ადგილზე იყო. წელს კი მესამე ადგილზე ბრიტანელი მსახიობი ჰელენ ფლენეგენია.

შარშანდელი რეიტინგის ლიდერმა, ბრიტანელმა მომღერალმა ტულიზა (ტულა) კონტოსტავლოსმა მეთერთმეტე ადგილზე ჩამოინაცვლა. ისრაელის სუპერმოდელი ბარ რაფაელი და ჰოლივუდის მსახიობი ნატალი პორტმანი, რომლებიც შარშან, შესაბამისად, 46-ე და 71-ე პოზიციაზე იყვნენ, წელს ყველაზე სექსუალურ ქალთა ასეულის მიღმა დარჩნენ.

ტოპ-ასეულის პირველი ოცეული ასე გამოიყურება: 1. მილა კუნისი, 2. რიანა, 3. ჰელენ ფლენეგენი, 4. მიშელ კიგანი, 5. კელი ბრუკი, 6. კეილი კუიოკო, 7. პიკსი ლოტი, 8. კეიტ აპტონი, 9. შერილ კოული, 10. ჯორჯია სელპა, 11. ტულიზა კონტოსტავლოსი, 12. ტეილორ სვიფტი, 13. ჯორჯი პორტერი, 14. როზი ჯონსი, 15. რიტა ორა, 16. კეტი პერი, 17. მეგან ფოქსი, 18. მოლი კინგი, 19. ბიონსე ნოულზი, 20. ჯენიფერ ლოურენსი.

### სატურნის ქარიშხალი – „წითელი ვარდი ბალახზე“

„ნასამ“ მზის სისტემის პლანეტებზე დაკვირვების მთელი ისტორიის განმავლობაში პირველად გადაიღო ქარიშხალი სატურნზე. ფერად სურათებზე ეს ბუნებრივი მოვლენა ისე გამოიყურება, როგორც „წითელი ვარდი ბალახზე“. სინამდვილეში კი წითელი ქარბორბალა ღრუბელია, რომელიც სატურნის ნიადაგის ზედაპირთან ძალზე ახლოს მოძრაობს, ხოლო მწვანე ღრუბლები კი უფრო ზემოთ.

ულამაზესი სურათები ამერიკულმა საპლანეტათაშორისო ორბიტულმა სადგურმა – Casini-მ სპეციალური ფილტრების დახმარებით თებერვალში გადაიღო და მხოლოდ ახლა გამოაქვეყნა.

ქარიშხალი სატურნის ჩრდილოეთ პოლუსზე აბობოქრდა. სწავლულებმა შეისწავლეს კადრები და გამოიტანეს დასკვნა, რომ შტორმის გავრცელების დიამეტრი 2 011 კილომეტრია, რაც „დედამიწის ზომებზე გადმოტანით“ ავსტრალიის ნახევარია. სატურნზე ქარიშხლის მასშტაბები 20-ჯერ დიდია დედამიწაზე ნებისმიერი ქარიშხლის დაზიანების ფართობთან შედარებით. ქარიშხალში ჰაერის ნაკადის სიჩქარე წამში 150 მეტრს აღწევს – ამას გარდა, დედამიწის შტორმებისგან განსხვავებით, პლანეტაზე რომ გადაადგილდებიან, სატურნზე უმოძრაოა და ჩრდილოეთ პოლუსზე რჩება.

განსხვავებების მიუხედავად, სატურნის ქარიშხალი დედამიწისას ძალიან ჰგავს: კერძოდ, მასაც აქვს „თვალი“ – ქარბორბალას ცენტრი, რომელშიც არ არის ღრუბელი. „ჩვენ გაკვირვებულები დავრჩით, როცა კადრები შევისწავლეთ, რადგან შტორმი ისე გამოიყურება, თითქოს ეს ყველაფერი დედამიწაზე ხდებოდეს“, – თქვა კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომელმა ენდრიუ ინგერსოლმა, თანაც დაამატა, რომ „მიუხედავად იმისა, რომ სატურნზე ყველაფერი გაცილებით დიდი ზომებისაა, წყლის რაოდენობა იქ ნაკლებია“.

„ნასას“ წარმომადგენლების თქმით, ქარიშხალი სატურნზე უკანასკნელი რამდენიმე წელია, გააქტიურდა. მისი პირველი ნიშნები 2009 წელს დაფიქსირდა, ხოლო ხარისხიანი გადაღება მხოლოდ ახლა განხორციელდა. ეს იმიტომ, რომ სატურნის ამ ნაწილში დიდი ხნის განმავლობაში ზამთარი იყო და რეგიონს მზის სინათლე აკლდა, რაც არა მარტო დაკვირვებას ხდიდა შეუძლებელს, არამედ ქარიშხალიც შეუმჩნეველი იყო.

მეცნიერები იმედოვნებენ, რომ აღმოჩენები სატურნზე დაეხმარება მათ, უკეთ გაერკვნენ მსგავს ბუნებრივ მოვლენებში დედამიწაზე.

**მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**

**ირინა ონაშვილისა და ლადო ვარძელაშვილის ოჯახში დატრიალებული საშინელი ტრაგედიის შემდეგ მათ ერთად ბევრი რამის გადატანა მოუწიათ. ერთადერთი, ვინც ირინას დღემდე აძლევს ყველაზე დიდ სიმშვიდეს, სიძლიერესა და სიამაყეს, უსაყვარლესი და ულამაზესი ბიჭი – საბაა, რომელიც ძალიან ჰგავს მშვენიერ დედიკოს.**

# რა გარისკა ირინა ონაშვილმა და რისი სასტიკი წინააღმდეგი იყო ლადო ვარძელაშვილი



**ეს იყო ერთადერთი ყველაზე მძიმე პერიოდი. საშინელი რაღაც მოხდა და ყოველთვის შემაწუხებს იმის გაფიქრება, რომ ასეთი საყვარელი ადამიანი დავკარგეთ**

**– ირინა, საბას გაზრდის გარდა, კიდევ რით ხარ დაკავებული?**

– ჩემი პატარა კუთხე მაქვს – სილამაზის სალონი „ლებლანი", სადაც თავსაც ვილამაზებ, ვუვლი და თან ვამუშავებ. ეს ჩემს ტიპაჟთან უფრო ახლოს იყო, თანაც, მსიამოვნებს ამის კეთება. ძალიან კარგი კოლექტივია, კარგი ადამიანებით დაკომპლექტებული. ნებისმიერ საქმეში ასეა – უნდა გიყვარდეს ის, რასაც აკეთებ. გახსენი, მიაგდე, ვილაცას ჩააბარე – არ გამოვა ასე. მომწონს აქ, თან, თავს ვუვლი, ვივარცხნი. ჩემი მეგობრებიც ხშირად მოდიან, ჩვენი პატარა ბუდე გვაქვს.

**– როდის გადაწყვიტე სილამაზის სალონის გახსნა?**

– მინდოდა, რაღაც გამეკეთებინა, ოღონდ რა – თავიდან არ ვიცოდი, მერე წვალებით, კრედიტის აღებით გავხსენი და ახლა კმაყოფილი ვარ. ზოგადად, როცა ბევრს შრომობ, მერე შედეგი კარგია ხოლმე. ორსული ვაკეთებდი რემონტს, ვიწვალე: დავდიოდი ქავთარაძეზე, ელიავაზე და ახლა ეს ყველაფერი დამიფასდა. არ ვნანობ, რომ ეს ცხრა თვე წოლასა და გორაობაში კი არ გავატარე, დავდიოდი და საქმეს ვაკეთებდი.

**– ამ საქმის წამოწყება, ალბათ, ერთგვარი რისკიც იყო.**

– დიახ, როცა ვალთან, ბანკთან გაქვს საქმე უფრო მეტი რისკია. მაგრამ, თუ არ გარისკავ, ცხოვრებაში არაფერი გამოვა. დარწმუნებული ვიყავი, რომ მთელ პერსონალს, სტილისტებს ისეთ გარემოს შევუქმნიდი, ჩემთან კომფორტულად იქნებოდნენ. შესაბამისად, მათი მოძიებაც არ გამიჭირდებოდა. მართლაც ასე მოხდა და, ვფიქრობ, ყველას მოსწონს. ცოტა ცუდი სფერო იმ მხრივ არის, რომ პროფესიონალი კადრების გადასაბირებლად, ბევრი სხვადასხვა სალონი ცუდ ხერხს მიმართავს. ჩემი თანამშრომლები კმაყოფილები არიან, ვიცი, რომ მოსწონთ აქ ყოფნა. მაგრამ, ერთი რამეც ვიცი: თუ ვინმეს ჩემთან არ მოსწონს, შეუძლია, წავიდეს.

**– როგორ შეხვდა ლადო შენს წამოწყებას?**

– ლადო სასტიკი წინააღმდეგი იყო, უარყოფითად იყო განწყობილი: კიდევ კრედიტიო? საბოლოოდ, მაინც მასთან შეთანხმებით გადაწყდა ყველაფერი, მაგრამ, რომ დამეთანხმებინა, ამისთვის დიდი ძალისხმევა დამჭირდა.

**– ორსული ქალი როგორ ახერხებდი ელიავადან ქავთარაძეზე სირბილს?**

– ყველაფერს ვაკეთებდი. გადარბენაზე ვიყავი, რომ ყველაფერი მანამდე მომესწრო, სანამ გავაჩენდი. საბა რომ დაიბადა, დანარჩენ რაღაცეებს მერე მივხედე: სტილისტების, მანიკიურის სპეციალისტების მოძიებას. ფიტოეპილაციაც გვაქვს, კოსმეტოლოგიც გვყავს, მოკლედ, გვაქვს ყველანაირი მომსახურება, რაც კი შეიძლება, სალონმა შესთავაზოს ადამიანს: თმის დაგრძელებიდან დაწყებული, კერატინებით დამთავრებული.

**– ბოლო პერიოდში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში იშვიათად ჩნდები.**

– იმ ტრაგედიის შემდეგ ჩემი გოგოების, ახლობლების დაბადების დღეზე თუ წავსულვარ, ისიც თავისთვის დამიტანებია ძალა. ახლა ცოტა გამოვედით მდგომარეობიდან, აქამდე არსად დავდიოდით და ძალიან მძიმე დღეები გვქონდა. ეს იყო ერთადერთი ყველაზე მძიმე პერიოდი. საშინელი რაღაც მოხდა და ყოველთვის შემაწუხებს იმის გაფიქრება, რომ ასეთი საყვარელი ადამიანი დავკარგეთ. თან, უაზროდ დაიღუპა, ბრმა ტყვიით, ისე, რომ ვერ ახსნი – რატომ მოხდა, რატომ დაიღუპა ასეთი კარგი ადამიანი. არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. იმ დღეს ყველანი სახლში ვიყავით, საბაც, დევის მეუღლეც – ნინო და, კიდევ ჩვენი მეგობრები – ზურა და ნინო. ასეთი სტრესი არასდროს მიმიღია და, ალბათ, დიდი ხნის განმავლობაში, სანამ ცოცხალი ვიქნები, ეს ადამიანი არასდროს დამავიწყდება. ყოველთვის ვეცდები, მისი სულისთვის ვილოცო. მე არ ვარ ძალიან ემოციური, ლადომ უფრო მეტად განიცადა. კაცის დაწყნარება აქეთ მიწევდა. ლადო ასეთ რთულ სიტუაციაში მანამდე არ მყავდა ნანახი. როდესაც ომის პერიოდში არ გამოდიოდა გორიდან, ერთი საათითაც არ დაუტოვებია იქაურობა და ამ განცდებს ყვებოდა, პირადად არ მინახავს. ახლა დავინახე მისი სუსტი მხარე – არ ვიცი, როგორ ვთქვა – ექიმებში რომ გიწევს ტარება. წამლებსაც სვამდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მე მიწევდა მისი დაწყნარება. საბასაც ელვიძა, ძიძა აძინებდა და მთელი ღამე ტიროდა. ახლა ამ ყველაფერს ვყვები, მაგრამ, ყველაზე დიდი საშინელება ის არის, რომ იმ ადამიანს აღარაფერი ეშველება, თორემ, ცხოვრება გრძელდება, ადამიანები ვართ. დევის მეუღლესთან, ნინოსთან ასე ახლოს არ ვიყავი, მაგრამ, ახლა ვიცი, რომ ასეთი ადამიანები იშვიათად არსებობენ, დიდი სულის ადამიანია და ბევრისთვის სამაგალითო პიროვნება. მის ადგილას მე რომ ვყოფილიყავი, შეიძლება, სხვანაირად მოვქცეულიყავი, ის კი აქეთ გვამხნევებდა. იშვიათად შემიმჩნევია ასეთი რამ სხვა ადამიანებში, დიდი სულის პატრონია.

**– „ფეისბუქზე" წერდი უარყოფითი ემოციების შესახებ, რომელიც თქვენ მიმართ გავრცელდა.**

– ზოგადად, როცა შენ მიმართ ბევრი უარყოფითი ემოცია მოდის: ლანძღვა, ქილიკი, ზოგჯერ შეურაცხმყოფელი სიტყვები, თან, ვერ გაიგებ – რატომ, ალბათ, ეს უარყოფითი ემოციები გროვდება და მერე რაღაც ხდება, რომ ყველა დაწყნარდეს. ამ ამბების მერე თითქოს ყველას ეცოდები და, მიხარია, რომ ეს შეგრძნება მაინც აქვთ ადამიანებს.

**– სასამართლო პროცესებზე დაჰყვები ლადოს?**

– ერთხელ ვიყავი, მაგრამ, მეორეზე აღარ გავყევი. ამ ადამიანის სახელსა და გვარს რომ ახსენებენ, ამას აუცილებლად ცრემლი მოჰყვება, რადგან, ველარ ვუძლებ ემოციებს. როგორც შემეძლო, ვედექი ლადოს გვერდში.

**– სოციალურ ქსელებში რამდენჯერმე გაავრცელეს ჭორი, რომ თითქოს შენ და ლადო გაშორდით.**

– გავიზარდე უკვე, ათი წელია, ასეთ რაღაცეებს წერენ, ჭორაობენ. მივეჩვიე. ამით რა შეიცვლება? წერონ და იყვნენ.

**– სასიამოვნო თემაზე მინდა გადავიდე. როგორ დაიმსგავსე საბა ასე ძალიან?**

– ამ ამბების დროს საბა რომ არ მყოლოდა, გაცილებით ცუდად ვიქნებოდი როგორც ფსიქოლოგიურად, ასევე, ჯანმრთელობის მხრივ. როცა სახლში საბა გხვდება, უკვე იცინი, ერთობი, ეთამაშები და არაფერზე აღარ ნერვიულობ. ეს ბავშვი ჩემთვის არის სიძლიერეც, სიამაყეც, მისთვის ყველაფერს გავაკეთებ: არც ცუდ ხასიათზე ვიქნები, არც არაფერი დამეზარება, უფრო აქტიური გავხდები. ალბათ, ყველა ასეა. ვილაცამ შეიძლება თქვას: ახლა ამან ახალი თქვა რამეო. მე, უბრალოდ, ჩემს ემოციებს გამოვხატავ. ჭკვიანი ბავშვია, არასდროს ყოფილა რთულად გასაზრდელი, ვერც კი გავიგე, როგორ გაიზარდა. თან, ძალიან აქტიური ძიძა გვყავს, არ გამომიცვლია, თავიდანვე გამიმართლა. ხელებდაკაპიწებული მოვიდა, აქტიურად. თუ ადამიანი, რომელიც გეხმარება, თავის თავზე არ აიღებს ბევრ რამეს და შენ გიყურებს თვალებში, მაშინ, ძალიან რთულია, ბავშვი გაზარდოს. პატარა რომ იყო საბა, თან, მეც გამოუცდელი ვიყავი და სულ მეუბნებოდა: რა პრობლემაა, ირიკუცა, მომეცი მე, შენ დაიძინე. დედა და დედამთილი რომ დაგეხმარებიან, ისე მეხმარება.

**– საბა მამაზე გიჟდება, ხომ? ფოტოების გადაღებისას როგორ გაეტირა...**

– ეს კიდევ ცალკე თემაა. ბოლო პერიოდია, შუაში გვიწევს და, დილით, სანამ ბოლომდე გაახელს თვალს, ნახევრად თვალდახუჭული მოძებნის მამამისის თმას, თავს და ეფერება. მერე მე გადმომხედავს ხოლმე – ესეც ხომ აქ არისო. ძალიან თბილი ბავშვია და ლადო გიჟდება.

**– ხომ არ დაიწყე მეორე შვილზე ფიქრი?**

– ჯერ არა, მაგრამ, ძალიან მინდა. ახლა გარდამავალი პერიოდი გვაქვს, რომ დავლაგდებით, ამაზეც ვიფიქრებთ.

**– „ფეშენ შარმში" ხომ კიდევ მუშაობ?**

– დიახ. ახლახან „თბილისი მოლში" ბავშვების ჩვენება გვქონდა „ვაიკიკის" ტანსაცმელში. საყვარელი ჩვენებები გამოგვდის. ძალიან მიყვარს ბავშვები და ისინიც სულ სიყვარულით მექცევიან – ალბათ, ამას გრძნობენ. ვგიჟდები, ეს პატარა წი-

**მის ადგილას მე რომ ვყოფილიყავი, შეიძლება, სხვანაირად მოვქცეულიყავი, ის კი აქეთ გვამხნევებდა. იშვიათად შემიმჩნევია ასეთი რამ სხვა ადამიანებში, დიდი სულის პატრონია**

ლები, კაბებში, ჯინსებში, „საროჩკებში" გამოპრანჭულები რომ დადიან.

**– შენ ზრუნავ საბას ჩაცმულობაზე?**

– ძირითადად, ჰო, მაგრამ, ამისთვის არაფერს განსაკუთრებულს არ ვაკეთებ, რადგან, ძალიან მალე იზრდება. უბრალოდ, მიყვარს სასაცილო რაღაცეების ჩაცმა, პატარა „კლოუნჩიკს" რომ ჰგავდეს.

**ნათია უტიაშვილი**

ტატუ და პირსინგი დღეს მოდურობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ელემენტებია. ძველად ტატუს სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა. ხან რაღაც აზრს ატარებდა, ხან კი, უბრალოდ, მოდას ემსახურებოდა. მისი დიზაინი ასახავდა ადამიანის წარმომავლობას, მის სოციალურ სტატუსს. მაშინ არ არსებობდა სპეციალური ტექნიკა ტატუს გასაკეთებლად და „საღებავებს," უბრალოდ, ხელით ისვამდნენ და ნახატიც დროებითი იყო. ან კანს მსხვილი ნემსებით ხვრეტდნენ. ამა თუ იმ ფერის მისაცემად გამოიყენებოდა ყველაფერი, რაც კი ხელთ მოხვდებოდათ, სხვადასხვა ბუნებრივი საღებავით დაწყებული, ჭვარტლით დამთავრებული. ძნელია იმის თქმა, ზუსტად როდის დაიწყო ადამიანმა სხეულის მოხატვა, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებითაა ცნობილი: ტატუირების ისტორია მრავალ წელს ითვლის. დროთა განმავლობაში დაიხვეწა ტატუს გაკეთების ხელოვნება. დღეისთვის მას იყენებენ სხეულის გასალამაზებლად, ინდივიდუალურობის გამოსახატავად, საკუთარი ცხოვრების რომელიმე ნაწილის აღსანერად. დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში აღარც პირსინგები უკვირთ. ძველად ის ითვლებოდა უცხო და ეგზოტიკურ, სხეულის ამა თუ იმ ნაწილის გასაფორმებელ საშუალებად. დღეს კი მოდური და პოპულარული პირსინგი ბოდიარტის ერთ-ერთი სახეობაა.

# როგორი ტატუა წელს მოდაში, რომელია ყველაზე უცნაური პირსინგი და ტატუ და რა ასაკიდან არის მათი გაკეთება რეკომენდებული

**კოტე ადამია** ***(ტატუირების სპეციალისტი):*** წელს კიდევ უფრო პოპულარული გახდა ტატუირებული სხეული, ვიდრე წინა წელს იყო. თითქმის ყველა ასაკის ადამიანი მოდის და იკეთებს ტატუს. არასრულწლოვნებს მშობლის თანხმობის გარეშე არ ვუკეთებთ, მაგრამ ეს პრობლემა უკვე აღარ არის – მშობლები მოჰყვებიან შვილებს და ყოფილა შემთხვევა, მშობლებს თვითონაც გაუკეთებიათ. მოდაში შემოვიდა არა ერთი ტატუს გაკეთება, არამედ ორის, სამის ან მეტის. გარკვეულწილად, გაჩნდა ტატუმანია. არის ხალხის კატეგორია, ყოველთვე რომ მოდის და იმატებს ტატუს. ვერ ჩერდებიან. ხშირად მოდიან შეყვარებულები და იკეთებენ ზუსტად ერთნაირ ნახატებს.

**– როგორი ტატუა წელს მოდაში?**

– წელს მოდაში თითქმის ყველანაირი ტატუა. ხშირ შემთხვევაში, ინტერნეტში ნანახი სურათი მოაქვთ და ზუსტად ისეთი ტატუ სურთ. სითამამით ჩვენი ქვეყანაც გაუტოლდა უცხოეთის ქვეყნებს. ცნობილი ადამიანებიც ხშირად მოდიან და იკეთებენ როგორც ტატუს, ასევე პირსინგს. ამას წინათ, იყო საქართველოს ვარსკვლავის ერთ-ერთი მონაწილე და პირველი კონცერტის წინა დღეს გაიკეთა ტატუ. მოდაშია როგორც შავ-თეთრი, ასევე ფერადი ტატუ, გემოვნების მიხედვით.

**– რომელია ყველაზე უცნაური ტატუ, რომელიც გაგიკეთებია?**

– ცოტა ხნის წინ მოვიდა დაახლოებით ორმოცდახუთი წლის მამაკაცი, რომელმაც დაიხატა სტალინის სურათი. ინტერნეტში მოვძებნეთ ხარისხიანი ფოტო და ზუსტად ისეთი დავახატე ხელზე. ძალიან კმაყოფილი დარჩა. პატარა ბავშვები ძირითადად უცნაურ რაღაცეებს იწერენ. მაგალითად, ერთი ბავშვი მოვიდა მშობელთან ერთად და დაიწერა: „მე არ ვარ ნორმალური". იწერენ ძალიან დიდ ტექსტებსაც. კიდევ არსებობს ეგრეთ წოდებული „შრამირება". ნახატი იშრამება და საბოლოო ჯამში, გამოდის შრამი. ძალიან ბუნებრივია და როდესაც ხორცდება, რჩება „შრამი" ნახატი. გაკეთების პროცესი საკმაოდ მტკივნეულია, თუმცა ხდება გაყუჩებაც. ამას უფრო როკერები იკეთებენ. საქართველოში ახალი ტენდენციაა, თუმცა მსოფლიოში საკმაოდ მოძველებული. არსებობს ასევე 3D ნახატები. იმ დონეზე იხატება ჩრდილებით, რომ სამგანზომილებიანი ეფექტით აღიქმება. კიდევ ერთი უცნაური შემთხვევა გამახსენდა. ერთი ბიჭი მოვიდა და მთხოვა, ტატუ გამეკეთებინა მისი ძაღლისთვის. ჯერ ვეტერინართან უნდა მიიყვანოს ძაღლი და ტატუს გაკეთების პროცესში დააძინონ.

**– რა ასაკიდან არის რეკომენდებული ტატუს და პირსინგის გაკეთება?**

– ტატუს გაკეთება რეკომენდებულია თვრამეტი წლიდან, რადგან ზრდასთან ერთად, ნახატიც შეიძლება გაიზარდოს. ამიტომ ჯობია, ზრდა დასრულებული იყოს. პირსინგის შემთხვევაში, მნიშვნელობა არ აქვს ასაკს.

**– რაც შეეხება ტატუს წაშლას, როგორც ვიცი, უპრობლემოდ ხდება.**

– 2013 წელს, ოცდამეერთე საუკუნეში ტატუს წაშლის პრობლემა ნამდვილად აღარ არის. თუმცა, ოდნავ უფრო რთულია, ვიდრე დახატვა. ეს პროცედურა იყოფა სამ სეანსად. პირველ დღეს ნახატი ღიავდება, ერთი თვის შემდეგ ლაზერი ხელახლა უნდა გადატარდეს, მესამე სეანსზე უკვე საბოლოო შედეგს ვიღებთ. ეს პროცედურები გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ტატუს წაშლა ბევრად უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე გაკეთება.

**– როგორც ვიცი, საქართველოში ახალი შემოსულია ულტრაიისფერი ტატუ.**

– ულტრაიისფერი ტატუ საკმაოდ აქტუალურია – პიგმენტია ულტრაიისფერი და ჰქვია „უვ ტატუ". სხვათა შორის, ბევრმა არ იცის, რომ საქართველოშიც კეთდება. ეს ტატუ ჩანს მხოლოდ სიბნელეში – კლუბებში, მხოლოდ ულტრაიისფერ შუქზე. გაცილებით ძვირი ჯდება და კეთდება სიბნელეში. ძალიან საინტერესო და მოთხოვნადი ტატუა. მისი წაშლაც ზუსტად ისე ხდება, როგორც ჩვეულებრივი ტატუსი.

**– რაც შეეხება პირსინგს, როგორც ვიცი, ადრინდელთან შედარებით, ბევრად გაიზარდა მასზე მოთხოვნა?**

– კი, საკმაოდ მოთხოვნადი გახდა. იკეთებენ როგორც გოგოები, ისე ბიჭები – წარბზე, ტუჩზე,



სითამამით ჩვენი ქვეყანაც გაუტოლდა უცხოეთის ქვეყნებს. ცნობილი ადამიანებიც ხშირად მოდიან და იკეთებენ როგორც ტატუს, ასევე პირსინგს

ცხვირზე, ჭიპზე. ძალიან ბევრ ადგილას არის შესაძლებელი პირსინგის გაკეთება. არსებობს სპეციალური ლითონი, სამედიცინო ტიტანი. ამით იხვრიტება და შეხორცების შემდეგ, რასაც გინდა გაიკეთებ, არ აქვს მნიშვნელობა ოქრო იქნება თუ ვერცხლი. არსებობს ენის, წარბის, ტუჩის ჭიპის საყურეები. ყველა ადგილს თავის შესაბამისი საყურე აქვს. მაგალითად, წარბის საყურეს ენაზე ვერ გაიკეთებ.

**– პირსინგი გოგოებში უფრო აქტუალურია თუ ბიჭებში?**

– პირსინგს გოგონები უფრო ხშირად იკეთებენ, თუმცა ბიჭებშიც არანაკლებ აქტუალურია. განსაკუთრებით ხშირად იკეთებენ წარბზე, ტუჩსა და ენაზე. პირსინგი კეთდება სხეულის ნებისმიერ ადგილას. მაგალითად ხელზე, ზურგზე. იკეთებენ კორსეტს ზურგზე, რომელიც შედგება დაახლოებით თხუთმეტი პირსინგისგან. ცოტა ხნის წინ გოგოს მთელ ზურგზე გავუკეთე პირსინგები, შემდეგ ლენტი გავუყარეთ და „ბანტი" შევკარით. ყველა ცდილობს, გამორჩეული იყოს და ისეთი პირსინგი თუ ტატუ გაიკეთოს, სხვებისგან განსხვავდებოდეს.

**– როგორ უნდა მოვუაროთ ტატუს და პირსინგს?**

– ტატუს და პირსინგის გაკეთების შემდეგ, ორივეს სჭირდება მოვლა. ტატუს გაკეთების შემდეგ, სამი დღე არ უნდა დასველდეს მოხატული ადგილი. არსებობს სპეციალური მალამო, რომელიც უნდა წაისვან და ნახატი დაიცვან ჰიგიენურად. არ არის რეკომენდებული ზღვაზე წასვლის წინ მისი გაკეთება. რამდენიმე დღე არც მზე არ უნდა მოხვდეს ნახატს და არც წყალი. პირსინგის გაკეთების შემთხვევაში, მნიშვნელობა აქვს სად კეთდება ის. მაგალითად, ჭიპზე გაკეთებულ პირსინგს დაახლოებით ერთი თვე სჭირდება შესახორცებლად. განსაკუთრებული მოვლა სჭირდება წარბზე გაკეთებულ პირსინგს. ჩაცმა-გახდის შემთხვევაში შეიძლება, პირსინგი მაისურს გამოედოს. ნაზი ადგილია, თვალთან არის ახლოს და რასაკვირველია, გაფრთხილება სჭირდება.

**ხატია კარანაძე**


## კოლხი წინასწარმეტყველი და პარაფსიქოლოგი ნათია

**ნათია:** ბოლო წლებში საქართველოში, განსაკუთრებით კახეთში, გახშირდა სტიქიური უბედურებები. სეტყვამ შარშანაც გაანადგურა ამ ბარაქიანი მხარის მოსავალი. სამწუხაროდ, შარშან მე უცხოეთში ვიყავი და ვერ შევძელი ხალხის დახმარება. საქმე ისაა, რომ, ეს ყველა უბედურება წინაპრების წყევლის შედეგია და ამას მხოლოდ ლოცვა შველის. კახეთის მოსახლეობას განსაკუთრებით სჭირდება ეს, თუმცა ნებისმიერი სხვა რეგიონიდან მოსულ ადამიანებსაც დავეხმარები ლოცვით. ხელმისაწვდომ ფასად ვამზადებ თილისმას, რომელიც მოგიტანთ ხვავს, ბარაქას და მუდმივად დაიცავს თქვენს მოსავალს სტიქიისგან. ვხსნი ნევროზს, საგვარეულო წყევლას, შიშებს, ჯადოს, ბედის ჩაკეტვას...





ჩვენ კი რაიონიდან ნათიასთან ჩამოსულ პაციენტებს გავესაუბრეთ.

**ზაურ ქ-შვილი** *(ქუთაისი, 50 წლის):* გლეხი კაცი ვარ, ჩემს ბაღჩაში მოყვანილი მოსავლით გავდივართ ოჯახი იოლას, მაგრამ ზედიზედ რამდენიმე წელი სეტყვამ გამინადგურა მოსავალი. ჩემი მეუღლე დადიოდა ქალბატონ ნათიასთან, რადგან აწუხებდა ნევროზი, უძილობა... როცა ეს პრობლემები მოუხსნა, შარშან გაზაფხულზე მეც მივედი ნათიასთან და ვთხოვე, ბარაქაზე შეელოცა. მადლობა უფალს, მისმა ლოცვამ გაჭრა და რამდენიმე თვის მერე, მართლაც უხვი მოსავალი ავიღეთ. ქალბატონმა ნათიამ დამიმზადა თილისმა, რომელიც ყოველთვის დაგვიცავს ყველანაირი უბედურებისგან. გადაწყვეტილი მაქვს, ყოველ სეზონზე მოვიდე ნათიასთან, რადგან ეს ქალბატონი სასწაულებს ახდენს.

**ბონდო დ-ია** *(60 წლის, ზუგდიდი):* ლოცვა თუ სტიქიურ უბედურებას შეაჩერებდა, ამას როგორ წარმოვიდგენდი. შარშანს მერე, რაც ქალბატონ ნათიასთან დავდივარ, საგვარეულო წყევლა მოგვეხსნა და ფაქტია, ხვავი და ბარაქა არ მოჰკლებია ჩვენს ოჯახს. ულრმესი მადლობა ქალბატონ ნათიას.

**ჩაწერა ხდება ტელეფონზე: 599-98-74-25, 514-45-18-81. skype_bulvarzelioni**

(მე-10 გვერდიდან)

ანტიკორუფციული ბიუროს შექმნა. საბოლოოდ, გამოვიდა, რომ ერთადერთი კორუფციონერი უმაღლესი რანგის მოხელე, ედუარდ შევარდნაძე გვყოლია, რომელმაც მისივე შექმნილი ანტიკორუფციული სახელმწიფო სტრუქტურებით დაიწყო საკუთარი თავის წინააღმდეგ ბრძოლა. ახლა კი ახალი უცნაურობა გვქონდა. დაგროვდა „ანტინაციონალური“ განწყობა. რა საშინელებაა, ხვდებით?! ვამბობთ – ანტინაციონალური. ამ სახელს ჩანასახშივე ჰქონდა ორმაგი შინაარსობრივი დატვირთვა. ნაციონალური მოძრაობა დასავლელისთვის ნიშნავს სახელმწიფოებრივ მოძრაობას, ქართველისთვის კი ეროვნულ მოძრაობას. ამათ გათვალეს ასე – დასავლელები გაიგებენ როგორც სახელმწიფოებრივს, ქართველები როგორც ეროვნულს და ამ მესიჯის ორივე შინაარსი მშვენივრად იმუშავებსო და იმუშავა კიდეც. დღეს რომ მათი მეტამორფოზა მოხდა ეროვნულებად, ეს ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდათ გათვლილი. მაშინაც ამაზე წამოეგო ხალხი. ახლა კი, რადგან რებრენდინგი უნდათ, სახელი პირდაპირ თარგმნეს – აი, ასეა. მაგრამ, მთავარი ის არის, რომ თუ ჩვენ ამ რეჟიმში დავრჩით, ნებისმიერი პოლიტიკოსი აქეთ წაგვიყვანს. ახლა თავისუფალი ვარდნის რეჟიმი გვაქვს, თავისუფალი ვარდნიდან ფრენა ძნელადაა შესაძლებელი...

# საქართველოსთვის რა უცნაური ტექნოლოგიით მოახერხა ბიძინა ივანიშვილმა ფიარგადატრიალება



**ძნელი დასაჯერებელია, რომ ივანიშვილმა ვერ მონახა რამდენიმე ნიჭიერი ფილოლოგი, რომ იდეალურად აეწყო წერილი. მაგრამ ამ წერილის „ხალხურობით“ მოახერხა, მთელი საზოგადოება იმწუთას მისკენ მიბრუნებულიყო**

**– ახლა რა სიტუაციაა სახელმწიფოებრივ ფიარში?**

– სახელმწიფო ფიარს ჯიარს ეძახიან. ოცნების ლიდერმა ნაციონალების პერიოდში არსებული ფიარის სრულიად ალტერნატიულ რეჟიმში გადაგვიყვანა. დიდი დოზით გამოიყენა სოციალური ქსელები. ფიარი გავლენის აგენტებითააწყო. ის ქართულ პოლიტიკაში არაჩვეულებრივად დახვეწილი ინფორმაციული ტექნოლოგიით შემოვიდა. პირველად სწორედ „იმედის“ ეთერში, ნანუკას შოუში, ყველაზე უფრო რეიტინგულ ნაციონალურ არხზე, მაღალრეიტინგულ გადაცემაში გამოჩნდა მისი შვილი. ბერას სწორედ ის ენერგეტიკა აქვს, რომელიც ქართველმა იოლად აიტაცა. მით უფრო, რომ მან აქცენტები ძალზე გულწრფელად გააკეთა ოჯახზე, დედისა და მამის სიყვარულსა და პატივისცემაზე, მატდამი მოწიწებაზე. ოჯახი კი საქართველოში ერთ-ერთი უმთავრესი ღირებულებაა. ივანიშვილმა უცნაურად გაარღვია „მიშას ფიარი“. აბა, გაიხსენეთ – არსებობდა „მითოლოგიური“ ფიგურა, რომელზეც მხოლოდ ჭორად თუ გავიგებდით რამეს – ის სრულიად ვუალიზებული ფიგურა გახლდათ. მხოლოდ წვეთ-წვეთად, კეთილი ხმები მოგვდიოდა მისი ქველმოქმედების შესახებ. მერე გამოჩნდა მისი პირველი ეპისტოლე, სრულიად არატრადიციული რამ სააკაშვილის პოლიტიკური პროპაგანდის მექანიზმებში. წერილი თითქოს არა მხოლოდ გაუმართავი ქართულით იყო დაწერილი, საერთოდ არ ჰქონდა სტრუქტურა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ივანიშვილმა ვერ მონახა რამდენიმე ნიჭიერი ფილოლოგი, რომ იდეალურად აეწყო წერილი. მაგრამ, ამ წერილის „ხალხურობით“ მოახერხა, რომ მთელი საზოგადოება იმწუთას მისკენ მიბრუნებულიყო. ამ წერილის ფორმამ მოახერხა, რომ ნებისმიერი ადამიანის განხილვის საგნად ქცეულიყო. ეს უკვე შთამბეჭდავი იყო და მნიშვნელობა არ აქვს: ვინ აკრიტიკებდა და ვის მოსწონდა. ამ ბრიოლინით გადავარცხნილ, გაწკეპილ ქართულ პოლიტიკურ ფიარში წერილმა ქარიშხალი დაატრიალა.

**– ახლა რამდენად „ვბოლდებით“?**

– ჩემთვის სრულიად გასაგები იყო, თუ რა ინფორმაციული ტექნოლოგია მოიშველია ხელისუფლებაში მოსასვლელად, მაგრამ ახლა რით „ვბოლდებით“ და მხოლოდ ინერციით. კონკრეტული იდეოლოგიური მესიჯი ჯერ არ გვაქვს. თუ ვიტყვით; „ევროპული ღირებულებები“, ეს უკვე მიშამ თქვა და ეს სიახლე არ არის. თან, ნაციონალებმა მოახერხეს ევროპული ღირებულებების მიმართ ეჭვის გაჩენა. უმრავლესობამ არ იცის, რა არის ევროპული ღირებულება, მაგრამ იცის მიშა, რომელიც აღარ მოსწონს. ამიტომაც ამბობს, აღარ მინდა მიშა, მინდა ვინმე სხვა. მაგრამ, ამ ვინმე სხვისგან რა გვინდა, ან მას რა უნდა ჩვენგან, ჯერ ვერ გამიგია. მოკლედ, ვართ მხიარულად. ახლა მოვიდა ადამიანი, რომელიც ფიქრობდა, რომ თუ ქვეყანასა და საზოგადოებას ეკონომიკური ჩახუთულობისგან, ყელში წაჭერისგან გაათავისუფლებდა, შემოქმედებითი ნება გაცოცხლდებოდა საზოგადოებაში. რა თქმა უნდა, თითოეულ ადამიანზეა აქ ლაპარაკი.

**პოლიტიკას სამი რამ ქმნის – იდეა, ფული და კომუნიკაციები. აქედან ორი რომ ამ ადამიანს ნამდვილად ჰქონდა, ეს ვიცით**

პოლიტიკას სამი რამ ქმნის – იდეა, ფული და კომუნიკაციები. აქედან ორი რომ ამ ადამიანს ნამდვილად ჰქონდა, ეს ვიცით. და აი, რაც შეეხება იდეას, ვფიქრობ, მისი დამოკიდებულება ასეთია, ეკონომიკის გაუმჯობესებით მივცემ ქართველ ხალხს მეტ სივრცეს, რათა გავუცოცხლო შემოქმედებითი ნება. შეიძლება, მთლად ასეც არ არის და მინდა, ასე ვხედავდე.

**– ჭორების მანქანა როგორ მუშაობს?**

– ძალიან კარგად, საქართველოში ყველაზე კარგად.

**– და ამ მანქანის ამუშავება, ალბათ, უფრო გააადვილა სოციალურმა ქსელებმა. ადრე თუ სოფლის ბირჟაზე ერთი იტყოდა და ყველა აიტაცებდა, ახლა ერთი სტატუსი ან ვიდეო, საკმარისია ჭორის ელვის სისწრაფით გასავრცელებლად. „კაგებეშნიკები“ აღარ არიან საჭირო.**

– არა, რა თქმა უნდა, სოციალური ქსელი ბუნებრივად, ორგანულად არის „კაგებე“, სადაც ჩვენი ნებით ვყვებით ყველაფერს. ეს არის ნამდვილი ბირჟა, სოციალური ბირჟა, გაცილებით უფრო მასშტაბური, ვიდრე სოფლისაა. ეს გახლავთ ურბანული ბირჟა, სადაც საკუთარი ფოტოებით თავი მოგვწონს, ყვავილებს ვდებთ, ბიჭუნებისა და გოგონების ფოტოებს და საკუთარი ნებით ვბირჟაობთ. მეც კი, რომელმაც ზუსტად ვიცი, ჩემი დრო ამას არ უნდა მივუძღვნა, უკანასკნელ ხანებში მხოლოდ „ფეისბუქიდან“ ვიღებ ინფორმაციას. დასავლეთში ამის შესახებ უამრავი თეორია არსებობს – ჩვენ უკვე ქსელურ ადამიანებს გვეძახიან. მეცნიერები განიცდიან, რომ ეს გზა ტაძრამდე ვერ მიგვიყვანსო, მაგრამ უკვე ჩამოვყალიბდით ქსელურ ადამიანებად. მოდი, ერთ მეტაფორას გამოვიყენებ, რას ნიშნავს, კედელი – „ვოლი“, როგორც სოციალური ქსელის მომხმარებელი იტყოდა. ის ნიშნავს რაღაცის შეზღუდვას, ჩარჩოს. ჰოდა, ამ კედლიდან ველარ გააღწევ. სულ ამ საკუთარ კედელს ასკდები და მაინც ვერ გაგიღწევია იქიდან. კედლის წაკითხვა კი ძალიან იოლია, როგორც გინდა დაშიფრული და დაკეტილი მქონდეს ის. ეს კონფიდენციალურობაც მხოლოდ საკუთარი კედლის მიმართ ინტერესის გაზრდისთვის მჭირდება. სერიოზული მეტაფორაა კედელი და ქსელი – კედლების ქსელი. ამ კედლების ქსელში ჭორის გავრცელება უადვილესია. ჭორი როდის მუშაობს? – როცა საქმე არ გაქვს. ჩვენი განათლების დეფიციტის პირობებში არ გვაქვს ინსტენციები საკუთარ თავზე, ამიტომ გვინდა, ან ამერიკელს ვგავდეთ, ან ევროპელს, ან რუსს, ან ჩინელს. წარმოუდგენლად დიდი დრო გვაქვს, რომელიც ჩვენით არ არის სავსე. აქ და ახლა არ ვარ, სამაგიეროდ, დიდი ამბიციებით ვცხოვრობთ.

ძალიან გადავუხვიეთ თემიდან, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა, დედამიწიდან შეიძლება ამოვვარდეთ თუ ენას არ გავუფრთხილდებით. იმ ენას, რომელზეც, ვთქვათ, თუნდაც „ფიარი“ უნდა ავაგოთ. არაერთხელ მომისმენია იგივე „კრეატიული ტიპებისგან“, ვინც ფიარზე მუშაობს, რომ ჩვენი ენა მესიჯებს ვერ გუობსო. ჩვენს ენაში ისეთი აფორიზმები და ანდაზებია, როგორ შეიძლება, „ენა მოგიბრუნდეს“ და ამ ენაზე თქვა, მოქნილი არ არისო. უბრალოდ, ჩვენ შეიძლება, ამ ენის მიმართ ისე დავკარგოთ მგრძნობელობა, რომ მისი დახმარებით შემოქმედებითი ველარაფერი გააკეთო. მერაბ მამარდაშვილი ამბობდა: იმიტომ მჭირდება ჩემი ენა, რომ საზრისები ამოვთქვა ამ ენაზე, თორემ საზრისები თავისთავად ისედაც რომ არსებობს, მშვენივრად ვიცითო.

**სალომე გველესიანი**

**ცნობილ პარაფსიქოლოგ დალი ავაგუმაშვილს უამრავი ადამიანი ემადლიერება. მასთან დახმარების სათხოვნელად ხალხი უცხოეთიდან ჩამოდის. ლოცვით ის ნამდვილ სასწაულებს ახდენს. ქალბატონ დალისთან ხშირად მიდიან ცნობილი სახეები და ბიზნესმენები, რათა მიღწეული წარმატება შეინარჩუნონ. იგი ეხმარება ღრმა დეპრესიაში ჩავარდნილ, ნევროზით დაავადებულ და ოჯახური პრობლემებით თავმობეზრებულ ადამიანებს.**

# აურის დაბინძურება ხელს უშლის ადამიანს წარმატებისა და ბედნიერების მიღწევაში

**– ქალბატონო დალი, თქვენმა პაციენტებმა მითხრეს, რომ სიზმარში გნახეს და ისე მოვიდნენ დახმარების სათხოვნელად. მართალია?**

– არცთუ იშვიათად, უცნობ ადამიანებს, მათ, ვისაც ჩემი დახმარება სჭირდებათ, მართლაც ვესიზმრები მე ან სხვა, ვინც ურჩევს – დალისთან მიდი და გეშველებაო. თვითონვე უკვირთ ხოლმე, მაგრამ, ფაქტი ფაქტად რჩება.

**– თქვენთან ხალხი უცხოეთიდანაც ჩამოდის. რით ეხმარებით მათ?**

– სხვადასხვა სახის პრობლემები აწუხებთ, მაგრამ, აქედან უკმაყოფილო არავინ მიდის. ზოგს ოჯახური პრობლემების მოგვარება სურს, ზოგსაც – დეპრესიისა ან ნევროზისგან განკურნება, შიშის დაძლევა და ასე შემდეგ.

**– თქვენთან საკმაოდ ხშირად მოდიან ბიზნესმენები. ზოგიერთ მათგანს პირადად ვიცნობ და ვიცი, რომ თქვენი კონსულტაციის გარეშე ნაბიჯს არ დგამენ...**

– უცხოეთში ნებისმიერ ბიზნესმენს კონსულტანტად ჩემნაირი ადამიანი ჰყავს. ამა თუ იმ საქმის წამოწყების დროს მისგან იღებს კვალიფიციურ რჩევას და ისე მოქმედებს, რათა სარფიანად დააბანდოს კაპიტალი და მოგება ნახოს. სხვათა შორის, ეს წელი საშუალო და მცირე ბიზნესისთვის ხელსაყრელი პერიოდია. მაგრამ, აურის დაბინძურება ადამიანს ხელს უშლის წარმატების მიღწევაში. ნეგატიური მუხტის დაგროვება შესაძლებელია ნებისმიერ დროს, ამისგან არავინაა დაზღვეული, ასე რომ, პერიოდულად ბიზნესმენებსაც სჭირდებათ აურის გასუფთავება, განსაკუთრებით – მნიშვნელოვანი გარიგების წინ.

**– ქალბატონო დალი, იმის გამო, რომ თქვენ მიერ გაკეთებული პროგნოზები თითქმის ყოველთვის მართლდება, ზოგს მკითხავი ან ნათელმხილველი ჰგონიხართ...**

– მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ საგანგებოდ მითქვამს ინტერვიუებში, ზოგიერთები კვლავაც მირეკავენ და მთხოვენ, გვიმკითხავეთო. ვიმეორებ: მე არც მკითხავი ვარ და არც ნათელმხილველი, შეკვეთით ვერაფერს ვეტყვი. ინფორმაციას უფლის კარნახით ვიღებ – როდის ან რის შესახებ, ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული.

**– ავსულთაგან შეპყრობილებს თუ შველით?**

– წლების განმავლობაში უამრავი ადამიანი გავათავისუფლე ავსულებისგან... ერთი შემთხვევა გამახსენდა: მეუღლემ და დედამთილმა ახალგაზრდა ქალი, ორი მცირეწლოვანი შვილის დედა ჩამომიყვანეს რაიონიდან. უხილავი ეშმა უმოწყალოდ სცემდა საბრალოს, სახეს უკაწრავდა – ლოყებზე ბრჭყალების სისხლიან კვალს უტოვებდა. ოჯახის წევრები ვერ მიხვდნენ, რაში იყო საქმე და ფსიქიატრთან წაიყვანეს.

**– რა თქვა ექიმმა?**

– თავის პაციენტად ჩათვალა და დედამთილს ურჩია, ფრჩხილები ძირში დააჭერით, ლოყები რომ არ დაიკაწროსო. ექიმის რჩევა გაითვალისწინეს და მართლაც ძირში დააჭრეს ფრჩხილები, მაგრამ, ლოყებზე სამ-სამ ზოლად ისევ გაუჩნდა ნაკაწრები. მაშინღა მიხვდნენ, რომ არ ტყუოდა და მე ჩამომიყვანეს. შეპყრობილი უფლის შეწევნითა და ლოცვის ძალით გავათავისუფლე ავსულისგან. ქალმა შვებით ამოისუნთქა, დაწყნარდა, ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდა.

**– რატომ უფუჭდებათ ხასიათი ადამიანებს? ზოგს გუნება-განწყობა დღეში რამდენჯერმე ეცვლება...**

– მიზეზი აურის უკიდურესი დაბინძურებაა. ადამიანს სახეზეც ეტყობა ხოლმე, რომ შავბნელი აზრები აწუხებს, აკვიატებული ფიქრები არ ასვენებს, რაც მას წარმატებისა და ბედნიერების მიღწევაში ხელს უშლის. ლოცვის ძალით უამრავი ამგვარი პაციენტისთვის მიმიცია შვება. აურის გაწმენდით გვარდება, ასევე, ოჯახური კონფლიქტები, იკურნება დე-



პრესია და ნევროზი, არაჩვეულებრივი შედეგები მაქვს. საერთოდ, ფსიქოლოგიურ კრიზისს – დეპრესიას სტრესსა და ცხოვრებისეულ სიძნელეებს რომ გაუმკლავდეთ, ლოცვით უნდა გაიძლიეროთ ენერგეტიკა, რადგან, ნეგატიური ინფორმაციის ზემოქმედება საგრძნობლად ზრდის ავესტიკურ დაავადებათა ალბათობას.

**– რა არის ავესტიკური დაავადება?**

– ნეგატიური პროგრამების ზემოქმედებით აურა ბინძურდება და უარყოფითი ინფორმაცია დროთა განმავლობაში ფიზიკურ სხეულზეც გადადის, აზიანებს ორგანოებს და სხვადასხვა დაავადების გამომწვევი მიზეზი ხდება.

***დალი ავაგუმაშვილის ყოფილი პაციენტები:***

**ერეკლე ვ-ძე**: 15 წლის წინ უმუშევარი დავრჩი და საკუთარი საქმე წამოვიწყე, მოკლედ, ბიზნესმენი გავხდი. ბედს არ ვემდუროდი, ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ, მოულოდნელად, მარცხი მარცხზე განვიცადე და ზარალმა მძიმე მდგომარეობაში ჩამაგდო. პარტნიორებთან ურთიერთობა დამეძაბა. სტრესმა და ნერვიულობამ ლამის გამაგიჟა. ოჯახის წევრები ველარ მცნობდნენ, საშინელ დღეში ვაგდებდი ცოლ-შვილს, კინაღამ ოჯახი დამენგრა.

**– ვინ გირჩიათ ქალბატონ დალისთან მისვლა?**

– ჩემმა დამ მოიწადინა... მაგ ადამიანზე ლეგენდებს ყვებიანო, – მითხრა და ძალით წამიყვანა. პირადად მე ნამდვილად არ მჯეროდა, რომ მდგომარეობიდან გამომიყვანდა, მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო.

**– ახლა კმაყოფილი ხართ?**

– ქალბატონმა დალიმ სასწაული მოახდინა – აღარც ნევროზი მაქვს, არც დეპრესია, ცოლს შევურიგდი და ბიზნესიც ავაღორძინე, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდი ამ ღვთისნიერ ადამიანს. მას შემდეგ ქალბატონი დალი ჩემი ბიზნესკონსულტანტია, მისი რჩევის გარეშე ხელშეკრულებას აღარავისთან ვდებ. გარდა ამისა, პერიოდულად აურის გასაწმენდადაც მივდივარ, რათა ფორტუნა კვლავ არ შემომიწყრეს.

**მეგი ლ-შვილი:** ქალბატონ დალისთან დახმარების სათხოვნელად უცხოეთიდან ჩამოვედი.

**– თქვენ საიდანღა შეიტყვეთ მის შესახებ?**

– საბერძნეთიდან ნათესავებს ხშირად ვურეკავ ხოლმე. როცა ჩემი გასაჭირი მულს შევჩივლე, ქალბატონ დალისთან მისვლა მირჩია.

**– სპეციალურად ჩამოხვედით?**

– დიახ... ძალიან ცუდად ვიყავი.

**– ექიმთან არ მიხვედით?**

– მივედი, მაგრამ, დიაგნოზი ვერ დამისვეს. ორგანული პათოლოგია არ აღმომაჩნდა, პრაქტიკულად ჯანმრთელი ხარო, – მითხრეს.

**– რა გაწუხებდათ?**

– ენერგიისგან დაცლილს აღარაფრის თავი არ მქონდა. საკუთარ ნაჭუჭში ჩავიკეტე, სიცოცხლე მომბეზრდა, ადამიანებთან კონტაქტი მიმძიმდა. სიხარულის შეგრძნება დავკარგე, მოკლედ, ძალიან ცუდად ვიყავი.

**– ამჟამად როგორ გრძნობთ თავს?**

– ქალბატონმა დალიმ სხვა ადამიანად მაქცია, უფლისკენ შემომაბრუნა, რწმენაში გამაძლიერა. ენერგია საგრძნობლად მომემატა, სიცოცხლის ხალისი დამიბრუნდა, რისთვისაც გულით ვლოცავ და უღრმეს მადლობას ვუხდი. დალი რომ არა, ალბათ, ჭკუიდან შევიშლებოდი.

***P. S. გაითვალისწინეთ, ქალბატონი დალი ჩაწერის გარეშე არავის იღებს. მსურველებს შეგიძლიათ, ჩასაწერად დარეკოთ ყოველდღე, დილის 8 საათიდან 16 საათამდე (უფრო გვიან ნუ დარეკავთ), კვირის გარდა. საკონტაქტო ტელეფონები: 599-10-73-06, 599-05-75-00, 790-96-79-00, 593-17-51-17, 551-40-20-80, 296-79-00.***

**შუადღის შოუებში დიდი კონკურენციაა. ტელეკომპანია „იმედმა“ ახალი თოქ-შოუ „იმედის დღე“ დაიწყო, რომლის რამდენიმეთვიანი ქასთინგის შედეგად შერჩეულ წამყვანებთან პირველი ინტერვიუც ჩავწერეთ. ზურა მანჯავიძე, ორი არაჩვეულებრივი ქალბატონის – ნინუცა მუკნიაშვილისა და ანუნა ბუკიას გვერდით, თავს მშვენივრად გრძნობს და როგორც თავად ამბობს, ნელ-ნელა ფეხს უწყობს მასზე გამოცდილ წამყვანებს.**

# რატომ ვერ გრძნობს თავს თამამად ზურა მანჯავიძე გოგოებთან და რისი ეშინია მას



**ანუნა: „რომ ამბობენ, რაც ცუდად იწყება ის კარგად გრძელდებაო, ჩვენ შემთხვევაში გაამართლა“**

**ანუნა ბუკია**: წამყვანების შერჩევის საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი გავიარეთ. თებერვალში ვიყავი პირველ ეტაპზე და აი, მაისში დავიწყეთ შოუ. ტელევიზიაში საპროდიუსერო პროექტები შემოვიტანე და მათთან ერთად, ჩემი რეზიუმეც დავტოვე. აღმოჩნდა, რომ ვილაცამ გადაწყვიტა, ეკრანზეც საინტერესო ვიქნებოდი, დამირეკეს და მითხრეს ქასთინგზე მობრძანდითო. ძალიან გამიკვირდა, რადგან წამყვანის ქასთინგისთვის რეზიუმე, ზუსტად მახსოვს, გაგზავნილი არ მქონია. ერთი სიტყვით სამიათასი მსურველიდან შეირჩა სამასი, სამასიდან – ორმოცდაათი და იმ ორმოცდაათიდან – ჩვენ სამი.

**ნინუცა მუკნიაშვილი**: ანუნასავით ხანგრძლივი პროცესი მე არ გამივლია. „იმედი“ ჩემი მშობლიური ტელევიზიაა და რომ მეკითხებიან, რას აკეთებო, ვპასუხობ „იმედმა“ ჩემი გული დაიბრუნა-მეთქი. ამ არხზე გადაცემები მიკეთებია, ხან კადრში ვიყავი, ხან კადრს მიღმა. ჩემს კოლეგებს, სადღაც ბოლოსკენ შემოვუერთდი. დამირეკეს, რომ შუადღის ეთერის გადაცემისთვის წამყვანებს ეძებდნენ. მხოლოდ თემა ვიცოდი. ორი ქასთინგის შემდეგ უკვე ერთად დავსხედით, გავიარეთ რაღაც მომენტები და ოთხდღიანი პაუზის შემდეგ, მირეკავენ, დამტკიცებული ხარო. თუმცა, „იმედში“ ჩემმა მეგობრებმა მითხრეს, ჩვენ ვიცოდით, ასე რომ გადაწყდებოდა, შენ სულ პლუსები გეწერაო... სად და რატომ მეწერა პლუსები, არ ვიცი, მაგრამ აღმოჩნდა, მათ ჩემზე ადრე სცოდნიათ ეს ამბავი.

**ზურა**: ჩემს შეთხვევაში საქმე მარტივად იყო – კაცი მყავს მთავრობაში, მან დარეკა და ამიყვანეს ***(იცინიან).*** ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. „იმედთან“ ჩემი განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა დიდი ხნის წინ დაიწყო. მაშინ „იმედის ტალღის“ წამყვანი ვიყავი. საკმაოდ საპასუხისმგებლო იყო ,,იმედის ტალღა” და უფრო მეტი პასუხისმგებლობაა ახლა ეს გადაცემა, რომელიც პირდაპირ ეთერში მიგვყავს.

**– თან, ერთია მუსიკალური გადაცემა და მეორე – უკვე თოქ-შოუ, სადაც უამრავ თემაზე მოგიწევს საუბარი.**

– რა თქმა უნდა. ალბათ, სამი თვე მაინც დამჭირდება იმისთვის, მივხვდე, წარმატებით ვართმევ ამ ყველაფერს თავს თუ ვერა. სადღაც სეზონის დამთავრებისთვის, მეცოდინება, სწორ გზაზე დავდექი თუ არა. საკუთარი თავის მიმართ ძალიან კრიტიკული ვარ, თან, როცა საქმე ისეთ სფეროს ეხება, ჩემი პირდაპირი პროფესია რომ არ არის. ერთი სიტყვით, ქასთინგები მეც გავიარე. ჯერ დილის გადაცემაზე იყო საუბარი, სადაც თითქმის უკვე დამტკიცებული ვიყავი, მაგრამ საბოლოოდ, მე ვთქვი უარი. მივხვდი, ამ რეჟიმში მუშაობა ჩემი ორგანიზმის სრულ გაუბედურებას გამოიწვევდა. მერე უკვე დღის ეთერზე დაიწყო ლაპარაკი და ასე მოვხვდი აქ. ჯერჯერობით, მაქვს შიში...

**ანუნა**: ჩვენი თუ ეთერის?

**ზურა**: ვერც თქვენთან ვარ მთლად თამამად. ცოტა შიში მაქვს გოგოების, რადგან ძალიან კარგი წამყვანები არიან, ძალიან განათლებულები და სიღრმისეული ცოდნა აქვთ იმის შესახებ, რაზეც ეთერში ვსაუბრობთ და ვისაუბრებთ. საინტერესოა მათთან ურთიერთობა.

**– გადაცემა დაიწყო ძალიან სახალისო ორწუთიანი „ჰარლემ-შეიკით“, რომელიც „ფლეშმობისგან“ განსხვავებით, ჩვენთვის ახალი ხილია *(იცინიან).***

**ზურა**: ძალიან სასაცილო იყო, როდესაც „ჰარლემ შეიკის“ გაკეთების თემა წამოიჭრა და ვიკითხე, ეს რა არის-მეთქი, ანუნამ ძალიან სერიოზულად მიპასუხა: კორპორატიული ფლეშმობიო ***(იცინის).*** ძალიან დიდი მადლობა, ახლა გავიგე-მეთქი. ასეთი ამომწურავი პასუხი აქამდე არ მიმიღია.

**ანუნა**: ზურა სულ ჩხუბობს, აპროტესტებს ინგლისურ ტერმინებს, არ იცის, რა რას ნიშნავს ***(იცინიან).*** მივხვდით, რომ ჩვენთან ურთიერთობით ერთ თვეში ზურა უფასოდ შეისწავლის ინგლისურს, მიუხედავად იმისა, რომ ნინუცა სულ დაგვჩხავის – ენა ქართული, ენა ქართული, ნუ იყენებთ უცხო სიტყვებსო. ეს სწორი პოზიციაა, მაგრამ მაინც გვიწევს ინგლისური ტერმინების გამოყენება და ზურა ამას უფასოდ შეისწავლის.

**ნინუცა**: „ჰარლემ-შეიკი“ იყო თავისუფლების ხარისხთან დაკავშირებული ჩვენი გზავნილი. რადგან ვამბობთ, რომ ნებისმიერ თემაზე ვსაუბრობთ შეზღუდვების, ჩარჩოების გარეშე, ეს იყო ჩვენი თავისუფლების დემონსტრირება – ვთქვით, რომ ასეც შეგვიძლია ვიგიჟოთ. შეგვიძლია აკადემიურად ვისხდეთ და ვისაუბროთ, მაგრამ არის კიდევ სხვა მხარეც, რომელიც ჩვენს თავისუფლებაზე მეტყველებს. შეგვიძლია, პირდაპირ ეთერში დავაცემინოთ, სიტყვა დაგვავიწყდეს, ჩავარდნა გვქონდეს, აზრი დაგვეკარგოს... ჩვენც ადამიანები ვართ.

**ზურა**: დაცემინებაზე გამახსენდა, ეთერში გასვლამდე ორი დღით ადრე, ამივარდა ქრონიკული სლოკინი, რომელსაც ვერაფერი მოვუხერხე. სლოკინი კი არა გადაბჟირება მემართებოდა. მთელი დღე-ღამის განმავლობაში ასე ვიყავი. ისე ვინერვიულე, კინაღამ მოვკვდი. პირდაპირ ეთერში სლოკინი რომ ამივარდეს, რა უნდა ვქნა-მეთქი. დილით თვალი რომ გავახილე, შიშით ველოდებოდი დამასლოკინებს თუ არა-მეთქი. ***(იცინიან)*** მგონი, სამუდამოდ „აღმოვბრდღვენი“...

**– ერთმანეთს როგორ შეეწყვეთ? რამდენადაც ვიცი, ერთმანეთს არ იცნობდით.**

**ანუნა**: არც ისე მარტივად. თავიდან ქასთინგზე ამა თუ იმ თემაზე მე და ნინუცას ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული პოზიცია გვქონდა. ალბათ, დღეს რომ ერთად ვართ ეთერში, რაღაც პროცენტით ამის დამსახურებაცაა. არ ვიცნობდით ერთმანეთს და იყო ნიადაგის მოსინჯვის, გაცნობის ეტაპები. ნელ-ნელა ვერგებით ერთმანეთს, რეპეტიციებზე ყოველი დღე სულ უფრო უკეთესად წავიდა და კმაყოფილები ვიყავით. პირდაპირ ეთერს თავისი დაძაბულობა ახლავს, მაგრამ ესეც გაივლის. ზურას იუმორის, მუსიკალურობის, სიმსუბუქის დახმარებით, უფრო გავიხსენი და თავი შინაურულად ვიგრძენი. თავიდან ვფრთხილობდი. რომ ამბობენ, რაც ცუდად იწყება ის კარგად გრძელდებაო, ჩვენს შემთხვევაში, გაამართლა.

**ანუნა: ,,ერთ თვეში ზურა უფასოდ შეისწავლის ინგლისურს, მიუხედავად იმისა, რომ ნინუცა სულ დაგვჩხავის: ენა ქართული, ენა ქართულიო“**

**ნინუცა**: პირველი შეხვედრის შემდეგ, გავიცანით ერთმანეთი, მოვითათბირეთ, დავთქვით შემდეგი შეხვედრის დრო და დავიშალეთ. ყველა რომ კარისკენ წავიდა, ძალიან აღშფოთებულმა ვთქვი, სად მიდიხართ-მეთქი. ეგრევე წასვლა ძალიან ცუდი ჟესტია ***(იცინიან).*** ტელევიზიაში დაუწერელი კანონია – არ შეიძლება სამსახურის დასრულების შემდეგ, ეგრევე სახლში წასვლა. როგორი დაღლილიც არ უნდა იყო, „იმედის“ ბუფეტში ყავა აუცილებლად უნდა დალიო.

**ზურა**: უსიტყვოდ დავემორჩილეთ ყველა.

**ნინუცა**: აღმოჩნდა, რომ ძირითადი ნაწილი ჩაის მოყვარულია, მაგრამ ყავის დასალევად ყველანი ერთად ჩავედით. ამ ტიპის კომუნიკაცია აუცილებელია.

**ანუნა**: ნინუცა „იმედის“ წესებს გვაჩვევს.

**– სამივე ძალიან აქტიურები ხართ, თუმცა ზურა იმაზე ნაკლები დოზით აქტიურობს, ვიდრე მისგან ველოდი...**

**ზურა**: ასეთი ტაქტიკა მაქვს ***(იცინიან).*** ქალბატონებს საუბრის საშუალება როცა აქვთ, იქ მამაკაცმა რატომ უნდა იაქტიუროს?! მოვერგეთ სიტუაციას. იმედია, მაყურებელიც მიგვიღებს მეგობრად და ჩვენთან ერთად გაატარებს შუადღეებს.

**სალომე გველესიანი**

**სოფო და ბორის ბედიებს განსაკუთრებული და სამაგალითი დაძმობა აქვთ. ერთმანეთზე ისეთი სიყვარულით და სითბოთი საუბრობენ, ერთი შეხედვაც საკმარისია, მიხვდე, რა ურთიერთობაც აქვთ. ბორისი სულ ახლახან დაბრუნდა კიევიდან, სადაც კონცერტებზე იყო მიწვეული და, როგორც თავად ამბობს, მას უცხოეთიდან არაერთი მიწვევა აქვს. წავა თუ არა და-ძმა სამშობლოდან შორს სამუშაოდ და რა სამომავლო გეგმები აქვთ მათ, ამაზე თავად მოგვიყვებიან.**

# როდის ხდება სოფო ბედიას „ჩაქრობა“ ძნელი და რატომ გაატარებს ის მომავალ რძალს რენტგენზე

**ბორის ბედია**: ახლახან ჩამოვედი კიევიდან, შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ და იმედია, მალე კიდევ მომიწევს წასვლა. შემოთავაზებები უკვე მაქვს და ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს. კორპორატიული ფირმები ხშირად აწყობენ პრეზენტაციებს, სამეგობრო წრეც მყავს და ასე რომ, ხშირად მიწევს კიევში ჩასვლა. ახლა მინდა, კონსერვატორიაში ჩავაბარო. ძირფესვიანად გამოვცვალე რეპერტუარი, წონაშიც საგრძნობლად დავიკელი, ფორმაში ჩავდექი და მინდა სხვა, სტილით დავდგე სცენაზე. დიდი გეგმები მაქვს და ამისთვის ბევრს ვშრომობ. ცოტა, იღბლიანიც ვარ. ვხუმრობ ხოლმე, ოპერის ცნობილი მომღერალი რომ გავხდები, სამეგრელოში გავხსნი ოპერისა და ბალეტის თეატრს, დავდგამ „აბესალომ და ეთერის“, მე აბესალომის პარტიას შევასრულებ, სოფო კი ეთერი იქნება. აი, მურმანს კი ვინ გარისკავს, არ ვიცი-მეთქი *(იცინის).*

**– მახსოვს, ადრეც აპირებდი უცხოეთში წასვლას, იქ ცხოვრებას და სასიმღერო კარიერის აწყობას.**

– დიახ, ეს ადრეც მინდოდა და როგორც კი შანსი მომეცემა, არ გავუშვებ ხელიდან. სულ გადასახლებას არ ვაპირებ, მაგრამ წასვლას ნამდვილად ვგეგმავ. საოპერო კუთხით მინდა კარიერის აწყობა, ამ მხრივ კი, საუკეთესო ქვეყნებს ავირჩევ. თუ დაკონკრეტება გინდათ, ვუმიზნებ ამერიკას, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიას. საქართველოში კარგი საოპერო სკოლა გვაქვს, საუკეთესო პედაგოგები გვყავს და აქ მინდა, მასტერ-კლასები გავიარო. შემდეგ კი უცხოეთში წავიდე სამუშაოდ.

**– სოფო, დიდი ხანია, დისკის ჩაწერა გინდა. ამ მხრივ შენკენ თუ არის სიახლეები?**

– მეც ვშრომობ, ვმუშაობ, რამდენიმე ახალი სიმღერა ჩავწერე და იმედია, მალე მეღირსება ჩემი დისკი. სხვათა შორის, მეც ძალიან ბევრი შემოთავაზება მქონდა უცხოეთიდან. ორი თვის წინ ლონდონიდან მივიღე მოწვევა. ქართული რესტორანი იხსნებოდა და იქ უნდა მემღერა. სერიოზულ ჰონორარს მპირდებოდნენ. თან, ლონდონში ტარდება მუსიკალური კონკურსი, სადაც უნდა გავსულიყავი და ბედი მეცადა. მეუბნებოდნენ, ამ კონკურსზე კარგი შანსი გაქვსო, მაგრამ, უარი ვთქვი. ექვსთვიან კონტრაქტზე უნდა მომეწერა ხელი, თუმცა ბავშვის გამო, ვერ წავედი. არ მინდა, მის გარეშე ერთი წამითაც რომ ვიყო, თორემ ის ექვსი თვე საერთოდ შეცვლიდა ჩემს ცხოვრებას. შეიძლება ვინმემ თქვას, ეს გოგო ვერ არის, მალე გავა ეს დრო და ასეთი შანსი ხელიდან როგორ გაუშვაო. მაგრამ, რა ვქნა, ნიკუშას გარეშე, ასე მგონია, ვერ ვისუნთქებ. თან, მეუღლესაც საბუთებზე პრობლემები შეექმნა და ვერ წამოვიდოდა. ასე რომ, ის ექვსი თვე ჩემთვის სამოცი წელი იქნებოდა და არ გავრისკე.

**– როგორც ვხვდები, თქვენი მეზობლობა რთულია. წარმოვიდგინე, ბორისი დილით არიას მღერის, სოფო კი თავის მაღალ ბგერებს იღებს.**

**ბორიკო**: დილით მამალივით ნამდვილად არ ვყივი *(იცინის),* დილაუთენია სიმღერა, მაინცადამაინც არ უხდება ყელს. ჯერ უნდა გაიმღერო და შუადღისკენ აუწიო ხმას. აი, სოფო კი სულ ღიღინებს.

**სოფო**: მე სამზარეულოში ვღიღინებ და ბორიკო კი, აბაზანაშიც მღერის. უნდა ნახოთ, კონტრასტული შხაპის დროს, როცა წყლის ტემპერატურა იცვლება, რა ხმებს უშვებს *(იცინის).*

**– სოფო, დები ხშირად ერევიან ძმების პირად ცხოვრებაში. თქვენთან როგორ არის საქმე?**

– მე, რასაკვირველია, კარგი გოგო მემეტება ბორიკოსთვის და, თუ დამიჯერებს და ჩემს აზრსაც გაითვალისწინებს, ხომ კარგი.

**ბორისი**: ახლა გაჩუმდი! ვინც გაჩვენე არავინ მოგეწონა და ბოლოს და ბოლოს, ბორისი ვარ ბედია, ალენ დელონი ხომ არ ვარ? ვხუმრობ ხოლმე, სმენა აუცილებლად უნდა ჰქონდეს, ფიზიკურად კი არ მინდა, სოფოს ჰგავდეს ჩემი ცოლი, ერთიც მეყოფა ასეთი-მეთქი *(იცინის).* სიმართლე გითხრათ, ჯერ არ მინდა ცოლის მოყვანა, მირჩევნია, კარიერა ავიწყო და მერე ვიფიქრო ოჯახის შექმნაზე.

**სოფო**: რომ ამბობ, მიწუნებს ყველასო, ქალი მამაკაცს ხომ უნდა ჯობდეს? ან მამაკაცთან „ნა რავნე“ ხომ უნდა იდგეს? ჰოდა, ასეთი ჯერ მე ვერ ვნახე. ჯერ რენტგენზე გავატარებ და მერე ვნახოთ *(იცინის).* ბორიკო, სულ ამბობს, მომღერალი ცოლი არ მინდაო, მე კიდევ ვეხუმრები, მთავარია, ექიმის დიპლომი ჰქონდეს – რომ დავბერდებით, ხომ გვინდა მომვლელი-მეთქი *(იცინის).*

## სოფო: „მე სამზარეულოში ვღიღინებ და ბორიკო კი, აბაზანაშიც მღერის

**ბორისი**: ველარ გავიგე, ცოლი ჩემი დისთვის მომყავს თუ ჩემთვის *(იცინის).* ერთ ამბავს გაგიმხელთ, მოკლედ, ერთი გოგო მომეწონა სიგიჟემდე. ძალიან სიმპათიური გოგონა იყო, მაგრამ სახლში რომ დამპატიჟა, ისეთი ყავა მომიხარშა, გამოვიქეცი *(იცინის).* დიეტაზე კი ვარ, მაგრამ, მეგრელი ვარ და ცოლმა სახლში მისულს გემრიელი საჭმელი ხომ უნდა დამახვედროს?!

**სოფო**: ვხუმრობ, ჩემო საყვარელო, თორემ ვინც შენ გეყვარება, მეც იმას შევიყვარებ. ვისთანაც ბედნიერი იქნები, მეც ის მეყვარება. თორემ, იმას რომ უყურო შენ, მე რამდენ ქალს კოჭს დავუწუნებ, ცხვირს თუ წელის ზომას, დიდხანს მოგიწევს ლოდინი *(იცინის).*

**ბორისი**: სოფო არის „მერწყული“, ანუ ჰაერის ნიშანი, მე კი „მორიელი“, ანუ – მიწის და ერთმანეთს ამიტომაც ვერ ვუგებთ ამ საკითხში. იცით, როგორი ხასიათი მაქვს? შეიძლება, უცებ გავბრაზდე, ავფეთქდე და მეორე წუთში ისე დავმშვიდდე, ვითომც არაფერი.

**– ესე იგი, შენ აფეთქებაც იცი?**

– თუ გამაბრაზეს და გამამწარეს, ავფეთქდები, აბა, რას ვიზამ? სოფოს კი შეუძლია,



**ბორიკო: „ოპერის ცნობილი მომღერალი რომ გავხდები, სამეგრელოში გავხსნი ოპერისა და ბალეტის თეატრს, დავდგამ „აბესალომ და ეთერს“. მე აბესალომის პარტიას შევასრულებ, სოფო კი ეთერი იქნება, აი, მურმანს კი ვინ გარისკავს, არ ვიცი“**

სიბრაზე და წყენა გადაყლაპოს, „გაატაროს“ და არ „აფეთქდეს“.

**სოფო**: დიახ, მე ჰაერის სტიქია ვარ, ჰაეროვანი, გულღია, თუმცა, თუ გადამიყვან ჭკუიდან, ისეთი „ცეცხლოვანი“ ვხდები, მტრისას, ჩემი „ჩაქრობა“ ძნელია. უსამართლობას ვერ ვიტან. ბორიკო კი მართალია, „მორიელია“, კბენაც უყვარს ხანდახან, მაგრამ შხამიანი არ არის *(იცინის).* ძალიან შრომისმოყვარეა, კეთილი და ერთგული. მე და ბორიკო, არა მარტო და-ძმა, მეგობრებიც ვართ, უახლოესი ადამიანები. მოკლედ, ჩვენ ძმაკაცები ვართ. სხვათა შორის, სანამ გავთხოვდებოდი, პირად ცხოვრებაზე ვერ ველაპარაკებოდი, ძალიან აზიატი იყო. ახლა ცოტა „შემობრუნდა“. მანამდე, ყოველ წუთს მითვლიდა, ყოველთვის იცოდა სად მივდიოდი, რომელ საათზე უნდა მივსულიყავი სახლში. ამ მხრივ სიმკაცრეს იჩენდა. ახლა ქმარს მიმაბარა და დამშვიდდა *(იცინის).*

**– ყველა ამბობს, რომ განსაკუთრებული დაძმობა გაქვთ. ერთმანეთი ძალიან გიყვართ და უფრთხილდებით. ბავშვობაშიც ასე იყავით, თუ როგორც ყველა და-ძმა ხშირად ჩხუბობდით?**

**სოფო**: ეს მორცხვი და წყნარი ბავშვი იყო, მე კი ძალიან აქტიური. ვამწარებდი ბორიკოს, ძალიან ცუდი გოგო ვიყავი *(იცინის).*

**ბორიკო**: სულ მეჯიბრებოდა და თავისი გაჰქონდა.

**სოფო**: მამალი ქალი ამიტომაც ვარ *(იცინის).*

**– ბორიკო, ამ ბოლო დროს სოფომ თამამად ჩაცმა დაიწყო. ამ მხრივ მკაცრი არ ხარ?**

– საერთოდ არ ვერევი სოფოს ჩაცმულობაში და არც ადრე ვერეოდი. მე რა უნდა ვუთხრა? თუ უხდება ჩაიცვას, რა პრობლემაა.

**სოფო**: არასდროს მცმია ისე, რომ ვინმეს შენიშვნა მოეცა. არც ჩემი ქმარი მიშლის თამამად ჩაცმას და არც სცენაზე დგომას. ყველანაირად გვერდით მიდგას ისიც და ბორიკოც.

**– ვისი ნიჭი დაგყვათ და-ძმას? ოჯახში ვინმე მღეროდა?**

**სოფო**: არავის გაჰკვირვებია ჩემი და ბორიკოს ამღერება, რადგან ჩვენს ოჯახში ყველა საოცრად მღეროდა. უბრალოდ, ჩვენი წინაპრები ძველ, ქართულ ხალხურ სიმღერებს ასრულებდნენ, მე და ბორიკო კი საესტრადო განხრით წავედით. დედა იმერელი გვყავს, შავგულიძის ქალი და ეტყობა, მეგრულ-იმერულმა სისხლმაც თავისი ქნა. თუმცა, იმერული ამპარტავნობა და ამბიციურობა არ გვახასიათებს, მეგრული სიფიცხე – კი ბატონო *(იცინის).*

**ნონა დათეშიძე**

# ბრძნული აზრები

**ჩაპეკი**: თქვენ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, თუ წინააღმდეგი ხართ, რადგან არაფერი არ გაქვთ?

**დემოკრიტე**: ყველაფრის ცოდნას ნუ შეეცდები, თორემ უმეცარი დარჩები.

**პლატონი**: ყოველგვარი სიბრძნის საფუძველია მოთმინება.

**შილერი**: ჭეშმარიტებას სულ არ აწუხებს, რომ იმას ვინმე არ აღიარებს.

**ნიცშე**: ქალს არ შეუძლია მეგობრობა, მხოლოდ სიყვარული იცის, რაც სიყვარულის იქითაა, იმის მიმართ ქალი განურჩეველია.

**რემარკი**: ვინც მეტისმეტად ხშირად იხედება უკან, იოლად წაჰკრავს რამეს ფეხს და დაეცემა.

**ცვაიგი**: ბედი ტრაგიკულ შემთხვევებში ახვევს დიდ ადამიანებს.

**ალიგიერი**: ყველაზე უფრო ბრძენი ის არის, ვისაც დროის დაკარგვა ყველაზე მეტად აღიზიანებს.

**ჯორდანო ბრუნო**: მხოლოდ თავისუფალი ადამიანია უშიშარი.

**ბეკონი**: რჩევის თხოვნა – უდიდესი ნდობაა, რაც შეიძლება კაცმა კაცის მიმართ გამოიჩინოს.

**ფილდინგი**: ჩვენ დღევანდელ სიძნელეებთან ბრძოლაში ვიყენებთ ზოგიერთ წამიერ უპირატესობას და არ ვიყურებით წინ.

**უაილდი**: მოწყენილობა არის სერიოზულობის ნაკლებობა.

**რაბლე**: ყოველი კაცი იმდენი ღირს, რამდენსაც თავს იფასებს.

**სტენდალი**: ადამიანი დედამიწაზე იმისთვის კი არ ცხოვრობს, რომ გამდიდრდეს, არამედ იმისთვის, რომ ბედნიერი იყოს!

**ნაპოლეონი**: ბრძოლის ველზე მალე ბერდებიან, მე კი იქიდან მოვდივარ.

**ფორდი**: კარგია, რომ ხალხს არ ესმის ჩვენი საბანკო და ფულადი სისტემა. რომ ესმოდეთ, ხვალ დილამდე რევოლუცია მოხდებოდა.

**როტშილდი**: ნება მომეცით დავბეჭდო და ვაკონტროლო სახელმწიფოს ფული და მერე აღარც კი დამაინტერესებს, ვინ წერს კანონებს.

**ტოლსტოი**: ცოდნა იარაღია და არა მიზანი.

**ოუენი**: შეაერთეთ ცოდნა და შრომა. მიეცით ცოდნა იმ ადამიანებს, რომლებიც საჭიროების მიხედვით მიიღებენ მისგან ყოველგვარ პრაქტიკულ სარგებლობას და თქვენ დაინახავთ, რომ ქვეყნისა და ხალხის სიმდიდრე არნახული სიჩქარით გაიზრდება.

**ჩერნიშევსკი**: თუ დასაშვებია სიცილი ცარიელ ადამიანებზე, მაშინ, ალბათ, დასაშვებია სიცილი ცარიელ წიგნებზეც... თუ დასაშვებია თქმა: „არ ღირს უსარგებლო ლაპარაკის დაწყება ან მოსმენა“, მაშინ, ალბათ, დასაშვებია თქმა: „არ ღირს უსარგებლო წიგნების წერა და კითხვა“.

**დიუმა**: ნაწარმოებებს, რომლებსაც კითხულობენ, აქვს აწმყო, ნაწარმოებებს, რომლებსაც ბევრჯერ გადაიკითხავენ, აქვს მომავალი.

**ბრიუიერი**: ცოტაა ამქვეყნად ისეთი ქალი, რომელიც დღეში ერთხელ მაინც არ მისცემდა ქმარს იმის საბაბს, რომ დაქორწინება ენანა და უცოლოების ხვედრი შეშურებოდა.

**როსტანი**: მამაკაცი ისე იქცევა ქალთან, როგორც ქიმიკოსი თავის ლაბორატორიაში – აკვირდება გაუგებარ პროცესებს, რომლებიც თავადვე გამოიწვია.

# თუ გაგვიცნობთ

1. ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში არსებობდა მიმდინარეობა, რომლის წარმომადგენლები ადამიანებს მოუწოდებდნენ, უარი ეთქვათ ამქვეყნიურ სიკეთეზე. მათ მიაჩნდათ, რომ აუცილებელია ასკეტიზმი და ცხოვრებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება. ეს ცნება დღესაც არსებობს, მაგრამ ჩვენ მასში სხვა, ნეგატიურ აზრს ვდებთ. **რა ერქვა ასეთ ხალხს?**

2. ყველასთვის ცნობილ თავისუფლების ქანდაკებას ცალ ხელში წიგნი უჭირავს, მასზე ორი თარიღი წერია – ერთი, რა თქმა უნდა, 1776 წლის 4 ივლისია – ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციის დღე. **დაასახელეთ მეორე თარიღი.**

3. როცა ალექსანდრე ფლემინგს პენიცილინის გამოგონებისთვის ნობელის პრემია მიანიჭეს, მან ჟურნალისტებს უთხრა, რომ დიდხანს ელოდა ისეთ შემთხვევას, რომელიც ახალი წამლის სარგებლობას პრაქტიკულად დაამტკიცებდა. **რა იყო ეს შემთხვევა?**

4. მხატვარი პაოლო კალიარი იტალიის ერთ-ერთ ქალაქში დაიბადა. სწორედ მისი სახელწოდება აირჩია მან ფსევდონიმად. **დაასახელეთ ქალაქი.**

5. ისლამის მოციქული – მუჰამედი ქალებისადმი სიყვარულით გამოირჩეოდა. ეს სისუსტე მას 30-წლიანი პატიოსანი ცხოვრებით და ლოცვებით აქვს გამოსყიდული. გადმოცემის მიხედვით, მას ასე უთქვამს: „მიწიერ ცხოვრებაში ყველაზე მეტად მიყვარდა ქალები და ნაზი სურნელებანი, **მაგრამ ჭეშმარიტ სიამოვნებას მანიჭებდა მხოლოდ ...“**

6. 500 წლის წინათ კუნძულ შრი-ლანკაზე აშენდა ტაძარი. აგური, რისგანაც ის არის აგებული, განსაკუთრებით გამძლეა, იმიტომ, რომ ხსნარში, რითაც აგურს ამზადებენ, შედის ერთი ძალიან გავრცელებული, მაგრამ მშენებლობისთვის უცხო ნივთიერება. **რა?**

7. ამ პატარა კუნძულის თავისებურებაა ის, რომ ერთდროულად მდებარეობს დასავლეთ, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ნახევარსფეროებში. მას ეწოდება ცნობილი რუსი მეზღვაურის სახელი. **ვისი?**

8. მეათე-მეცამეტე საუკუნეებში არსებობდა ერთი სახელმწიფო რომლის ოფიციალური ენები იყო ლათინური, ბერძნული და არაბული. **სად მდებარეობდა ის?**

9. მაშინაც კი, როდესაც ეგვიპტური იეროგლიფებით დაიწყეს გარკვეული ბგერების აღნიშვნა, სიტყვებში ბგერები არ ემთხვეოდა იეროგლიფების რაოდენობას და ნაკლები იყო (სწორედ ამ სისტემის მიხედვით შეიქმნა სტენოგრაფია). **როგორ დაიწერებოდა თვითონ სიტყვა „იეროგლიფი“?**

10. ეს სიტყვა 1965 წელს გაჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო წრეებში ვიეტნამის ომთან დაკავშირებით. ამჟამად, ამ სიტყვას ხშირად იყენებენ იმ ქვეყნებში მიმდინარე პროცესების დასახასიათებლად, როცა სურთ აღნიშნონ აგრესიის განუხრელი გაფართოებისა და გაძლიერების სტრატეგია. **რა სიტყვაა ეს?**

*პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე*

# მხოლოდ ფაქტები

* მაგმა ბერძნულად „ცომს“ ნიშნავს.

* ცნობილი მეცნიერი ტორიჩელი ხელმოკლეობის გამო ძვირად ღირებული ცდების ჩატარებას თვითონ ვერ ახერხებდა, მეცნიერის ხელმძღვანელობით ამას მისი მოსწავლე გრაფი ვივიანი ასრულებდა.

* ავტომობილების ცნობილ ფირმა „იაგუარს“ ადრე SWALLOW – მერცხალი ერქვა.

* რუმინეთში გამოიგონეს ყალბი ფულის ამომცნობი აპარატი, რომელიც ნამდვილ ბანკნოტს ყალბისგან შრიალის მიხედვით განასხვავებს.

* თერძის, ტექნიკური, სამედიცინო მაკრატლების გარდა არსებობს კულინარიული – თოხლოდ მოხარშული კვერცხის თავის მოსაჭრელი მაკრატელი.

* ამერიკელმა ლაიონმა დააპატენტა დანადგარი, რომლისგანაც გამოსროლილ საპნის ბუშტებს მიზანში სროლის ვარჯიშისას თეფშების მაგივრად იყენებენ.

* ჰაერის ყველაზე გამჭვირვალე ზედა ფენას ბერძნულად ეთერი ერქვა.

* მოცარტის ორხმიანი კანონი სანოტო ჩანაწერში ორჯერ ნაკლებ ადგილს იკავებს ნებისმიერ ორხმიან კანონთან შედარებით, რადგან პირველი ხმა პარტიტურაში იკითხება დასაწყისიდან, ხოლო მეორე ხმა ბოლოდან – უკუღმა.

* ბერძენი ფილოსოფოსი – ანახარსისი ადამიანებს სამ კატეგორიად ყოფდა: მკვდრებად, ცოცხლებად და ვინც ზღვაშია.

* ინგლისელების გამოთვლით, ადამიანი თავისი სიცოცხლის განმავლობაში 100 000 კილომეტრს გადის.

* იტალიაში ყველაზე გავრცელებული სახელი და გვარია – მარიო როსი.

* მეოცე საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში მხოლოდ 360 ქალაქი იყო, რომელთა მცხოვრებთა რაოდენობა 100 000-ს აღემატებოდა, ანუ მოსახლეობის 5 პროცენტი. ოთხმოციან წლებში ასეთი ქალაქების რაოდენობა 2 500-მდე გაიზარდა, სადაც მოსახლეობის 33 პროცენტი ცხოვრობდა.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლh1-B7!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



ორი დაქალი პლაჟზე წევს და ახალგაზრდა მამაკაცებს ათვალიერებენ. ჩაიარა ერთმა.




– აბა, რას იტყვი, როგორია?

– ზურგზე ნაკაწრებით თუ ვიმსჯელებთ, მაგარი ბიჭი უნდა იყოს...

***

– მიყიდე, რა, „ლექსუსი“, ბავშვებთან ერთად ვისეირნებთ ხოლმე, – როგორც იტყვიან, შეუჭამა გული ცოლმა ქმარს და, ქმარმაც, ბოლოს და ბოლოს, აჩუქა ძაღლი, საყელურზე ამოკვეთილი სახელით – „ლექსუსი“ და ღია ბარათიც მიაყოლა: „ოცნებები სრულდება – ისეირნეთ!“

***

– შებოლილ ქათამს ვეძებ და ვერ ვიშოვე...

– ალბათ, ჯერ ყველა სოლარიუმშია...

***

– ბავშვებო, ვინც დაბალ ნიშნებზე დაამთავრებს სკოლას, ჯოჯოხეთში მოხვდება, ვინც მაღალ ქულებზე – სამოთხეში...

– მასწ... ცოცხლებმა რომ დავამთავროთ, არ შეიძლება?

***

მამა პატარა გოგონას ეთამაშება... ცოტა ხნის შემდეგ ბავშვმა – აღარ მინდა თამაში, თავი მტკივაო. კაცმა ცოლს შეხედა:

– რა, ქალებს ამას ბავშვობიდან გასწავლიან?

***

მორგში სანიტრები სხედან და სპირტს „ურახუნებენ“. უცბად მორიგე სტუდენტი წამოხტა, სულ თეთრი:

– იქ... იქ...

– რა? – შეშფოთდნენ სანიტრები... სასწრაფოდ მიმალეს სასმელი, „კლიონკაზე“ დაწყობილი მწნილი და პური შეახვიეს და უჯრაში ჩატენეს...

– იქ... მიცვალებული გაცოცხლდა...

– უჰ, შენ რა გითხარით... მთავარი ექიმი გვეგონა, შემოვლაზე...

***

მეზღვაური ხიდზე სეირნობს. ხედავს, გოგონა ხიდის მოაჯირზე ცდილობს ავიდეს – გადახტომას აპირებს.

– გოგონა, გოგონა, არც იფიქროთ თავის მოკვლა!

– თქვენ ვერ გამიგებთ, მე ისეთი დეპრესია მაქვს... საშინელ დღეში ვარ... სხვა გზა არ მაქვს...

– არ გინდათ, მე მეზღვაური ვარ, წამომყევით, გემზე ავიდეთ, წავიდეთ, ევროპას გაჩვენებთ – რომს, პარიზს, ლონდონს...

წაჰყვა გოგო. მეზღვაურმა ტრიუმში დამალა, ყოველდღე საჭმელი მიაქვს, ყოველღამე „ართობს“... ერთხელაც, გემის შემოვლისას კაპიტანმა აღმოაჩინა.

– გთხოვთ, არ გააგდოთ მეზღვაური, მან მე დეპრესიისგან, უფრო სწორად, სიკვდილისგან მიხსნა, რომი უნდა მაჩვენოს, პარიზი, ლონდონი...

– რა რომი, რის პარიზი? გოგონა, ეს ბორანია...

***

აფთიაქში ქალმა ჰემოროის სანთლები იყიდა. უკან მდგარმა მამაკაცმა თვალი მოჰკრა. ეს შეამჩნია ქალმა და უხერხულად შეიშმუშნა.

– სანერვიულო არაფერი გაქვთ, ქალბატონო, სამაგიეროდ, შანდალი გაქვთ ძალიან ლამაზი...

***

– მართალია, ერთი წუთი სიცილი სიცოცხლეს 5 წუთით ახანგრძლივებსო?

– გააჩნია, ვისზე იცინით; შეიძლება, შეამციროს კიდეც.

***

ტიპი მატარებელში, ზედა „კოიკაზე“ წევს. ერთ-ერთ სადგურზე ქალი ამოვიდა და ქვემოთ მოთავსდა... მერე ამოალაგა ჩანთიდან არაყი




და მისაყოლებელი, ჭამს და თან ას-ას გრამს აყოლებს. იფიქრა კაცმა, დროა, გავიცნოო და ეკითხება:

– ქალბატონო, თუ შეიძლება, მითხარით, როგორ მოგმართოთ?

– მომართვა რად მინდა, ამ ბოლო ჭიქასაც დავლევ და მე თვითონ ამოვალ...

***

სკკპ ყრილობის ბოლო სხდომაზე ბრეჟნევს ციმბირიდან მოსული წერილი მიაწოდეს:

„სასწრაფოდ გამოგვიგზავნეთ ორი ცისტერნა არაყი, თორემ, ხალხი გამოფხიზლდა და კითხულობს – მეფე სად არისო“...

***

– მითხარი, როგორი ქალები მოგწონს – ჭკვიანები თუ ლამაზები?

– არც ერთი და არც მეორე, ხომ იცი, მე მხოლოდ შენ მიყვარხარ...

***

– აბა, სანდრო, მითხარი რამდენი იქნება 9X7?




– არ მესმის, მასწ!

– რამდენია 9X7? – ხმას აუწია მასწავლებელმა.

– არც ახლა მესმის!

– კარგი. აბა, ადგილები შევცვალოთ, ვნახოთ, როგორ არ გესმის.

დაჯდა მასწავლებელი.

– მასწ, როდის მოეშვებით დედაჩემთან სიარულს?

– ვა, ხედავ, მართლა არაფერი არ ისმის...

***

მიხომ საღამოს მიტუა და ვანუა მოიყოლა შინ.

– ბიჭებო, ყავაი დალევთ? – შეეკითხა მარო.

– რაც ამ სერიალების ყურება დაიწყო, ასე უცნაურად წარმოთქვამს ხოლმე არაყსა...

***

ქვეყანაში რევოლუციის გამოწვევას მხოლოდ ორი რამე სჭირდება: ტელევიზიებმა შეწყვიტონ სერიალების ჩვენება და გამორთოს ინტერნეტი – მაშინვე მთელი ხალხი ქუჩებში გამოიფინება.

***

– ჩემო სიყვარულო... – ხელი მოჰხვია ცოლს ქმარმა.

– შენი სიყვარული რომ ვიყო, გვერდზე არც კი გაიხედავდი...

– მაშინ ერთადერთი იქნებოდი, ახლა სიყვარული ხარ...

***

სტუდენტი პაემანზე მიდის:

– დე, ფული მომეცი, რა...

– არა, ვერ მოგცემ.

– შვილიშვილი გინდა?

– ახლავე. რამდენი გჭირდება?

# რატომ ვერ გაება „ხაფანგში“ ამნისტირებულმა გუჯაიამ „ჭრელგალსტუკიანი“ „რიჟა რუსი“

– მწყალობს ბედი, მწყალობს უფალი! ღმერთო, შენს სამართალს ვენაცვალე! – აღაპყრო ხელები ცისკენ, მის ზურგს უკან ციხის მძიმე რკინის კარმა რომ გაიჯახუნა, – სვაბოდა, სიმოონ! სვაბოდაზე ვარ! გეეხარდებიენ ჩემებს, სიმონ, აპა, რა იქნება, ასე მოულოდნელად რო დამინახავენ იქანე? – სახში, სიმონ... ბიძინაა, შენ შემოგევლე და ეკა ბესელიაა... დაიკო ხარ, ჩემი, აპა, რა!

მოკლედ, გუჯაია გარეთაა, აღარაა პატიმარი.

გარეთ არავინ დახვედრია გუჯას – არავინ ელოდა, თუ ასე მალე მოხდებოდა ეს ამბავი.

ჩქარა, ქუთაისში! ჩქარა... ჩქარა... ჩქარა!!!

...მატარებელში ხალვათობაა.

კუპეში მხოლოდ ერთი მგზავრი დახვდა – „რიჟა“ რუსი.

– გევეცნოთ ახლა ერთიმეორეს, – ძეხვი რომ წვრილად დაჭრა, შეეპატიჟა თანამგზავრს ყოფილი პატიმარი.

– ივანოვ... გენაძიიი – წაიგრძელა თანამგზავრმა.

– „ა ია ოჩენ ხაროში... ეტა... ინჟინერ სტროიწელ გუდჟა“.

– „ოჩენ პრიატნო“... – ხელი ჩამოართვა კაცმა.

დაბალ-დაბალ, რიჟა კაცს საქართველოში მიუღებელი, ჭრელა-ჭრულა ჰალსტუხი ეკეთა და გუჯას თვალები აემღვრა.




„თაგვის ხაფანგში გაბმა მხოლოდ თაგვთა ხვედრია“, – გაიფიქრა გუჯამ და ჭიქები მოამზადა.

– „ნუ, დავაი, ვიპიმ, მოი დრუგ“...

– კართულად ილაპარაკე, – თქვა რუსმა, – მე მესმის... მიყვარს საქართველო.

– კაი, კაცო... რა ხელობის კაცი ხარ? – სპეციალურად ნაყიდი კონიაკი ჩამოასხა გუჯამ ცელოფნის ჭიქებში.

– „დოლგაია ისტორია... ია ბიზნესმენ“...

ჯერ ორი ჭიქა... მერე – ოთხი ჭიქა, კიდევ ექვსი ჭიქა...

გუჯამ მეორე ბოთლი ამოიღო (არ თვრება რუსი).

– „ზა სპრავედლივოსტ“ ამ ქვეყანაზე! – თქვა „მასპინძელმა“ და ვახტანგური დალიეს.

მოითენთნენ. ძილმა იმძლავრა... მატარებელიც ისე უნანავებდათ, რომ სხვანაირად არ შეიძლებოდა და წაეძინათ.

ხაშურში გამოეღვიძა გუჯას. თანამგზავრს ღრმად ეძინა, მაგრამ, მატარებლის ბორბლების კაკუნმა გამოაღვიძა.

– გუდჟა... – გაუხარდა ამის დანახვა... – „გუდჟა... დავაი, ეშჩო ვიპიმ“.

„ამას დავათრობ... დავათრობ, აბა, რას ვიზამ... მერე დაეძინება და... ბევრი ფული აქვს მაგას, ბევრი ფული... ეეე, დაგაძინებ და მერე მე ვიცი, გუჯაიას რუსი!“

რუსი უკლებლივ სვამდა შეთავაზებულ სადღეგრძელოებს და მასპინძელს აშკარად სჯობდა.

... ქუთაისს რომ მიაკივლა მატარებელმა, გუჯას მაშინ გაეღვიძა.

თანამგზავრი არსად ჩანდა.

აღარც ბოლო 20-ლარიანი ედო ჯიბეში.

„მაჯობა“, – უნდოდა ეთქვა გუნებაში, მაგრამ, გადაიფიქრა, ირიბად გადააფურთხა და ნაღვლიანი ღიმილით ხმამაღლა თქვა: ეეჰ, დავბერდი!!!

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# რატომ გაებუტა ჩინელ ბიჭს ქართველი საცოლე

გამარჯობა, დედა, როგორ ხარ? ძალიან მენატრებით ყველა. მე არა მიშავს. როგორც იქნა, ბინა ვიპოვე, მაგრამ, მგონი, ლამზირას ნათესავებს არ მოსწონთ.

დედა, როგორც იცი, მთელი ჩემი დანაზოგით ბეჭედი ვიყიდე ქორწილისთვის და ბინის საქირავებლად ბევრი ფული არ მრჩება. აქვე, ჩემს უბანში, ცოტა მაღლა, მახათას მთის ძირში, ვიპოვე კარგი სახლი: ერთი ოთახია, დგას საწოლი, კარადა, მაგიდა ორი სკამით და კედელზე ტელევიზორია დაკიდებული, კიდევ ბევრ რამეს დადგამდა დიასახლისი, ისეთი კარგი ქალი ჩანს, მაგრამ, სამწუხაროდ, ოთახში, რაც ჩამოგითვალე, იმის გარდა არაფერი ეტევა; ზუსტად ორი ადამიანი დაეტევა საწოლზეც და მაგიდასთანაც. თვეში 70 ლარად მოვურიგდი დიასახლისს. ვიცი, რომ ძვირია, მაგრამ, ჩემი ლამზირას გამო ყველაფერს ვაკეთებ. ძალიან მიხარია, ცალკე რომ გადავალთ, ცოტა ფართოდ მაინც ვიცხოვრებ.

ვიშოვე სახლი და იმ დღესვე ლამზირას შევატყობინე, საღამოს კი მისი ნათესავების დელეგაცია მოვიდა სახლის სანახავად. რა თქმა უნდა, ყველა ერთად ვერ დაეტია ოთახში, თითო-თითოდ შემოდიოდნენ და ათვალიერებდნენ. გარეთ გასულები ერთად დგებოდნენ ეზოში და რაღაცას უკმაყოფილოდ ჩურჩულებდნენ. ნათესავები გავისტუმრე და მეორე დღეს თვითონ ლამზირა მოვიყვანე სახლის სანახავად. ცოტა ხანს დადგა ოთახში და თქვა, თაგვი კუდს ვერ მოიქნევს ამ ოთახშიო. ასე რატომ თქვა, არ ვიცი, დედა, ერთი თაგვი კი არა, ორი თაგვიც მოიქნევს კუდს. მერე წამოვედით და მთელი გზა გაბუტული იყო – ალბათ, იმიტომ, რომ კარადაში ჩემი ტანსაცმელი მის დაუკითხავად დავკიდე. სახლამდე მივაცილე და მითხრა, საღამოს ამოვალ და სტუმრების სია დავწეროთო. მე ძალიან გამიხარდა, რომ შევრიგდით და ჩემს ცოლობაზე უარი არ თქვა.




საღამოს ლამზირა ამოვიდა და სტუმრების სიის დაწერას შევუდექით. მე ვუთხარი ვისი დაპატიჟებაც მინდოდა ქორწილში და სულ 18 კაცი გამოვიდა: ჩვენი დიასახლისი ნანა, კობა, კობას ძმაკაცი ვართანა და ვინც ერთად ვცხოვრობდით ძველ სახლში, ყველა ჩინელი.

ლამზირამ უკვე დაწერილი სია მოიტანა, ამიტომ, დიდი დრო არ დაგვჭირვებია. თავისი სია მომაწოდა და ოფლმა დამასხა – ერთი რვეული თითქმის ბოლომდე იყო სავსე, სამას ოცდაათი კაცი ეწერა იმ სიაში. მე ვკითხე, ეს რა არის-მეთქი. ასე მითხრა, ჩემი ნათესავები და პატივცემული ხალხიაო. ერთ-ერთს თითი დავადე და ვკითხე – მაგალითად, ეს ვინ არის-მეთქი. მითხრა, ჭიათურაში მაღაზიის მეპატრონეა, პატარა კაცი კი არ არისო. მე ვუთხარი, თქვენი რა არის-მეთქი და – არაფერიო. გავგიჟდი კინაღამ. მერე სხვას დავადე თითი და ვკითხე, ეს ვინ არის-მეთქი, დედაჩემის მამიდაშვილის შვილი და ამის ძმიშვილი ერთად იწვნენ საავადმყოფოში, ჟურნალისტია, ტელევიზორში გამოდის ხოლმეო. მერე ჩვენს ქორწილში რა უნდა-მეთქი, და კინაღამ გაგიჟდა – აბა, ვინ უნდა დავპატიჟო, გამოსაჩენი და პატივცემული ხალხი ეგენი არიანო. ვერაფერი ვერ გავიგე, დედა, თურმე, საქართველოში შეიძლება ქორწილის სტუმრების ნახევარზე მეტს საერთოდ არ იცნობდეს არც სიძე და არც პატარძალი.

კიდევ დიდხანს ვათვალიერებდი ხალხს. დედა, ვერ ვხვდები, ამდენი ახლობელი და ნათესავი თუ ჰყავს ლამზირას, რატომ ცხოვრობენ ასეთ გაჭირვებაში, ან ლამზირა რატომ მუშაობს ბაზრობაზე. როგორ დავიჯერო, რომ სამასი კაციდან არც ერთს არ შეუძლია, დაეხმაროს და ნორმალური სამსახური აშოვნინოს, მით უმეტეს, რომ საქართველოს მოქალაქის პასპორტიც აქვს?! ჰო, დედა, კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი უნდა გითხრა: ლამზირას ცოლად მოყვანის შემდეგ მე უკვე საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქე გავხდები და ძალიან მიხარია – ათასი რამის გაკეთება შეიძლება აქ.

დედა, მერე კიდევ მოგწერ. ჯერჯერობით კი ეს არის სულ. მომიკითხე ყველა.

**გკოცნით**
**თქვენი ტოგი ვონგი**

# სარკეში ტელეფონით ფოტოების გადაღება – ოცდამეერთე საუკუნის „სენი“ თუ, უბრალოდ, მოდური გატაცება?!

**(მეორე გვერდიდან)**











გაამართლა და შეეშვნენ ამ ჯადო მოდასაც. აი, ბიჭების თემა არის ალუწერელი – თანამედროვე ცნობად სახეებს რომ უნდათ, კიდევ უფრო ცნობადები იყვნენ და საკუთარ თავში ნარცისიზმი რომ უზით და ვერც ხვდებიან ამას... როცა წარმატებული რეჟისორი ხარ, მსახიობი, ფეხბურთელი ან კალათბურთელი, რაში გჭირდება წელში გაბზეკა, „ობრაზში“ შესვლა და სახის დაჭერა ასეთი სურათის გადასაღებად?! იქნებ, ორიენტაციაში აქვთ ჩამოყალიბება და ახლა აცნობიერებენ, რომ ჯანმრთელი ჰეტეროსექსუალები არ არიან და არიან „ბი“ ან „გეი“ და თავს აწონებენ თავისივე სქესს? ეს უკვე აღარ ვიცი, ვერ დავდებ თავს. მე კი ამ ხალისობაში ბევრ საინტერესო რამეს წავაწყდი. ალბომში მყავს დაქალების ჯგუფი. ერთ-ერთის ქმარმა, ეტყობა, ცივილიზებული ტიპია, მომწერა: ცოლი და ცოლის დაქალები აფორიაქებულები იყვნენ, ვიღაც ტიპმა სურათი დადო რაღაც ალბომშიო... შემოვედი, ვნახე და მაგრად ვიხალისე. თუ მოგწერეს, სურათი წაშალეო – არ წაშალო, ძმაო. მაგრად ვიხალისე და მიხარია, რომ იუმორი ჯანსაღი გაქვს. სულ ვეკაიფებოდი – ეს რა სურათების ჯგუფური გადაღება იცით სარკეში. აი, შენ, ჩემი სიტყვა ისმინე და, დარწმუნებული ვარ, აღარ გადაიღებენ, მაგარი გაკვეთილიაო. იყო მეორე ტიპი: ძმა, მომწერე შენი ნომერიო და მივწერე. მითხრა, წაშალეო, მაგრამ, საუბრის ბოლოს მითხრა: დატოვე, ძმა, დატოვე. შენ როგორც მელაპარაკები, სხვა რამე ყოფილა. მე ეროტიკული ჯგუფი მეგონა და გამიტყდა, ჩემი შეყვარებულის სურათიაო. იყვნენ გოგოები: გთხოვ, წაშალეო და წავშალე... იყო ერთი ადამიანი, იმანაც, არ წაშალოო და დღეს სოციალურ ქსელში ვმეგობრობ. 200-მდე მეგობარი შემძინა ამ ალბომმა. ვინც ნახა, თავის ახლობელი დათაგა და იმათმა მერე დამეგობრება გამომიგზავნეს. ჩემს ალბომში ყველა ქართველია და ყველა ლამაზია. ასე მგონია, ქართველ ქალს არც სლავი და არც ევროპელი ქალი არ მირჩევნია. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ჩემი ქართველი ერის ქალები ბევრად უფრო ლამაზები არიან, ვიდრე სხვა ეროვნების. 1000 სურათს, რომელიც დავდე, გადაავლეთ თვალი და დარწმუნდებით. უბრალოდ, ათასზე მეტი ამ ალბომში არ ეტევა – ცუკერბერგმა მეტის საშუალება არ მომცა. ბევრი მაძლევდა თავისი დაქალისა და სამეგობროს ფოტოებს, მერე მე ვფილტრავდი – ვინ დამედო და ვინ არა. სულ 6 000-მდე ფოტო მაქვს ისეთი, რომელიც ვერ დაეტია. იყვნენ ადამიანები, თავისსას მიგზავნიდნენ. სულ 5 ადამიანის ფოტო მაქვს წაშლილი, ვინც მთხოვა, მეტის პრეცედენტი არ ყოფილა; თუმცა როგორც გითხარი, ბევრის ქმარმა, შეყვარებულმა მომწერა და კითხვები დამისვეს: რა ხდება, რა სურათების ალბომიაო, და ყველამ ცივილიზებულად გაიგო, ანუ საზოგადოების შეგნების დონე უმაღლესია და შევარდნაძის დროის ეპოქიდან წინ წავსულვართ. პირამიდული სისტემით შეგროვდა ალბომი თვე-ნახევარში. პრინციპი ასეთი იყო: არ იყოს შიშველი, რამე ცუდად არ გამოიყურებოდეს, ეგრე ვთქვათ, „პახაბნად“... იყოს სილამაზე და საინტერესო მხარე, ხარისხიანი ფოტო და იყოს ქართველი ყველა... ეს ალბომი ჩემთვის სახალისოდ შევქმენი – ვიფიქრე, იქნებ, შერცხვეთ და გადაეჩვიონმეთქი, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ დათვური სამსახური გავუწიე, ყველა იღებდა და, „ფორ იუ“... გამიზნულად მთაგავდნენ – აი, სპეციალურად შენთვის გადავიღეო... ასეთია დაახლოებით 100-მდე ფოტო – ჩემთვის და ჩემი ალბომისთვის გადაიღეს. ტელევიზიის თანამშრომლები, რადგან მეც „ტვ-ს“ წარმოვადგენ, ცდილობენ, გადაიღოს სურათები ჩემთვის და ამ პროცესში ბიჭებიც მოხვდნენ – თანამშრომელი ბიჭებიც ჩაერთნენ ხალისობის გამო. ასევე, „რუსთავი 2-ის“, „პირველი არხის“ თანამშრომლები, სოციალური მედიის „დედები“ და „მამები“. მე ვეცადე, რომ ტუალეტის სურათები არ დამედო და უფრო მეტად სილამაზე გამომეჩინა გოგოების, ვიდრე გამებანძებინა, ანუ, ნაკლები სარკაზმი. ვიფიქრე, მე-1000 ფოტოდ ჩემი თავი ხომ არ გადამეღო სარკეში დაპრუწული ტუჩებით, მაგრამ, აიფონი არ მაქვს. არ ვაღიარებ სხვა ბრენდს „ნოკიას“ გარდა, ისიც – ფანრიანის.





























**ნათია უტიაშვილი**



როგორი ტატუა წელს მოდაში, რომელია ყველაზე უცნაური პირსინგი და რა ასაკიდან არის მათი გაკეთება რეკომენდებული

გვ. 75



გვ. 30

როგორ გახდა დაწუნებული ბალერინა ელენე გლურჯიძე მსოფლიო ვარსკვლავი და კარლ ლაგერფილდის მუზა



რა სენსაციური და სკანდალური გადაცემა იგეგმება „ჯიდიესზე“ და როგორ დააფინანსა ბერამ თემო მჟავიასა და დათო გოგიშვილის ოპერაციები

გვ. 22



გვ. 15

რა წვლილი მიუძღვის ვიტალი დარასელიას „კარლ ცაისთან“ ცნობილი გოლის გატანაში ნუკრი კაკილაშვილს და რა ხდებოდა დიუსელდორფში გამარჯვების შემდეგ

ISSN 1987-569X

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი • გამოდის ორშაბათობით • №20 (646) • 13-19 მაისი • ფასი 1,50 ლარი